საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

F



ეროვნული ბიბლიოთეკა

6

თბილისი
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს

საღვთისმეტყველო

კრებული

№ 6

იბეჭდება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ-
ის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის

ილია II

ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით

თბილისი
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში

საქართველოში ქრისტიანობა ჯერ კიდევ ახ. წ. I საუკუნეში უნდა გავრცელებულიყო, რასაც მოწმობს ბიზანტიურ და ქართულ წყაროებში შემონახული ტრადიცია დასავლეთ საქართველოში ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ორის – ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ ამ ახალი რელიგიის ქადაგების შესახებ. ამავე ტრადიციის მიხედვით, სიმონ კანანელი კოლხეთში გარდაიცვალა და აქვე, ქ. ანაკოფიაში (აწინდ. ახალი ათონი) ყოფილა დაკრძალული.

IV საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოში უკვე ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაცია არსებობდა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ 325 წ. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას, როგორც ეს ამ კრების აქტებიდან ჩანს, ესწრებოდა „პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ბიჭვინთის ეპარქია აქაური ბერძენი მოსახლეობის სარწმუნეობრივი საჭიროებისათვის იყო ბერძნების მიერ დაარსებული (კ. კეკელიძე), სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან, როგორც დღეს დადგენილია, ბიჭვინთა არასოდეს არ წარმოადგენდა ბერძნულ კოლონიას, აქ და საერთოდ კოლხეთში ბერძნული და რომაული მოსახლეობა არ იყო იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ მისთვის ცალკე ეპარქია დაარსებულიყო. ეპისკოპოსი სტრატოფილე უდავოდ ადგილობრივი ქრისტიანული მრევლის მღვდელ-მოძღვარი იყო.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დიდ ხვედრით წონაზე უკვე IVსაუკუნეში მიუთითებს აგრეთვე არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული არა მარტო ზღვისპირა ქალაქებში, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებშიაც. IV საუკუნის პირველი მესამედით თარიღდება ბიჭვინთაში აღმოჩენილი ერთნავიანი ბაზილიკა ნახევრადწრიული აფსიდით. ამავე საუკუნეს განეკუთვნება წითელლაქიანი ჭურჭლის ნაწილი, რომელიც ჯვრის გამოსახულებით იყო შემკული. ასეთივე ჭურჭელია აღმოჩენილი წებელდის სამაროვანზე. აქვე იქნა ნაპოვნი IV საუკუნით დათარიღებული ვერცხლის მედალიონი ამგვარი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანული წარწერით: „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთაჲ“ და იქრის პატარა ჯვარი.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს იყო დამკვიდრებული მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოში – ეგრისში ქრისტიანობა საკმაოდ გვიან, მხოლოდ VI საუკუნის 20-იან წლებში გამოცხადდა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად. ეს მოსაზრება ემყარებოდა ბიზანტიელი ისტორიკოსის – თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ ლაზთა (ეგრისის) მეფე წათე 523 წელს განუდგა სპარსეთის მეფეს კავადს, ჩავიდა კონსტანტინეპოლში და სთხოვა იმპერატორ იუსტინეს (518 – 527), რათა მას გაექრისტიანებინა იგი. ასევეა ეს ამბავი მოთხრობილი VII ს. ძეგლში ე. წ. „პასქალურ ქრონიკაში“.

მაგრამ, როგორც თეოფანე ჟამთააღმწერლის, ისე „პასქალური ქრონიკის“ ავტორისათვის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე მალალას „ქრონოგრაფი“, სადაც წათეს გაქრისტიანების ამბავი უფრო ვრცლად და დაწვრილებითაა მოთხრობილი. ამ მონათხრობიდან ირკვევა, რომ ეგრისის მეფე წათე გარკვეული პოლიტიკური მიზნებით განუდგა ბიზანტიას, უარყო ქრისტიანობა და წარმართთა სარწმუნეობაზე გადავიდა; მაგრამ რადგან სპარსელებმა მისი იმედები არ გაამართლეს, კვლავ ზურგი აქცია მათ, ეახლა ბიზანტიის იმპერატორს და ხელახლა დაუბრუნდა ქრისტიანულ სარწმუნეობას. მაშასადამე, არ არსებობს საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ წათე პირველი იყო ეგრისის სამეფო სახლიდან, ვინც ქრისტიანობა მიიღო. ცხადია, რომ ეგრისის სამეფო სახლი წათემდე კარგა ხნით ადრე უკვე ქრისტიანული იყო და თვით წათეც თავდაპირველად ქრისტიანობას აღიარებდა.

ამავე დროს, ჩვენ გაგვაჩნია არა ერთი ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ VI საუკუნის 21-იან წლებზე გაცილებით ადრე ქრისტიანობა ეგრისში სახელმწიფოებრივ სარწმუნეობად იყო აღიარებული.

ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკე პანიონელის ცნობით, V საუკუნის 60-იან წლებში კონსტანტინეპოლში ჩავიდა ეგრისის მე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფე გუბაზი, რომელმაც იმპერატორის კარისკაცები მოხიბლა „საქ-
რისტიანო ნიშნების ტარებით". იგივე გუბაზ მეფე დაახლოებული
ყოფილა დანიელ ბესვეტესთან.

VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღნიშ-
ნავს, რომ დაზები და აფსილები ძველთაგანვე ქრისტიანები არიან.
ცხადია, VI ს-ის მწერალი ვერ იტყოდა, რომ ისინი ძ ვ ე ლ თ ა-
გ ა ნ ვ ე ქრისტიანები არიან, მათი ოფიციალური გაქრისტიანე-
ბა რომ მხოლოდ VI საუკუნის 20-იან წლებში მომხდარიყო.

ამასვე ადასტურებს ზემომოტანილი არქეოლოგიური მასალაც,
რომელიც მოწმობს, რომ IV - V საუკუნეებში ქრისტიანობა მტკი-
ცედ ფეხმოკიდებული და გავრცელებული იყო მთელ დასავლეთ საქარ-
თველოში. აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ეგრისის
ძველი დედაქალაქის ციხე-გოჯის - არქეოპოლისის გათხრების დროს
ს. ნოქალაქევში აღმოჩნდა ძველი სამნავიანი ბაზილიკის ნანგრე-
ვები. ეს დიდი ზომის მონუმენტური ბაზილიკა თარიღდება არაუგვი-
ანეს V საუკუნის შუა წლებით.

ამას გარდა ჩვენ ხელთ არის ფრიად ნიშანდობლივი ცნობა,
რომელიც V საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსს გელასი კვიზიკელს
ეკუთვნის. ლაპარაკობს რა IV საუკუნის მოვლენებზე, გელასი კვი-
ზიკელი აღნიშნავს: „ამავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს
გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და დაზებმა,
რომელთაც მანამდე ის არ სწამდათ". მაშასადამე, V საუკუნის მწე-
რალს დაზების (ეგრისელების) გაქრისტიანება დიდი ხნის მომხდარ
ფაქტად და იბერიის (ქართლის) გაქრისტიანების თანადროულ, ე. ი.
IV საუკუნის მოვლენად მიაჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ,
რომ ეგრისის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანება, აქ
ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადება IV სა-
უკუნეში მომხდარა, ე. ი. დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც
იბერიაში.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს - ქართლს ანუ იბე-
რიას, მისი ოფიციალური გაქრისტიანების შესახებ შემონახულია
საკმაოდ უხვი წყაროები, როგორც ქართული, ისე სომხური და ბერ-

ძნულ-ლათინური. ქართულ წყაროთაგან აღსანიშნავია ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის ძირითადი ნაწილი VII საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი. ამ ქრონიკის საფუძველზე შეუდგენია ქართლის გაქრისტიანების ისტორია აგრეთვე ლეონტი მროველს (XI ს.), რომელსაც თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ჩაურთავს წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ამბავი*.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ მოთხრობა შესულია V ს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“. მის ძირითად წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა IV ს. ავტორის აგათანგელოსის „ისტორია“.

რაც შეეხება ბერძნულ-რომაულ წყაროებს, აქ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ IV საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსი გელასი კესარიელი, რომლის თხზულებას იყენებენ ან გარკვეული შესწორებებითა და დამატებებით თარგმნიან რუფინუსი (V ს. დასაწყისი), თეოდორიტე კვირელი (V ს. შუა წლები), გელასი კვირიკელი (V ს. ბოლო) და უფრო გვიანდელი ბიზანტიელი მწერლები.

ამ წყაროთა საფუძველზე ქართლის გაქრისტიანების ისტორია შემდეგნაირად ისახება: ქართლში ქრისტიანობა იქადაგა კაპადოკიიდან მოსულმა ქალმა, რომელსაც ქართული წყაროები წმ. ნინოს უწოდებენ, მოვსეს ხორენაცი მას „ნეტარი ნუნეს“ სახელით იხსენიებს, ხოლო ბერძნულ-ლათინურ წყაროებში იგი კაპადოკიიდან მოსულ ტყვედყოფილ ქალადაა გამოცხადებული და მისი სახელი არ იხსენიება.

ქართლის მოქცევა ქართულ წყაროთა მიხედვით მოხდა მეფე მირიანის დროს, რომელიც იმპერატორ კონსტანტინე I (306-337) დროს მეფობდა. მოვსეს ხორენაცის ცნობითაც „ნეტარმა ნუნემ“ მოაქცია იბერიის მმართველი მიჰრანი. ბერძნულ-რომაული წყაროები არ ასახელებენ წმ. ნინოს თანამედროვე მეფისა და დედოფლის სახელს, მაგრამ ქართლის მოქცევას ერთხმად კონსტანტინე დიდის

---

* ამ თხზულებათა მიხედვით საქართველოში შექმნილა წმ. ნინოს ცხოვრების სხვა ვერსიებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერატორობის ხანას მიუსადაგებენ. მაშასადამე, ძველა აღნიშნული ცნობის მიხედვით, ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფოებრივ სარწმუნეობად დამკვიდრებულა ა რ ა უ გ ვ ი ა ნ ე ს 337 წ ლ ი ს ა.

მაგრამ არსებობს ზოგიერთი მონაცემი, რომელიც ამ ზედა ქრონოლოგიური მიჯნის ქვემოთ ჩამოწევის საშუალებას იძლევა:

I. ლეონტი მროველის თანახმად, წმ ნინოს გარდაცვალების დროისათვის კონსტანტინე I ჯერ კიდევ ცოცხალია: ნინოს სიკვდილის მერე უბრუნებს იგი მირიანს ბიზანტიაში მძევლად მყოფ უფლისწულ ბაქარს და სწერს წერილს. მაშასადამე, 337 წ. წმ. ნინოს გარდაცვალებისათვის უნდა იყოს უკიდურესი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი და არა ქართლის მოქცევისათვის, რადგან სამეფო სახლისა და ერის მონათვლიდან ნინოს გარდაცვალებამდე რამდენიმე წელი ჩანს გასული. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, წმ. ნინო გარდაიცვალა ქართლში მოსვლიდან მეთხუთმეტე წელს, ხოლო ლეონტის მიხედვით – მეთოთხმეტე წელს; ამასთან, იმავე მატიანეთა მიხედვით, მეფე მირიანი მონათლულა ნინოს ქართლში მოსვლიდან მეშვიდე წელს, მაშასადამე, ქართლის სამეფო სახლის მონათვლიდან ნინოს გარდაცვალებამდე გასულა 7 თუ 8 წელი. ამრიგად, კიდეც რომ მივიღოთ ნინოს გარდაცვალების თარიღად 337 წ., გამოდის, რომ ქ ა რ თ ლ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ა ხ ლ ი ს მ ო ნ ა თ ვ ლ ა დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 330 წ. უ ნ დ ა მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო.

2. არც რუფინუსს, არც თეოდორიტე კვირელს, არც მათზე დამოკიდებულ გვიანდელ ავტორებს, არც ქართულ წყაროებს ქართლის მოქცევის თხრობისას არც ერთხელ არა აქვთ დასახელებული ქალაქი კონსტანტინეპოლი. ეს გარემოება ადასტურებს, რომ ქ ა რ თ ლ ი ს მ ო ქ ც ე ვ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა 330 წ ე ლ ზ ე გ ვ ი ა ნ მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო, რ ა დ გ ა ნ ს წ ო რ ე დ ა მ წ ე ლ ს დ ა ა რ ს დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ი, ის გამოცხადდა რომის სახელმწიფოს დედაქალაქად და კონსტანტინე I-თან ურთიერთობათა აღწერისას წყაროებში შეუძლებელია არ ყოფილიყო ნახსენები მისი სატახტო ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ყველა წყაროს მიხედვით ქართლის მოქცევის დროისათვის კონსტანტინე ქრისტიანობის მფარველად, ქრისტიანობისათვის აქტიურ მოღვაწედ არის დასახელებული; ის ეხმარება ქართლის გაქრისტიანებას, იგი და არა რომელიმე მღვდელმთავარი აგზავნის ქართლში მღვდელ-დიაკვანთა. ყველა ეს დეტალი საფიქრებელს ხდის, რომ ქართლის მოქცევა უნდა მომხდარიყო უკვე მას მერე, რაც ქრისტიანობა აღიარებულ იქნა რომის იმპერიის ოფიციალურ, გაბატონებულ, ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად, ე. ი. 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ.

ამრიგად, ყველა არსებულ ცნობათა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქ ა რ თ ლ შ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ რ ე ლ ი გ ი ა დ გ ა მ ო ც ხ ა დ დ ა 325-330 წ ლ ე ბ ს შ ო რ ი ს.

როგორც ცნობილია, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო არიანობა - ალექსანდრიელი პრესვიტერის არიოზის მოძღვრება, რომელიც ამ კრებაზე მწვალებლობად იქნა გამოცხადებული. ცხადია, რომ, რაკი ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრება ნიკეის კრების შემდეგ მოკლე ხანში განხორციელდა, აქ შეიძლებოდა გავრცელებულიყო მხოლოდ ქრისტიანობის ორთოდოქსალური მართლმადიდებლური მიმართულება.

ნოდარ ლომოური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული მონასტრები საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. ძველი საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოების პირველ მქადაგებლებად მოიხსენიებიან წმიდა მოციქულები: ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, ხოლო ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება მოხდა IV საუკუნის პირველ ნახევარში, მოციქულთასწორი წმიდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად.

ქრისტიანობის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქვეყნის გაერთიანებასა და ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბებას. ჭეშმარიტი სარწმუნეობის გავრცელებას მოჰყვა მწიგნობრობისა და, საერთოდ, ერის სულიერი კულტურის განვითარება, კავშირის განმტკიცება ცივილიზებულ ქვეყნებთან.

ქრისტეს გამოცხადებამდე კაცობრიობა მარად ჭეშმარიტების ძიებაში იყო. მაცხოვრის განკაცებამ გამოიწვია ადამიანის აზროვნების მეტამორფოზა; მოხდა შემობრუნება კერპთაყვანისცემლობიდან სრული ჭეშმარიტებისაკენ, რასაც უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია: წარმართული სარწმუნეობის მესვეურნი დაუნდობლად ებრძოდნენ ახალ რელიგიას, მის აღმსარებლებს აიძულებდნენ კვლავ წარმართობას დაბრუნებოდნენ, მაგრამ ჭეშმარიტ სარწმუნეობაზე – ქრისტიანობაზე მოქცეულნი სიცოცხლეს სწირავდნენ, სარწმუნოებას კი არ იცვლიდნენ და ხშირად ჯლუპებოდნენ ხორციელად, რათა მოწამეობრივი გვირგვინი მოეპოვებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასკეტიკა როგორც ცხოვრების წესი და რელიგიურ-ფილოსოფიური მიმართულება ძველთაგანვე ცნობილი იყო, მაგრამ ჩვენი მაცხოვრის წინამორბედმა და ნათლისმცემელმა იოანემ ახალი აღთქმისაკენ წარმართა მეუდაბნოება. ამიერიდან მღვიმეებში, კლდის ნაპრალებსა თუ მონასტრის გაყინულ სენაკებში განცალკევებით მცხოვრები მარტომყოფელნი წუთისოფლურ მოთხოვნილებათა დათრგუნვით ზრუნავდნენ სულისა და სხეულის განწმენდისა და აღთქმული ზეციური სასუფევლის დამკვიდრებისათვის. ისინი ნიადაგ ხელაღპყრობით ავედრებდნენ ღმერთს მორწმუნე ერს და ლოცულობდნენ მისი კეთილდღეობისათვის. მაგრამ აღნიშნულ მოღვაწეთა საქმიანობა მარტო ლოცვით და საკუთარ სულზე ზრუნვით როდი განისაზღვრებოდა; ბერ-მონოზანნი სამშობლოს ემსახურებოდნენ მთელი არსებით: თარგმნიდნენ სასულიერო თხზულებებს, ქმნიდნენ ორიგინალურ ნაშრომებს, მხატვრულად აფორმებდნენ და ამრავლებდნენ ხელნაწერებს; ერთი სიტყვით, ისინი ქმნიდნენ ერის სულიერ მემკვიდრეობას, რათა მათი ნაღვაწი გზად და ხიდად გასდებოდა მომავალ თაობებს. სწორედ ისინი შრომობდნენ სჯულისა და ენის აღყვავებისათვის და ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქართველი კაცისათვის დღესაც გასაგები და ახლობელია საღვთო წიგნების ენა, წიგნებისა, რომლებიც დაიწერა თუ ითარგმნა ქრისტიანობის უძველეს ხანაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე იმისათვის, რითაც დღეს ვამაყობთ, უნდა ვუმადლოდეთ ჭეშმარიტ ნამსაყუდელთ ქრისტიანობისას და ერისას - მონასტრებს. ბერ-მონოზანთა შორის იყვნენ ეგრეთწოდებულნი საღმსნიც ანუ „ქრისტესთვის სულელნი", რომელთა ღვაწლი „ბრძენთა ამა ქვეყნისათა" ვერ ამოუხსნიათ სისრულით.

როდესაც ვკითხულობთ ძველ ქართულ ხელნაწერთა წინაბჭეებს, ანდერძებსა და მინაწერებს, ნათელი ხდება, თუ რა მძიმე პირობებში შეუქმნიათ ჩვენს ნეტარხსენებულ წინაპრებს ის კულტურული მემკვიდრეობა, რითაც დღეს ვამაყობთ. ღვისით თუ ღამით, უმკაცრეს ასკეტურ პირობებშიც კი, ბერების სენაკებში არ წყდებოდა შემოქმედებითი მუშაობა. ერთი გადამწერი ჩივის: „ამ წიგნს უკაროს სახლში ვწერდი; ქარმან და სიცხემ არ მომასვენა. ღმრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის გულისათვის, გვევედრებით, ნუ მწყევთ ავად წერისათვის". წმ. ექვთიმე მთაწმიდელის ბიოგრაფი წერს, რომ ის „შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოველადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ: რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა".

მონასტრებში მოღვაწე სწავლული ბერები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საქმეს, თავიანთ ღვაწლზე კი ძუნწად და თავმდაბლად წერდნენ. აი თუნდაც ასეთი ნიმუშები: „...ღირს ვიქმენ არაღირსი გასილი აღწერად წმიდისა ამის წიგნისა...", ან კიდევ, „ვინცა იხმარებდეთ შენდობასა ღირს მყავთ, რამეთუ ნაშრომი ჰგიეს და მშრომელი წარვპლ გლახაკი".

მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ სიცოცხლეს ბერები ხალხისგან მოშორებით, ეკლესია-მონასტრებში ატარებდნენ, ისინი მაინც ახერხებდნენ მტკიცე დარაჯად დადგომოდნენ სახელმწიფოს განმტკიცება- გაძლიერებას და ამიტომ შეუბრალებლად ამხელდნენ ყველას, თუნდაც მეფეს, ვინც კი ზნეობრივ პრინციპს ღალატობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სწორედ ეკლესია-მონასტრებში ჩაისახა და მომწიფდა ჩვენში ეროვნული მთლიანობის იდეა, რომლის ერთ-ერთი დამცველი, IX საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე წერს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულიცა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...", ე. ი. საქართველო ისაა, სადაც ღვთისმსახურება სრულდება ქართულ ენაზეო და სწორედ ეს არის სრულიად საქართველოს იდეა. ჩვენს ეკლესია-მონასტრებში ქართული ენა იმდენად დაიხვეწა და დამშვენდა, რომ ქართველმა საეკლესიო მამებმა არამცთუ გაუთანასწორეს ბერძნულს, არამედ უპირატესობაც კი მიანიჭეს მას. X საუკუნის საეკლესიო მამამ, იოანე-ზოსიმემ იგი ზოგადსაქრისტიანო ენადაც გამოაცხადა: „დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა უფლისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

მონასტრებში იჩინა თავი კულტურული ცხოვრებისადმი მიდრეკილებამ, რაც ნათლად გამოიხატა უბრალო სამლოცველოების დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული არქიტექტორული ნაგებობებით შეცვლაში, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქართული ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი გენიის სრულად გამოვლენას.

ქრისტიანულ მონასტრებსა და იქ მოღვაწე ქართველ ბერებს ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს თავდაცვის განმტკიცებასა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში. ისინი საჭიროების ჟამს გამოდიოდნენ უდაბნოებიდან და ხალხს მოევლინებოდნენ გასამხნევებლად და სანუგეშოდ, და ურყევი რწმენითა და უსაზღვრო სიყვარულით მაცხოვრისადმი, ჯვრით ხელში მიუძღოდნენ ერს მოძალებული მტრის წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილია ათონელი ბერის – იოანე-თორნიკეს დამსახურება არა მარტო საქართველოს, არამედ მართლმადიდებელი საქრისტიანოს წინაშეც მთლიანად.

მონასტერი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს განდეგილთა საცხოვრებელს. პირველი ქრისტიანული მონასტრები, როგორც განდეგილ-მეუდაბნოეთა საერთო დასახლებანი, წარმოიშვა ეგვიპტეში III – IV საუკუნეებში. ქრისტიანული ეკლესია ბერ-მონოზვნური ცხოვრების ფუძემდებლად მიიჩნევს ცნობილ საეკლესიო მამას ანტონი დიდს (250 – 356). IV – V საუკუნეებში მსხვილი მონასტრები გაჩნდა პალესტინასა და სირიაშიც. დასავლეთში მონასტრები შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე აღმოსავლეთში. IV საუკუნიდან აღმოსავლეთში დაარსდა დედათა მონასტრებიც.

მონასტრები საქართველოში

საქართველოში ქრისტიანული საგონასტრო ცხოვრების შესახებ მსჯელობისას უნდა გავიხსენოთ იაკობ ხუცესის (V ს.) ერთი ფრაზა: „ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც... კ ა ც ი ს ა ვ ი ს ა მ ე წ მ ი დ ი ს ა ვ ა ნ ა დ (ხაზგასმა ჩვენია – ა. შ.) მისრულ იყო“[1]. სიტყვა „ვანი“ (სადგომი) და მისგან ნაწარმოები

---

1 იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, მეცნიერულად გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., „მეცნიერება“, 1978, III, I-3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქმაც - „სავანე“ ქართველი ქრისტიანისათვის აღნიშნავს მონასტერს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ პუნქტებში, რომელთაც ეწოდებათ „ვანი“ ძველად ყოფილა ბერ-მონოზონთა სადგომები ანუ მონასტრები. ასევე უნდა ვიფიქროთ იაკობ ცურტაველის მიერ დამოწმებული ფრაზის მიხედვითაც; ე. ი. „კაცისა ვისამე წმიდისა ვანად“ უნდა ნიშნავდეს: სავანეში, რომელშიც იყო ვინმე სასულიერო მოღვაწე.

I. ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. მძლავრი სამონასტრო ორგანიზაციის დასაწყისი საქართველოში დაკავშირებულია ასურელ მამათა მოღვაწეობასთან. VI საუკუნის შუა სანებში აღმოსავლეთ საქართველოში სირიიდან ჩამოსულა საეკლესიომოღვაწეთა ჯგუფი იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფში შედიოდნენ შემდეგი მამანი: იოანე ზედაზნელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმპოელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი, შიო მღვიმელი და ელია დიაკონი. ეს მოღვაწენი შემდგომ დასახლდნენ ქართლისა და კახეთის სხვადასხვა ადგილებში და საფუძველი ჩაუყარეს სავანეებს: ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდა მონასტრები ზედაზენზე, შიომღვიმეში, გარეჯაში, მარტყოფსა და სხვ.

ვინაიდან ასურელ მამათა მიერ საფუძველჩაყრილმა სამონასტრო ორგანიზაციამ დიდი კვალი დააჩნია ქართველი ხალხის ცხოვრებას, ხოლო მათ მიერ გაშენებულმა საბერმონოზვნო ცენტრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითოეულ სავანეზე საგანგებოდ შეჩერება.

ზ ე დ ა ზ ე ნ ი. მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე ზედაზნის მთაზე არის უძველესი ქართული სამონასტრო ცენტრი, რომელიც დააარსა ასურელ მამათა წინამძღოლმა, ღირსმა მამამ - იოანე ზედაზნელმა. აღნიშნულ მთაზე ქრისტიანობის წინა ხანაში ზადენის კერპი ყოფილა აღმართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაწვდის ცნობას: „მეფობდა ფარნაჯომ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღაშენა ციხე“. ზადენის კერპი შრავალგან იხსენიება სხვა ქართულ წყაროებშიც. ვარაუდობენ, რომ მთის შემდეგდროინდელი სახელწოდება ზედაზენი ან ზედაზადენი კერპის სახელიდან წარმომდგარა.

ღირსმა მამამ, იოანემ, რომელსაც სამოღვაწეო ადგილის მიხედვით ზედაზნელი ეწოდა, თავისი საქმიანობით ადრევე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება; მისი ცხოვრება რამდენჯერმე აღიწერა და მათ საფუძველზე წმიდანის თავგადასავალი ზოგადად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: წმ. იოანე ერთ ხანს სირიის ერთერთ მონასტერში მოღვაწეობდა განმარტოებით და დიდად გაითქვა სახელი. ყოველი მხრიდან მიდიოდნენ მასთან ლოცვა-კურთხევისა და კურნების მისაღებად. ერიდებოდა რა კაცთაგან დიდებას, წმ. იოანემ განიზრახა გადასულიყო სამოღვაწეოდ სადმე შორეულ მხარეში, რომ არავის მიეგნო მისთვის. მალე ამის შესახებ ღვთისნებაც მიიღო. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მას და უბრძანა, რომ თავის მოწაფეთაგან გამოერჩია თორმეტნი და მათთან ერთად წასულიყო ივერიაში ქრისტიანული სარწმუნეობის განსამტკიცებლად. თავისი მოწაფეებითურთ იგი მოვიდა ქართლში, შეარჩია სამოღვაწეოდ ადგილი მცხეთის მახლობლად და „აღვიდა მთასა მაღალსა, რომელსა ჰრქვიან ზედაზადენ“. წმინდანის ცხოვრების აღმწერს განმარტებულიც კი აქვს ზედაზენზე წმ. იოანეს დასადგურების მიზეზი: „ესე ამისთვის ყო ღმერთმან, რამეთუ პირველად სამკაულ ეკმნა ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა, და მეორედ ამისთვის დაეყუდა ადგილსა მას, რამეთუ გოდოლი აღეშენა წარმართთა“. ამის გამო, როგორც ჩანს, ძველი სამსხვერპლო ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა და წმიდანს მისი შემუსვრა სურდა. ზედაზენზე ღირსმა იოანემ „პოვა მცირე ქუაბი და შეექმნა იგი წმიდად ეკლესიად, და დაემკვიდრნეს მუნ“. შემდგომ მან თავისი მოწაფენი დაგზავნა სამოღვაწეოდ ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში, თვითონ ერთი მოწაფით დარჩა ზედაზენზე და შეუდგა სულიერ მოღვაწეობას: გამუდმებული ლოცვითა და მარხვით მთლად დათრგუნა თავისი სხეული. წმ. იოანე დროდადრო ნახულობდა თავის მოწაფეებს, ამხნევებდა და კეთილი რჩევა-დარიგებით წარმართავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ სულიერ მოღვაწეობას, ამზადებდა იმ მოულოდნელი დღისთვის, როცა მეუფე დიდებისა მოუწოდებდა მათ სულებს.

თავისი სამოღვაწეო ადგილი წმიდანს არ გაუმშვენებია, არ გაუშენებია: „შენებაი ადგილისაჲ მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ პოვა მუნ ქუაბი რაიმე მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი“. თავისი მოღვაწეობით წმიდანმა მაღე გაითქვა სახელი, „განხდა ამბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა“.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ მოახლოვდა ღირსი მამის განსვენების ჟამი. აღსასრულის წინ მან მოუწოდა თავის მოწაფეებს, მისცა უკანასკნელი დარიგება და დაუბარა, დაესაფლავებინათ ზედაზენზე, იმავე გამოქვაბულში, რომელშიც ცხოვრობდა. წმიდა საიდუმლო ზიარების მიღების შემდეგ ღირსი მამა იოანე მიიცვალა. მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა მისი გვამი მთიდან წამოასვენეს ქვედა უდაბნოში და წმ. თადეოზის მონასტერში წინასწარ მომზადებულ სამარხში დაასაფლავეს, ხოლო შემდგომ, წმიდანისავე ანდერძის ასასრულებლად, ზედაზნის მთაზე გადაასვენეს.

ძველ ქართულ ხელნაწერებში შემონახულია ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა სია, საიდანაც ჩანს, რომ წმ. იოანეს შემდეგ მონასტერში მოღვაწეობდნენ ილია დიაკონი; სამოელ დიდი, „რომელმან ქუაბი ქმნა ჯუარისაჲ“; გაბრიელი, „რომელმან სტოვა აღაშენა“; მიქაელ, „რომელ სადიაკონე აღაშენა“; მიქაელ, „რომელმან აკლდამასა თანა ეგუტერი ქმნა“; ზაქარია, „რომელმან ეკლესია განადიდა“; სამოელ, „რომელმან მარანი ქვითკირითა ქმნა“ და სხვანი. ზედაზნის მოღვაწენი ზრუნავდნენ მონასტრის გაშენებასა და კეთილმოწყობაზე.

წმ. იოანე ზედაზნელის სადგომის ახლოს, მის აღმოსავლეთით, კათოლიკოს კლემენტოს (VII ს.) ნათლისმცემლის ეკლესია აუგია, რომელიც დღემდეა დაცული. ეს არის სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ჩრდილოეთი მხარე ეკუთვნის ადრეულ ხანას, დანარჩენი ნაწილები კი VIII-IX და მომდევნო საუკუნეებისაა.

ზედაზნის ციხესა და მონასტერს თავს გადახდა რამდენიმე ბრძოლა. არაბთა ლაშქარს მონასტერი დაურბევია და იქაური ბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოზონნი გაუწყვეტია. მაშინ ეწამა ერთ-ერთი მოღვაწე - იოანე, „რომელი მოიკლა სარკინოზთაგან ზედაზენს შინა მახვილითა“, განსაკუთრებით სავალალო იყო მონასტრისათვის ლეკთა ბრბოების თარეში. ჩრდილო კავკასიიდან შემოპარული მტაცებლები ზედაზნის მთის კალთებზე გაშენებულ ხშირ ტყეში იბუდებდნენ და იქიდან ესხმოდნენ თავს მშვიდობიან მოსახლეობასა და მონასტერს. ამის გამო ზედაზნის მონასტერი ნელ-ნელა დაცარიელდა და გაუკაცრიელდა.

წმ. იოანე ზედაზნელის მიერ დაარსებულ მონასტერში გაჩაღებული კულტურული საქმიანობის შესახებ მასალა ჩვენამდე ნაკლებადაა მოღწეული, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ჯერ ერთი, მტრის მოძალადე რაზმების თარეშის გამო ზედაზენზე კულტურული საქმიანობა , ალბათ, შედარებით სუსტი იყო და, მეორეც, მონასტრის ხშირი დარბევის გამო ლიტერატურული შემოქმედრეობა განადგურდა და ალარ შემოგვრჩა.

ზედაზნის მონასტერში მოღვაწე ქართველ მწიგნობართაგან ჩვენთვის ცნობილია მიქაელ წინამძღვარი - ინიციატორი იოანე ზედაზნელის ცხოვრების (მეტაფრასული რედაქცია) დაწერისა.

შ ი ო მ დ ვ ი მ ე. შიომღვიმის მონასტერი მდებარეობს თბილისიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით, მცხეთის დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დაბალი ბუჩქნარით დაფარული სხალტბის ქედის ძირში. იგი დაუარსებია წმ. იოანე ზედაზნელის ასურეთიდან წამოყოლილ ერთ-ერთ მოწაფეს - შიოს, რომელიც ქ. ანტიოქიაში (სირია) დაბადებულა და 20 წლისა ბერად აღკვეცილა. საქართველოში ჩამოსვლიდან ოთხი წლის შემდეგ, ზედაზნის მთიდან წამოსული შიო „წარემართა დასავალით კერძოთა მცხეთისათა კაცთაგან ყოვლად უვალთა მაღნართა და კლდეთა საშინელთა“, სადაც „პოვა ხევი ღრმაი ფრიად ფიცხელი, უდაბნოჲ და ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა სახმართაგან“; ეს ადგილი იყო „სავსე მხეცთა მიერ ქუეწარმავალთა გესლიანთა“. ამ ხევში მან „პოვა მცირე ქუაბი“, „დაჯდა მას შინა დაყუდებით“ და ცხოვრობდა „თვინიერ საზრდელისა, თვინიერ სასუმელისა, თვინიერ

ყოველისა ნუგეშინის-ცემისა".

გამოქვაბული, სადაც ღირსი შიო პირველად დამდგარა, შემდგომ (არა უადრეს XI ს-ისა) ეკლესიად უქცევიათ. ამჟამად ეს პატარა მღვიმე-ეკლესია დაშორებულია მონასტრისაგან და ,,ანცალ-კევებით მდებარეობს ძველი სავანისაკენ მიმავალი გზის პირას. საფუძვლიანი გადაკეთების გამო მას ადრინდელი სახე დაკარგული აქვს.

ღირს მამა შიოსთან მალე სხვებიც მისულან, ბერები მომრავლებულან. როცა მათი რიცხვი საკმაოდ გაზრდილა, საღოცავი ეკლესიაც აუშენებიათ წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე. მალე შეკრებილთა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია. მონასტერი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მეფე ფარსმანმა დიდი ძალი საბოძვარი შესწირა მას.

მონასტრის გაშენების შემდეგ ღირსმა შიომ თავისი მასწავლებელივით მარტომყოფელობა ირჩია. მან ნათლისმცემლის ეკლესიის დასავლეთით შეარჩია ერთი მღვიმე, „ფრიადისა სიღრმისა მქონებელი და ყოვლად ბნელი", „შთახდა... მას შინა" და უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი მის საძვალედ იქცა. შემდგომ აქ აიგო ეკლესია, რომელიც მოგვიანებით ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთეს. ეს მღვიმე დიდ სიწმიდედ იქნა მიჩნეული და მონასტრის სახელწოდებაც მისი დამაარსებლის სახელს უკავშირდება.

დროთა განმავლობაში შიომღვიმის მონასტერი ისე გაძლიერებულა, რომ მას „დიდი მღვიმის უდაბნოს," „დიდ ლავრას" ან „დიდ უდაბნოს" უწოდებენ. მონასტერს ეკუთნოდა მრავალი სოფელი. მის სწრაფ ზრდას ხელს უწყობდა ახლო-მახლო არსებული უამრავი ბუნებრივი გამოქვაბული, რაც ადვილად აკმაყოფილებდა პირველ ბინადართა მოთხოვნილებას. სხალტბის ქედის ფერდობებზე ახლაც აღირაცხება ასამდე გამოქვაბული. აღნიშნული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულები, მტრის შემოსევის ჟამს, თავშესაფარი სიმაგრის მოვალეობას ასრულებდა. თუმცა, XI საუკუნის შუა წლებში მონასტერი თურქ-სელჯუკებმა დაარბიეს.

შიომღვიმის მონასტერს ყურადღებას არ აკლებდნენ ქართველი მეფეები: ბაგრატ IV (1027 - 1072) და გიორგი II (1072 -

F 1925

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

1089), მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი პატივი, რომელიც დავით აღმაშენებელმა (1089-1125) მიაგო ამ სავანეს. დავითს აქ დიდი აღმშენებლობითი სამუშაოებიც ჩაუტარებია. ეს განსაკუთრებული ყურადღება აიხსნება შემდეგით: მეფისგან დევნილ ურჩ დიდებულ ძაგანს მონასტრისათვის უთხოვია მფარველობა, მაგრამ მოღალატე ფეოდალი ბერებს არ შეუწყნარებიათ. მათი ერთგულებით კმაყოფილ მეფეს მოუნახულებია შიომღვიმე, დიდძალი საბოძვარი შეუწირავს, იგი სამეფო საპატრონოდ გამოუცხადებია და იქ ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობა დაუწყია; ამასთან, მონასტერი გათავისუფლდა სამეფო და საეკლესიო გადასახადებისაგან, მღვდელთმოვართაგან და უწყალოდ სახელმწიფო იურისდიქციაში შევიდა. მეფე ყოველნაირად ზრუნავდა მონასტრის ცხოვრებაზე, მოუმტკიცებდა მამულებსა და ქონებას, გამგედ დაუნიშნა მწიგნობართუხუცესი; ხოლო ძმათა შინაურ საქმეებს განარიგებდა მთავარმემღვიმე, რომელსაც ბერები წილისყრით ირჩევდნენ.

შიომღვიმის მონასტერში, ისე როგორც საქართველოს სხვა დიდ მონასტრებში, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „მოძღვარს" რომელიც სწავლული ბერი იყო და სამეცნიერო საქმეს ხელმძღვანელობდა. ის დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. წინამძღვრის შემდეგ, როგორც მონასტრის მესვეური, მოძღვარი მეორე პირი იყო.

მონასტერი მატერიალურად კი ძლიერდებოდა, მაგრამ, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, იმთავითვე განიცდიდა სასმელი წყლის ნაკლებობას. ამ საკითხის მოგვარება მოხერხდა თამარ მეფის დროს, ანტონ მწიგნობართუხუცესის ინიციატივით, რომელიც ამ მონასტრის მეურვედ იყო დანიშნული. 1202 წელს სხალტბიდან გამოყვანილ იქნა წყალსადენი, რომლის მშენებლობა სამ წელიწადს გაგრძელებულა. ეს არის ურთულესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა და მოწმობს თამარის ხანის ქართული საალმშენებლო ტექნიკის მაღალ დონეს.

მონასტერი XIII საუკუნის მეორე მეოთხედის დამდეგს სვარაზმელებმა დაარბიეს, მაგრამ, ქართველ დიდებულთა დიდძალი მატერიალური დახმარების წყალობით, მალე კვლავ გაძლიერდა. XIV

საუკუნიდან შიომღვიმის მონასტერი ზევდგინიძეების გამგებლობაში გადავიდა. გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) ის უბოძა ზევდგინიძე-ამილახორს, რომელმაც, ისტორიული წყაროების დამოწმებით, სიკვდილისაგან იხსნა მეფე და მის ნაცვლად დაიჭრა მეფის წინააღმდეგ შეთქმულთაგან.

შიომღვიმის მონასტერი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა გახდა. ღირსი შიოს ბიოგრაფი გადმოგვცემს, რომ მას ძმათა თხოვნით დაუწერია „ასსამოცი თავი სწავლაჲ ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის". სამწუხაროდ ეს ასკეტურ-მისტიკური ხასიათის შრომა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. სამაგიეროდ ცნობილია ამ ღირსი მამის ორი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოები.

დავით აღმაშენებლის დროს შიომღვიმეში მოღვაწეობდა ცნობილი ისტორიკოსი არსენი - დავითის მესაიდუმლე და ახლობელი პირი, რომელმაც არა ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო შრომა დაგვიტოვა, მათ შორის დავით აღმაშენებლის ისტორია, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშიც" არის შეტანილი.

შიომღვიმეში მრავალი ნაშრომი შეიქმნა XII საუკუნეში. ეს ხანა განსაკუთრებული მონასტრის ისტორიაში. დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა, მთარგმნელმა და მეცნიერმა არსენ იყალთოელმა თავის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან შიომღვიმეში შეასრულა „დოგმატიკონის" თარგმანი ბერძნულიდან და სხვ. აქვე მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი სასულიერო პირნი და მოაზროვნენი, როგორნიც იყვნენ: ბასილ კარიჭისძე, არსენ საღირისძე, გიორგი ხუცეს-მოზიზონი, იოანე, დემეტრე და სხვანი. აქვე მოღვაწეობდა ბასილი ვაჩეს ძე, რომელმაც მონასტრის ცხოვრებიდან მრავალი საყურადღებო ისტორიული ფაქტი აღწერა.

ორიგინალურ თხზულებათა წერისა და თარგმნის გარდა, შიომღვიმეში ფართოდ იყო გაჩაღებული ხელნაწერთა გამრავლება-გადაწერა. საქართველოს მუზეუმებში მრავლად მოიპოვება აქაური კალიგრაფების მიერ იშვიათი ოსტატობით გადაწერილი და მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები. მათ შორის უნდა დავასახელ-

ლოთ 1304 წლის ეტრატის მონატული სახარება.

შიომღვიმის მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. 1804 წლის ცნობით, წიგნების რაოდენობა 10 ურემზე ძვიეს თუ დაეტეოდა. მათგან მრავალი წიგნი ეტრატისა ყოფილა.

შიომღვიმის მონასტრისადმი საერო ხელისუფალთა ზრუნვა შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა, მაგრამ მერის მრავალგზისი შემოსევებისაგან იგი თანდათან დასუსტდა და დაუძლურდა. ენერგიულად იღვწოდნენ მონასტრის საკეთილდღეოდ საქართველოს უკანასკნელი მეფენიც, მაგრამ მისი გადარჩენა მოსალოდნელი გაუკაცრიელებისაგან შეუძლებელი იყო. ერთ ხანს იგი კიდეც დაცარიელდა, ლეკთა გაძლიერებული თარეშის შედეგად. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის მონასტერი, როგორც ფეოდალური სენიორია, აღარ არსებობდა, მაგრამ როგორც სიწმიდე და საეკლესიო დაწესებულება - შემდგომაც დარჩა.

დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ა. საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო სარწმუნოებრივ- კულტურული ცენტრი - დავითგარეჯის მონასტრები მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ზე გარეჯის კლდოვან უდაბნოში. მისი დაარსება იოანე ზედაზნელის მოწაფის დავითის სახელთანაა დაკავშირებული. ამ მონასტრების აღმოცენებისა და განვითარების პირველი ეტაპის შესახებ საინტერესო ცნობები სწორედ დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ძველი წიგნების უცნობ ავტორებს შემოუნახავთ. აგიოგრაფთა ცნობით, დავითი სირიაში ადრევე დაქმოწაფა იოანეს, რომელსაც შემდეგ ქართლშიც წამოჰყოლია. როდესაც მოძღვარმა თავისი მოწაფენი სამოღვაწოდ დაგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დავითმა გარეჯას მიაშურა; „წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა“, „რამეთუ ევლტოდა იგი ამბოხთა და შფოთთა სოფლისათა“. დავითის ცხოვრების ძველი რედაქციის ავტორის ცნობით, დავითმა „აღირჩია აქა სჯაი გარეგან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას გარეჯაი“.

უდაბნოში მოსულ დავითს ახლდა ერთი მოწაფე ლუკიანე. მათ „მიმოვლეს იმიერ და ამიერ და პოვეს პარეხი რაიმე კლდისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსა ქუეშე დაივანეს". გარეჯის უდაბნოში ახალმოსახლენი ბალახეულით კმაყოფილდებოდნენ. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით. მიუხედავად ძნელი საცხოვრებელი პირობებისა, იქ მაინც მომრავლდნენ ბერები. დავითმა დაიწყო ზრუნვა მონასტრის გაზრდა-გაფართოებასა და კეთილდღეობაზე. ახალმოსულებმა, მისი გრძანებით, „აღმოკუეთეს ლაკეანი შემწყნარებელად წყალითა, ქუაბნი საყოფელად მათდა, რომელთაცა ზინა დაემკვიდრნეს სიმრავლენი მამაკაცთანი უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემტკიცებელნი". გარეჯაში სამოდვაწეოდ მოვიდა ღირსი ეზდოც, შემდგომ დავითის ერთ-ერთი გამოჩენილი მოწაფე და თანამოღვაწე. მონასტერში ტევა აღარ იყო, ამიტომ დავითმა უბრძანა დოდოს ლავრის მოპირდაპირე მხარეს რკასაკით წამოზიდული ნოის წვერზე მონასტრის დაარსება. დოდოს შეუსრულებია გრძანება და დაუარსებია მონასტერი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე. დოდოს მონასტერი ანუ დოდოსრქა პირველი მონასტერია, რომელიც დავითის ლავრას გამოეყო და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა.

დავითის ლავრას, რომელიც გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში სხვა ახლადაღმოცენებული მონასტრებიც შეემატა. გარკვეულ პერიოდში მონასტერთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია. ამ ხანიდან უნდა იყოს შემორჩენილი სახელწოდება „გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი". თანდათან შეიქმნა შორიშორს მდებარე გამოქვაბულ მონასტერთა კომპლექსი, რომელშიც შედიოდნენ: წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, უდაბნო, აღდგომის წამებული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერანგარეჯა, პირუღმარი, პატარა ქვაბები.

გარეჯის მონასტრების დამაარსებელი და იქ ბერ-მონაზვნური ცხოვრების ფუძემდებელი ჩვენი ღირსი მამა დავითი დაკრძალულია მის მიერვე დაარსებულ სავანეში.

გარეჯის კომპლექსის VII-VIII ს-თა ისტორია ჩვენთვის უცნობია. საფიქრებელია, რომ მყარ საფუძველზე დამკვიდრებული ლავრა მომდევნო ხანაშიც აღმავლობის გზას ადგა. მატიანე

დიდ როლს ანიჭებს IX საუკუნის ცნობილ საეკლესიო მამას - წმ. იოანეს ქართველს, რომელსაც ფარული აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია მონასტრის გასამშვენებლად. XII საუკუნის დასაწყისში დავით IV აღმაშენებელმა დავითგარეჯა სამეფო საკუთრებად გამოაცხადა და ყოველნაირად შეუწყო ხელი მის დაწინაურებას. 1265 წელს მონღოლთა ლაშქარმა მოარბია და მოაოხრა მონასტერი და მისი მიდამოები. XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალეს მეფობაში იგი ისევ გაძლიერდა; თუმცა, თემურლენგის მრავალგზისი ლაშქრობების დროს, სამონასტრო ცხოვრება ერთხანს მოიშალა. 1424 წელს ალექსანდრე I-მა დავითგარეჯა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს შესწირა. 1616 - 1617 წლებში სპარსთა ლაშქრობების შედეგად მონასტერი გაუქმდა. 1639 წელს თეიმურაზ I-მა აღადგინა აქ სამონასტრო ცხოვრება. XVIII საუკუნეში ის კვლავ მეფის ხელდებული გახდა. შემდგომ ყამთა სიავემ კვლავ დააუძლურა დავითგარეჯა. სპარსთა და ოსმალთა ურდოების მოძალებით დავითგარეჯა დაღმავალ გზას დაადგა, ხოლო ლეკთა თარეშმა მთლად დააქვეითა. XIX საუკუნეში არა ერთი გარეჯელი მოღვაწე გახდა მოთარეშე ბრბოების მსხვერპლი. 1851 წლის ზაფხულში ლეკებს გარეჯაში უწამებიათ მღვდელ-მონაზონნი: გერონტი და სერაპიონი; ბერები: გერმანე, ბესარიონი და სხვანი. 1867 წელს ლეკებმა ერთხელ კიდევ დალაშქრეს დავითის ლავრა, დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს იქაური ბერები, გაიტაცეს საეკლესიო ნივთები და წიგნები.

აღნიშნული გარემოების გამო, გარეჯის მრავალმთის მონასტრებში ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა, ის გაუკაცრიელდა და დაცარიელდა. ამჟამად იგი დაცულია როგორც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც ნათლად გვაცნობს ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა და მხატვართა უკვდავ ქმნილებებს, ცხადყოფს ქართული კულტურის მაღალ დონეს. აქ გამომუშავდა სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის საკუთარი წესი, შეიქმნა ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა. სხვადასხვა დროს დავითგარეჯის კულტურისა და განათლების ამ მძლავრ კერაში მოღვაწეობდნენ ონოფრე გარეჯელი (XII ს.), დემეტრე I, ონოფრე მა-

ჭუტაძე (XVIII ს.), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ გარეჯა-შვილი-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს.), გაბრიელ საგინაშვილი (XVIII ს.), გრიგოლ ლიდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვანი.

ა ლ ა ვ ე რ დ ი. ალავერდის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს თელავის ჩრდილო-დასავლეთით, ოცი ოდე კმ-ის დაშორებით, ალაზნის ველზე. იგი დააარსა წმ. იოანე ზედაზნელის ერთ-ერთმა მოწაფემ - იოსებმა. წმ. იოანეს ბიოგრაფიის ცნობით, „ნეტარისა იოანეს მოწაფეთაგანმან ალაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოელენ დიდნი საკვირველებანი". იოსებიც, როგორც იოანეს სხვა მოწაფენი, თავდაპირველად მოღვაწეობდა მცხეთაში, შემდეგ წავიდა კახეთს, მივიდა იმ ადგილს, „რომელსა ეწოდების ალავერდი" და „და დაემკვიდრა მას შინა ადგილთა უდაბნოთა, უშენთა და უვალთა კაცთაგან, და უნაყოფოთა". თავისი მოღვაწეობით იოსებმა მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, დიდებულთა დახმარებით ტაძარიც ააგო და მთელი მხარე განანათლა; „ურწმუნოება სრულიად წარდევნა და ღუთისმსახურება ესრეთ პატიოსნად ადაორძინა და ადგილი ესე განავრცელა კაცთა მიერ და ალავსო კრებულითა სულიერითა".

ღირსი მამის, იოსების მიერ დაარსებული მონასტერი მომდევნო ხანაში საკმაოდ გაძლიერდა, ხოლო XI საუკუნის დასაწყისში კვირიკე კახთა მეფემ ალავერდის წმ. გიორგის პატარა ეკლესიის ადგილას ააგო დიდი ტაძარი, რომელიც დღესაც ერთ-ერთ უდიდეს ნაგებობად ითვლებასაქართველოში. ალავერდი მრავალჯერ დაზიანებულა მომხდურთაგან და მიწისძვრებისაგან, მაგრამ ქართველ მცენ-დიდებულთა გარჯით ის კვლავ შენდებოდა და ძლიერდებოდა.

ალავერდი თავდაპირველად მამათა მონასტერი იყო. XVII-XVIII საუკუნეებში აქ დაარსდა დედათა მონასტერიც, სადაც ძირითადად სამეფო წრიდან გამოსულნი ცხოვრობდნენ.

XI საუკუნიდან ალავერდის მონასტერი საეპისკოპოსო ცენტრად ... კახეთის მიეთა საძვალედ იქცა. ვახუშტის დამოწმებით,

ალავერდის სამწყსო საკმაოდ მოზრდილი იყო. ალავერდს იყვდა „ეპ-ისკოპოზი და მწყემსი ფურდის-ხევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირველეს ყოთა ეპისკოპოზად". ალავერდის ეპ-ისკოპოსი მონასტრის მამამაც (წინამძღვრადაც) ითვლებოდა, ამი-ტომ ატარებდნენ „ამბის" ზედწოდებას. XVI საუკუნიდან ალავერ-დელმა ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტის ტიტული მიიღეს.

ალავერდი კულტურული საქმიანობის მძლავრი კერაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ ქართველი კალიგრაფები, მწიგნობარნი: ფილიპე ალავერდელი (XVI-XVII სს.), მებელდე მთ. ეპისკოპოსი (XVII ს.), ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, XVII ს.), მარიამ ბა-გრატიონი (XVIII ს.) და სხვ.

ალავერდის მონასტერში არსებობდა მოზრდილი ბიბლიოთეკა, რომლის ზოგიერთი ხელნაწერი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუ-ტში ინახება. აქ იყო დაცული ერთ-ერთი უძველესი ქართული სახა-რება (1054 წ.), რომელსაც, მისი ბოლოვების ადგილის მიხედვით, მეცნიერები „ალავერდულ ოთხთავს" უწოდებენ. ალავერდის ტაძარში ასვენია ნაწილები წმ. დიდმოწამე ქეთევანისა.

მ ა რ ტ ყ ო ფ ი. მარტყოფის მონასტერი დაარსებულია VI საუკუნეში ერთი ასურელი მამათაგანის - ანტონის მიერ, რომელ-საც განმარტოებული ცხოვრების გამო უწოდეს „მარტომყოფელი". მისი სახელისაგან წარმოსდგა სოფელ მარტყოფის სახელწოდება. ანტონი თავდაპირველად მოღვაწეობდა ქართლში, სხვა ასურელ მა-მებთან ერთად, შემდეგ კი „დაემკვიდრა კაცთაგან უვალსა და ქუეწარმავალთაგან სავსესა ადგილსა, რომელსა აწ ეწოდების მარ-ტყოფი". მამა ანტონს ძველთაგანვე მიაწერდნენ ქ. ედესიდან ხელთუქმნელი საუფლო ხატის ჩამოსვენებას და ამას ქართველი ერ-ის მიმართ განსაკუთრებულ დამსახურებად უთვლიდნენ. ავიოგრა-ფის სიტყვით: „ამანვე, ყოველად სანატრელმან წმიდა იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი ავგარობისდა წარეცა, ჟამთა ვითარებათა მიერ ნესტორიანთა ეკლესიასა შინა დაესუენ-ნეს".

ვახტანგ გორგასლის დროს დაარსებული რუსთავის სამდვდელო-

მთავრო კათედრა, მონღოლთაგან ამ ქალაქის შემუსვრის შემდეგ, მარტყოფში გადაუტანიათ, სადაც, ვახუშტის ცნობით, არის „ეკლესია ღვთაებისა, გუნბაანი, დიდშენი, გარშდუდე-გოდლოსანი, მგზავსი ციხისა, კეთილს შვენიერს აღგილს". მარტყოფში მცხოვრები მღვდელთმთავარი კვლავ რუსთველად იხსენიებოდა. სამღვდელთმთავრო კათედრის დაარსებამ მარტყოფში კიდეც უფრო გაზარდა მისი, როგორც სარწმუნოებრივ- კულტურული კერის მნიშვნელობა.

მარტყოფში გადმოტანილ რუსთავის საეპისკოპოსო კათედრალში წარმოებდა კულტურული საქმიანობაც. აქაურ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, მთ. ეპისკოპოსი იოანე ქობულაშვილი და ნინოწმიდელი მიტროპოლიტი და რუსთავის მთ. ეპისკოპოსი სტეფანე ჯორჯაძე.

ნ ე კ რ ე ს ი. აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ახლო ხანაში ქ. ნეკრესში ქრისტიანული ტაძარი აგიათ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, თრდატ მეფემ „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღაშენა განსრულებით". მაღე აქ ჩამოყალიბდა სამღვდელთმთავრო კათედრა, რომელსაც VI საუკუნის მეორე ნახევარში განაგებდა წმ. იოანე ზედაზნელის თანამოღვაწე ღირსი აბიბოსი.

სხვა ასურელ მამებთან ერთად სირიიდან ჩამოსული აბიბოსი ერთხანს მოღვაწეობდა ზედაზენზე, ხოლო შემდეგ, მცხეთის კათოლიკოს ევლავის გამორჩევითა და თვისი მოძღვრის წმ. იოანეს ლოცვა-კურთხევით, ჩაიბარა ნეკრესის კათედრა. მისი მღვდელთმთავრობა ძალზე მძიმე პერიოდს დაემთხვა. აგიოგრაფის ცნობით, იმ დროს „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა, და ბილწსა მას კერპთმსახურებასა, - ცეცხლისა მის თაყუანისცემასა და მსახურებასა, - აღასრულებდეს მარადის". სპარსელი დამპყრობლები ყოველნაირად ცდილობდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას, ქრისტიანთა შეცდენასა და გადაბირებას. აბიბოსმა მკაცრად გაილაშქრა მაზდეანთა წინააღმდეგ, „დაღეწნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნათელსცა მათ". ქრისტიანმა მღვდელთმთავარმა სპარსთა ღმერთი – ცეცხლიც შეურაცხყო: „დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა" იგი. ამ მოქმედებამ აღაშფოთა დამპყრობლები, რომელთაც შეიპყრეს აბიბოსი, „ფრიად გუემეს, კნინღა ვიდრემღა მოკლეს". შემდეგ მიჰგვარეს მარზპანს ქართლში. აბიბოსი არც მას შეუშინდა, არ დაგმო თავისი მოქმედება, რისთვისაც „ქვითა განტვინეს, მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა". მისი წმიდა ნაწილები ქრისტიანებმა დაფლეს მცხეთაში, სამთავროს ტაძარში.

მომდევნო საუკუნეებში ნეკრესის ეპარქია საკმაოდ ძლიერ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნეკრესში მოღვაწეობდნენ (XIX ს.) ცნობილი ქართველი მღვდელთმთავრები: იოანე ჯორჯაძე, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ამბროსი მიქაძე.

ი ყ ა ლ თ ო. უძველესი ქართული მონასტერი და კულტურის დიდებული კერა იყალთო მდებარეობს თელავის ჩრდილოეთით, 7–8 კმ-ის დაშორებით. აღნიშნული მონასტრის დაარსება დაკავშირებულია იოანე ზედაზნელის მოწაფისა და თანამოღვაწის ზენონის სახელთან. აგიოგრაფის ცნობით, იოანე ზედაზნელის ერთმა მოწაფემ „ქუაბი იყალთოსაჲ სამკვიდრებელად ღმრთისა მოღუაწეთა და მოწესეთათვის შეჰმზადა". ზენონთან სამოღვაწეოდ მაღე სხვებიც მისულან. იყალთოში თავიდანვე მრავალრიცხოვანი კრებული დასადგურებულა, რამაც გამოიწვია მონასტრის სწრაფი ზრდა და განვითარება.

იყალთოს მონასტრის მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა მას შემდეგ, რაც XII საუკუნის პირველ ნახევარში მასთან ჩამოყალიბდა უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია, რომლის პირველი რექტორიც იყო არსენ იყალთოელი – ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და ფილოსოფოსი. იყალთოში ქართული უმაღლესი სასწავლებლის არსებობაზე მიუთითებენ დავით რექტორი და თეიმურაზ ბაგრატიონი. იყალთოს აკადემიაში სწავლების ისეთივე სისტემა იყო შემოღებული, როგორც საერთოდ იმდროინდელ ქრისტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანულ აღმოსავლეთში, კერძოდ ბიზანტიაში.

დროთა განმავლობაში, ჩვენიქვეყნის ძნელბედობის გამო, იყალთოს მონასტერი და აკადემია დაცემულა და განადგურებულა. მის დიდებულ ნაგებობათაგან მცირედიღაა შემორჩენილი, ისიც ძლიერ დაზიანებული.

ურ ბ ნ ი ს ი. ურბნისი მდებარეობს ქარელის აღმოსავლეთით 7-8 კმ-ზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ურბნისში მაღე აუშენებიათ ქრისტიანული ეკლესია. საეკლესიო გადმოცემა ურბნისის ტაძრის აგებას მიაწერს იოანე ზედაზნელის ერთ-ერთ მოწაფეს - თათეს. ძველი ქალაქი და ქრისტიანული ეკლესია არაბთა შემოსევას უმსხვერპლია. VIII საუკუნეში ურბნისის ეპარქიას მართავდა გაქრისტიანებული არაბი ნეოფიტე, რომელიც არაქრისტიან პირებთან ბრძოლის გამო მტრებმა ქვებით ჩაქოლეს.

საუკუნეთა მანძილზე ურბნისი არაერთგზის დაურბევია მტერს, მაგრამ მამულიშვილთა შეწევნით ის კვლავ აღმდგარა და განახლებულა. 1103 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით ურბნისის ეპარქიაში მოუწვევიათ საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელითაა ცნობილი.

ურბნისში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ.

წ ი ლ კ ა ნ ი. წილკანში ქრისტიანული ეკლესია ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე წლებში აუგიათ. ის მაღე საეპისკოპოსო ტაძრად ქცეულა. 506 წლის საეკლესიო კრებას, სხვა ქართველ მღვდელთმთავრებთან ერთად, წილკნელი ეპისკოპოსიც დასწრებია.

VI საუკუნის მეორე ნახევარში წილკნის ეპარქიას განაგებდა იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე ისე, რომლის წილკნის კათედრაზე განწესება მისი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. ბგიოგრაფის ცნობით, „შეიპყრა წმიდამან მამათმთავარმან კათალიკოზმან და აკურთხა იგი ეპისკოპოსად საყდარსა ზედა წილ-

კნისასა. და დაღაცათუ იგი არა თავს იდებდა საქმესა მას და შევრდომით ითხოვდა განტევებასა". ისევ კეთილად იღვაწა წილკნის კათედრაზე, „მრავალნი შეეძინნეს სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა მოძღურებითა ამის ღირსისა მამაკაცისაჲთა. და მრავალნი ტაძარნი კერპთანი დაარღვინა და ბომონნი დაამხუნა, ხოლო ეკლესიანი აღაშენა და ყოველთა ნათელ-სცა და ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა განამტკიცნა ამიერ დამადგინებელი მუნ მღუდელთა და დიაკონთა".

ისე წილკნელის მიერ განმტკიცებული კათედრა შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში საპატიო ადგილი დაიკავა.

წილკანში კულტურული საქმიანობა ადრევე გაჩაღებულა. აქაურ მწიგნობარ-მოღვაწეთაგან ცნობილნი არიან: გასილ წილკნელი, ამბროსი მიქაძე და სხვ.

ს ა მ თ ა ვ ი ს ი. სამთავისის დიდებული ტაძარი მდებარეობს ქართლში, მდ. რეხულას მარცხენა ნაპირზე, კასპიდან 30 კილომეტრის დაშორებით. ვახუშტი სამთავისის ტაძარს VI საუკუნის შუა წლებით ათარიღებს. მისი თქმით, სამთავისის ეკლესია „ქმნულ არს იგ (13) მამათაგანისა ისიდორესაგან". თუმცა ზოგიერთი ცნობით ირკვევა, რომ VI საუკუნის დამდეგისათვის სამთავისში უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა.

სამთავისის ახლანდელი ტაძარი XI საუკუნისაა. აქაურ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კვიპრიანე სამთავნელი (XVIII ს.).

ბ ო დ ბ ე. ბოდბის წმ. ნინოს სახელობის მონასტერი მდებარეობს ქიზიყში, სიღნაღიდან სამოოდე კილომეტრის დაშორებით. მისი აგება ეკუთვნის ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფის - მირიანის ხანას (IV ს.). კახეთს გადასული წმ. ნ ი ნ ო ბოდბეს დასადგურებულა, სადაც დაუსრულებია ამქვეყნიური მოღვაწეობა და იქვე დაუკრძალავთ. მეფე მირიანს წმიდანის პატივსაცემად ბოდბეში აუგია ტაძარი. გარკვეული აღმშენებლობითი სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაოები ჩაუტარებია ბაქარ მირიანის ძესაც. IV საუკუნის მცირე ეკლესია VII–IX საუკუნეებში გავრცობილ იქნა.

ბოდბის მონასტერს დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი მეფეები. იგი მრავლჯერ იქნა შეკეთებულ- რესტავრირებული.

XVII–XVIII საუკუნეებში ბოდბის მონასტერი მნიშვნელოვან მწიგნობრულ კერას წარმოადგენდა. იქ არსებულა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და სასულიერო სასწავლებელი, სადაც ცოდნას იძენდნენ მომავალი საეკლესიო მოღვაწენი და კულტურის მუშაკნი. ამ სასწავლებელში აღზრდილა ძველი ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე იონა ხელაშვილი. ბოდბის მონასტრის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მწიგნობარნი: ზაქარია ბოდბელი (XVII ს.), ონოფრე ბოდბელი (XVIII ს.), იოანე ჯორჯაძე (XVIII ს.), დავით ბოდბელი (XVIII ს.), იოანე მაყაშვილი (1743–1837) და სხვ.

1837 წლიდან ბოდბის მონასტერი გაუქმდა და სამრევლო ეკლესიად იქცა. 1889 წელს გაიხსნა ბოდბის დედათა მონასტერი, რომელთანაც არსებობდა სამასწავლებლო სკოლა ხელსაქმისა და სამხატვრო განყოფილებებით.

XIX საუკუნის ოცდიან წლებში ბოდბის ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ და მოუხატავთ სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის თაოსნობით.

2. ტ ა ო – კ ლ ა რ ჯ ე თ ი. სამონასტრო მშენებლობა ტაო-კლარჯეთში განსაკუთრებით მძლავრად VIII საუკუნის დამლევს გაიშალა. ამ მხარეში სამონასტრო ცხოვრების მეთაური შეიქნა ჩვენი ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი (759–861).

ტაო-კლარჯეთი ძველთაგანვე დასახლებული ყოფილა ქართველური ტომებით. VI–VII საუკუნეებში აქ, როგორც მართლმადიდებლურ ქვეყანაში, თავი შეუფარებიათ სამშობლოდან გადმოსულ მართლმადიდებელ სომხებს. VIII საუკუნის პირველ ნახევარში, მურვან ყრუს შემოსევების შედეგად, ეს მხარე ერთიანად აოხრდა და გაუკაცრიელდა, დაეცა და დაცარიელდა აქ არსებული მონასტრებიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების დაუღალავმა შრომამ და ხელოვნებამ შეძლო უდაბნოდ ქცეული ამ კუთხის გაშენება-აყვავება. ტაო-კლარჯეთი მოიფინა ისეთი მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრებით, როგორიც იყო: ხანძთა, შატბერდი, იშხანი, წყაროსთავი, ტბეთი, ოშკი, ბერთა, პარხალი, ბანა და სხვ.

მამა გრიგოლი ტაო-კლარჯეთში რომ ჩავიდა, მხოლოდ ერთი მონასტერი - ოპიზა დახვდა; მურვან ყრუს შემოსევების შედეგად სხვებთან ერთად ეს მონასტერიც მიუტოვებიათ. ოპიზაში დარჩენილა ერთი პატარა ეკლესია წმ. იოანე ნათლისმცემლისა. VIII ს. 30-იან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები და მონასტრები განუახლებიათ იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ოპიზა იქცა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების ცენტრად. აქ მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სერაპიონ ზარზმელი. ოპიზა გახდა ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერაც. 913 წ. აქ გადაიწერა ე. წ. ოპიზის სახარება.

მამა გრიგოლსა და მის მოწაფეებს ოპიზაში „ძმანი მცირედნი დახვდნენ. ოპიზელმა ბერებმა ისინი კარგად მიიღეს. გრიგოლმა ამ მონასტერში გაატარა ორი წელი. შემდეგ კი იწყო ადგილის ძებნა, რადგან „სწადდა მარტო დაყუდებაჲ". მას მოეწონა ხანძთა, გამოეთხოვა ოპიზელ ბერებს, წამოიყვანა თავისი მოწაფეები და დასახლდა აქ.

ხანძთის ახალმა მობინადრეებმა ენერგიულად დაიწყეს სამონასტრო მშენებლობა. მათ ოპიზელი ბერები დახმარებიან სამშენებლო მასალითა და სამუშაო ძალით. საერო ფეოდალთა მატერიალური ხელშეწყობითა და დახმარებით, გრიგოლს ფართოდ გაუშლია ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. მან ააშენა ხუთი მონასტერი: სამი მამათა და ორი დედათა.

გრიგოლმა დაამყარა მტკიცე, სანიმუშო წესრიგი მის მიერ დაარსებულ სავანეებში. მან სხვა ქვეყნებიც მოინახულა, შეისწავლა საბერძნეთისა და იერუსალიმის მონასტრებში არსებული წესები და ყველა კეთილი ჩვენში გადმონერგა. იგი მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა თავისი ძმობის წევრებს. როგორც მისი ბიოგრაფი შენიშნავს: „მამაჲ გრიგოლ უდებთაგან არავის შეიწყნარებდა", იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეარჩევდა, ვინც იყო „გულითა უმანკო, უზაკველი და უდრტვინველად სიმდაბლით მორჩილი წადიერებად ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა“.

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ სავანეთაგან ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა შატბერდი, რომელიც აშოტ კურაპალატმა „აგარაკად ხანძთისა“ განაჩინა. შატბერდი ერთი უდიდესი იყო ჩვენი ძველი მწერლობისა. აქ გადაწერილ და ნათარგმნ ძეგლებიდან ჩვენამდე შენახულა: 973 წლის ახლო ხანებში გადაწერილი შატბერდის კრებული; ე. წ. ჰადიშის სახარება (897 წ.), ჯრუჭის სახარება (936 წ.), პარხლის სახარება (973 წ.).

IX საუკუნეშია აშენებული წყاროსთავისა და ბერთას მონასტრები. წყاროსთავი მაცხოვრის სახელზე აუშენებია დავით მიძნაძორელის მოწაფეს - ილარიონს, რომელიც შემდგომ „კათოლიკოზ იქმნა მცხეთას“. ბერთას მონასტერში მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელის მეგობარი მიქელ მიძნაძორელი. აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან დღეს ცნობილია ბერთას სახარება.

ამავე ხანებში არსებულა მონასტერი ტბა ანუ ტბეთი. აშოტ კუხმა, 918 წელს, ტბეთში დააარსა საეპისკოპოსო კათედრა. ტბეთის მწიგნობართაგან გამოირჩეოდა სტეფანე მტბევარი.

ოშკის მონასტრის აშენებას ვარაუდობენ IX-X საუკუნეებით. ის აუშენებია ადარნასე კურაპალატს (881-923). აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთადერთი ცალი უძველესი ქართული ბიბლიისა. აქვეა გადაწერილი იოანე მოსხის სამოთხე ან ლიმონარი (977 წ.).

X საუკუნეშია აშენებული პარხლის იოანე ნათლისმცემლისა და ხახულის ღვთისმშობლის მონასტრებიც. ხახულის მოღვაწეთაგან ცნობილია იოანე ხახულელი, რომელსაც მჭეცრმეტყველებისათვის ოქროპირი ეწოდა.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული კულტურის ისტორიაში. როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, „უდიდესი ნაწილი ამ საგანძურისა, რაც დღეს მოგვეპოვება IX-X საუკუნეებიდან, შექმნილია ამ მონასტრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩამოყალიბდა ტაო-ჯლარჯეთის საგანგებო ლიტერატურული სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება".

ტაო-კლარჯეთის მონასტრებისა და იქ მიმდინარე კულტურული საქმიანობის შესახებ XIII საუკუნიდან ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. თურქ-ოსმალთა მომძლავრებამ და სამხრეთ საქართველოს დედა-სამშობლოდან ჩამოშორებამ (XVI ს.) საბოლოოდ ჩაკლა და შეწყვიტა იქ საბერმონოზვნო მოღვაწეობა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

3. **დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.** IX-X საუკუნეებიდან მსხვილი სამონასტრო ცენტრები ჩნდება დასავლეთ საქართველოში, სადაც ფართოდ გაიშალა შემოქმედებითი საქმიანობა, გამოცოცხლდა და აყვავდა ლიტერატურული ცხოვრება. კულტურული საქმიანობით გამოირჩეოდნენ ისეთი ეკლესია-მონასტრები, როგორიც იყო: გელათი, ჯრუჭი, მარტვილი, წალენჯიხა, ცაიში, ხობი, მოქვი, ბედია, შემოქმედი, ცაგერი და სხვ. აღნიშნულ სავანეთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გელათი, როგორც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-საწმუნეობრივი ცენტრი და ქართული კულტურის მძლავრი კერა.

გ ე ლ ა თ ი. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, საქართველოს სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ხანაში, დაარსებულ იქნა დიდებული გელათის მონასტერი უმაღლესი სასწავლებლით - აკადემიით. გელათი მდებარეობს მდ. წყალწითელას მარცხენა მხარეს, ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, II კილომეტრის დაშორებით. მთელი მონასტერი გალავნითაა შემოზღუდული, რომლის შიგნით დგას სამი ეკლესია: ღვთისმშობლის, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დაწვრილებით აღწერს გელათის მონასტრის აშენების ამბავს. მონასტრის ასაშენებლად მეფეს საგანგებოდ შეურჩევია ლამაზი ბუნებრივი მდებარეობის ადგილი, სადაც მას ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი აუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია. ახლად დაარსებული მონასტრისათვის მასვე შეუდგენია სამონასტრო შტატი და დიდძალი საბოძვარიც შეუწირავს. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქართული მონასტრებიდან საგანგებოდ მოუწვევია სასულიერო და საერო განათლების მქონე სწავლული პირები. გელათის ამშენებელს იმთავითვე ფართო მიზნები ჰქონდა დასახული: გელათი საბერმონოზვნო სავანის გარდა, მწიგნობრულ სამეცნიერო მოღვაწეობისა და უმაღლესი განათლების კერადაც უნდა ქცეულიყო.

გელათის მშენებლობა 1106 წელს დაწყებულა. დავითს მისი დამთავრება ვეღარ მოუსწრია. თავის ანდერძში ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დაუსრულებელი დარჩა წამოწყებული მშენებლობა. მონასტრის მშენებლობა 1126 წელს დაუსრულებია და უკურთხებია დავითის შვილს - მეფე დემეტრეს. სამონასტრო მოღვაწეობა გელათში მშენებლობის დამთავრებამდე ბევრად ადრე იქნა გაჩაღებული. დღიდან დაფუძნებისა გელათს, როგორც მოქმედ მონასტერს, აღარასოდეს შეუწყვეტია არსებობა. თუ გელათი გადაურჩა უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელ შემოსევებს, ამაში დიდი როლი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეასრულა. იგი მხოლოდ ორჯერ გახდა მტრის თავდასხმის ობიექტი. სწორედ ამ დაცულობის გამო გელათი ეროვნულ სიწმიდეთა და ძვირფასეულობის გასახიზნავ ადგილად იყო მიჩნეული. გელათს უპირატეს მდგომარეობას უქმნიდა ისიც, რომ იგი მეფეთა საძვალე მონასტერს წარმოადგენდა, ამიტომ ის მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდა. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო გელათი საყოველთაოდ აღიარებული იყო დიდ მონასტრად და მას ჩვეულებრივ ასე იხსენიებდნენ: „დიდი მონასტერი", „დიდი ლავრა", „ახალი იერუსალიმი" და სხვა.

გელათმა ბრწყინვალედ გაამართლა მისი დამაარსებლის მიზანი. უკვე დავითის მეფობის ხანაში იქცა იგი ქართული კულტურის თვალსაჩინო კერად. თუ საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობის მიხედვით თანამედროვე გელათი „მეორე იერუსალიმად" მიუჩნევიათ, საერო ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების დონით მას „სხვა ათინას" ანუ „მეორე ათინას" უწოდებდნენ. მართლაც თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელათში მოღვაწე მამებმა დაგვიტოვეს, ეს შეხედულებანი გასაგები გახდება.

XII საუკუნის დამდეგს გელათში მოღვაწეობდნენ საქართველოს ეკლესიის ცნობილი მამანი და მეცნიერნი: არსენ იყალთელი და იოანე პეტრიწი. დიდი მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული გელათის მონასტერთან დაარსებულ აკადემიაში, სადაც სწავლების სისტემა ბიზანტიური უმაღლესი სკოლების ტრადიციების მიხედვით იყო შემუშავებული. აკადემიის მთელ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მოძღვართმოძღვარი. გელათის აკადემიამ იარსება XVI საუკუნემდე. უმაღლესი სასწავლებლის გაუქმების შემდეგაც არ დაუკარგავს გელათის მონასტერს ლიტერატურული ცენტრის მნიშვნელობა.

საუკუნეთა მანძილზე გელათში ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა სამონასტრო საქმიანობა, ამაზე თვით ქვეყნის საერთო მდგომარეობა ახდენდა გავლენას. XV საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების შემდეგ, გელათი იმერეთის მეფეების საკუთრებად იქცა. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური დაუძლურების შესაბამისად გელათის მონასტრის მატერიალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრებაც შესუსტდა. 1510 წელს ოსმაღთა დიდი ღაშქარი შეესია დასავლეთ საქართველოს. მოაოხრეს სოფლები და ქუთაისი, ცეცხლი წაუკიდეს დიდებულ ბაგრატის ტაძარს (XI ს.) და გელათს.

იმერეთის მეფე ბაგრატს (1510-1565) ამ აოხრების გამო დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია გელათში, რის გამოც მას გელათის „მეორედ აღმაშენებელს" უწოდებენ. მონასტრის აღდგენაში ასევე თავი გამოუჩენიათ კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძესა და გელათელ ეპისკოპოს მელქისედეკ საყვარელიძეს.

ბაგრატისავე მეფობაში ჰქონდა ადგილი ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას: 1518 წელს, ბაგრატის თხოვნით, მაღაქია კათოლიკოსმა გელათში საეპისკოპომო კათედრა დააარსა და პირველ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე დაადგინა. გელათში ახალი საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რაც მხოლოდ საეკლესიო სფეროთი არ შემოიფარგლებოდა. მას პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა და იმერეთის სამეფოს გაძ-ლიერებისათვის იყო გამიზნული.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბიჭვინთიდან (აფხაზეთი) გელათში ინაცვლებს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ-ქის რეზიდენცია, რაც გამოწვეული იყო ოსმანთა ხშირი შემოსე-ვებით აფხაზეთში. ბიჭვინთის საკათოლიკოსო ტაძრის მოძრავი ქონება გადმოტანილ იქნა გელათში, სადაც იმერეთის სამეფო კარ-მა საკათოლიკოსო ტაძრად წმ. გიორგის ეკლესია განაჩინა. აღნი-შნული ფაქტის შემდეგ გელათის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარ-და. ამიერიდან იგი იქცა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-საერ-წმუნოებრივი ცხოვრების ცენტრად.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში გელათი დაქვეითებულა, რაც გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოში ცენტრალური სამე-ფო ხელისუფლების დასუსტებით, გარეშე მტრის - ოსმალეთის ხში-რი შემოსევით და სხვ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გელათი ერთხელ კიდევგახდა მტრის მსხვერპლი. 1759 წლის 10 აგვისტოს ლეკები დასხმიან და ცეცხლი წაუკიდებიათ ტაძრისთვის.

იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1810) გელათი გა-დაკეთდა საეკლესიო შტატის დაწესებულებად, ხოლო 1822 წელს, რუსი ეგზარქოსის თეოფილაქტეს საეკლესიო რეფორმის ძალით, გე-ლათის საეპისკოპოსო [illegible]ქმდა და იმერეთის საეპისკოპოსოს შე-უერთდა.

3. საზღვარგარეთის ქართული მონასტრები. V საუკუნეში წარმოიშვა ქართული მონასტრების საქართველოს გარეთ დაარსების ტენდენცია, რასაც დიდი მნიშვნე-ლობა ჰქონდა ქართველი ერის უცხოეთთან კულტურული დაახლოებისა-თვის. ქართველებმა სამონასტრო ცენტრები გაიჩინეს აღმოსავლე-თის იმ ქვეყნებში საიდანაც მიიღეს ქრისტიანობა.

შავი მთა. უახლოესი პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლე-თისა, სადაც ქართველები ეწეოდნენ სამონასტრო ცხოვრებას, არის შავი ანუ საკვირველი მთა, ანტიოქიის მახლობლად, სირიაში. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობდა წმ. სვიმეონ მესვეტე (596), რომლის სახელი დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ისტორიასთან. ეს ის სვიმეონია, რომლის დროსაც ჩამოსულან ჩვენში სირიელი მამანი. სვიმეონთან, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვგებულობთ, გაცხოველებული მიმოსვლა ჰქონიათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში რჩებოდა საბერმონოზენო მოღვაწეობისათვის.

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია შავ მთაზე განსაკუთრებით გაძლიერდა XI საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აქ დასახლდა მრავალი ცნობილი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან. ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ შავი მთის ისეთ სავანეებში, როგორიც იყო: სვინეონ საკვირველმოქმედის ლავრა, კასტანა, კალიპოსი და სხვ. სვიმეონის ლავრაში ქართველებს საკუთარი ეკლესიაც კი ჰქონიათ, რომელსაც ისინი თორნეს უწოდებდნენ. კასტანაშე დაახლოებით 1091 წლისათვის წინამძღვრად ყოფილა ეფრემ მცირე.

აღნიშნულ მონასტრებში მოღვაწეობდნენ ცნობილი საეკლესიო მამანი: გიორგი მთაწმიდელი, მისი მოძღვარი და მოწაფე, რომელთაც აგრეთვე გიორგი ერქვათ; თეოფილე, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, საბა სულაისძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, გაბრიელ მღვდელი, სტეფანე ჭუეველი, იოანე ფარნაკელი, იოანე მთავარაისძე, კვირილე ალექსანდრიელი, არსენ კალიპოსელი და სხვები. მათი სახელები გვხვდება აქ გადაწერილ და ნათარგმნ თხზულებებში.

შავი მთის მონასტრებში ქართველებს თავიანთი განათლებითა და ფართო მასშტაბის მოღვაწეობით თავიდანვე მიუპყრიათ უცხოელთა ყურადღება. ამით უკმაყოფილო ბერძნებს დაუწყიათ ყველანაირი შევიწროება ქართველი ბერებისა. სურდათ რა მათი გამოძევება შავი მთის მონასტრებიდან, ქართველებს ბერძნებმა ცილი დასწამეს, თითქოს ისინი არ არიან ჭეშმარიტი სარწმუნოების მატარებელნი და მწვალებლებს ეკუთვნიან. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე, ამ ცილისწამებით აღშფოთებული, თავის თხზულებაში წერს: ბერძნებმა „განიზრახეს გულარძნილობით, რაჲთა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბიწი რაიმე დასწამონ. და ესრეთმცა თვით წმიდისა სვიმეონის მიერ დამკვიდრებულნი“.

განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ შავი მთის მონასტერში ქართველები პატრიარქ თეოდოსის დროს. სიძულვილითა და შურით გაბოროტებულმა ბერძნებმა ქართველებს კვლავ მწვალებლობის ბრალდება წაუყენეს. პატრიარქი საქმის გამოძიებას შეუდგა, რისთვისაც ქართველთა მხრიდან ისეთი პიროვნების გამოძახება მოითხოვა, რომელიც ბერძნული ენისა და მწერლობის მცოდნე იქნებოდა. ასეთად თვით ბერძნებმა გიორგი მთაწმიდელი დაასახელეს.

გიორგი ათონელმა ქართველთა სარწმუნოების შესახებ ისეთი საფუძვლიანი და დაწვრილებითი ახსნა-განმარტება გააკეთა, რომ მისივე ბიოგრაფის სიტყვით, „განაკვირვა მსმენელნი„. პატრიარქი დარწმუნდა ქართველთა მართლმადიდებლობაში და იმასაც კარგად მიხვდა, რომ ბერძნების მიერ ქართველთათვის წაყენებული ბრალდება აშკარა სიცრუე და ცილისწამება იყო.

გიორგი ათონელის საჯარო დისპუტის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქმა ნება დართო ქართველებს სვიმეონწმიდის მონასტერში ყამის წირვის შესრულებისა, რის უფლებაც მათ წინათ არ ჰქონდათ. გიორგი მცირე-ხუცესმონაზონი, აღფრთოვანებული ამ გამარჯვებით, წერდა: ბერძნები „რომელსა იგი რეცა სავნებლად ჩვენდა ჰგონებდეს, ესე ჩვენდა სარგებლად იქმნა“.

1057 წელს შავი მთის ბიზანტიელ ბერებსა და ქართველებს შორის ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა. ბერძნებმა ანტიოქიის პატრიარქს ჩააგონეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უკანონობა. ანტიოქელსაც ეს უნდოდა, მას ქართველებზე დაპატრონებით სურდა ხელთ ეგდო ქართული ეკლესია. პატრიარქმა ისევ გიორგი ათონელი მიიწვია, როგორც სწავლულებითა და მეცნიერებით განთქმული პირი და გამოუცხადა, თითქოს საქართველოში ქრისტეს არცერთ მოციქულს არ უქადაგია და ამიტომ არა გაქვთ ნება დამოუკიდებლობისაო; ამიტომ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს უნდა დაექვემდებაროსო.

ქართველთათვის ამ უაღრესად სახიფათო მომენტში გიორგი ათონელმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იმ დროისათვის შეურყეველი კანონიერი საბუთი მოუპოვა, რომლითაც ბერძენთა ბატონობისაგან იხსნა, რამაც თავისი მხრით განამტკიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა მდგომარეობა შავი მთის მონასტრებში.

შავი მთის ქართველი ბერები მეტად ნაყოფიერ და მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდენ. მა მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პალესტინისა და განსაკუთრებით ათონის ქართველ მოღვაწეებთან.

გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა აქ XI საუკუნეს მეორე ნახევარში, როდესაც შავი მთის ლიტერატურულ სკოლას სათავეში ჩაუდგა დიდად განსწავლული მწერალი და მეცნიერი: ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეღრემ მცირე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში.

შავი მთის ქართველთა განკარგულებაში ყოფილა პატრიარქ თეოდორეს მიერ სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში დაარსებული დიდი წიგნთსაცავი.

XIII საუკუნეში შავ მთაზე კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს, ხოლო ეკლესია-მონასტრები დაანგრიეს, ქართველები იძულებულნი გახდენ იქაურობა სამუდამოდ მიეტოვებინათ.

პ ა ლ ე ს ტ ი ნ ა. ს ი ნ ა ს მ თ ა. ქრისტიანთა მთავარი სალოცავი ადგილები იერუსალიმში, ხოლო საღვთისმეტყველო ცენტრი ბიზანტიაში იყო. ამიტომ ამ ადგილებში გამგზავრება უკვე V საუკუნეში ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს წესად. საქართველოდან წმიდა ადგილების მოსალოცად იერუსალიმში გამგზავრება იმდენად გახშირებულა და მოგზაურნიც იმდენად მრავალრიცხოვანნი ყოფილან, რომ მათთვის, როგორც ეს პეტრე მაიუმელის (V ს.) ცხოვრებაში წერია, პეტრემ „აღაშენა სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა და განუსვენებდა მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“. მასვე აუშენებია აგრეთვე მონასტერი, რომელსა „ჰქვიან ქართველთა მონასტერი“.

ქართველები მრავლად მოღვაწეობდენ პალესტინის ისეთ შესანიშნავ ლავრებში, როგორიც იყო ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსისა და საბა განწმენდილის ლავრები. აღნიშნულ მონასტრებში თავს იყრიდა ყველა ეროვნების წარმომადგენელი. VIII-X საუკუნეებში გაძლიერებულა საბას ლავრა, სადაც ქართველთ ინტენსიური ლიტერატურული საქმიანობაც გაუჩაღებიათ. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველეს ხელნაწერთა უმეტესი ნაწილი, რომლებიც დღეს სინას მთაზე ინახება, გადაწერილი და ნათარგმნია საბას ლავრაში.

პალესტინის მონასტრები, განსაკუთრებით კი საბასა და ხარიტონის ლავრა, IX-X საუკუნეებში ძალზე შეავიწროეს არაბებმა. ისინი არა ერთგზის აუოხრებიათ სარკინოზებს და აქაური მოღვაწენიც ამოუჟლეტიათ. ამიტომ ქართველები ნაწილობრივ აყრილან და საბას ლავრიდან სინას მთაზე, როგორც უფრო მყუდრო და მიუვალ ადგილზე, გადასახლებულან, სადაც გადაუტანიათ საბას ლავრიდან როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე იქ დამუშავებული და გადაწერილი წიგნების დიდი ნაწილი.

სინას მთა ქართველებმა მიატოვეს მხოლოდ XV-XVII საუკუნეებში, როცა ოსმალთა მეოხებით ისეთი პოლიტიკური სიტუაცია დამყარდა, რომ აქ მოღვაწეობა შეუძლებელი შეიქმნა.

პ ა ლ ე ს ტ ი ნ ი ს ჯ ვ ა რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი.

ზუსტი ცნობები ჯვარის მონასტრის აგების დროის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოება. ვარაუდობენ, რომ იგი აგებულ უნდა იყოს ქრისტიანობის უძველეს ხანაში, IV-V საუკუნეებში. არაბთა განუწყვეტელმა შემოსევებმა ჯვარის მონასტერი თანდათან გააუკაცრიელა და ნანგრევებად აქცია, ხოლო XI საუკუნის დასაწყისში ეგვიპტელმა მამელუკებმა მიწასთან გაასწორეს მონასტრის ნანგრევებიც კი.

XI საუკუნის პირველ ნახევარში არაბებმა თავიანთი პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი რამდენადმე შეცვალეს, ასე რომაქ შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრება. ამან განაპირობა ჯვარის მონასტრის კვლავ გაშენება. იგი ექვთიმე ათონელის ბრძანებით აუშენებია პროხორე ქართველს, რომელიც წარმოშობით შავშეთიდან ყოფილა. მონასტრის აშენებაში პროხორესთვის მატერიალური დახმარება გაუწევიათ საქართველოს მეფე ბაგრატ IV და დედამისს მარიამს. მაღე ჯვრის მონასტერში მრავალმხრივი კულტურული საქმიანობა დაუწყიათ,- განსაკუთრებით კი თხზულებათა გადაწერა-გამრავლება.

ქრისტიანული სამყაროს ცენტრში - იერუსალიმში მნიშვნელოვანი საბერმონოზვნო ცენტრისა და კულტურული კერის დაარ-

სება უთუოდ დიდი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ჯვარის მონასტერი საუკუნეთა მანძილზე პალესტინის ქართველთა საიმედო თავშესაფარსა და დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მესვეურნი საგანგებოდ ზრუნავდენ მის კეთილდღეობაზე.

იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა მდგომარეობა გაუარესდა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მონღოლთა შემოსევებმა შეარყია ქართული სახელმწიფოს ძლიერება და ამიტომ მას აღარ შეეძლო წინანდებურად დაეცვა იერუსალიმის წმიდა ადგილები. მონასტერი თანდათან დასუსტდა და ჩავარდა ვალებში, რის შედეგადაც მას XVII-XVIII საუკუნეებში მთლიანად დაეპატრონენ ბერძნები.

პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი. პეტრიწონის მონასტერი 1083 წელს აუშენებია ტაოელ ქართველს, ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილ პიროვნებას, გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეს გრიგოლ ბაკურიანისძეს. ეს მონასტერი მდებარეობს ბულგარეთში, როდოპის მთებში, ქალაქ პლოვდივის მახლობლად, სოფელ პეტრიწონში, რომელიც დღეს ბაჩკოვოს სახელითაა ცნობილი. ვინაიდან სოფელს პეტრიწო ერქვა, მონასტერმაც პეტრიწონის სახელწოდება მიიღო. მონასტერი შედგება სამი ეკლესიისა და საცხოვრებელი სენაკებისაგან. მთავარი ტაძარი მონასტრისა აშენებულია ღვთისმშობლის, ხოლო ორი პატარა - იოანე ნათლისმცემლისა და მთავარმოწამე გიორგის სახელზე.

1084 წელს გრიგოლს მონასტრისათვის შეუდგენია კტიტორული ტიპიკონი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი; გრიგოლი უკრძალავდა ბერძნებს მონასტერში დამკვიდრებას - ბერძენი შიგ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი, სახელდობრ მწერალი, რომელსაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის. ღვთისმსახურება ტაძარში უნდა წარმოებულიყო მხოლოდ ქარვულ ენაზე, მონასტრის ბერებადაც მხოლოდ ქართული ენისა და წერა-კითხვის მცოდნეთ ღებულობდენ.

მონასტერთან არსებობდა სასულიერო სემინარია. მისი პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გამგე-მასწავლებელი იყო ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე, რომელმაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით მიიღო სახელწოდება - პეტრიწი.

პეტრიწონის მონასტერი გადაიქცა ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმთავრეს კერად. მან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ქართული და ბიზანტიური კულტურების ურთიერთდაახლოებას.

პეტრიწონის სავანე ქართველთა ხელში იყო XV საუკუნემდე.

ათონის ივერიის მონასტერი. ქართველთა უმნიშვნელოვანესი საბერმონაზვნო და კულტურული საზღვარგარეთული კერა ათონის ივერიის მონასტერი დაარსებულია X საუკუნის მეორე ნახევარში ტაოელი დიდებულის იოანეს (ერისკაცობაში ვარაზვაჩე) მიერ. იგი ათონზე დამკვიდრდა 965 წელს ათანასე დიდის ლავრაში, რომელიც დედით ლაზი იყო და იოანე პატივითა და სიყვარულით მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ აქ სამოღვაწეოდ მოვიდა ცნობილი თორნიკე ერისთავი და აღიკვეცა ბერად იოანეს სახელით. მას მოყვნენ სხვებიც. მალე აქ ქართველთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ შეუძლებელი შეიქნა მათი ათანასეს ლავრაში მოთავსება. ამიტომ, წმ. ათანასეს რჩევითა და ლოცვა-კურთხევით, მათ ლავრის მახლობლად ააშენეს იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები ქართველ ძმათათვის. ასე დაარსდა ათონის ივერთა მონასტერი 980-983 წლებში.

იოანე-თორნიკეს დროებით მოუხდა მონოზვნური ცხოვრების დატოვება, რადგან ბერძნებმა მას ბუამავლობა დააკისრეს ქართველთა მეფის დავით კურაპალატის წინაშე. იმპერატორი ბასილი თხოვდა ქართველთა მეფეს ჯარს აღმოსავლეთ საბერძნეთისა და მცირე აზიის მმართველის, აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. დავითმა იმპერატორს თხოვნა შეუსრულა და საბერძნეთში გაგზავნა 12000 მეომარი, რომელთაც ხალხის თხოვნით უსარდლა იოანე-თორნიკე. ქართველთა ჯარმა სძლია ბარდას და ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი. ნაწილი ამ სიმდიდრისა, ათონზე მობრუნებისას, იოანე-თორნიკემ შესწირა ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს, ხოლო ნაწილი მისცა იოანს და ააშენეს ქართველებისათვის ცალკე მონასტერი, „რომლისა ჰაეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებაჲ და შუენიერებაჲ უაღრეს ქებისა აღმატებულ“ იყო.

დამაარსებლებმა განიზრახეს მონასტერში მარტო ქართველები ყოფილიყვნენ და ბერძნები არ შეეშვათ, მაგრამ დაბალი სამსახურისათვის ქართველები ვერ იშოვეს და ბერძნები მოიწვიეს. რაც დრო გადიოდა, მონასტერში ბერძენთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ქართული მონასტრის შშვენიერებამ და სიმდიდრემ მათ ხარბ გულში აღძრა სურვილი ქართველთა გაძევებისა და მათი ტაძრების ხელში ჩაგდებისა. ამ მიზნით ბერძნებმა შეტევა მონასტერზე ჯერ კიდევ 1019-1029 წლებში დაიწყეს, როდესაც მონასტრის წინამძღვარი იყო გიორგი ვარბზვაჩე, რომელსაც ბერძნებმა ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ არგვირას მიმართ განდგომილება და ღალატი დასწამეს. ამ დაბეზღების შედეგად გიორგი გადასახლებული იქნა მონოვატის კუნძულზე, სადაც კიდეც აღესრულა 1029 წელს. ამ მომენტით ისარგებლეს ბერძნებმა. მონასტერი სამჯერ გაძარცვეს და დაარბიეს. მათ ისიც კი სცოდეს, რომ მთლიანად წაეშალათ მონასტრის მაშენებელთა სახელი. ყოველივე ამან „დიდსა ურვასა შინა“ ჩააყენა ათონელი ბერები, რომლებსაც ისეთი აუტანელი ვითარება შეექმნათ, უფალს რომ არ მოეხედაო, - ამბობს გიორგი მთაწმიდელი, - დღეს არც ერთი ქართველი არ იქნებოდა „ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათვის აღშენებულ იყო და აღმართებულ“.

ქართველები იძულებულნი შეიქნენ არაერთხელ მიემართათ თხოვნით საბერძნეთის იმპერატორებისათვის, მოციქულებს გზავნიდნენ საქართველოშიც და საქნეში რევდნენ ქართველ მეფეებს, რომელნიც დიპლომატიურ შუამავლობას აღძრავდნენ ხოლმე. მართალია, იმუამად მონასტერი გადაარჩინეს, მაგრამ მისი მობინადრენი გრძნობდნენ, რომ ბერძნები მათ მოსვენებას არ მისცემდნენ. ამიტომ სვიმეონ წინამძღვრის (1041-1042 წწ.) დროს მათ დაწერეს მოსახსენებელი, რომელშიც აღნიშნეს ისტორია მონასტრის აშენებისა, დაასაბუთეს ქართველთა უცილობელი უფლებანი ამ მონასტერზე და წყევა შეუთვალეს იმათ, ვინც ხელს შე-

უწყობდა მონასტერში ბერძენთა გამრავლებას. ვერც ამ მოსახსენებელმა უშველა საქმეს: ბერძენთა რიცხვი მაინც მატულობდა. XIII საუკუნის გასულიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დასუსტდა, ქართველობამ აქ შესამჩნევად იკლო. ასე რომ XIV საუკუნეში კონსტანტინეპოლის პატრიარქის კალისტეს დადგენილებით მონასტერში წინამძღვრად და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს უკვე აღარ ნიშნავდნენ, თუმცა მონასტრის პატრონად მაინც ისინი ითვლებოდნენ. XIX საუკუნეში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა და საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალობა გაუქმდა, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ათონის მონასტრიდან ქართველები. ამავე საუკუნის 60-იან წლებში ქართველთ ნება მისცეს დამკვიდრებულიყვნენ მონასტრის მახლობლად მდებარე ოიანე მახარებლის სკიტში, ბოლოს იქიდანაც გამოაძევეს ისინი და საბოლოოდ დაეპატრონენ ჩვენი წინაპრების ნაჭირნახულევს.

ასეთია მოკლედ ისტორია ამშესანიშნავი სავანისა, რომელიც არა მარტო ბიზანტიაში მყოფ ქართველთა მთავარი სამონასტრო კერა იყო, არამედ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. ათონის ივერთა მონასტერში აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში უდგნენ ექვთიმე მთაწმიდელი და მისი საქმის გრწყინვალე განმგრძობი გიორგი მთაწმიდელი. მათი ხელმძღვანელობით აქ ფართო შემოქმედებითი საქმიანობა გაჩაღდა: დაიწერა ორიგინალური თხზულებანი, ქართულად ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები, გამრავლდა ხელნაწერები. მონასტერმა დიდად შეუწყო ხელი ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას.

დამუშავებულია დეკანოზ ანტონ
შოშვილის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ეკლესია-მონასტრები საზღვარგარეთ

და მასში მოღვაწე მამები*

I. ახლო აღმოსავლეთი

ქართველი ხალხის ურთიერთობას ახლო აღმოსავლეთთან საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. მათი კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი საუკუნეთა სანძილზე გრძელდებოდა. ამის შესახებ ცნობები დაცულია როგორც ძველ ქართულ წყაროებში (საისტორიო ნაწარმოებებში, აგიოგრაფიულ თხზულებებში, აღაპებსა, სულთა მატიანეებსა, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და სიგელ-გუჯრებში), ისე არაქართველი ავტორების ნაშრომებშიც (დანიელ წინამძღვარი, იგნატი სმოლენსკელი, ვ. პოზნიაკოვი, ვ. გაგარა, იოანე რუფუსი, ანტონინე მარტვირი, იბნ შადადი, კირაკოს განძაკეცი, ალ-უმარი, ალ-მარკიზი, ლ. ჩუდი, ნ. რაძივილი და სხვ.). ქართველთა ლტოლვა ახლო აღმოსავლეთისაკენ განაპირობა ქართული ეკლესიის აღმოსავლურმა, იერუსალიმურმა წარმომავლობამ.

V ს. ჩვენი წინაპრების სამონასტრო კოლონიზაცია ჩანს პალესტინაში. აქ იერუსალიმის ახლოს თეოდოსიმ (423-529) დააარსა ლავრა, რომელიც მაღე იქცა პალესტინის ერთ-ერთ საყურადღებო სავანედ. აქ სხვა ეროვნების მოღვაწეებთან ერთად იყვნენ ქართველებიც, რომელთაც იქ ერთი საკუთარი ეკლესიაც ჰქონიათ. 530 წ.

---

* წერილში განხილულია უკანასკნელ წლებში გამოცემულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებანი. (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1980; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-IV ტ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერილ „თეოდოსის ცხოვრებაში“ დაცული ცნობის მიხედვით, ქართველები თეოდოსის ლავრაში მშობლიურ ენაზე ეწეოდნენ ღვთისმსახურებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე ქართველის (411-491) მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა. იგი ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის (ბუზმარიოსი) შვილი იყო. მისი ერისკაცობის სახელი ყოფილა მურვანი (მურვანოსი), უცხო წყაროებით - ნაბარნუგიოსი. იგი 12 წლისა მძევლად გაუგზავნიათ კონსტანტინოპოლში თეოდოსი მცირის (408-450) კარზე, სადაც მან დიდი განათლება მიიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ თავის აღმზრდელთან - იოანე (მიტრიდატე) ლაზთან ერთად პალესტინაში გაიქცა, ბერად შედგა და მალე ქ. მაიუმის ეპისკოპოსობა მიიღო.

წყაროების მიხედვით, V ს. პირველ ნახევარში პეტრეს აუგია მონასტრები იერუსალიმში. იორდანიის პირას, უდაბნოში, იერუსალიმის სამხრეთით მდებარეობს ბეთლემი, რომელსაც „ჰურიასტანის ბეთლემს“ უწოდებენ. მის მახლობლად ბირ ელ-ყუთის მიდამოებში იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები. მან მიაკვლია ეკლესიას, რომლის სამხრეთით მდებარეობდა ეკვტერი. მისი იატაკი შესრულებული ყოფილა მოზაიკით. იქვე აღმოჩნდა ქართული წარწერები, რომელთა დახმარებით დადგინდა, რომ ეს ქართული სავანე აგებული ყოფილა თეოდორე ტირონის (IV ს. მოღვაწე) სახელზე. მასში ხსენებულია პეტრე და მისი წინაპრები ბაკური და ბუზმარიოსი. ეს სავანე მეცნიერებს მიაჩნიათ V ს. პირველ ნახევარში პეტრეს მიერ დაარსებულად, ხოლო ტაძრის მოზაიკური წარწერით შემკობა მამა ანტონს (532-552) ეკუთვნის.

ამრიგად, პეტრე არის ერთ-ერთი პირველი ქართველი პიდიგრიმი (მწირი) პალესტინაში. მის მიერ დაარსებული სავანე არის საფუძველი ქართული კოლონიისა, რომელიც იზრდებოდა საქართველოდან ჩასული პირებით.

იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ს ა ბ ა წ მ ი დ ი ს ლავრა. სახელწოდება დამაარსებლის - საბა განწმედილის - პატივსაცემად მიიღო. დაარსებულია 483-484 წ. საბას ანდერძში დაცული ცნობის მიხედვით, საბაწმიდაში ქარ ელებს ჰქონიათ თავიანთი ეკლესია. სხვა წყაროებშიც იხსენიება „ქუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ქართველთა". ყოველივე ამის მიუხედავად, საბას ლავრა ქართული სავანე არ იყო. ის იყო დიდი მონასტერი, რომელშიაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის იყვნენ ქართველებიც. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლები მოწმობენ, რომ საბაწმიდა არის ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის უძველესი კერა უცხოეთში. VIII-IX სს. საბაწმიდაში გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა, დაგმობილ იქნა ძველი ხანმეტური ფორმები, შემუშავდა ბიბლიური წიგნების საბაწმიდური რედაქცია. განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია. საბაწმიდაში მოღვაწეობდა მრავალი ქართველი მწიგნობარი. VIII ს. პირველ ნახევარში ერთ-ერთმა უცნობმა ქართველმა მოღვაწემ ბერძნულიდან თარგმნა „საბა განწმედილის ცხოვრების" კიმენური რედაქცია. IX ს. II ნახევრის მოღვაწე სეითმა თარგმნა აგიოგრაფიული ძეგლების „წამება-ცხოვრების" კიმენური ტექსტები.

საბას ლავრაში დამზადებულ ხელნაწერთა შორის უდიდესი მნიშვნელობისაა 864 წ. მრავალთავი (Sin.№ 32, 33, 57). იგი უძველესია ქართულ თარიღიან ხელნაწერთა შორის. მის დამზადებაში მონაწილეობა მიუღია: მაკარი ღეთეთელს, პიმენ კახს, ამონას და სხვ. ხელნაწერი ნაკლული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. მასში წარმოდგენილია 18 ავტორის 50 თხზულება. ვარაუდობენ, რომ ეს თხზულებანი საბას ლავრაში ითარგმნა VII-VIII სს. ხელნაწერი გადაწერისთანავე მაკარი ღეთეთელმა შესწირა სინას მთაზე მოღვაწე ქართულ კოლონიას. იგი ახლაც იქაა დაცული და ცნობილია „სინური მრავალთავის" სახელწოდებით.

მაკარი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, ქართლიდან იყო, სოფ. ღეთეთიდან. იგი პალესტინაში ყოფნის დროსაც არ სწყვეტს ურთიერთობას თავის მოძღვართან.

VIII-IX საუკუნეების საბაწმიდის ერთ-ერთი მოღვაწეა ჰიმნოგრაფი ბასილი. მას შეუქმნია საბა განწმედილის საგალობელნი „ძუელნი ქართულნი". ეს ნაშრომი ქართული ჰიმნოგრაფიის მაღალი დონის დამადასტურებელია.

ასევე IX ს. ჭილ-ეტრატის იადგარი, რომელიც პ. უსპენსკიმ წამოიღო საბაწმიდიდან, დამზადებული უნდა იყვეს იქვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაწმიდაში. ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში H - 2123.

IX-X სს. საბაწმიდაში დახელოვნებული კალიგრაფის გიორგი ბიდელის მიერაა გადაწერილი ეფრემ ასურის „სწავლანი" (Sin - 97). ამავე პერიოდში მოღვაწეობდა იქ ქართველი მწიგნობარი არსენი, რომელსაც 907 წ. დაუმზადებია ჩვენთვის უცნობი ხელნაწერი, რომლის ფრაგმენტი ნ. მარმა სხვა ხელნაწერში იპოვნა.

დიდი მუშაობა ჩაატარა საბაწმიდაში X ს. მოღვაწემ იოანეზოსიმემ. მან შეადგინა ორიგინალური თუ ნახევრადორიგინალური კალენდარულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებშიც ნათლად შეინიშნება ეროვნული ტენდენციები. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „მცირე იადგარი", „იადგარი საწელიწდო" (Sin.I), „ქება და დიდებაჲ ქართულისა ენისა", „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ" (Sin. 38, Sin 6) და სხვ.

X ს. საბაწმიდაში მოღვაწეობდნენ სხვა მწიგნობრებიც: ამბაკომ თორმანეულელი (გადაწერა „ჟამისწირვა" და სახარება-სამოციქულოს საკითხავები - Sin 53); სვიმონ მგალობელი (თეოდორე პალავრელის დავალებით დაამზადა „საგალობელთა კრებული" - Sin. 40).

XI ს. პირველ ნახევარში საბაწმიდაში მოღვაწეობდა მიქაელ ჩიხუარელი. მან, გიორგი-პროხორეს დავალებით და მიქაელ დვალის დახმარებით, 1038 წ. გადაწერა იოანე ოქროპირის „იოანეს თავის თარგმანება". ხელნაწერი გიორგი-პროხორემ შესწირა ჯვრის მონასტერს, საიდანაც 1820 წ. გ. ავალიშვილმა წამოიღო. ამჟამად ინახება სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთ მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში - 14-13.

1052 წ. საბას ლავრაში იოანე მღვდელმა დიმიტრისთან ერთად გადაწერა „წიგნი საგალობელი წმიდათა მარხვათა", რომელშიც იოანე მინჩხის საგალობლებიცაა შეტანილი.

ამდენად, ქართველთა მოღვაწეობა საბას ლავრაში XI ს-მდე გრძელდებოდა. შემდეგ კი, არაბთა მოძალებისა და მონასტრის ხშირი დარბევის გამო იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და ქართველი მოღვაწეები სხვა სავანეებში გადავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალესტინაში იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს პალავრა. მას უწოდებენ აგრეთვე ხარიტონის დავრას ან ხარიტონწმიდას; როდის მოვიდნენ პირველად აქ ქართველები უცნობია. ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ჩანს, რომ პალავრა X-XI საუკუნეებში ქართველ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერა ყოფილა. ამ პერიოდში პალავრაში მოღვაწეობდენ: იოანე საფარელი, სტეფანე, თეოდორე და პავლე პალავრელები, გრიგოლ ხარიტონწმიდელი და სხვ. პალავრაში გადაწერილი ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების ცნობების მიხედვით ის X-XI სს. ქართულ დიდ მწიგნობრულ კერად ჩანს.

ს ი ნ ა. პირველი ქრისტიანები სინას მთაზე მესამე საუკუნეში მოვიდნენ. მათ ალექსანდრიიდან მიიტანეს წმ. ეკატერინეს ნაწილები და დაასვენეს იმ მთაზე, რომელსაც ეკატერინეს მთას უწოდებენ. იქ ჯერ პატარა ტაძარი იყო აგებული, შემდეგ იუსტინიანემ 522-557 ააგო ააგო მოზრდილი ტაძარი. მანვე დაარსა აქ საეპისკოპოსო. სინას ეპისკოპოსი იმავე დროს წინამძღვარიც იყო. იგი არასოდეს არცერთ პატრიარქს არ ემორჩილებოდა.

სინას მთის მწიგნობართა ჩანაწერებში დაცული ცნობების მიხედვით VI-VII სს. სინას მთის ახლოს, არსელაიში ცხოვრობდა და ასკეტურ მოღვაწეობას ეწეოდა ბერი მიქაელი თავის მოწაფე ევსტათისთან ერთად.

X ს. ქართველებს სინას მთის მონასტერში საკუთარი ეკლესიებიც ჰქონიათ. ერთ-ერთი ქართული მონასტრის აშენება დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დავითმა „მთასა სინასა .... აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალ ათასეული, წიგნები...“ და სხვა მრავალი. სინას მთის ქართულ კოლონიას საუკუნეთა მანძილზე ეხმარებოდნენ საქართველოს მეფეები და ცალკეული პირები. მონასტრის სულთა მატიანეში დასახელებულია ის პირები, რომლებმაც თავიანთი დახმარება-შეწირულებით და საქმიანობით მოხსენიება დაიმსახურეს. ასეთებია: დავით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი, ათაბაგები, დადიანები, გურიელები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციციშვილები, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, გერასიმე საფარელი და სხ. მრავალნი.

XV საუკუნიდან სინას მთაზე ქართველი მოღვაწეები აღარ ჩანან. მაჰმადიანთა მომძლავრებისა და და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური დაუძლურების შედეგად სამშობლოდან დახმარებამ იკლო და ქართული კოლონია დასუსტდა. ამ პერიოდში აქ მხოლოდ თითო-ოროლა ქართველი მოღვაწე ჩანს. XVI საუკუნის დამდეგს მზეჭაბუკ ათაბაგმა სინას მთაზე წარგზავნა თავისი ძმის ქაიხოსროს აღზრდილი ამბროსი „მრავლითა საქონლითა". 1747 წელს სინას მთაზე იყო მროველი მღვდელმთავარი ქრისტეფორე თუმანიშვილი, XVIII ს. 80-იან წლებში კი იონა გედევანიშვილი და ერეკლე II კარის ხუცესი ქრისტეფორე კეკუერაშვილი.

სინას მთის ქართული კოლონიის უადრესად მნიშვნელოვანი აღწერეს და შეისწავლეს პ. უსპენსკიმ, ა. ცაგარელმა, ნ. მარმა, ი. ჯავახიშვილმა, რ. ბლეიკმა და ე. გარიტმა.

*

* *

ჯვრის მონასტერი პალესტინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ძეგლია. მდებარეობს იერუსალიმში. ტრადიციით მირიან მეფის დროიდან არსებობს. ამჟამად არსებული მონასტრის აღმშენებელია გიორგი-პროხორე. მან მშენებლობა დაიწყო XI საუკუნის 30-იან წლებში და დაამთავრა 50- 60-იან წლებში. მონასტრის პირველ წინამძღვრად მოიხსენება თვითონ გ ი ო რ გ ი-პ რ ო ხ ო რ ე. ისტორიული წყაროებით, ამ სავანეში თავი მოიყარა მოწესეთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა. გაიშალა მრავალმხრივი შემოქმედებითი მუშაობა, რომლის ინიციატორი პროხორე იყო. ამ პერიოდის მოღვაწე მწიგნობრებიდან აღსანიშნავია: იოანე დვალი, მიქაელ დვალი, შავი იოანე და სხვები. მნიშვნელოვანია 1055 წელს იოანე დვალის მიერ გადაწერილი კრებული, რომელშიაც შესულია გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და სხვათა თხზულებები. პროხორეს თაოსნობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი იოანეს მიერ შეიქმნა „პალესტინის პატერიკის“ ქართული ნუსხა, რომელიც ლონდონშია დაცული.

1061 წელს გაბრიელ საყვარელიძის მიერ, გ ი ო რ გ ი ს მ ა მ ო ბ ი ს დროსაა გადაწერილი „პარაკლიტონი“ (Sin.-17), 1062 წელს „ოთხთავი“ (Sin.-16). 1066-1070 წწ. ჯვრის მონასტერშია შექმნილი უცნობი ავტორის მიერ სვინაქსარული „წამება-ცხოვრების“ ტექსტი. იგი უპირველესი და უსრულესი წყაროა ჯვრის მონასტრის განმანათლებლისა და აღმაშენებელის - პროხორეს ბიოგრაფიისა და პალესტინის ქართული კოლონიის შესასწავლად.

პროხორეს ეომდევნო ხანაში ახლო აღმოსავლეთში მომძლავრდნენ თურქ-სელჯუკები, რომლებმაც დაიმორჩილეს ტერიტორია შუა აზიიდან პალესტინამდე. მათ ეგვიპტის სახალიფოს წაართვეს სირია-პალესტინა. 1071 წელს აიღეს იერუსალიმი; 1084 წელს-ანტიოქია; 1087 წელს ედესა. ამ მდგომარეობაში გაძნელდა ქრისტიანულ სავანეთა არსებობა. ამ დროს აღმოსავლეთში დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობა, რომლებმაც 1098 წელს მაჰმადიანთაგან გაათავისუფლეს ედესა, ხოლო 1099 წელს იერუსალიმი. მალე გაჩნდა იერუსალიმის სამეფო, რომელიც მოიცავდა პალესტინასა და სირიის ნაწილს. იქვე შეიქმნა სასულიერო-რაინდული ხასიათის ორდენები: ტამპლიერების, იოანიტების, ტევტონური და ა.შ. ისინი დაეუფლენ იერუსალიმისა და მისი მიდამოების ეკლესია-მონასტრებს. ძველ მესაკუთრეთა განმგებლობაში რამდენიმე სავანე დარჩა-მათ შორის ჯვრის მონასტერი. საქართველოდან მიღებული შეწირულებებით აღდგა და განახლდა სავანე. მომრავლდნენ ქართველი მოღვაწეები: ხელნაწერთა დამამზადებელნი, კალიგრაფები, და ა.შ. გადმოცემის მიხედვით, ამ დროს ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწერალი და კალიგრაფი არსენ იყალთოელი.

კალიგრაფებიდან აღსანიშნავია მიქაელ გურგენისძე (გვირგენის ძე), რომელმაც 1141-1156 წლებში გადაწერა „სწავლათა“ კრებული („სტოდიერი“). იგი დაცულია აკად. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-1347). ასევე საინტერესოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი დიდის მიერ დამზადებული გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსარი“, რომელზედაც მიწერილია ჯვაროსნების-ტრამპლიერების (ტაძრის წარჩინებული რაინდების) ორდენის მეომართა აღაპები (ეტყობა მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვრის საყდრის გინადარ ქართველებს ეხმარებოდენ ხსენებული ორდენის მებრძოლები. აღბათ, ამ დახმარებისათვის მადლიერების ნიშნად დაიმსახურეს მათ ეს სააღაპე მოსახსენებლები). ხელნაწერი ამუამად დაცულია აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში H-1661 ნომრით.

ჯვაროსანთა ბატონობა იერუსალიმში დიდხანს არ გაგრძელებულა. XII საუკუნეში სალადინმა (1171-1193) დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და 1187 წელს აიღო იერუსალიმი. ჯვარი მაჰმადიანურ გარემოცვაში მოექცა. ქართველი მოღვაწენი ჯვრის მონასტერს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდენ.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველომ მოიპოვა უფლება აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანთა მფარველობაზე. მაჰმადიანურ ქვეყნებში მოგზაურ ქართველებს ფართო პრივილეგიები მიენიჭათ. ეს მართებულად შენიშნა რ. ეანენმა. ამ პერიოდში მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი ერთვნული დროშებით შესვლისა. ქართველ მლოცველებს არაბი მოხელე აღეპოში ხვდებოდა და იერუსალიმში მიჰყვებოდა განსაცდელისაგან დაცვის მიზნით.

1178-1184 წლებში იერუსალიმში იმყოფებოდა ნიკოლოზ გულაბერისძე (საქართველოს კათოლიკოსი 1150-1178 წწ.), რომელმაც ჯვრის მონასტერს „ვენახი დაუხსნა“. მკვლევართა ვარაუდით იგი აქ შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა.

თამარის ზეობის წლებში ჯვრის სავანეს დაეხმარა დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, რომელსაც მონასტერი განუახლებია და მოუხატვინებია. ამ დამსახურებისათვის მონასტერს მისთვის აღაპი დაუწესებია და მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მისი პორტრეტი დაუხატვინებიათ. ეს მომხდარა XII-XIII ს. მიჯნაზე. პორტრეტი განახლებული უნდა იყოს, როგორც ჩანს, არა უადრეს XVI საუკუნისა.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიაში განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე და აუტანელი პირობები შეიქმნა XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, კერძოდ 1273 წელს, როდესაც შეიხმა ხიდარმა სულთან ელ-მელიქ ბაიბარსისაგან (1260-1277) მიიღო ჯვრის მონასტერი. ამ პერიოდის შესახებ საინტერესო მასალას იძლევა ერთი აგიოგრაფიული თხზულება („მარტვილობაჲ წმიდისა მამისა ჩვენისა ლუკაჲსი". ეს ლუკა მუხაისძე იყო „ნათესავით ქართველი". მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დედამისმა დატოვა შვილები და იერუსალიმს დაემკვიდრა ქალთა მონასტერში. 20 წლის ლუკა იერუსალიმში გაემგზავრა და ბერად შედგა. მაღე სახელი გაითქვა და იგი ჯვრის მონასტრის „მამად დააყენეს". 3 წლის განმავლობაში ემსახურებოდა მონასტერს. მის დროს ჩაიგდო ხელთ შეიხ ხიდარმა მონასტერი და „ქართველთა არარა შეარჩინა და ეგეთნი შიშველნი გამოასხნა" ლუკა იძულებული გახდა ხიდართან მისულიყო თხოვნით. ხიდარმა მას „დიდი პატივის" სამაგიეროდ ქრისტიანობის დაგმობა მოსთხოვა. ლუკამ უარი განაცხადა, რის გამოც იგი სიკვდილით დასაჯეს. ლუკას ამ თავდადების უკვდავსაყოფად შეითხზა მისი „წამების" სვინაქსარული რედაქცია და დაწესდა ხსენება.

აღაპებში და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში დაცული ცნობებით, გაჭირვებაში ჩავარდნილი ჯვარელი ქართველები თანამემამულეებს არ მიუტოვებიათ. ისინი აგზავნიენ შესაწირავებს, ზრუნავდენ მონასტრის მამულების დახსნასა და შეძენაზე. ასეთები იყვნენ: დიმიტრი თავდადებული (1271-1289), გრიგოლ ფანასკერტელი, სარგის ჯაყელი, ძაგან აბულეთისძე. განსაკუთრებითაა აღნიშნული დახმარება მეფე ვახტანგ III-ისა (1298-1308), რომელსაც მათთვის ათასი თეთრი შეუწირავს.

1305 წლისათვის ჯვრის მონასტერი მაჰმადიანთაგან დაუხსნია ქართველთა მეფე დავით VIII-ს. აღუდგენია და განუახლებია იგი. ამის გამო მას ჯვრის „მეორედ აღმშენებლად" იხსენიებენ. ჯვრისადმი დახმარებას არ იშურებდნენ ქართველთა მეფეები გიორგი ბრწყინვალე (1314-1346), დავით IX (1346-1360) და ბაგრატ V (1360-1390), გიორგი დადიანი და სხვ.

1400 წლისათვის მონასტერი მტერს აუოხრებია. ამ პერი-

ოდში მისულა იქ მაწყვერელი ბაბდელმთავარი პ ი მ ე ნ ი, რომელიც შემდეგ ჯ ვ რ ი ს მ ა მ ა დ იხსენიება XV საუკუნის 10-იან წლებამდე.

XV ს. II ნახევარში ჯვარს დიდი დახმარება მიუღია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისაგან. ამავე პერიოდში ჯვრის მონასტრის ტრაპეზი და იოანე მახარებლის საყდარი აუშენებია სერაპიონ კუმურდოელს.

XV-XVI სს. მიჯნაზე უჯარმელთა ასულს მამქან ყოფილ მარინეს აუშენებია გალავნის ბურჯი. თაყა ამილახორის ქალს როდამ ყოფილ რიფსიმეს დაუხსნია მონასტრის მარანი.

XVI ს. განსაკუთრებით არის აღნიშნული ღვაწლი „ჯვრის მამად" წარგზავნილი ბეენა ჩოლოყაშვილისა, რომელსაც სომხებისაგან მიტაცებული იაკობის ტაძარი ჯვრისათვის დაუბრუნებია. ასევე, ჯვრის მონასტრის მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე დიდად ქართველ მეფეთაგან „ჯვრის მამად წარგზავნილი" ეპიფანე, რომელიც 1567-1593 წწ. ჯვრის მამად ჩანს.

XVII ს. ქართულმა კოლონიამ დიდი დახმარება მიიღო მამია II გურიელისაგან (1600-1625). ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილებისაგან. მ ა კ ა რ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ო ბ ი ს დროს (XVII ს. 30-იანი წლები).

განსაკუთრებით აღსანიშნავია კახელი ნ ი კ ო ლ ო ზ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს ღვაწლობა ჯვარზე. მას განათლება მიუღია რომში. 1643-1649 წწ. ჯ ვ რ ი ს მ ა მ ა დ ა ა მოხსენიებული. ნიკოლოზს დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოუჩენია. მისი თაოსნობით ჯვარზე ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები. შეაკეთებინა მთავარი ტაძარი, მოახატვინა გუმბათი, საკურთხეველი და კედლები. მან ყველაფერი გააკეთა ჯვრის სავანის საკეთილდღეოდ, მაგრამ დაღმავალ გზაზე დამდგარ კოლონიას არაფერი ეშველა.

ჯვარს დიდი დახმარება გაუწია კათოლიკოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ, რომელიც რამდენიმეჯერ იყო იერუსალიმში. დიდი მატერიალური დახმარება გაუწიეს ჯვრის ტაძარს ქართლის მეფე გიორგი XI და მისმა ძმამ ლევანმა. მათ 2 ათასი თუმანი გაუგზავნეს დავალიანებულ ჯვარს.

XVII ს. იერუსალიმის პატრიარქთაგან საქართველოში ჩამოვიდა თეოფანე (1608 - 1645), პაისიოსი (1645 - 1660) და დოსითეოსი (1669 - 1709). ეს უკანასკნელი ქართველებს მოუწოდებდა იერუსალიმის სავანეებისადმი მეტი მატერიალური დახმარებისაკენ. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა თავის დამსახურებას ქართველთა კოლონიის მფარველობის საქმეში და საყვედურით იხსენიებდა ჯვრის წინამძღვრებს. სინამდვილეში დოსითეოსს საკუთარი ინტერესები (საპატრიარქოს გაძლიერება) ამოძრავებდა: მაღე მან ხელთ იგდო ქართული სავანეები; იქაური ქართველები სხვადასხვა ტაძრებში დაქსაქსა, რითაც ძლიერ დაასუსტა ქართული კოლონია. ქართულ სავანეებს ბერძენთა საპატრიარქო დაეუფლა. ამ მდგომარეობით შეშფოთებული მონოზონი მართა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს გულისტკივილით აღუწერს ქართველთა სიძველეების მიტაცების ამბავს და მოუწოდებს საქართველოში იღვაწონ მათი უკან დაბრუნებისათვის.

იერუსალიმის სხვა ეკლესიებიდან, რომლებშიც ქართველებს გარკვეული უფლებები ჰქონდათ, აღსანიშნავია გოლგოთა. ტაძარი ამჟამად, იერუსალიმის გაზრდის შედეგად, ქალაქის ცენტრშია. 1050 წ. ბაგრატ IV გოლგოთის ნაწილი მიიღო. ქართველთა მდგომარეობა იქ ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იერუსალიმში მაჰმადიანთა ბატონობის ხანაში დამპყრობელთა ძალადობა ზოგჯერ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ქართველებს.

XIV ს. მაჰმადიანებმა ხელთ იგდეს კლიტე საფლავის ტაძრისა. მოწესენი ჩაკეტეს და შესვლა-გამოსვლაზე მკაცრი კონტროლი დაუწესეს. ეს გასაღები ქართველებმა მეფე გიორგი ბრწყინვალეს დახმარებით დაიბრუნეს. მან გაგზავნა იქ პიპა, შალვა ერისთავის ძე, რომელმაც სულთანთან კარგად მოაგვარა საქმეები და დაიბრუნა გასაღები. გოლგოთა ამის შემდეგაც არაერთხელ იყო მიტაცებული და კვლავ დაბრუნებული. ამ დაბრუნებაში განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის მეფე ბაგრატ VI (1466 - 1478), ბეენა ჩოლაყაშვილს, ზოსიმე კუმურდოელს და „გოლგოთის განმაახლებელსა და აღმაშენებელს" ლევან კახთა მეფეს.

ზოგიერთი ქართული ეკლესიის შესახებ მეტად მწირი ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვაჩნია. ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების მიხედვით, XI ს. შუა წლებში შეჰანის მთაზე არნონის ხეობაში გაბრიელ თბილელს დაუარსებია ქართული სავანე შეჰანი.

XV ს. შუა წლებში თაყა და ამირინდო ამილახორებს აუგიათ გასილის მონასტერი.

XVI ს. II ნახევარში აგებული თეოდორეს მონასტერი 1635 წ. გეუან და გაადურ ჩოლაყაშვილებს შეუკეთებიათ.

XVI საუკუნისაა ნიკოლოზის მონასტერი, რომელიც XVII ს. II ნახევარში განაახლა ერეკლე I-ის (1688 - 1703) დედამ, კახთა დედოფალმა ელენე ყოფილმა ელისაბედმა.

გეთსამანიაში ქართველები IX საუკუნიდან ჩანან. მათ საკუთარი საკურთხეველი ჰქონიათ და გარკვეული პატივით სარგებლობდნენ.

ქართულ ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერებიდან ვტყობილობთ, რომ ქართველები იმყოფებოდნენ და მოღვაწეობდნენ იერუსალიმის დედათა სავანეებში: კაპპათაში, დერტავში და დერთუფაში.

*

* *

შავი მთა მდებარეობს ანტიოქიის ახლოს (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა XI ს. 30-იან წლებში, როდესაც იქ დასახლდა მრავალი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან (შატბერდიდან, ოშკიდან). შემდეგ პერიოდში ქართველები მომრავლდნენ შავი მთის სავანეებში - სვიმეონის ლავრაში, კალიპოსში, კასტანასა და სხვ. ადგილებში.

სვიმონწმიდაში მოღვაწეობდნენ გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე და სხვ.

გიორგი შეყენებულს საკვირველ მთაზე, სვიმონწმიდის სანახებში მარტოსამყოფელი ჰქონდა. წლების განმავლობაში იგი წარმართავდა გიორგი ათონელის შემოქმედებით საქმიანობას. მისი დავალებით თარგმნა გიორგი ათონელმა დავითნი, სამოციქულო, პარაკლიტონი და სხვ. მანვე დაავალა გიორგი მცირეს გიორგი ათონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ცხოვრების აღწერა. გიორგი ათონელი 1036 - 1039 წწ. ცხოვრობდა შავ მთაზე საბაწმიდაში. 50-იან წლებში კვლავ დაუბრუნდა შავ მთას. მისი უდიდესი დამსახურებაა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან (1057 - 1076 წწ.) კამათი, რომლის დროსაც დაასაბუთა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობა და კანონიერება.

გიორგი ათონელთან ერთად შავი მთის სავანეებში იყო მისი მოწაფე გიორგი მცირე, რომელმაც XI ს. 60-იან წლებში გიორგი შეყენებულის დავალებით დაწერა „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისა".

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში დაცული ცნობებით ვტყობილობთ, რომ შავი მთის სხვა სავანეებშიც მოღვაწეობდნენ ქართველები და ეწეოდნენ ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლებას. ასე მაგ.: რომანწმიდაში თარგმნა გიორგი ათონელმა სვინაქსარი, რომელიც XI ს. პირველი ნაზევრის მოღვაწე იოანე ჯიბისძემ გადაწერა (ხელნაწ. ინსტ-ი H-2211). კალიპოსშია 1054 წ. დამზადებული სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ალავერდის ოთხთავი (ხელნაწ. ინსტ-ი A-484), რომლის ტექსტი ექვთიმე ათონელის თარგმანს წარმოადგენს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მრავალი და გემოვნებით მოხატული მინიატურებით. კასტანაში 1091 წ. ეფრემის (ეფრემ მცირის) წინამძღვრობის დროსაა გადაწერილი ხუცეს იოვანე მთავარაჲსძის მიერ „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ" (ხელნაწ. ინსტ-ი Q-37). ლერწმისხევში XI ს. შუა წლებშია შავ ზაქარიას მიერ გადაწერილი რუისის ოთხთავი (ხელნ. ინსტ-ი A-845), რომელიც შემდეგ მოხვდა სამცხის ათაბაგთა კარზე, სადაც მინიატურებით მოხატა ანანიამ. სინას მთაზე დაცულ ერთ-ერთი ხელნაწერის (Sin. №56) ანდერძში ბარლაამწმიდა „ქართველთა მონასტრად" იხსენიება.

2. დასავლეთი

IX ს. დასავლეთში მრავალი ქრისტიანული კულტურის კერაა: ათონი, პეტრიწონი, კონსტანტინოპოლი, ოლიმპი, რომანა, კვიპროსი და სხვ.

კონსტანტინოპოლი - ეს ქრისტიანული კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის უდიდესი ცენტრი ცნობილი იყო თავისი სასწავლებლებით. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, საქართველოდან გიორგი ათონელს (1009 - 1065) იქ აღსაზრდელად და განათლების მისაღებად 80 ბავშვი წაუყვანია, ხოლო დავით აღმაშენებელს ამავე მიზნით 40 ბავშვი წარუგზავნია. კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლებში - მიქაელ პსელოსის, იოანე ქსიფილინოსის და იოანე იტალოსის ლექციებს ისმენდნენ ქართველები - არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. მეცნიერები ფიქრობენ, რომ XI საუკუნის შუა წლებში დაარსებულ მანგანის აკადემიაში სწავლობდა XI-XII საუკუნის მიჯნის ქართველი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი და მწერალი არსენ იყალთოელი. ნ. მარის ცნობით, იერუსალიმურ ქართულ ხელნაწერში (ქდ.№104) ჩაწერილი აღაპის მიხედვით, მიქაელს და არსენს „აღუმენებია ულუმპო". მათვე, იერუსალიმის პატრიარქ სერგის (843-859) დასტურით, მირონის კურთხევა იერუსალიმიდან მცხეთაში გადმოუტანიათ.

XI საუკუნიდან ქართველი მოღვაწეები ჩანან კონსტანტინოპოლის ხორასა და აგიაპანტის მონასტრებში. ხორას მონასტერში გრიგოლ მთაწმიდელის დავალებით, კონსტანტინოპოლელ ქართველს, შესანიშნავ კალიგრაფს ბასილი ეტრატაძს (მალუშისძეს) 1031 წ. დაუწერია „მცირე სჯულის კანონის" ტექსტი. მასვე მამათმთავარ ზაქარია ვალაშკერტელის (ზაქარია ბანელის) დავალებით დაუმზადებია „მცირე სჯულის კანონი", „მცირე სვინაქსარი", „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება" და მისივე თხზულებანი.

ქართველები (თეოფილე ხუცესმონოზონი, მღვდელი საბა და სხვ.) ჩანან, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის ტრიანდაფლევის სავანეში. თეოფილე ხუცესმონოზონს იქ უთარგმნია ბერძნულიდან ქართულად სვიმეონ მეტაფრასტის სექტემბრის თვის წმინდანების „ცხოვრებანი".

IX საუკუნის 60-იან წლებში ბიზანტიაში ოლიმპზე გაემგზავრა ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ილარიონ ქართველი (822-875). ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი კახეთის მხრიდანაა და შვილია საკმაოდ მდიდარი და წარჩინებული აზნაურისა. წყაროში დაცული ცნობით, მას თან წაუყვანია ორი მოწაფე. ოლიმპზე ბითვინიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისვლისას შეერთებიან სხვა „სამნი ძმანი ქართველნიც“ (რომელთაგან ერთ-ერთს ბერძნული ენაც ცოდნია). გარკვეული ხნის შემდეგ მას დაუტოვებია ოლიმპი და თავის ერთ-ერთ მოწაფე ისაკთან ერთად, 869 წ. კონსტანტინოპოლში წასულა. წასვლის წინ მას თავისი ოთხი მოწაფისათვის ურჩევია და უსწავლებია „ყორის ქვისაგან პატარა სენაკის აშენება“. კონსტანტინოპოლიდან იგი უკან ოლიმპზე აღარ დაბრუნებულა. 875 წ. თესალონიკეში გ[illegible]აიცვალა. ბიზანტიის იმპერატორს ბასილს (867 - 886) დიდად შეუფასებია ილარიონის მოღვაწეობა და იმის მხცოვან ქართველ ბერ მოწაფეთათვის მზა მონასტერი შეუთავაზებია. ქართველ ბერებს მზა მონასტრის მითვისებაზე უარი განუცხადებიათ ამის შემდეგ მათთვის იმპერატორს მატერიალური დახმარება გაუწევია და ნება დაურთავს რომანას - კონსტანტინოპოლის ახლოს ქართველთა მონასტერი დაეარსებიათ. ეს მოხდა 876 წელს.

დიდია XIს. ოლიმპზე მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა მიქაელზეკეპე ბერთელის, გიორგი მოძღვარის, იოანე კახის, გრიგოლ მოძღვრის, ისაკის და სხვ. ღვაწლი სასულიერო ძეგლების შემცველი ხელნაწერების დაკვეთა, დაწერა, გავრცელების საქმეში. რომანას მონასტერში ქართველთა მიერ გადაწერილი ორი უბრწყინვალესი ხელნაწერი გვაქვს შემორჩენილი. ერთი, სვიმონ დვალის მიერ 1066 წ. გადაწერილი ხელნაწერი ექვთიმე ათონელის თარგმანებისა და, მეორე, თამარ მეფის მლოცველის „იოანე ფლორისის“ მიერ XII - XIII ს. მიჯნაზე გადაწერილი, ულამაზესი მხატვრული მინიატურებით შემკული „ვანის ოთხთავის“ სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერი.

*

* *

საბერძნეთში ქალკედონის ნახევარკუნძულზე მდებარე ათონის მთაზე VIII ს. ბოლოს ქართველ მონაზვნებს მცირე სავანე ათონი დაუფუძნებიათ, მაგრამ არაბთა თავდასხმების შედეგად იგი რამდენჯერმე დაცარიელებულა. ათონის მთაზე პირველი დიდი მონასტერი - ლავრა ააგო ათანასე ათონელმა. ზოგიერთი ცნობით, მას დედა ლაზი ჰყოლია. 9-10 წლისა იგი კონსტანტინოპოლში ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვანიათ. იქ მიუღია განათლება და შემდეგ იქვე თვითონვე ასწავლიდა. 953 წლის ახლოს ბერად აღკვეცილა. რამდენიმე წლის შემდეგგადასულა ათონის მთაზე, სადაც იმპერატორ ნიკიფორე II ფოკას (963 - 969)ხელშეწყობითა და ხარჯებით 963 წ. აუგია ზემოხსენებული ლავრა, რომელშიც ათანასეს დროს 120-მდე ბერ-მონაზონი ყოფილა, მათ შორის ქართველებიც. ათანასეს დროსვე, 980-983 წწ., დაარსებულა ათონის ივერთა ბონასტერი. მის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით იოანე მთაწმიდელსა და თორნიკე ერისთავს. ესენი საქართველოს, კერძოდ, სამცხის მკვიდრნი არიან ჩორდვანელთა გვარიდან.

ამ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს - ბასილსა და კონსტანტინეს - აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. ბიზანტიელთა დამხმარე ქართველთა ლაშქარს, რომელსაც თორნიკე სარდლობდა, 979 წ. სასტიკად დაუმარცხებია აჯანყებულთა ლაშქარი. გამარჯვების შედეგად მიღებული დიდი ნადავლი და სიმდიდრე თორნიკემ ათონის ივერიის მონასტრის მშენებლობას მოახმარა. მონასტრის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა შედიოდა. მათ შორის აღსანიშნავია „დიდი ეკლესია" გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მრავალჯერ გადაკეთდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ათონის ქართველთა, ანუ ივერთა მონასტერს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის იყო დაფუძნებული. მისი პირველი წინამძღვარი იყო იოანე ქართველი (იგი ერთხანს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ოთხთა ეკლესიაში, ეწეოდა ბერმონაზვნურ ცხოვრებას). იოანემ წინამძღვრობის დროს შეიძინა ნაგულები და ამით მონასტერი მატერიალურად უზრუნველყო. თანამემამულენი ჩააბა როგორც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში, ისე სამეურნეო საქმიანობაში. დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს. მის დროს დიდად იქნა დაფასებული ათონის ივერთა მონასტრის მაშენებელთა ღვაწლი. ამის უტყუარი და მნიშვნელოვანი საბუთია „ათონელთა ცხოვრების" შექმნა ბერძნულ ენაზე.

985 წელს თორნიკე გარდაიცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკრისის სენით შეპყრობილი იოანე ათონელი ლოგინად ჩავარდა და მონასტრის მთელ საქმიანობას იოანეს შვილი ექვთიმე უძღვებოდა. იოანე 1005 წელს გარდაიცვალა. იოანემ 40 წელი გაატარა ათონის მთაზე (965-1005). ამ პერიოდში იგი დაკავებული იყო როგორც საეკლესიო-სამონასტრო-სამეურნეო-ადმინისტრაციული, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებით. მან დიდი ყურადღება მიაქცია ქართული მწიგნობრობის განვითარებას. მის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი შვილის - ექვთიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის წარმართვა. ამ საქმიანობაში მან სხვებიც ჩააბა. მისი ინიციატივით ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლებაგადაწერისა და თარგმნის საქმეში.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ, ათონის წინასძღვრად დაინიშნა მისი უმცროსი შვილი ე ქ ვ თ ი მ ე, რომელიც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, მისი ავადმყოფობის დროს, განაგებდა სავანის მთელ საქმიანობას. მისი ბიოგრაფის - გიორგი მთაწმიდელის ცნობით, ექვთიმემ წინამძღვრობაში გაატარა 14 წელი (1005 - 1019). იგი მარტო ქართულ მონასტერს არ განაგებდა, მთელი გულისყურით ზრუნავდა ათონის სხვა მონასტრების კეთილმოწყობაზე. მასალებიდან ირკვევა, რომ იგი ძველი საბუთების მონაცემებით და ხელისუფალთა მხარდაჭერით აძლიერებდა მონასტერს და აუმჯობესებდა მის მატერიალურ მდგომარეობას. ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა ახალი ეკლესიების აგებაზე, მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებაზე, თანამოღვაწეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე და სხვ. მაგრამ ექვთიმე მთაწმიდელისათვის მთავარი მაინც ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო, რომლის სულის ჩამდგმელი და ინიციატორი თვითონაა. ათონის ქართულ მონასტერში 14 წლის წინამძღვრად მუშაობის შემდეგ, ექვთიმემ, თავისი ახლო მეგობრების - იოანე გრძელისძის, არსენი ეპისკოპოსის და სხვათა თხოვნით, 1019 წელს წინამძღვრობას თავი დაანება და შეუდგა „საღმრთო წიგნების" თარგმნას. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად, აწარმოებდა ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი რომანი - „სიბრძნე ბალაჰვარისი", რომელიც მან ქართულიდან თარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმნა ბერძნულ ენაზე. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამ რომანის ექვთიმესეული ბერძნული რედაქცია, ცნობილი მეცნიერის ა. გრეგუარის აზრით, „მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული წიგნია" და „აუცილებლად იმსახურებს მსოფლიო ლიტერატურისათვის განკუთვნილ ნობელის პირველ პრემიას". მან ქართული მწერლობის საგანძური გაამდიდრა ბერძნულიდან თარგმნილი თხზულებებით; გარდაიცვალა 1028 წ. 13 მაისს. მისი ღვაწლის თაყვანისმცემლებმა - ბასილ და ზოსიმე ათონელებმა, ბასილი ბაგრატის ძემ, გიორგი ათონელმა და ანტონ I კათოლიკოსმა - შეადგინეს მისი სახელობის საგალობლები.

ათონის მონასტრის შემდეგი წინამძღვარია გ ი ო რ გ ი (1019 - 1024). გიორგი ათონელის ცნობით, სიკვდილის წინ იოანემ უბრძანა ექვთიმეს, რომ მის (ექვთიმეს - თ. ე.) შემდეგ მონასტრის წინამძღვრობა გიორგისათვის მიეცა. ექვთიმემ შეასრულა იოანეს ეს თხოვნა. გიორგი მონასტრის წინამძღვრობისას ექვთიმესაგან სრულიად განსხვავებულ გზას დაადგა. შეცვალა ძველი წესები. მონასტერში შეამცირა და შეავიწროვა თანამემამულენი და „მიდრკა ბერძენთა მიმართ", რითაც ათონელ ქართველთა დიდი გულისწყრომა დაიმსახურა.

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში რომანოზ III არგინოსის (1028 - 1034) დროს, მან დიდად გაითქვა სახელი, მაგრამ მალე მას დასწამეს ორგულობა და 1028 წ. ახლო გადაასახლეს კუნძულ მონოვატზე, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ბერძნული წყაროების მიხედვით, მთავარი საკრებულო ტაძარი ღვთისმშობლის მიძინებისა აგებულია მის მიერ.

გიორგის წინამძღვრობის შემდეგ ქართველები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. ბიზანტიელებს მოუნდომებიათ ქართველთათვის სავანის წართმევა. ამ პერიოდში, დაახლოებით 1029 წ. ქართველთა მონასტრის წინამძღვრად არის გ რ ი გ ო ლ ი[1]. მას განსა-

---

1 მისი წინამძღვრობის წლების განსაზღვრისას მეცნიერები სხვადასხვა აზრისა არიან. მ. ჯანაშვილის აზრით, 1028-1035; ა. ნატროშვილი და ს. ყაუხჩიშვილი 1030-1036; ნ. ბერძენიშვილი 1031-1037; კ. კეკელიძე 1029-1039.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებით მძიმე წლებში მოუხდა მოღვაწეობა. იგი თავგამოდებით ცდილობდა თანამემამულეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მონასტრის კეთილდღეობისათვის იღწვოდა. მან, მიხეილ IV პაფლაგონელის (1034 - 1041) შემწეობით, ბერძენთა შემოტევები მოიგერია და 1034 წელს ათონის მონასტერს დაუბრუნა ჩამორთმეული მამულები: ლეონდარი, იერისი, შელინძა და სხვ., რითაც თანამოძმეების პატივისცემა დაიმსახურა. იგი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებას და ზრუნავდა ახალი ნუსხების დამზადებაზე. მისი თხოვნით ბასილი ეტრატამ კონსტანტინოპოლში ხორას მონასტერში „მცირე სჯულის კანონი" გადაწერა. მას საქმიანობაში დიდად ეხმარებოდა „კაცი გონიერებითა სავსე" ა რ ს ე ნ ი, რომელიც გრიგოლის შემდეგ ხელმძღვანელობდა მონასტერს.

ა რ ს ე ნ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ო ბ ი ს დროს ბერძნები კვლავ აღდგნენ. შეეცადენ ხელში ჩაეგდოთ დიდი ეკლესია. ბერძენთა იერიში განსაკუთრებით გაძლიერდა 1040 წ., როდესაც მიხეილ IV თესალონიკეს ჩავიდა, მაგრამ იმპერატორმა „დიდი გამოძიებით" ეს საქმე და ეკლესია-მონასტერი, ყოველი მონაგებით და სიმდიდრით ქართველებს დაუმტკიცა.

ასეთი ხასიათის ბრძოლები გრძელდებოდა მომდევნო წინამძღვრის სვიმეონის დროს[2]. მისი წინამძღვრობისას ათონელმა ქართველებმა შეადგინეს „მოსახსენებელი" ქართველ-ბერძენთა ურთიერთობისა ათონის მთაზე. აღწერეს ამ მონასტრის აღმოცენებისა და ზრდის ისტორია. მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმ აზრს, რომ მონასტერი ქართველების კუთვნილებას წარმოადგენდა. წარმოაჩინეს იოანეს, თორნიკეს და ექვთიმეს ღვაწლი და დამსახურება ათონის სავანის წინაშე. დაახასიათეს მომდევნო წინამძღვრების (გიორგის, გრიგოლის, არსენის) საქმიანობა და გაიცხეს ქართველთა შემავიწროებელნი და მონასტრის მიტაცების მსურველი ბიზანტიელები.

---

2 მისი წინამძღვრობის წლების განსაზღვრისას მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: მ. ჯანაშვილი 1038-1041, ა. ნატროშვილი 1044-1045, კ. კეკელიძე 1041-1042.

1043 წ. ათონის მონასტრის წინამძღვრად ჩანს ს ტ ე ფ ა ნ ე ხ ა რ ტ უ ლ ა რ ი. მისი წინამძღვრობის დროს არის გადაწერილი ხელნაწერი Sin №60, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წმინდაჲ ესე სახარებაჲ მთასა წმიდასა ათონას... მონასტერსა ქართველთასა, მამობასა... სტეფანე ხარტულარისასა... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი და შეიმოსა ჴელითა ძმათა სულიერთა მიქაელ და გრიგოლისათა... ქრონიკონი იყო სჲგ“ (263+780=1043).

1044-1056 წლებში ათონის მონასტრის წინამძღვარია გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი. მისი მოწაფის და ბიოგრაფის გიორგი ხუცესმონაზონის გადმოცემით, გიორგი მთაწმიდელი დაიბადა თრიალეთში გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის იაკობის ოჯახში. სწავლობდა ტაძრისის, შემდეგ კი ხახულის მონასტერში. ცოდნის გასაღრმავებლად 1022 წ. ბიძამ წაიყვანა კონსტანტინოპოლში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა. 1034 წ. დაბრუნდა საქართველოში და ხახულის მონასტერში ბერად აღიკვეცა. 1036 წ. სირიაში შავ მთაზე გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. 1039 წ. იერუსალიმს გაემგზავრა. 1044 წლიდან კი ათონის მონასტრის წინამძღვარია. იქ იგი მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სავანის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებას. მან საგანგებოდ შეისწავლა ექვთიმეს მიერ დადგენილი „ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი“ და მათი შესრულება დაიწყო. მან ღვთისმშობლის ეკლესიაში გადმოასვენა გამოჩენილი წინაპრების - იოანე ათონელის, ექვთიმეს, იოანე გრძელისძის და არსენ ნინოწმიდელის ნეშტები. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე IX მონომახის, საქართველოს მეფე გაგრატ IV და მისი დედის მარიამისაგან მიღებული მატერიალური დახმარებით განამტკიცა და განაძლიერა მონასტერი. შემოიმატა მამულები, ჩაატარა აღმშენებლობითი სამუშაოები. გიორგი ათონელისათვის მნიშვნელოვანი იყო მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა. მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი, სახარება-ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი. გააკეთა ბიბლიის ახალი ე. წ. „გიორგისეული რედაქცია“. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი ნაშრომი „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იო-

ანესი დაეფთვიმესი...“

გიორგი ათონელის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვრად დაუნიშნავთ გ ი ო რ გ ი ო ლ თ ი ს ა რ ი (1065). მისი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ის, რომ მან გიორგი ათონელის ცხედარი დაასვენა „ლუსკუმასა შინა მარმარილოსასა“ და ზღუდე შემოავლო მონასტერს. მის დროს მონასტერს მატერიალურად დიდად დახმარებია საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის ასული დედოფალი მარიამ მართალი (მეუღლე ბიზანტიის ორი იმპერატორის – მიხეილ VII დუკა პარაპინაკისა (1071 – 1078) და ნიკიფორე III ბოტანიატისა (1078 – 1081) და მისი ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი. გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის პერიოდში ათონში მრავლად ჩანან მწიგნობრები: ევსტრატი დეკანოზი, რომელმაც 1071 წ. გადაწერა სვინაქსარი (Atl. №30), ზოსიმე მონოზონი, რომელმაც შეადგინა საგალობელი ექვთიმე მთაწმიდელისა და ილარიონისა. გადაუწერია „სტოდიერი“, „თვენი“ (ოქტომბრის და ნოემბრის); მასვე მონაწილეობა მიუღია „ათონის კრებულის“ (ხელნაწ. ინსტ. A -558) შედგენაში. ეს კრებული XIX ს. II ნახევარში ათონიდან საქართველოში ჩამოიტანა ბ. ბარკალაიამ.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა მეცნიერულად შეისწავლა ეს კრებული და დაადგინა, რომ იგი დგებოდა თანდათანობით. კრებული ჯერ ითვლებოდა ლავრის აღმაშენებელთა სამახსოვრო კრებულად, შემდეგ იგი აქციეს საბერძნეთში მოღვაწე ქართველ მამათა სამახსოვრო კრებულად, უკანასკნელად კი სააღაპე წიგნად. კრებული შეადგინა მიქაელ დაღალისონელმა გიორგი ოლთისარის ზამასახლისობასა და იაკობ მღვდლის დეკანოზობის დროს. 1074 წ. მიქაელ დაღალისონელის მიერ შედგენილი კრებული განაცვალა იაკობ დეკანოზმა, ხოლო აქა-იქ „დაფანჩულად“, გაშლილად ჩაწერილი აღაპები გადაწერა იოანე თაფლაისძემ.

გიორგი ოლთისარის შემდეგ, მასალების მიხედვით, წინამძღვრად ჩანს ა რ ს ე ნ ფ ა რ ს მ ა ნ ყ ო ფ ი ლ ი ს უ ლ ა ს ძ ე ჩ ო რ ჩ ა ნ ე ლ ი, 1054 წ., იგი გიორგი ათონელის მოწაფეა. წინამძღვრობის პერიოდში მატერიალურად დიდად დახმარებია მონასტერს.

ევგენის წინამძღვრობის დროს შეინიშნება ათონ-პეტრიწონის ქართული სავანეების ურთიერთობის გაცხოველება. იგი მატერიალურად დიდად ეხმარება მონასტერს. უახლოეს პერიოდში აღაპების მიხედვით მონასტრის წინამძღვრებად ჩანან ვ ა ს ი ლ ი და ი ო ა ნ ე ბ უ ქ ა ი ს ძ ე.

ი ო ა ნ ე ს წინამძღვრობა აღინიშნება მის მიერ მონასტრისადმი დიდი მატერიალური დახმარებით და აღმშენებლობით: „მონასტერსა შინა დადგა კოშკი ზღუდისა..., ქმნნა მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე". იგი ბიზანტიის ხელისუფალთაც ქართველ მოწესეთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნითაც მიმართავდა. მისი დახმარებით ათონელმა ქართველებმა დაიბრუნეს უსამართლოდ ჩამორთმეული მამულები. მის დროს ათონელი ქართველების დამხმარეებად ჩანან იოანე სევასტოსი, ნიკონ ნაპილოსი, ლულუ პროიდროსი, დავით ვაჭარი, ბერი კლიმი და სხვ.

რამდენიმე აღაპში იხსენიება წინამძღვარი ნ ი კ ო ლ ა პ რ ო ტ ო ს ი ნ გ ე ლ ო ზ ი. მისი წინამძღვრობის დროს მონასტრისათვის დიდი დახმარება გაუწევია გიორგი მაგისტროსს, რისთვისაც მისთვის აღაპი დაუწესებიათ და დაუმარხავთ მის მიერ ამორჩეულ ადგილას. პატივი მისთვის მაშენებელთა დონეზე უციათ.

შემდეგ წინამძღვრად ჩანს მ ი ქ ა ე ლ ი, რომელიც ქართულად აწერს ხელს 1162 წ. ერთ-ერთ საბუთს.

პ ა ვ ლ ე წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ქართული მონასტრის მამათა კრებულის ხელმძღვანელად ჩანს 1170 წლიდან 1184 წლამდე. მან მონასტერი ჩაიბარა დავალიანებული (500 დრაჰკანი ჰქონიათ გადაუხდელი). დიდი ზრუნვისა და ღვაწლის შედეგად მონასტერი გაუთავისუფლებია გადასახადისაგან, რის შემდეგაც მონასტერში ჩაუტარებია აღმშენებლობითი საქმიანობა. აუშენებია „კარნი", ორი წისქვილი, აუმაღლებია „დაბალი ზღუდენი მონასტრისანი" და სხვ. ყველა ეს აღმშენებლობითი ხასიათის სამუშაო პავლეს განუხორციელებია ქართველ მოღვაწეთა შეწირულობებით. ამ მხრივ აღსანიშნავია თამარ მეფის, ნიკოლოზ გულაბერისძის, იოანე მწიგნობართუხუცესის და სხვ. შეწირულებანი. 1184 წ. პავლეს წინამძღვრობა დაუტოვებია. მისი თანადგომითა და ერთობით, ათონელ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეულთა სურვილით, წინამძღვრად გ ი ო რ გ ი აურჩევიათ. მას საკანე ეკონომიურად საკმაოდ მოძღიერებული ჩაუბარებია. მის შემდეგ წინამძღვრად ჩანს მ ა კ ა რ ი, მას აღაპი დაუდვია თამარ დედოფლის გამზრდელის დოფასთვის, რომელსაც დიდი გაჭირვების დროს მონასტრისათვის 100 დუკატი შეუწირავს.

XIII საუკუნიდან ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ მასალები მცირეა. 1259 წ. ათონის მონასტრები, და განსაკუთრებით ქართველთა მონასტერი, დაარბიეს ჯვაროსნებმა. წაართვეს შეწირულებანი, მონოზონნი ზოგი დახოცეს, ზოგიც განდევნეს. ამ პერიოდში მათ დიდი დახმარება აღმოუჩინა იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა (1258 - 1282). გაათავისუფლა გადასახადებისაგან და დაუბრუნა ძველი მამულები - რადოლინი, დოვრენიკია, მელინძიანე, ერისო და სხვ.

XIII ს. 80-იან წლებში ათონი ისევ დაარბიეს ლათინებმა, რომლებიც ბერებისაგან კათოლიკობის მიღებას და პაპის უზენაესობის აღიარებას მოითხოვდნენ. ათონელებმა არ მიიღეს ეს მოთხოვნები, რისთვისაც მძიმედ დაისაჯნენ.

ანდრონიკე II (1282-1328) ტახტზე ამვლისთანავე (1283 წ.) სიგლით მოუპოვა მონასტერს ადრინდელი უფლებები და დაუმტკიცა ძველი მამულები.

1304 წ. ათონის მონასტრები დაარბიეს თურქებმა, 1306 წ. კატალონიელებმა, 1308 წ. - არაბებმა. ამ უკანასკნელებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული მონასტერი და განზრახვა ჰქონდათ მთავარი ტაძრის დანგრევისა. 1310 წლისათვის ათონის ქართულმა მონასტერმა ერთხელ კიდევ შეძლო ძველი მამულების დაბრუნება.

1345 წ. ათონის მთა ხელთ იგდო სერბიის მეფემ სტეფანე დუშანმა (1331 - 1358), რომელმაც თავისი სამფლობელო ტერიტორია ბიზანტიის ხარჯზე გააფართოვა. 1346 წ. გაცემული ერთ-ერთი საგუთიდან ჩანს, რომ მას ივერთა მონასტერი გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან და დაუმტკიცებია მამულები. ამ პერიოდში მონასტერში წინამძღვრად ყოფილა ქართველი იოანე მღვდელ-მონოზონი.

კანტაკაუზენის (1347 - 1354) ქრონიკებში დაცული ცნობებიდან, XIV ს. შუა წლებში მონასტერი მატერიალურად ისევ კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყურება.

XIV ს. II ნახევარში ქართველთა მონასტერში ფეხი მოიკიდეს და მოძღვრობდნენ ბერძნები. მათ მიიმხრეს, როგორც ათონის მონასტრის საბჭოს თავკაცები - პროტები, ისე კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტე პირველი (1350 - 1363), რომელმაც დააკმაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები ივერთა მონასტრის მათთვის გადაცემის შესახებ და საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. ასევე წინამძღვრობის უფლება წაართვა მან ქართველებს. მიუხედავად ამისა 1363 წლის ერთ ათონურ საბუთს ქართულად აწერს ხელს „მამა ქართველთა მონასტრისა ი მ ი ტ რ ი“.

1453 წ. დაეცხო ბიზანტიის იმპერია. თურქებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი. დაიპყრეს ათონის მთა და დაარბიეს იქაური სავანეები. გაპარტახდა ათონის ქართული სავანეც. იქაური ქართველები დახმარების სათხოვნელად საქართველოში გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს. 1492 წ. ათონელი ბერები დახმარების მიზნით საქართველოში ეწვიენ სამცხის ათაბაგს ყვარყვარე II (1451 - 1498), რომელმაც დიდი შესაწირავი უბოძა მათ. საერთოდ, სამცხის მფლობელთა დახმარებით საფუძვლიანად იქნა აღშენებული ეკლესიის გუმბათნი და „გარე კარისბჭე“.

სამცხის მფლობელ მზეჭაბუკს (1500 - 1515) წარუგზავნია თავის ძმის - ქაიხოსრის აღზრდილი მხატვარი, კალიგრაფი ამბროსი და გაუტანებია დიდძალი შესაწირავი - „ოცდახუთი ათასი ოთმანური, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად“. ამბროსი უხვად დახმარებია მონასტერს, „პორტაიტის ღვთისმშობლის ხატი მოჭედა მძივედ“ და გაამაგრებინა მთელი რიგი ძველი ნაგებობანიო, აღნიშნულია საადაპე ჩანაწერში.

1511 წ. ათონზე მოსულა მწიგნობარი თეოდოსიოს მდვდელ-მონაზონი. აკად. კ. კეკელიძის აზრით, იგი ქართველია. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, მას „მრავალნი წიგნნი“ აღუწერია და შეუწირავს მონასტრისათვის. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მის მიერ ბერძნულ ენაზე აღწერილი „ათონის ქართული სავანის ისტორია“ 1259 - 1514 წლებისა. ამ ქრონიკის გაგრძელება 1592-1626 წწ. და 1659-1674 წწ. დაუწერიათ ბერძენ მემატიანეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს ქრონიკალური ცნობა XVII-XVIII ს. ითარგმნა ქართულად შემდეგი სახელწოდებით: „მოთხრობა უმშვენიერესი მონასტრისა-ვჳს ივერთაჲსა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი".

ივერიის მონასტრისადმი საქართველოში მყოფ ქართველთა ზრუნვის ნათელსაყოფად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი: ლევან კახთა მეფეს (1520 - 1574) და მის ძეს აღექსანდრეს (1527 - 1605) მიერ შეწირული თანხებით ჩაუტარებიათ აღდგენითი სამუშაოები ფილოთეოსის მონასტერში. გახუასლებიათ ტაძარი, ომლის კედელზე გამოხატულია ლევანი მოხუცებულობის ასაკში, ხოლო აღექსანდრე ჭაბუკი - „ჰასაკითა მცირე, შვენიერი სახილავი, თმითა მოშავო, მოსილი იგიცა გვირგვინით". აღექსანდრეს დავალიანებული მონასტრისათვის 12000 ოქრო გაუგზავნია.

1567 წ. ათონში მივიდა პილიგრიმი ფილიპე შაქარაშვილი, რომელიც წარგზავნილი იყო სურხანის შვილის ვარაზის მიერ. იგი წერს: „...მთასა ათონისასა მშვიდობით მოვიწიე მონასტერსა... ქართველთასა; ვიხილე ეკლესიასასოჲსა ჩუენისა ღვთისმშობლისა ფრიად ძუელი და მოშლილი, დაქცეული, ცუარისა და წჳმისა არა დამჭირველი. ასი დრაჰკანი ოქროთი ესე ეკლესია ახლად აღვაშენებინე და ტყჳთა გარდავაბურვინე"-ო.

1584 - 1586 წწ. ივერთა სავანეს დახმარებას უწევენ რუსეთის მეფეები.

XVI-XVII სს. მიჯნაზე უნგრო-ვლახეთის მთავრის მიქაელ მეორის მიერ გაღებული თანხით მოუხატავს ქართული ტაძარი მარკოზ მღვდელ-მონოზონს (საქართველოდან ჩასულს).

შემორჩენილი ცნობების მიხედვით, 1604 წ. ივერთა მონასტერში აგებული სენაკების, 1619 წ. გაყვანილი წყაროებისათვის დახარჯულ თანხაში ქართველთა შეწირული დიდი თანხაცაა გამოყენებული. ქართველთა მეფეს თეიმურაზ I (1606-1648) შეუწირავს მისთვის დიდძალი თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი და სოფელიც კი. 1642 წ. როსტომ მეფის (1632-1658) მეუღლეს - მარიამ დედოფალს ყმა-მამული შეუწირავს. აშოთან მუხრანბატონს 1680 წ. მონასტრის კარიბჭესთან აუგია ეკლესია, რომელშიაც ღვთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლის ხატი დაუსვენებიათ. პ. იოსელიანის ცნობით, ეს ეკლესია 1849 წ. დანგრეულა. ათონური წყაროს ცნობით, აშოთან მუხრანბატონის მიერ 1672 წ. შეწირული თანხით მოუხატავთ სატრაპეზო და გაუკეთებიათ კამარები. ტ. გაბაშვილის ცნობით, ათონის კარაკალის მონასტრის ტაძრის დაქცეული გუმბათი გაუახლებიათ და ტყვიით გარდაუჭედიათ იმერეთის მეფე არჩილს, მის ძმებს გიორგის და ვახტანგს.

XVIII ს. თვითონ საქართველოს სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობის გამო ქართველთა დახმარებამ ძლიერ იკლო. იგი ძირითადად ძღვენის გაგზავნით, ყმა-მამულის შეწირვით და ძველი მამულების დამტკიცებით გამოიხატებოდა.

XIX ს. დამდეგიდან ბერძნებმა ათონელი ქართველები შეავიწროვეს, გამოდევნეს მონასტრიდან და მტკიცედ დამკვიდრდნენ შიგ.

1821-1830 წწ. ათონის მთას თურქები ფლობენ. ბერძნები მონასტრიდან გაიქცნენ. ქართველები არ შეუშინდნენ მოძალებულ მტერს, დარჩნენ მონასტერში, გაამხნევეს თანამოძმენი. მათ ერთგვარი გავლენაც იქონიეს თურქთა ჯარის უფროსზე ლაბუტ ფაშაზე, რომელიც წარმოშობით ქართველი ყოფილა. ასე იხსნეს ივერთა სავანე და რიგი სხვა მონასტერიც ქართველმა მოღვაწეებმა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ბესარიონ (ვენედიქტე) ქიტიშვილი და ილარიონ ყანჩიშვილი.

თურქეთ-საბერძნეთის ბრძოლის დამთავრების შემდეგ (1830) ათონს ისევ ბერძნები დაეპატრონენ. 1861 წლიდან, ბესარიონ ქიტიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ბერძნები ქართველ პილიგრიმებს აღარ იღებდნენ და საგანგებო გადაწყვეტილებით ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს. სწორედ ამ დროს ჩავიდა იქ ვახტანგ ბარკალაია (1834-1911) და ბერად აღკვეცის სურვილი განაცხადა. იგი უარით გამოისტუმრეს. საქართველოში დაბრუნებულმა მიიღო ბერობა ბენედიქტეს სახელით. შეკრიბა შეწირულება და 12 ქართველი ბერის თანხლებით ათონს მიაშურა. 1870 ,. მან იქ შეიძინა დანგრეული სავანე და მის აღდგენა-განახლებას შეუდგა. ბერძნების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბარკალაიამ შეძლო ივერთა მონასტრის ახლოს დაეარსებია ახალი - იოანე ღვთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველის სავანე; რომელშიაც შემოიკრიბა ათონის მთაზე მიმოფენილი ქართველობა. ახალი სავანის წინამძღვარი ბენედიქტე აქტიურად მოქმედებდა. თხოვნით მიმართავდა რუს ხელისუფალთ და ქართველ მოღვაწეებს დახმარებისათვის. აქვეყნებდა წერილებს, რომლებშიც ასახავდა ქართველთა დამსახურებას ივერთა სავანის დაარსება-განვითარებაში. ამხელდა ბერძენი სამღვდელო პირების მიმტაცებლობასა და ძალმომრეობას. მიუხედავად ამისა, ქართველთა მდგომარეობა ათონზე დღითი-დღე უარესდებოდა. ბერძნები ქართველთა ნაკვალევის განადგურებას შეუდგნენ.

*

* *

ბულგარეთში ქ. პლოვდივიდან 28-30 კმ. დაშორებით მდებარეობს პეტრიწონის სახელგანთქმული მონასტერი. მისი ფუძემდებელი არის გრიგოლ ტაოელი, ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის შვილი. მამა ადრე გარდაცვლია. როცა წამოიზარდა დიდი ნიჭი გამოუჩენია და დაწინაურებულა ბიზანტიის სახელმწიფო სამსახურში. სხვადასხვა დროს უმუშავნია სომხეთში, იბერიასა (ტაოში) და სირიაში. ყოფილა კარის (ყარსის) და თეოდოსიოპოლის (კარნუ ქალაქის) განმგებელი. 1081 წ. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოხდა გადატრიალება. ამ დროს იმპერატორი ნიკიფორე III ბოტანიატე დამარცხდა და გრიგოლ ბაკურიანის ძის დახმარებითა და მხარდაჭერით ალექსი I კომნინოსმა იმპერატორის გვირგვინი დაიდგა. ახალმა იმპერატორმა გრიგოლს „დასავლეთის დიდი დემესტიკოსობა" (ბიზანტიის იმპერიის დასავლეთი პროვინციების ჯარების მთავარსარდლობა) მისცა. ამავე დროს იგი სევასტოსი იყო და იმპერიის სამხედრო იერარქიაში საპატიო ადგილი ეჭირა. ჰქონდა დიდი მამულები ფილიპოპოლის თემში, სამხრეთ თრაკიასა და სხვა ადგილებში. იგი ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა ბერძნებს. მისი თქმით: მას და მასთან ერთად მისიანებს (ე. ი. ტაოელ ქართველებს) ბევრჯერ დაუღვრიათ სისხლი საბერძნეთის ერთგულებისათვის და განაგრძობს, რომ „ძალიან ცოტა ჩვენგანი მომკვდარა თავის სარეველზე ბუნებრივად". უმეტესობა საბერძნეთის მტერთაგან არის დახოცილი ბრძოლებში". განსაკუთრებით სიამაყით მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ პაჭანიკებზე. სწორედ ამ პაჭანიკებთან ერთ-ერთ ბრძოლაში 1086 წ. იგი გმირულად დაიღუპა. დაღუპვამდე სამი წლით ადრე მან ფილიპოპოლის (ახლანდელი პლოვდივი) ახლოს, პეტრიწონის ტერიტორიაზე, ღვთისმშობლის სახელზე ააგო მთავარი ტაძარი. ხოლო წმ. გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე უფრო მომცრო ზომის ეკლესიები, სასნეულო და საცხოვრებელი სენაკები. მთავარი ტაძრიდან 200 მ. დაშორებით, ფერდობზე ააგო „სამარხო" ანუ საძვალე - ერთნავიანი ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე აკლდამებია, ხოლო მეორეზე ეკლესია. აქ გადმოასვენა გრიგოლმა თავისი ძმა აბაზ მაგისტროსი, რომელიც მონასტრის აგებამდე გარდაიცვალა. აქვეა დასაფლავებული გრიგოლ ბაკურიანის ძე. ძველი ნაგებობებიდან ერთადერთია ეს შენობა, რომელმაც თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენს დრომდე. იგი თავისი მოხატულობით ახლაც ანცვიფრებს მნახველებს. ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილ წარმომადგენელთა პორტრეტებთან ერთად მოთავსებულია ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდელის, გრიგოლ ბაკურიანის ძისა და მისი ძმის აბაზის ფრესკები.

დაღუპვამდე სამი წლით ადრე გრიგოლ ბაკურიანის ძემ დაამთავრა მონასტრის აგება. შესწირა სოფლები გლეხებითურთ, საძოვრები, ზვრები, სათივზაო ტბა, წისქვილი და სხვა მრავალი, დაუმკვიდრა დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება. ყოველივე ამით მატერიალურად უზრუნველყო იგი. ამას გარდა, რაც მთავარია, მან მონასტერს ქართულ და ბერძნულ ენებზე შეუდგინა სამონასტრო წესდება, ანუ „ტიბიკონი", რომელიც XI ს. II ნახევრის საქართველოს, ბულგარეთისა და საბერძნეთის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო წყაროა. ჩვენამდე მოაღწია ტიბიკონის XIII ს. გადაწერილმა პირებმა. ეს არის ერთადერთი საეკლესიო ტიბიკონი, რომელმაც სრულად მოაღწია ჩვენამდე. იგი შედგენილია ბერძნულ და ქართულ ენებზე. იურიდიული ძალა ჰქონდა ბერძნულს. ტიბიკონში გრიგოლ ბაკურიანის ძემ განსაზღვრა მონასტერში მოღვაწე პირთა ერთვნება, რაოდენობა, ცხოვრების წესები და დაადგინა წინამძღვრად გრიგოლ ვანელი. ტიბიკონში რამდენჯერმეა აღნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული, რომ ახლად დაარსებული სავანე ქართულია და ქართველთა-ვის არის განკუთვნილი. მონასტერში არსებულა სემინარია, რომელიც ამზადებდა 6 მსმენელს. მათ განსწავლიდა ერთი სწავლული ბერი, რომელიც გამოირჩეოდა ზნეობითა და პირადი ღირსებით, როგორც ეს აღნიშნულია ტიბიკონის ტექსტში. მეცნიერები აღიარებენ, რომ იქ სწავლა იყო ქართულ ენაზე. მკვლევარ ლ. პტის მიაჩნია, რომ: „ეს სემინარია არის ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა". სემინარიის მუშაობას 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თვალსაჩინო ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით პეტრიწონელი შეერქვა. იოანე პეტრიწმა თარგმნა იოსებ ფლაბიოსის „წიგნი ჰურიისა" (15 წიგნი), იოანე სინელის „კლემაქსი" ან „კიბე" ლექსად. ფილოსოფიური მწერლობის დარგში - ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვს კაცისა" და პროკლე დიადოხოსის „კაშირნი ღმრთისმეტყველებითნი". განსაკუთრებით აღსანიშნავია ის კომენტარები, რომელიც მან პროკლე დიადოხოსის შრომას დაურთო. იოანე პეტრიწმა შექმნა ქართული ფილოსოფიური აზროვნება, შესაფერისი ფილოსოფიური ენა, ტერმინოლოგია და სტილი. ეროვნული კულტურის ისტორიაში მას თავისი შემოქმედებით საპატიო ადგილი უჭირავს. ამ სკოლიდან იოანე პეტრიწს გარდა XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეთაგან აღსანიშნავია დავით პეტრიწონელი.

XII ს. დამდეგს იოანე პეტრიწმა დატოვა მონასტერი და სამშობლოში დაბრუნებულმა სამოღვაწეოდ გელათის აკადემიას მიაშურა.

ანა კომნინის ცნობით, პეტრიწონი საქართველოს მეფის გაგრატ VI-ის ასულის მარიამ დედოფლის, - იმპერატორ მიხეილ VII-სა და ნიკიფორე III-ის მეუღლის საკუთრებას წარმოადგენდა.

1363 წ. თურქებმა აიღეს ფილიპოპოლი, ხელთ იგდეს მონასტერი და გაძარცვეს.

XVII ს. განახლდა მონასტრის მთავარი ტაძარი და სატრაპეზო, რომელიც მოხატეს შიგნითაც და გარეთაც. სატრაპეზოს ერთ-ერთ კედელზე, საპატიო ადგილას, გრიგოლისა და მისი ძმის აბაზ გაკურიანის ძეთა პორტრეტებია მოხატული.

XIX ს. 80-იან წლებში მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ. დიდხანს გრძელდებოდა ამ მონასტრისათვის დავა ბერძენთა და ბულგარელთა შორის, რომელიც 1894 წელს დამთავრდა იმით, რომ სავანე საბოლოოდ ბულგარელთა ხელში გადავიდა.

დამუშავებულია თ. ენუქიძის
მიერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

„ეგრეთ ჰბრწყინენეს ნათელი
თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხ-
ილონ სახელი თქვენნი კეთილნი
და ადიდებდენ მამასა თქვენსა
ზეცათასა". (მათე 5 - 16).

XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თანავარსკვლავედში განსაკუთრებული ადგილი უკავია გაბრიელ ქიქოძეს, - სასულიერო მოღვაწეს, უკეთილშობილეს და უგანათლებულეს პიროვნებას.

1849 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მაგისტრი ბრუნდება საქართველოში, სადაც იწყებს ნაყოფიერ და დაუღალავ მოღვაწეობას. მიუხედავად პირადი ტრაგედიისა (მას თითქმის ერთდროულად დაეხოცა შვილები და სიყვარულით შერთული ცოლი) იგი სულიერად არ დაცემულა, დაასრულა მეცნიერული ნაშრომი და სიკვდილის დღემდე ასრულებდა მოძღვართ-მოძღვარის მძიმე და საპატიო მოვალეობას.

ახალგაზრდა გაბრიელი წირვას ისე არ გაუშვებდა, თუ შესაფერ სიტყვას არ იტყოდა ქართულ ან რუსულ ენაზე. მისმა საეკლესიო ორატორულმა ხელოვნებამ თავიდანვე მიიქცია ყურადღება. გავა ხანი და მას უწოდებენ „ღრმად მოწევნილ მეცნიერს" (ი. ჭავჭავაძე) და „მსოფლიოში სახელგანთქმულ მქადაგებელს" (მ. ჯანაშვილი).

გაბრიელის ქადაგება ხიბლავდა ადამიანს, ატკბობდა ყურთა სმენას და აღწევდა გულის სიღრმემდე. იგი ხალხში ნერგავდა მაღალ ქრისტიანულ ზნეობას, ღმერთის სიყვარულს, მტკიცე რწმენას, მშვიდობას, სიყვარულს მოყვასისადმი.

მისი ქადაგებები ითარგმნა ინგლისურ ენაზე 1867 წელს და თეოლოგთა ყურადღება მიიქცია არა მარტო ქადაგებათა აგების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯადოებელი ძალით, არამედ აზრის სიღრმით, მაღალი ზნეობით, ეთიკური იდეალებით, რომლებიც ჩაქსოვილი იყო თითქმის ყველა ქადაგებაში.

მას უყვარდა მყუდრო, მოკრძალებული, ბერული ცხოვრება, მაგრამ თუ საჭირო იყო, აქტიურად ერეოდა მეფის გენერალ-გუბერნატორთა უსამართლო გადაწყვეტილებებში და თავისი ავტორიტეტით ბევრჯერ შეუკვეცია მათი თავგასულობა, დაუცავს უბრალო, მშრომელი კაცის ინტერესები. იქცეოდა ისე, როგორც შეეფერებოდა ეპისკოპოსს - „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმა კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის" (იოანე 10 - 11). ბევრჯერ მიიღო ფარული ანგარიშგასწორების მუქარის წერილი, მაგრამ ჩვეული თავგანწირვით ემსახურებოდა ქვეყანას. „მთელი მისი სიცოცხლე იმის სამსახურში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის-ცემითა და მადლის ფენითა" (ი. ჭავჭავაძე, ტ. 2, 1952, გვ. 542).

ცნობილია მისი შეუპოვარი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც განუსჯელად, „მეცნიერულად ასაბუთებდა" ქართული ენის უვარგისობას და მისი დაღუპვის გარდუვალობას, ვინც უარყოფდა პეტრიწის, გიორგი მთაწმინდელის და რუსთაველის ენას.

გაბრიელ ეპისკოპოსის წმინდა ცხოვრების ნათელი მაგალითია მისი სამისიონერო მოღვაწეობა, რის შედეგად ბევრი აფხაზი ისლამიდან ქრისტიანობაზე მოექცა და ამით ოსმალეთისადმი ორიენტაციაზე თქვა უარი.

სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად გაბრიელი ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. 1855 წელს მან დაასრულა თავისი კაპიტალური ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" (რუსულ ენაზე) და იგი გამომცემლობას გაუგზავნა. პეტერბურგის აკადემიის კონფერენციაზე გაბრიელის თხზულება მიიღეს და წიგნი გამოიცა 1856 წელს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წიგნი 60-70-იან წლებში ფსიქოლოგიის ერთადერთ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა რუსეთის სასულიერო სემინარიებში.

წიგნს მაღალი შეფასება მისცეს რუსეთის როგორც სასულიერო, ასევე საერო ჟურნალ-გაზეთებმა.

კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორებს ისე მოსწონებიათ წიგნი, რომ სტუდენტ იაკობ გოგებაშვილს თხოვდნენ მოეთხრო რაც იცოდა „ფსიქოლოგიის" ავტორის შესახებ. „პროფესორებმა გაბრიელში დაინახეს მრავალმხრივი გონებით დაჯილდოებული და ძლიერი, აქტიური ნებისყოფის პიროვნება, აღჭურვილი ყველა მონაცემებით ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის„" წერს ი. გოგებაშვილი (თხზულებანი, ტ. 3, გვ. 44).

ღრმადმეცნიერულმა თხზულებამ, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, აღიარება პოვა არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. „თვით გერმანიაში, ამ მართლა ფილოსოფოსთა სამშობლო მხარეში, დიდი ყურადღება და პატივი დაიმსახურა ამ თხზულებამ" („კვალი", 1896, №8).

„დიდმა საბჭოთა ენციკლოპედიამ" თავის ფურცლებზე საპატიო ადგილი დაუთმო გაბრიელ ქიქოძის დამსახურებას ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აზროვნების წინაშე.

დღეს, როცა კაცობრიობა მოწმეა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენებისა, როცა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დიდი მატერიალური დოვლათი მოუტანა ადამიანს, იგი მაინც უკმაყოფილოა, რადგან დაკარგული აქვს შინაგანი მშვიდობა და სიხარული, რაც ესოდენ აუცილებელია ადამიანის გენიერებისათვის. გენიერებისათვის მარტო მატერიალური კეთილდღეობა არ კმარა. ადამიანის სულს გააჩნია ღვერთისა და ახლობლის სიყვარულის, ლოცვის, სიკეთის ჩადენის მოთხოვნილება. ადამიანი წინ არ უნდა აღუდგეს ამ მოთხოვნილებებს, პირიქით, მათი დაკმაყოფილება მან ჩვევად უნდა გადაიქცეს. აი, რას წერს გაბრიელ არქიმანდრიტი: „რატომ ეჩვენება ბევრს მოსაწყენად ეკლესიაში დგომა? რატომ ეძნელება ბევრს ქრისტიანულ მოვალეობათა შესრულება? იმიტომ რომ, ისინი არ ჩაუკვირდენ საკუთარ სულს, არ ასწავლეს საკუთარ თავს სათნოება, არ განიცადეს სიკეთის შესაძლებლობანი" („ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", გვ. 211, რუსულ ენაზე).

ქრისტიანული ქველმოქმედების შესრულების შემდეგ ჩვენი სული განიცდის კმაყოფილებას და სიხარულს. „სიკეთით მიღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამოვნებაა სწორედ ნებისყოფის საფუძველია, ქრისტიანული ზნეობის არსი".

გაბრიელი „ფსიქოლოგიის" მეხუთე თავში განიხილავს რელიგიურ გრძნობებს: რელიგიურ სიხარულს, რელიგიურ წუხილს, რელიგიურ სიყვარულს და რელიგიურ ფანატიზმს.

რელიგიური სიხარული ეუფლება ადამიანს მაშინ, როცა მას არ ტანჯავს სინდისის ქენჯნა, თუ მის გულში არ იბრძვის ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები.

რელიგიურ წუხილს იწვევს სინდისის ქენჯნა, სულის ტანჯვა - წუხილი, საკუთარი თავის მიმართ გამოტანილი მკაცრი სასჯელი.

რელიგიური სიყვარული გამოიხატება ღმერთის, მოყვასის და თავის თავის მიმართ სიყვარულში. ყველაზე დიდი სიყვარული ღმერთის სიყვარულია. ღმერთის სიყვარული ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანის სულს.

რელიგიური ფანატიზმის მიმართ არქიმანდრიტი გაბრიელი ამბობს, რომ იგი შეიძლება დაეუფლოს ისეთ ადამიანს, რომელსაც გააჩნია ცუდი მიდრეკილებები: ღვარძლი, სიბოროტე, მრისხანება, და სურს ეს ცუდი თვისებები რელიგიური ჯავშნით შენიღბოს. ფანატიზმი დამახასიათებელია არაჭეშმარიტი რელიგიისათვის, რომელსაც არ შეუძლია ადამიანის სულის დამშვიდება.

გაბრიელი ლოცვას მიიჩნევს ფსიქოლოგიურ მოვლენად და აღნიშნავს: „ლოცვა ზოგადად არის ღმერთის წინაშე სხვადასხვა გრძნობათა გამოთქმა სიტყვებით ან ოდნავ შესამჩნევი შეგრძნებებით". ლოცვის დროს ყველას ეუფლება ერთი რამ: ქრება გულიდან და გონებიდან ცუდი, უკეთური აზრები. ადამიანი თავს გრძნობს უკეთესად და მზად არის აპატიოს მტერს, დაივიწყოს ყოველგვარი წყენა.

ცხადია, შეუძლებელია ამ პატარა წერილში სრულფასოვნად აღვნუსხოთ ამ თხზულების მეცნიერული ღირებულება და მით უმეტეს ავტორის ღრმადშინაარსიანი, უმწიკვლო, ქრისტიანული ქველმოქმედებით სავსე ცხოვრება.

მის გარდაცვალებას ქართველი ერი დიდი მწუხარებით შეხვდა. დაკრძალვის დღეს, 1896 წლის 10 მარტს, ჭეშმარიტად ეროვნული გლოვა გაიმართა გელათის წმინდა სავანესთან, სადაც მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავს ბევრი მდუღარე ცრემლი დაეპკურა მოხუცის თუ ახალგაზრდის, კაცის თუ ქალის, თავადის თუ გლეხის თვალთაგან გადმოღვრილი.

იმდროინდელი ქართული პრესა დიდი ხნის განმავლობაში აშუქებდა მის ღვაწლს და ამაგს.

„იშვიათია რომ ამ საუკუნის მეორე ნახევარში იმოდენა ღვაწლი შეეტანოს კაცობრიობის სარწმუნოების, განათლების და ზნეობის სალაროში, რავდენიც ყ - ლ სამღვდელო გაბრიელს" - აღნიშნა სამგლოვიარო სიტყვაში დეკანოზმა ერმალო კანდელაკმა.

„ჰოი, მნათობო და დიდებავ ქართველი ერისავ! შენ ის ღრმა მეცნიერი ხარ, რომელმაც თავისი მეცნიერული თხზულებით „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" ააღაპარაკე წარჩინებულნი მწერალნი ევროპისანი და მოიხვეჭე სახელი მაღალი მოაზროვნე კაცისა!" - („კვალი").

ამ სიტყვებში გამოხატულია საქართველოს როგორც სასულიერო ასევე საერო საზოგადოების უღრმესი სიყვარული და პატივისცემა ქრისტეს სჯულის მქადაგებლის, მეცნიერის და ჭეშმარიტი მამულიშვილის მიმართ.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ი. ჭავჭავაძე, ტ.2, 1952.
2. ი. გოგებაშვილი, ტ. 3, 1954.
3. ს. სხირტლაძე, წერილები, 1977.
4. მ. კელენჯერიძე; გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთაისი, 1913.
5. ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, 1959.
6. „კვალი", 1896, №№ 5 - 8 - 12.
7. „მნათობი", 1943, № 7.
8. Гаврил архимандитр. Основания опытной психологии. Спб. 1856.

9. Добролюбов Н.А. Избранные философские произведения. Москва, 1948, т.I.

10. "Исторический вестник", 1896, т.IXIУ.

თ. კუბლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ი რ ი ო ნ II

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა."[1]

ილია ჭავჭავაძის ეს ბრძნული სიტყვები კარგად მიესადაგება სამშობლოსათვის თავგანწირული მოღვაწის – გიორგი საძაგლიშვილის (კირიონ II) პიროვნებას, რომელმაც მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება ქართველი ერის დიდებისათვის ბრძოლის საქმეს მიუძღვნა. კირიონი იყო როგორც ბრწყინვალე სასულიერო მოღვაწე, ისე გამოჩენილი მეცნიერი – ისტორიკოსი, არქეოლოგი და არქეოგრაფი, ბიბლიოფილი და ბიბლიოგრაფი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. იგი, თავისი ხალხის სახელოვან წინაპართა მსგავსად, თავგამოდებით იცავდა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი, ყოველმხრივ ზრუნავდა ხალხთა შორის მშვიდობის, ძმობისა და მეგობრობის დამყარებისათვის.

კირიონ II, გაბრიელ ეპისკოპოსის მსგავსად, იმ დიდბუნებოვან მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებსაც დიდი ილიას თქმით, „ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება..."; თითეული წამი ასეთი ადამიანების ცხოვრებისა „მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის", ერთად კი – მთელი მათი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, წიგნი I, 1975, გვ. 203.

და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა[1]; ასეთ მამულიშვილებს ერი ყოველთვის აფასებს, რადგან ხალხმა კარგად იცის, რომ „ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი შვა და თავისი ძუძუთი გაზარდა"[2].

ეს შეფასება რომ გადაჭარბებული არ არის, კარგად ჩანს ხარკოვში მყოფ ქართველ სტუდენტთა მიერ 1908 წელს საქართველოდან გასახლებული კირონისადმი გაგზავნილი წერილიდან:

„უფალო კირონ! თქვენ ხართ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებული; ყოველი თქვენი მოქმედება აღბეჭდილია ხალხისადმი განუზომელ მზრუნველობით; თქვენი განუშორებელი ფიქრია საყვარელი სამშობლოს კეთილ-დღეობა, რომლისთვისაც არ ზოგავთ ძალ-ღონეს, მზად ხართ შესწიროთ თვით სიცოცხლეც კი... სამშობლოს ტკივილი თქვენ ტკივილად გაქვთ მიჩნეული, მისი ნეტარება თქვენ ნეტარებად; ყოველ თქვენ მოქმედებაში, სურვილში თუ ტოლვილებაში მუდამ ის გამოსჭვივის თუ რა წვლილი შეიტანოთ ჩაგრულთა სანუგეშებლად და რა ილონოთ დამჩაგვრელთა დასამხობად... ხალხისადმი ამნაირ განუსაზღვრელ სიყვარულით და მზრუნველობით აღფურვილი დაშორდით ამ ქვეყნიურ ყველანაირ სიამოვნებას და აღიკვეცეთ ბერად... მიტომ რომ უფრო მეტი დრო გქონოდათ ნაყოფიერ მუშაობისათვის... როდესაც რევოლუციამ იფეთქა და ჩაგრულთა ხმა დაუმაღლავად შეიქმნა, მაშინ თქვენ უარესად აღიმაღლეთ ხმა და თავისუფლების მოძრაობისაკენ სიხარულით გაეშურეთ, რადგან მასში ხედავდით საერთოდ ჩაგრულ ხალხთა აღდგენას და კერძოდ თქვენი ქვეყნის მძიმე მონობის უღლიდან განთავისუფლებას; მაგრამ რა ჩანელდა რევოლუცია, თქვენ, როგორც ერთი საუკეთესო მფარველი ქართველი ერისა, გახდით მსხვერპლი გამძვინვარებულ რეაქციისა...

...გაძლევთ პირობას, რომ თქვენი მიწაწყლის ახალვაზრდა

---

1 ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ორტომეული, წიგნი I, 1975, გვ. 226.

2 ი ქ ვ ე, გვ. 216.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები, თქვენი უმცროსი ძმები, თქვენთან ერთად გაილაშქრებენ საერთო მტერზედ და მტრის შემუსვრით ააყვავებენ გათელილ კუთხეს და ჩაგრულ ერს; ვინატრით, რომ მალე, სულ მალე, მტერი შემუსვრილიყოს, ჩაგრული ერი განთავისუფლებულიყვეს და ჩვენ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მინიჭებოდეს, თქვენ კი მის პირველ მმართველ კათალიკოსად გვენახოთ"[1].

ამ წერილიდან გასაგები ხდება როგორც ის, თუ ვინ იყო კირიონი და რა იმედებს ამყარებდა მასზე მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება, ისე ისიც, თუ რითი იყო გამოწვეული მისი დევნა მეფის მთავრობის მხრით, დევნა, რომელმაც კირიონის ცხოვრების გზა ნამდვილი წამების გზად აქცია. კირიონმა დიდებით განვლო ეს გზა; მან თავისი ჯვარი ბოლომდე ღირსებით ატარა.

*

* *

კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი) დაიბადა 1855 წლის პირველ იანვარს, გორის მაზრის სოფ. ქვემო ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში[2]. გიორგის მამა – იერონიმე მოსეს ძე მისიონერად მუშაობდა მთიულეთში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ მთიელთა და ოსთა კულტურულ-საგანმანათლებლო გათვითცნობიერების საქმეში. დედა გიორგისა – დარია ფავითის ასული, ბუნებით სათნო და ყოველივე ეროვნულის მოსიყვარულე ადამიანი ყოფილა. გიორგის პაპის-პაპა გაბრიელი – ისტორიული პიროვნება, ეკლესიის მოძღვარი იყო, ხოლო პაპის-პაპის- პაპა ბესარიონი – მე-18 საუკუნის გამოჩენილი მისიონერი – მოღვაწეობდა დიდოელთა, ინგუშთა და ქისტებს შორის.

გ. საძაგლიშვილმა დაწყებითი განათლება მიიღო თავისი მამის მიერ დაარსებულ ანანურის საეკლესიო სკოლაში. 1862 წელს შედის ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1876 წელს ამთავრებს თბილისის

---

1 საქართველოს ცსა არქივი, ფონდი 1458, საქ. 153, ფურც. 1.
2 ცსა, ფ. 489, აღწ. 6. საქმე №1083, წიგნი II, სააქტო №1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარიას და სწავლას აგრძელებს კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელსაც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით 1880 წელს ამთავრებს და ინიშნება ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წელს ჩამოდის საქართველოში და 1896 წლამდე მუშაობს თელავის, გორის, ქუთაისის და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად და ზედამხედველის თანაშემწედ (1894 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელშიც). ასწავლიდა: ქართულ და რუსულ ენებს, საღმრთო ისტორიას, რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას და სხვ. 1896 წელს, ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ, გ. საძაგლიშვილი აღიკვეცა ბერად და გახდა ქვა თახევის მონასტრის წინამძღვარი. როგორც ხარკოველი ქართველი სტუდენტები ზემოთ მითითებულ წერილში სწერდენ, თავისი ერის, ხალხისადმი განუსაზღვრელი სიყვარულითა და მზრუნველობით აღფურვილი იმიტომ კი არ დაშორდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, რომ კარიერა შეექმნა და ფუფუნებას მისცემოდა, არამედ იმიტომ, რომ „მეტი დრო ჰქონოდა მშობლიური ქვეყნის სამსახურისათვის“...

1898 წელს გ. საძაგლიშვილი აკურთხეს ეპისკოპოსად ალავერდის კათედრაზე, 1901 წლიდან კი ინიშნება გორის საეპისკოპოსოს მეთაურად. სწორედ აქედან იწყება გ. საძაგლიშვილის – ეპისკოპოს კირიონის, ქართველი ერისა და მისი ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის აშკარა დევნა, შევიწროება და, ბოლოს, გადასახლებაც.

1902 წელს ეპისკოპოს კირიონს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში ნიშნავენ ხელმძღვანელად, 1903 წელს გადაჰყავთ ხერსონში, იქიდან, 1904 – ორიოლის ეპარქიაში, 1906-ში სოხუმში, ხოლო 1907წლის ზამთარში კვლავ რუსეთში – კოვნოს ეპარქიაში... 1908-1914 წლებში იგი რეპრესირებულია, ჩამორთმეული აქვს სასულიერო ტიტული და, ყანდარმერიის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, თავი შეფარებული აქვს რუსეთის სხვადასხვა მონასტერში.

1914 წლის 23 მაისს კირიონი ხერსონიდან წერილს უგზავნის რუსეთის იმპერატორს, სადაც იგი მოითხოვს პოლიციის მეთვალყურეობიდან განთავისუფლებას.[1] ამ წერილში იგი რუსეთის იმპერა-

---

1 სცსა, ფონდი 1458, საქმე 155, გვ. 1-2.

ტორს აცნობს თავის წარსულს, მოუთხრობს, რომ კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1880 წლიდან 1898 წლამდე, მსახურობდა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში, ხოლო შემდეგ იყო ეპისკოპოსად ალავერდში, გორში, ბალტიის, ნოვომირგოროდის, ორლოვის, სევსკის, სოხუმის, კოვენსკის ეპარქიათა მეთაურად. იაპონიასთან ომის პერიოდში, ორლოვში, წითელი ჯვრის ფონდისათვის მის მიერ შეგროვებულ იქნა 67000 მანეთი, რისთვისაც ორჯერ მიიღო მადლობა იმპერატორის მეუღლისაგან; აქვე ჩამოაყალიბა 30 საწოლიანი საავადმყოფო-ლაზარეთი დაჭრილი მეომრებისათვის, რომელიც შემდეგ საკუთარი სახსრებით (დაუჯდა 11700 მანეთი) გადააკეთა ეკლესიის მოხუც მსახურთა თავშესაფარად, რომელსაც, კირიონის პატივსაცემად, როგორც იშვიათ მოვლენას, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით დაერქვა კირიონოვსკი. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, როცა თითქმის ყველგან შეწყდა სასულიერო სემინარიებში სწავლა, კირიონის თაოსნობით მის ეპარქიაში შენარჩუნებული იქნა ორლოვის სემინარია. მის მიერვე გაერთიანებული იქნა ორი - მანამდე მტრულად განწყობილი - ნიკოლსკის და პეტრე-პავლოვსკის ძმობა, რომელთა შეკავშირება მანამდე ბევრმა სცადა, მაგრამ ვერ განახორციელეს.

შემდეგ,- განაგრძობს კირიონ II, - იგი სრულიად დაუსაბუთებლად დაითხოვეს სამსახურიდან და სცხოვრებლად მიუჩინეს ხარკოვის ახლოს კურიაჟის მონასტერი. აქ ჩამოსვლისას, იმის გამო, რომ ხარკოვში მყოფმა სტუდენტებმა იგი ერთხელ მოინახულეს, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მასზე დააწესა პოლიციის განსაკუთრებული, კიდევ უფრო მკაცრი, შეთვალყურეობა. ამას დაემატა, 1908 წელს, საქართველოს რუსი ეგზარქოსის, - არქიეპისკოპოს ნიკონის მკვლელობა და კიდევ ახალი „ბრალდება", - თითქოს კირიონი ამ პერიოდში საქართველოში ყოფილიყოს და გადაცმულს მონაწილეობა მიეღოს მკვლელობაში. ამ „დანაშაულის" შესამოწმებლად, სინოდმა თბილისში სპეციალურად გააგზავნა თავისი წარმომადგენელი, რათა შეეკრიბა მასზე ცნობები და ეს მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მღვდელმსახურებმა კარგად იცოდნენ (და ბოლოს დაადასტურეს კიდეც), რომ იმ დღეებში კირიონი მონასტერში იმყოფებოდა და საეკ-

ლესიო ლიტურგიაშიც მონაწილეობდა. ბოლოს, რომ ვერაფერი დაუმტკიცეს, ბრალად ის მაინც დასდეს, თითქოს იგი იცნობდა იმ პირებს, ვინც მოკლა ეგზარქოსი. ამის გამო, იგი, ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ჟანდარმერიის თანხლებით, გადაასახლეს ტამბოვის გუბერნიის სანაქსარსის მონასტერში. აქ იგი ერთ ცივ და ნოტიო ოთახში მოათავსეს და მიუჩინეს სამეთვალყურეოდ პოლიციელები.[1]

იმის შემდეგ, რაც თბილისის სასამართლო პალატის გამოძიების შედეგები გადაეცა კავკასის მთავარმართებელ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს და წმინდა სინოდს, და დადასტურდა, რომ საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის არც საქართველოს სასულიერო წოდებას და არც კირიონს, კირიონი გაათავისუფლეს სანაქსარის უდაბნოს მონასტრიდან და ხერსონის მონასტერში გაგზავნეს (იქ იგი 1915 წლამდე კვლავ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო). თავის წერილში კირიონი რუსეთის იმპერატორს თხოვს, გაათავისუფლონ იგი ჟანდარმერიის მეთვალყურეობისაგან, აღადგინონ უფლებებში და ნება დართონ საქართველოში წამოსვლისა, რათა შესაძლებლობა მიეცეს გააგრძელოს თავისი როგორც სასულიერო, ისე სამეცნიერო-არქეოლოგიური მოღვაწეობა.

ამ თხოვნის შედეგად, 1915 წელს, კირიონს ეპარქიის მმართველობის უფლება აღუდგინეს, სამშობლოში დაბრუნებაზე კი უარი უთხრეს. მას პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს და იმპერატორისავე 1915 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოეს[2].

---

1 ამ დევნამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ბელგიიდან „ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის“ თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანმა 1909 წლის 10 მარტს ბრიუსელიდან სახელმწიფო სათათბიროს სთხოვა დაეცვა ეპ. კირიონ II წამებისაგან, მაგრამ, როგორც კირიონის თხოვნიდანაც ჩანს, ვერც საზღვარგარეთის და ვერც შინაურმა გამოსარჩლებამ ვერ შეუმსუბუქა მას მდგომარეობა. მ. ჯანაშვილი, „კირიონი“, თბ., 1917, გვ. 2.

2 ცსსა, ფონდი 1458, საქ. 156, ფ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირიონი მხოლოდ 1917 წელს, რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, დაბრუნდა მშობლიურ საქართველოში, სადაც მას ირჩევენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

*

* *

კირიონის შემოქმედებით მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს მშობლიური ქვეყნის ისტორიას. მის საარქივო მასალებში მრავლადაა დაცული ისტორიულ-არქეოგრაფიული ხასიათის ხელნაწერებიც და მათი ბეჭდური გამოცემებიც. ამ შრომების დიდი ნაწილი, რომელიც დაწერილია რუსულ ენაზე, მონოგრაფიული ხასიათისაა და მათი უმეტესობა ეხება ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის საკითხებს. ამათგან აღსანიშნავია ნიქოზისა და ვალის ეკლესიების აღწერები, მასალები ქართველ განმანათლებლებზე, საეკლესიო მამულების ექსპროპრიაციაზე იმერეთსა და გურიაში, ქართული ეკლესიის ისტორია, ცნობები საფარის, მცხეთის სამთავროს მონასტრებისა და ზარზმის ეკლესიისა და იქ დაცული ოქრომჭედლობისა და სხვა სახის ძეგლთა შესახებ, მასალები ახალციხის საფაშოზე ეს მასალები ასევე ეხება არქეოლოგიური გათხრების მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისათვის, ხირსის მონასტერს, ახტალის მონასტერსა და მის შემოგარენს, ხევის მისიონერის გ[illegible]არიონ ფავლენიშვილის ცხოვრებას, აფხაზეთის ქრისტიანთა მდგომარეობას, საკრამულის ეკლესიას, ქრისტიანობის გავრცელებას ოსეთში, ქართული საეკლესიო გალობის საწყისებს, აღსანიშნავია კირიონის კრიტიკული შენიშვნები მ. თამარაშვილის წიგნზე - კათოლიკობა საქართველოში, წერილები პლატონ იოსელიანზე, ლაზების წარმოშობის საკითხზე, ციხე-გალავნებისა და ეკლესია-მონასტრების კედლებიდან გადმოღებული წარწერები და მათი კომენტარები... უმრავლესობა ზემოთ მითითებული ნაწერებისა შექმნილია რუსეთში კირიონის გაძევების დროს.

კირიონის არქივში დაცულია ვრცელი მეცნიერული ნარკვევი კიევ-პეჩორის მამათა ცხოვრებიდან („ლიტერატურნი პერვოისტოჩნიკ კიევ-პეჩორსკოგო პატერიკა"), ისტორიული ცნობები ვიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გსკის სასულიერო სემინარიის შესახებ, მისი წინამძღვრობის პერიოდის რუსეთის სხვადასხვა ეპარქიების ანგარიშები, კირიონის მიერ იქ წარმოთქმული სიტყვები და სხვ. აქვეა ერთი მეტად საყურადღებო ნაშრომიც: „ხერსონის ქართული მონასტერი" (საქმე № 5), რომელიც კირიონს მომზადებული ჰქონია გამოსაცემად და რომლის შესახებაც დღევანდლამდე ქართველმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის. ამ ნაშრომის თავფურცელზე კირიონის შემდეგი წარწერაა: „ნე პეჩატატ დო უმერტვია მოეგო" (ჩვენ გადავწყვიტეთ მისი გამოქვეყნება). ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში", რომელშიც მოცემულია უაღრესად საინტერესო ცნობები რუსი დაქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის[I].

აღსანიშნავია, რომ კირიონის თითქმის ყველა ნაბეჭდი შრომა, რომელიც პირველწყაროებზეა შექმნილი, მეტწილად, ჩასწორებულია ავტორის მიერ და მათთან ერთად დაცულია ამ წიგნებში გამოუქვეყნებელი მდიდარი საარქივო მასალები, მრავალია ისეთიც, რომლებიც დღევანდლამდე ცნობილი არაა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როდესაც კირიონი ეხება „ქრისტეს ჯვრის მტერთაგან გაწეწილ და წამებულ" (მისი გამოთქმაა) საქართველოს ისტორიის საკითხებს, იგი თავის სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, მონოგრაფიებსა, ნარკვევებსა და წერილებში, კარგად გრძნობს ქართველი ერის სულიერი დაკნინების მთავარ მიზეზებს; ფაქტებზე დაყრდნობით აანალიზებს მოვლენათა ავსა და კარგს. როცა ქვეყანა დაპყრობილ მდგომარეობაშია, ასეთ პირობებში, მიუთითებს კირიონი, მას მუდმივ თანამგზავრად სდევს გადაგვარებულ ადამიანთა მხრიდან მკრეხელობა, შური, მექრთამეობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი უკანონობა, გიწიერება, საბოლოო ანგარიშით კი ქვეყნის დაცემა და დაკნინება.

I სხვათა შორის კირიონის არქივში დაცულია XVIII-XIX სს. გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, ასტრახანის მთავარეპისკოპოსის გაიოზის (ბარათაშვილის) მონოგრაფიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერი, მისი ხალხი, მოაგონებს კირიონი მკითხველს, რომელიც საუკუნეების მანძილზე თავდადებით იგერიებდა სხვადასხვა მხრიდან შემოსეულ მტრის ურდოებს და უდრტვინველად ითმენდა ქრისტეს „ჯვრის სიმძიმეს“ და მის „მოწამეობრივ გვირგვინს“; ისტორიულ გმირებს და სამშობლოსათვის წამებულებს („ყოველად ქებულ ზეციური მოძღვრებით მოსილთა კაცთა და ქრისტესათვის თავდადებულთა მებრძოლთა, ყოველთა აღმატებულთა თავიანთ თანამედროვეთა შორის“) ყოველთვის ქებათაქებას უძღვნიდა და უკვდავყოფდა მათ სახელს.

ამ თვალსაზრისითაა შედგენილი მისი ნაწარმოებები, რომლებიც დაიბეჭდა რუსულად და ქართულად „ე. კ.“ ფსევდონიმით: „ამბავი დავით გარეჯის უდაბნოსი“, „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა (საკვირველ მომქმედისა ანტონ მარტმყოფელისა)“, „წმიდა მოწამე აბო თბილელი“, „წმინდა დავით IV აღმაშენებელი, მეფე ქართველთა“ და სხვ.[1]

თავის თხზულებებში ავტორი ყველგან იყენებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ, იმ დროისათვის უცნობ, სხვადასხვა ენაზე არსებულ როგორც ბეჭდურ, ისე საარქივო წერილობით წყაროებს.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ საქართველოს ისტორიის საკითხებზე ის მრავალმხრივ საინტერესო პუბლიცისტური წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა არა მარტო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ესენია: „ქართული აპოკრიფები“, „ანანურის ტაძრის აღწერა“, „პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ“, „1492 წლის ბჭობა ისნის სასახლეში განდგომილების აღმოჩენის გამო“, „1334 წელს გიორგი ბრწყინვალის დარბაზობა ცივზედ“, ქართული კულტურის შექმნისა და საქართველოსადმი დაღატის საკითხები, „ბაგრატ III მეფობა“, ლიპარიტ

---

[1] ჩვენს მიერ აღნუსხულია კირიონის – გიორგი საძაგლიშვილის შემდეგი ფსევდონიმები: „ლიახველი გიორგი“, „ლიახველი“, „საძაგელოვი“, „ივერიელი“, „ნიქოზელი“, „ე. კ.“, „სასოებაძე“, „ბერი“, „თანამემამულე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბელიანის განდგომა ბაგრატ მეფის წინააღმდეგ, დიდგვარიანთა გრძოლა დავით აღმაშენებლის დროს, ორბელიანთა ამოწყვეტა 1177 წელს, თამარ მეფის დრო, ამირსპასალარის ივანე მხარგრძელის ღალატი ჯალალ-ედინის შემოსევის დროს, ქართველი მთიელები და გიორგი V ბრწყინვალის დადგენილებათა განმარტებანი, ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების საკითხი, პასუხი რუსეთის ეპისკოპოსის დიმიტრის წერილზე - გურიაში მოძრაობისა და საქართველოს შესახებ და სხვ.

კირიონის მოღვაწეობაში საპატიო ადგილი უკავია ასევე ძველი ხელნაწერი წიგნების მიკვლევისა და მათი კომენტირების საკითხებს. ამიტომ იყო, რომ კირიონი ჯერ კიდევ 1897 წელს, ქვათახევის წინამძღვრობის დროს, აირჩიეს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად, ხოლო ორი წლის შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური საზოგადოების წევრად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კირიონის თანამშრომლობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. მის მიერ შეწირული ხელნაწერები დღესაც ამშვენებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებს.

გარდა სასულიერო ხასიათის წიგნებისა, კირიონი დიდი მონდომებით აგროვებდა და სწავლობდა ოჯახებში დაცულ საერო წიგნებს („ვეფხისტყაოსანი", „ქართლის ცხოვრება" და სხვ.). კირიონს თითქმის არ დარჩენია საქართველოში კუთხე, სადაც არ მოეძიოს და სათანადო განძთსაცავისათვის არ ჩაებარებინოს როგორც წერილობითი, ისე სხვა სახის ისტორიული განძი (ძველი მონეტები, საეკლესიო და საერო ძვირფასი ნივთები). მარტო ერთ ჯერზე არქიმანდრიტმა კირიონმა ქვათახევიდან ჩამოიტანა 96 ცალი ხელნაწერი და ჩააბარა თბილისის საეკლესიო მუზეუმს, რომლის ერთ-ერთი პირველი საძირკველის ჩამყრელი და ხელმძღვანელი თვითონვე იყო. ამ ხელნაწერებში, აღნიშნავდა „ივერია", იყო მეთერთმეტე საუკუნის სახარება და მეთხუთმეტე საუკუნის დავითნი[1]. ასეთივე ძვირფასი ხელნაწერები ჩამოიტანა მან კახეთიდან, ქართლიდან, მესხეთიდან...

---

1 გაზ. „ივერია", 1898 წ., 21 აგვისტო, №179, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, კირიონი საკუთარი სახსრებით იძენდა ძველ ხელნაწერებს და გადასცემდა მუზეუმს დასაცავად.

დიდია კირიონის ღვაწლი ქართული კულტურის სიძველეთა გადარჩენის საქმეში. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიული და კულტურის ძეგლთა დაცვისა და მათი გამოყენების საქმეს (ისე გახმაურდა კირიონის მოღვაწეობა წერილობითი ძეგლების დაცვის თაობაზე, რომ ბერლინის უნივერსიტეტის რექტორმა კირიონს წერილობით სთხოვა შეედგინა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგი და გაეგზავნა უნივერსიტეტისათვის). შემთხვევითი არც ის იყო, რომ 1902 წელს კირიონმა მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება და ნებართვა ეცხოვრა დავით გარეჯის მონასტერში, ან წასულიყო იერუსალიმში ქართული ხელნაწერების შესასწავლად[1] (შემდგომ წლებშიც ითხოვდა ნებართვას ათონის მონასტერში სამოღვაწეოდ გასამგზავრებლად). კირიონიასევე დიდი მონდომებით აგროვებდა ძველ ბეჭდურ წიგნებს და გადასცემდა შეწირულების სახით წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავს და სხვა ბიბლიოთეკებს.

ღირსსახსოვარი ფაქტია აგრეთვე ისიც, რომ კირიონმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა საკუთარი მდიდარი კოლექცია (წიგნები, ხელნაწერები, ძველი მონეტები, სიგელ-გუჯრები და მდიდარი საარქივო მასალა) და ბიბლიოთეკა. აი, რას სწერდა იგი თავის უახლოეს მეგობარს ტ. კანდელაკს: „...ერეკლე მეფის ნაწერი პატარა ჩარჩოში გააკეთე და ისე გადაეცი მუზეუმს..., გარდა ჩემი საშინაო სურათების ალბომისა, ძველი სურათები..., ადრესები, ხატები, ხელნაწერები, ქაღალდში გახვეული პატარა ქაღალდის ნაჭრებზედ დაწერილი ოსური სიტყვები დ. ჭონქაძისაგან დაწერილები, და, საზოგადოდ, რაც სამუზეუმო აღმოჩნდეს, ყველა წამოიღე მუზეუმისათვის გადასაცემად. ...ქალაქში სოსოსთან (იგულისხმება იოსებ ჩიჯავაძე, - ვ. გ.) რომ ყუთია გახსენ და იქიდან ამოიღე მუზეუმისათვის გადასაცემად (ჩამოთვლილია ნივთები, - ვ. გ.) ...გადაეცი აგრეთვე მუზეუმს ეგზარ-

---

1 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., 10 ივნისი, № 1833, გვ. 1.

ხოსის სახლის და კანტორის შენობის კუპიები, იულონ ბატონიშვილის მარჯნის ტარიანი კოვზები, კანდიდატური თხზულებები მამინაიშვილისა და გიორგაძისა, რემინგტონზე დაწერილი, გრიბოედოვის ხელნაწერი „გორე ოტ უმა“, საქმეები შუამთისა და ალავერდისა. სტუდენტებს რომ გადავაწერინე ხელნაწერები პეტერბურგში (ისინი ან ნიქოზში იქნებიან - ყუთებში ან მაგ ყუთშია), ეგენიც გადაეცი“[1].

ინსტიტუტის არქივში დაცულია კირიონისადმი საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების 1911 წ. 5 დეკემბრის მადლობის წერილი მუზეუმისათვის ამ მდიდარი მასალის გადაცემის გამო[2].

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ კირიონმა 1904 წელს, მისივე წყალობით პეტერბურგში სასულიერო აკადემიასთან დაარსებულ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრას, ქართული კულტურის ამ ახალ კერას, გადასცა 97 იშვიათი წიგნი, აქედან 67 საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე ქართულად, ხოლო 27 რუსულ ენაზე... არა ერთი ქართული სკოლა გაახარეს კირიონმა და იაკობ გოგებაშვილმა საჩუქრად წიგნების გადაცემით.

სიძველეთა დაცვის საკითხებთანაა დაკავშირებული ის ინტერესი, რომელსაც იჩენდა კირიონი საარქივო დოკუმენტებისა და არქივების მიმართ. აი, რას წერს იგი თავის ერთ-ერთ წერილში: „რომ არქივის მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულის მხრით, ამას ჩვენ დროში უარს არავინა ჰყოფს. არქივი არის მართალი მატიანე მოღვაწეებზედ და მათ მოქმედებაზედ. მისი პირით ღაღადებს თვით ჭეშმარიტება. აქ მუზა ისტორიისა... ნამდვილი ძალით სწერს თავის განაჩენს საზოგადოებებზედ და მათ წარსულ მოღვაწეობაზედ. არქივის თვალით გვიცქერიან ჩვენ ჩვე-

---

1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კირიონის საარქივო ფონდის №1535, საქ. №1105. (შემდგომში, ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ფონდისაგან განსასხვავებლად მივუთითებთ: „ინსტიტუტის ფონდი“).

2 ი ქ ვ ე, საქ. №29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნნი წინაპარნი და მისი შემწეობით შეგვიძლიან თვალი გადავავლოთ ჩვენ მათ მოქმედებას და ღვაწლს... ცხადია, მისი წესიერად დაცვა უნდა შეადგენდეს მთავრობის უპირველეს მოვალეობას და სამუდამო ზრუნვას"I.

დაცული მასალებით ირკვევა, რომ კირიონს შესწავლილი აქვს მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კამენეც-პოდოლსკის, ხარკოვის, კიევის, ხერსონის, ორიოლის, კოვნოს არქივებსა, მუზეუმებსა, მონასტრებსა და საჯარო ბიბლიოთეკებში დაცული წერილობითი დოკუმენტები. სხვა ხელნაწერებთან ერთად, მაგალითად, მას სინოდის არქივსა და საჯარო ბიბლიოთეკაში მიუკვლევია „კალმასობის" გაგრძელება და სხვა მასალები. იგი, ამავე დროს, კარგად იცნობდა არქივების ისტორიას მსოფლიო მასშტაბით, აგურის ფილებიდან (ლურსმული დამწერლობიდან) დაწყებული ჩვენს დრომდე. „ქართლის ცხოვრება" და გუჯრები, წერს კირიონი, გვიმოწმებენ, რომ, ისე, როგორც სხვა კულტურულ ქვეყნებში, ჩვენს სამშობლოშიც არსებულა არქივები; რომ მარტო მცხეთის ტაძარში ინახებოდა 7000-ზე მეტი იშვიათი ხელნაწერი. ასევე ითქმის ქართლ-კახეთის, იმერეთის, მესხეთის თუ სხვა კუთხის ეკლესია-მონასტრებზე. „ვიცით, რომ თბილისში იყო სამეფო და საეკლესიო არქივები, დიდის გულდადებით შეგროვილი მეფეების სასახლეში და... მონასტრებთან, მაგრამ ისინი გახდნენ ცეცხლის მსხვერპლად აღამაგომედხანის შემოსევის დროს"2.

კირიონი აღწერს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში რუსულ ყაიდაზე 1817 წელს ჩამოყალიბებული პირველი არქივის - საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის არქივის (მასში დაცული იყო წინა საუკუნეების მასალებიც) ისტორიას, მის უმწეო მდგომარეობას ბინისა და მომსახურე პერსონალის მხრივ. „არქივი ეხლა მოთავსებულია სახლში, რომელშიაც იმყოფებოდა ზარაფხანა და მდებარეობს მტკვრის ნაპირას. არქივი უსუფთაოდ ინახება ძველ რაფებზე. საქმეების პოვნა მეტად ძნელია... არც ერთი

I საისტორიო არქივი, ფონდი 1458, საქ. 19, გვ. I.

2 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე თავის ადგილას არა ძევს. თვით არქივში მუშაობა ყოვლად შეუძლებელია... განათება და ელექტრონზე მეტია ლაპარაკი. ვენტილაცია შიგ არ არის და არც წყალია გაყვანილი... ეს უფრო საკუჭნაოს წარმოადგენს, ვინემ სამეცნიერიოდ მომარჯვებულ სამუშაოდ სამეცნიერო დაწესებულებას. არქივთან არ არის არც ერთი თავისუფალი სამეცადინო ოთახი და ძნელია კაცმა მიიღოს არქივის შესასწავლად საქმეები. ამაში მე თვითონ დავრწმუნდი..."[1]. კირიონი მიუთითებს თელავისა და გორის სასულიერო სასწავლებლების არქივებზე, რომლებიც დიდად დაზარალებულან უკანასკნელ პერიოდში მომსახურეთა დაუდევრობის გამო. აღნიშნავს თავად-აზნაურთა ოჯახებთან (თარხან-მოურავების, ჩოლოყაშვილების, ფალავანდიშვილების, ანდრონიკოვების, ამილახვრების, თუმანიშვილების და სხვ.) არსებულ არქივებს, რომლებშიც, გარდა ხელნაწერი წიგნებისა, ინახებოდა სიგელ-გუჯრები, მზითვების სიები და სხვ.

როდესაც კირიონის წიგნი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში" გამოვიდა, რუსეთის სწავლულები მეტად დაინტერესდნენ და უკვირდათ, სად მიაკვლია ამდენ საარქივო მასალებსო. მათ არ იცოდნენ, რომ მის ავტორს წლების განმავლობაში უხდებოდა არქივებსა და მუზეუმებში მუშაობა და საჭირო დოკუმენტების გამოვლენა. „სამი დღეა, რაც მოსკოვიდან დავბრუნდი, - სწერდა კირიონი 1905 წლის 6 ნოემბერს პოლ. კარბელაშვილს, - იქ ვიპოვნე არხივში ძვირფასი მასალები - მიწერ-მოწერა ჩვენ მეფეებთან მე-XVI-XVII საუკუნეებში შესახებ მხატვრების და ოსტატების გამოგზავნისა რუსეთში. ჩვენს საეკლესიო მოღვაწეებს მეტად დიდი ფასი ექნება ..."[2]. ამ ამონაწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ კირიონი დიდ ყურადღებას აქცევდა მხატვრობასა და არქიტექტურას.

„ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის ეშობლურ სიძველეს, - სწერდა კირიონი ხერსონის მუზეუმის დამაარსებელს ვ. გოშკევიჩს, - და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავისი წინაპრების

---

1 იქვე.

2 სსცა, პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, №1461, საქ. 254, ფ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა ღირსეული მემკვიდრეა,- შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია...

ისევე, როგორც შეუძლებელია ანბანის ჯარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიადი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის"[1].

კირიონის სახელთანაა დაკავშირებული, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მრავალი ისტორიული ძეგლის რესტავრაციის საქმე. ამ მიმართებით ჩატარებული ღონისძიებისათვის მას, ჯერ კიდევ 1893 წელს, მადლობა გამოეცხადა სასულიერო მთავრობისაგან. ძველი ტაძრების აღდგენისათვის 1898 წელს კირიონმა შეიმუშავა თავისებური გეგმა, რომელმაც საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა...

კირიონის უშუალო მონაწილეობით შეკეთდა: ჭლავერდის ტაძარი, შუამთისა და ქვათახევის მონასტრები, ნაწილობრივ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი, სოფ. რუისის და სხვ. ეკლესია-მონასტრები. ამ საშვილიშვილო საკითხს მიუძღვნა მან არა ერთი კორესპონდენცია.

მის ღირსეულ წინაპართა მსგავსად, კირიონს სჯეროდა, სწამდა, რომ: „ხელი მწერლისა ლეგეონი, ხოლო ნაწერი მისი ჰგიებს უკუნისამდე"; რომ „მშრომელთა ხელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშთების"; რომ „მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს".

კირიონი ასევე დიდ ინტერესს იჩენდა ენის, ლიტერატურისა და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი. მის პირად ფონდში დაცულია შეტად საინტერესო მასალები (საქმე №171). იგი რუსეთში ყოფნის დროსაც აგრძელებდა მუშაობას ქართული ფოლკლორის საკითხებზე. დიდი ნაწილი მის არქივში შემორჩენილი ნიმუშებისა მის მიერაა შეკრებილი. აქვე ვეცნობით, რომ კირიონისავე დავალებით შემდგარი ყოფილა სპეციალური კომისია (გრ. დიასამიძე, გრ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი), რომელსაც „თანახმად

---

1 ხელნაწერთა ინსტიტუტი, №1535, საქმე №47, რუსულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მეუფების (კირიონის, – ვ. გ.) აზრისა" დიდმნიშვნელოვან და საჭირო საქმედ მიუჩნევია „შეკრება იმ ქართულის სიტყვებისა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იხმარება და ჯერ არ არიან ანუსხულნი ქართულსა ლექსიკონებში". კომისიას თავის პირველ სხდომაზე გამოუტანია ვანაჩენი (დადგენილება), რომლის მიხედვით საჭიროდ უცვნიათ: „I. შესდგეს დაწვრილებითი პროგრამა თუ როგორ და რანაირად შეკრებილ იქნან სიტყვები; 2. დაიბეჭდოს ცალკე ყოვლად სამღვდელო კირიონისა და რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი სიტყვები". აქვე მითითებულია, რომ ამ საქმეში უნდა ჩაებან ადგილებზე ქართული ენის კარგი მცოდნენი; რომ პრესა დიდად გამოეხმაურება ყველას მიერ გაწეულ ამაგს; ფოლკლორის შემკრებთ „გაეგზავნებათ პროგრამა და დაბეჭდილი სიტყვები კირიონისა და რაზიკაშვილის მიერ შეკრებილნი და, ... თანახმად ყოვლად სამღვდელო კირიონის დაპირებისა, მიეცემათ გასამრჯელოდ შაური თითო იმისთანა სიტყვაში, რომელიც ლექსიკონში არ არის და რომელიც წინათ სხვას არავის წარმოუდგენია" (დასახ. საქმე, გვ. I).

კირიონის არქივში დაცულ და პრესაში „სასოებაძის" და სხვ. ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ფოლკლორულ მასალებში ვხვდებით ლეგენდებს, ხალხურ ლექსებს, ჩანაწერებს „ხატობაზე", სტუმარ-მასპინძლობაზე, ნადირობაზე, გლეხკაცზე, ქართველ ქალებზე... აბრეშუმის ჭიაზე. მეტად საინტერესოა კირიონის მიერ აღნუსხული ქართული საბოტანიკო ლექსიკონის მასალები (მისსავე მშობლიურ სოფელ ქვემო ნიქოზში ჩაწერილი), სხვადასხვა სიტყვების განმარტებები. ეს ჩვენგან შეკრებილი სიტყვები, – მიუთითებს კირიონი, – ნაპოვნი ჩვენს ხელნაწერებში, დამატებაა იმ „სალექსიკო მასალისა", რომელიც დაიბეჭდა „ძველი საქართველოს" მეორე ტომში (I046 სიტყვა განმარტებებით, გვ. 3–27). აქვეა ანბანზე დალაგებული და გამოსაცემად მომზადებული ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები – „ქართული ანდაზები და გამოცანები", სატრფიალო, სამამულიშვილო, საგმირო, საბავშვო, საოჯახო, საღხინო, საოხუნჯო ლექსები და შაირები. დიდ ყურადღებას იმსახურებს კირიონის მიერ შედგენილი და ასევე დასაბეჭდად გამზადებული „ბრძნული აზრები", რომელიც 303 გამონათქვამს შეიცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება.

კირიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიურ ლიტერატურას, მუსიკას, არქიტექტურას...

„ქართული პოეზია, - წერს კირიონი, - მაღალია ვით კავკასიონი და ანკარა როგორც მთის წყარო". იგი „ვეფხისტყაოსანს", - ამ გუმბერაზ და გენიალურ ქმნილებას, ადარებდა იალბუზს, სხვა დაბალ კავკასიის ქედებთან და მწვერვალებთან შედარებით...

როდესაც გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთ მიმბაძველთა და მკრეხელთა წყალობით „დაზიანებული ადგილის" აღდგენის საქმეში, მის მიერ მიკვლეული ერთ-ერთი ხელნაწერთან შედარების საფუძველზე, იგი 1904 წლის ყოველკვირეულ ჟურნალ „მოამბის" მე-5 ნომერში წერდა: „ჩვენ შეძლებისა და გვარად გვსურს შევიტანოთ ჩვენი წვლილი სამშობლო ლიტერატურის ტრაპეზზედ" და გამოვთქვათ ორიოდე სიტყვით მცირეოდენი შენიშვნა, ისე, როგორც გავაკეთე 1895 წლის „იმერეთის" 93-ე ნომერში. კირიონის ეს ნაშრომი, მიუხედავად მისი ასე თავმდაბლური განცხადებისა, წარმოადგენს რუსთველოლოგებისათვის მეტად საინტერესო მასალას[1].

ასევე საყურადღებო წერილები უძღვნა კირიონმა ქართულ გალობა-მუსიკას. 1894 წლის 21 ივნისის გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში" იგი წერდა: „როგორც ხალხის მხატვრული ისტორიის ცოცხალი მატეანე, მუსიკა წარმოადგენს სარკეს, რომელშიც რელიეფურადაა ასახული მისი შემქმნელი ერის განვლილი ცხოვრება, მისი ისტორიის სასიამოვნო და სამწუხარო ფურცლები, მისი მიღწევები და ჩამორჩენები. სიმღერა - მოუსყიდველი მოსამართლე და უუდმივი თანამგზავრია სიმართლისა ... მასში დაცულია ხალხის მთელი წარსული დროის თავდადება, მისი სურვილები, ტრადიცია, რომელშიც ერთ მთლიან თხრობადაა გადმოცემული ქართველი ხალხის უძველესი თაობებისა და მოვლენების დაუწერელი ისტორია, მშობლიური ხალხის თავგადასავალი"[2].

---

1 ჟურ. „მოამბე", 1904 წ., № 5, გვ. 20-39.

2 გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1894 წ., 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, კირიონის ყურადღების ცენტრშია ქართული ანბანის წარმოშობა, სასულიერო წიგნების გადმოთარგმნის ისტორია, აგიოგრაფიული ნაწარმოებები და ქართული ლიტერატურის ისეთი საკითხები, როგორიცაა: „გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი", „ვეფხისტყაოსნის" ახალი ვარიანტი", ი. დ. სულხანიშვილის საგვარეულო წიგნსაცავში ნაპოვნი ა. ს. გრიბოედოვის „გორე ოტ უმას" ახალი ნუსხა, სიტყვიერების თეორია (გრ. ყიფშიძესთან ერთად გამოსცა ეს წიგნი) ლიტერატურული ნიმუშების დართვით, ქართული „დაბადების" ტექსტის მეცნიერული გამოცემა (1899 წელს „დაბადების" ტექსტის შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ეპისკ. კირიონი), უცხო სიტყვების ხმარება ქართულ ენაში და სხვ. მის პირად ფონდში დაცულ და ნაწილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ამ ნაშრომებს გარდა კირიონს განხილული აქვს სხვადასხვა ავტორთა აზრი ქართულ ენასა და ლიტერატურულ საუნჯეზე, გამოთქმული აქვს თვალსაზრისი გერძენ-რომაელთა მწერლებზე, ქართული სიმღერების ტექსტებსა და თვით მწერლისა და კორესპონდენტის წერის მანერისა და ტაქტის საკითხებზე.

მეტად საინტერესო აზრი აქვს კირიონს გამოთქმული მშობლიური ენის შესახებ:

„დედა-ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი...

მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას"[1].

*

* *

მშობლიური ენის, ზნისა და, საერთოდ, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უპირველეს დამცველად კირიონს მიაჩნდა ოჯახი და

---

1 გაზ. „ივერია", 1904 წ., № 35, წერილი: „უცხო სიტყვების ხმარება ქართულ ენაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მთავარი ბურჯი: დედა სახლისა. ამიტომ იყო, რომ მას მეტად აწუხებდა დროებას აყოლილი ქართული ოჯახის, განსაკუთრებულად ქართველი დიასახლისის ბედი. იგი ქართველ ქალში ხედავდა ერის ბედნიერებისა და ყოველივე ადამიანური სიკეთის დამცველ მთავარ ძალას, ქვეყნის გადამრჩენელს. „ძველად ქართველი ქალი დედაც იყო, დიასახლისიც და მასწავლებელიც, - წერს კირიონი. ქმარი მხედრობდა, ლაშქრობდა, ომობდა სარწმუნოებისა და მამულის დასაცავად. ცოლი შრომობდა შინ, უვლიდა სახლს, კარმიდამოს და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, ხმალსა და ხანჯალსაც ირტყამდა და, ქმრის შინ არ ყოფნის დროს, ავაზაკად და საძარცვად მოსულს ავკაცს, მტერს გმირულად უხვდებოდა, არ აკლებინებდა სახლ-კარს... ამგვარი გმირი ქალები არ აკლდა სოფელს. იგინი იბადებოდნენ გლეხის სახლშიაც, კეთილშობილთა დარბაზშიაც და მეფეთა სასახლეშიც„[1].

დედა ზრდიდა და ასწავლიდა თავის შვილებს, ასწავლიდა მათ მშობლიურ ენას, წერა-კითხვას, გალობებს, უკითხავდა წიგნებს, უხსნიდა წეს-ჩვეულებებს, უნერგავდა მათ კაცთმოყვარეობას, გმირობას... ამ მიმართებით სოფლად იყო სპეციალური საკრებულოებიც ბავშვთა განათლების მისაცემად, სადაც ქალები ოსტატების როლს ასრულებდნენ. „ზოგი ასეთი ოსტატი ქალი, განაგრძობს კირიონი, ფრიად განთქმული იყო და დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა გარეშემო მცხოვრებ მკვიდრთა შორის“[2]. სამწუხაროდ, განაგრძობს კირიონი, განსაკუთრებით ბარში, ამგვარ დიასახლისებს ველარ შეხვდებით, ზოგმა საოჯახო საქმეებიც დაივიწყა, აღარც ბალ-ვენახის მოვლა, აღარც ჭრა-კერვა და ქსოვა... აგვარდა დაბა-სოფლად დიასახლისობა; ოსტატი ქალი რომ აღარსად არის, საოსტატოც შეიივიწყა ხალხმა. ქსოვის მაგიერ ნაქსოვს ყიდულობენ, კერვის ბადლად შეკერილს იძენენ, ბოსტნეული რა არის, ისიც-კი ზოგიერთ სოფლელებს ქალაქიდან მოაქვთ...

---

1 გაზ. „იბერია“, 1902, 3 დეკემბერი, №259, გვ. 2.
2 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა თუ შვილს ვერ ასწავლის ღვიძლს ენას და სამშობლოს სიყვარულს, წიგნს და წერა-კითხვას, მისი აღზრდილი ვერ შეიკერავს, ვერ მოიქსოვ'ს, ვერ მოუვლის სახლს, - აბა ამისთანა არსება როგორ გამოადგება სამშობლოს, - წერს კირიონი.

კირიონის გულისტკივილი მიმართულია იქითკენ, რომ, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით გადაგვარებულ საქართველოსა (სადაც ისტორიის მთელ მანძილზე განმსაზღვრელ როლს ასრულებდა „ქართველის დედა" და ქართული ოჯახი) და ქართველი საზოგადოებრიობისათვის ეგრძნობინებია ერის ტრაგიკული მდგომარეობა; რომ საჭიროა ქართველ ქალს გაუნათლოთ გონება, გამოვზარდოთ იგი ტრადიციის ურყევ პრინციპებზე, მივხედოთ მისი სწავლა-განათლების საქმეს, დავუბრუნოთ და აღვუძრათ სიყვარული როგორც ოჯახისადმი, ისე საზოგადოებრივი - ეროვნული მოვალეობისადმი და, საბოლოო ანგარიშით, შევქმნათ სათანადო პირობები იმისათვის, რომ ქალმა - თანასწორთა შორის თანასწორმა - დაიცვას თავისი უპირველესი მოვალეობა ქმრისადმი, ოჯახისადმი, ერისადმი და, საერთოდ, კაცობრიობისადმი, როგორც მეუღლემ, დედამ, მამულიშვილმა და ადამიანმა, - ყველაზე უძვირფასესმა არსებამ დედამიწაზე.

პრაქტიკულად კი კირიონი, თავისი სიცოცხლის მთელ მანძილზე, საქართველოშიც და რუსეთშიც, დაუცხრომლად იღწვოდა ქალთა სკოლების შექმნისა და მათი ნორმალური მუშაობისათვის. მისი დახმარებისა და უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იყო სკოლები ქართლში, კახეთში, საინგილოში და სხვ. როგორც იმდროინდელ პრესაში, ისე კირიონის საარქივო ფონდში დაცულია არაერთი გულთბილი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევდა სკოლებს (საინგილოში - კახის ქალთა სკოლას, ქვემო ნიქოზში - მის მიერ დაარსებულ სკოლას, ვანათის სამრევლო და სოფ. აწევის ხევის სკოლას... პოლოცკის ქალთა სასწავლებელს, რომლის გამგეობის ხელმძღვანელთაგან, განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენისათვის, კირიონისადმი გამოგზავნილი მადლობის წერილებიც კია დაცული).

*

* *

კირიონი თავისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შუაგულში იდგა. ამით აიხსნება ის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც მის არქივშია დაცული. ეს მიმოწერა იმდენად ვრცელია, ეხება მაშინდელი ცხოვრების იმდენად მრავალმხრივ საკითხებს, რომ კირიონის, როგორც სასულიერო-საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის სიდიადეში დასარწმუნებლად მარტო მისი გაცნობაც იკმარებდა.

გარდა კირიონის მიერ გაგზავნილი წერილებისა, არქივში მრავლადაა შემონახული მისადმი გამოგზავნილი ბარათები, დეპეშები, მოსაწვევები, მოლოცვები, მადლობები, სხვადასხვა ხასიათის თხოვნა (დაეხმაროს თემის შერჩევაში და გაუწიოს ხელმძღვანელობა, გააცნოს ამა თუ იმ საინტერესო საკითხზე არსებული ლიტერატურა, მიუთითოს წერილობით წყაროებზე, შეატყობინოს თავისი აზრი ამა თუ იმ წიგნზე). ადრესატები მას უზიარებენ თავიანთ აზრს, შთაბეჭდილებებს სხვადასხვა მოვლენებზე, ეხმაურებიან ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ კირიონის წერილებსა და კორესპონდენციებს, გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს რუსეთის იმპერიის მდგომარეობაზე და, უმეტესად, იმ მოვლენებზე და საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოსთან.

ამ წერილებში ასახულია იმდროინდელი საქართველოს ყოფა, ქართველი და რუსი ინტელიგენციის სულისკვეთება, საქართველოს და რუსეთის სასულიერო პირთა მოღვაწეობა და, უპირველეს ყოვლისა, თვითონ კირიონის მეტად რთული და ნარ-ეკლით მოცული გზა. ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ მისთვის, ადამიანისთვის, რომელმაც თავისი შინაარსიანი ცხოვრების მეტი ნაწილი გადასახლებასა და მარტობაში გაატარა, ხელი არ შეუშლია ამას დარჩე-

---

I მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კირიონის საარქივო ფონდის (რომელშიაც ძირითადად დაცულია ეპისტოლიარული მემკვიდრეობა) მიმოხილვა გამოაქვეყნა თ. ცაგარეიშვილმა (მრავალთავი, №I, 1971, გვ. 356-392).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილიყო ერის წყლულების დიდ მკურნალად. მისი შეცნობიერული და სხვა სახის შრომები, რომელთა დიდი ნაწილი უცხოეთში დაიწერა, ამის გრწყინვალე დადასტურებაა. იგი, ანტონ II კათოლიკოსის მსგავსად, მოწყვეტილი სამშობლოსგან, ნათესავებისა და ახლობლებისაგან, თავისი გასრი კალმითა და ნაჭით იცავდა მშობლიური ერის კულტურას. „განმარტოება, - სწერდა სანაქსარის უდაბნოში გადასახლებული კირიონი თავის მეგობარს ი. ჩიჯავაძეს, - მასწავლებელია სიბრძნისა, განმარტოება მოთმინების დედაა, განმარტოება მშობელია გმირთა, განმარტოება ცოდვათა აქარვებს, განმარტოება - აკვანია მამულიშვილობისა, განმარტოება - მყუდრო ნავთსაყუდელია, განმარტოება - სამკურნალოა გულისა, განმარტოება კრავს ლომებს, განმარტოება მიზნის მიღწევას აადვილებს"[1].

მისმა „განმარტოებულმა" შრომამ აქცია იგი სწორედ თავისი ერის გმირად; სანაქსარის მკაცრ პირობებში გატარებული წლები მისთვის იყო „მყუდრო ნავთსაყუდელი", რომელშიც შექმნა ყველაზე შესანიშნავი შრომები თავისი ერის ისტორიაში. აქვე დააასრულა თავისი გახმაურებული სქელტანიანი წიგნი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში". სწორედ „განმარტოებაში" გამოამუღავნა კირიონმა არა მარტო თავისი სათაყვანებელი ერის ისტორიის ცოდნა და მისთვის თავდადება, არამედ ნამდვილი სასულიერო მოღვაწის მაღალი სული და ვაჟკაცური შემართება, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. ამ „განმარტოებაში" იქცა იგი გამოჩენილ მეცნიერად, დიდ საზოგადო მოღვაწედ და ქველმოქმედად, „გულისხმიერ მასწავლებლად" (კორნელი კეკელიძე), „ქართული ეკლესიის ყველაზე უფრო სახელოვან და სწავლულ წარმომადგენლად" (აურელიო პალმიერი, -იტალიიდან)[2], დიდ ავტორიტეტად, რომლის უშუალო ზეგავლენით საქართველოს კულტურის ისტორიით დაინტერესდა იმდროისათვის ცნობილი რუსი, უკრაინელი, გერმანელი, იტალიელი მეცნიერები: ნოვოროსიისკის პროფესორი აღექსანდრე ალმაზოვი, ხერსონის მუზეუმის დამაარსებელი ვიქტორ გოშკევიჩი, პეტერ-

---

1 ინსტიტუტის არქივი, საქ. № 360.

2 ი ქ ვ ე, საქ. № 899.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ლეონიდ დმიტრიევი, ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტი, ავტორი წიგნისა „სუდბი გრუზიი“ ნიკოლოზ დურნოვი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ნიკოლოზ პალმოვი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ქართული საეკლესიო ისტორიის პროფესორი ივანე სოკოლოვი, იტალიელი და გერმანელი სასულიერო დარგის მკვლევარები: აურელიო პალმიერი და გუსტავ ბერმანი, პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი და სხვ. ამ ადამიანებთან ურთიერთობის, იმდროინდელი ქართული ეკლესიისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების, მისი ძნელბედობის ამსახველია სწორედ ის მიწერმოწერა, რომელიც კირიონის პირად არქივშია დაცული.

იტალიელი ა. პალმიერი თავის წერილებში ატყობინებს კირიონს, რომ იგი სიამოვნებით გაეცნო მის შრომებს, გამოეხმაურება მათ და დაიწყებს შრომის წერას ბიბლიის ქართული ვერსიების შესახებ. – მე ვსწავლობ ქართული ეკლესიის ისტორიას თქვენი წიგნით, ამავე დროს, პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკაში გავეცანი გამოცემებს „პასტირს“, „დუხოვნი ვესტნიკს“, „კავკაზს“, სადაც ხშირად ვხვდები თქვენს წერილებს და საინტერესო; პალმიერი კირიონს თხოვს, დაეხმაროს მას, ცნობილი გახადოს საზღვარგარეთ საქართველოს დიდება, ქართული ეკლესიის ისტორია.

ასეთი დიდი რეზონანსი შედეგი იყო არა მარტო კირიონის დიდი მასშტაბის საქმიანობისა და მრავალმხრივი მოღვაწეობისა, არამედ, პირველ რიგში, დიდ ნიჭიერებასთან და ბუნებით თანდაყოლილ კვლევა-ძიების დიდ უნართან ერთად, მშობლიური ქვეყნის დიდი სიყვარულისა. სამშობლოსადმი თავდადებამ, მამულიშვილური მოვალეობის უდიდესმა გრძნობამ, ქართლის სოფელში დაბადებულ მკვიდრი აქცია თავისი ერის ერთ-ერთ უპირველეს სულიერ მოძღვრად. მისი გამოთქმა, – მაშინ ჩაითვლები ადამიანად, თუ სამშობლოს სათაყვანებელ ხატად გაიხდი, – მისივე ცხოვრების მთავარი დევიზი, მისი მოღვაწეობის სახელმძღვანელო იყო ყოველთვის.

კირიონის ეპისტოლარულ შემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავს ქართველი მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეთა და მისი ნაცნობ-მეგობრების წერილებს (ა. არუშიძე, გ. ბოლქვაძე, ა. გიორგაძე, პ. კარბელაშვილი, დ. კაჭახიძე, კ. კეკელიძე. ამ უკანასკნელმა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა კირიონს. ი. კერესელიძე, ნ. ლეჟავა, ი. მერკვილაძე, ივ. ნაკაშიძე, ანტ. ნატროშვილი, ლ. ოქროპირიძე, თ. ჟორდანია, ზ. საძაგლიშვილი, ზ. ქიქოძე, ალ. ყიფშიძე, ი. ჩიჯავაძე, ტ. კანდელაკი, ამბ. ხელაია, ალ. ხახანაშვილი და სხვ.).

მეტად ამაღელვებელია წერილები იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც მისი შემწეობით სწავლობდნენ სხვადასხვა სასწავლებლებში. მისი დახმარებით მარტო ორიოლის სასულიერო სემინარიაში 400-მდე ქართველი სწავლობდა[1], ხოლო მისი სტიპენდიით რუსეთსა და საზღვარგარეთ 15 ქართველი სტუდენტი იღებდა სპეციალურ განათლებას[2]. აღარაფერს ვამბობთ ერთდროულ დახმარებაზე, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა ყველასადმი, ვინც თხოვნით მიმართავდა მას.

კირიონი არა მარტო ეხმარებოდა სტუდენტებს, არამედ ხელმძღვანელობდა კიდეც მათ (ნესტორ ლეჟავა, სამუელ ცომაია, კორნელი კეკელიძე, აღექსი გიორგაძე და სხვ.). აი, რას სწერს თავის მასწავლებელს შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე 1902 წლის 18 ოქტომბერს კიევიდან:

„მე გახლავარ ის ადამიანი, რომელიც დღეს თქვენი მოწყალებით კიევის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობ. არ დამავიწყდება ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებოდი მე სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ: სურვილი მქონდა და სემინარიის მხრით საშუალებაც სწავლა გამეგრძელებია, მაგრამ ამ ჩემს სურვილს წინ ეღობებოდა ოჯახური გარემოებანი, სწორედ ამ დროს მოვმართე თქვენს მეუფებას მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებისათვის, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ დღეს, კიდევ ვიმეორებ, უმაღლეს სასწავლებელში ვიმყოფები“[3].

---

1 ინსტიტუტის არქივი, საქ. №811.
2 იქვე, საქ. №1220.
3 იქვე, საქ. №775.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნელი კეკელიძე ამავე წერილით ატყობინებს კირიონს თავის საკანდიდატო შრომის თემას და სთხოვს სათანადო რჩევა-დარიგებას...

„ძველად ებრაელებს, - წერს კ. კეკელიძე კირიონს 1905 წლის 24 მარტს, - ჩვეულებად ჰქონდათ, ყოველნაირ ახალს ანუ პირველ ნაყოფს მადლობის ნიშნად სწირავდნენ ხოლმე ამ ნაყოფის მომცემელ ღმერთს. ამისდა მიხედვით, ნება მიბოძეთ, მეც უმორჩილესად გიძღვნათ პირველი ნიმუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მივყავი თქვენი შთაგონებითა და რჩევით"1. თუ როგორ გაუმართლა მისმა მოწაფემ შემდგომში, ეს ყველასათვის ცნობილია. ასევე სამდურავი არ ეთქმის ქართველ საზოგადოებას ყველა მათ მიმართ, ვინც კირიონის წყალობითა და დახმარებით გაიკვლია გზა და პატიოსნად ემსახურა თავის საყვარელ სამშობლოს.

კირიონის ღვაწლს დიდად აფასებდნენ და მას თავიანთი თანაგრძნობით ყოველთვის მხარში უდგნენ ჩვენი ერის კორიფეები: ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი; მასთან ახლო საქმიანი და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ აღექსანდრე ხახანაშვილს, ნიკო მარს, აღექსანდრე ცაგარელს, ექვთიმე თაყაიშვილს, აღექსანდრე ფრონელსა და მის ძმა გიგა ყიფშიძეს, ეკატერინე გაბაშვილს, სერგო გორგაძეს; ყოველთვის კავშირ-ურთიერთობაში იყვნენ მასთან მისი უახლოესი მეგობრები - ქართველი ეპისკოპოსები: ი. ჩიჯავაძე, ტ. კანდელაკი, პ. კარბელაშვილი და სხვ.

კირიონის ცხოვრების ამსახველ, მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს რუსეთიდან იოსებ ჩიჯავაძისადმი გამოგზავნილი მისი წერილები 1911-1917 წლებში. მაგალითად, 1912 წლის 18 ივნისის წერილში იგი ი. ჩიჯავაძეს ატყობინებს: „ამ დღეებში შესანიშნავი ამბავი მოხდა სევასტოპოლში ზღვაოსანთა შორის. აჯანყებისათვის მომზადებულან და ხმელეთის ჯარის მიმხრობაც დაუწყვიათ. როდესაც ფლოტი ზღვაში გასულა საცურაოდ, ერთი გემიდან ზარბაზანი დაუცლიათ და ამ სიგნალს მოჰყოლია ყველა გემებზე მ ა რ ს ე ლ ი ო ზ ა ს სიმღერა. როდესაც ფლოტი სე-

---

1 ინსტიტუტის არქივი, საქ. № 778ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეასტროპოლში დაბრუნებულა, სასტიკი ჩხრეკა დაუწყვიათ და 600 მატროსი დაუტუსაღებიათ. გამოძიება საიდუმლოდ სწარმოებს და გაზეთები კრინტს არ იღებენ...“ (დასახ. საქმე, გვ. 15).

ჟანდარმერიას, ცხადია, მღვდელ ი. ჩიჯავაძისადმი კირიონის მიერ მიწერილი წერილები მხედველობიდან არ გამორჩენია და მათი ნაწილი ი. ჩიჯავაძისათვის ჩამოურთმევია... „ძალიან მეწყინა, რომ წერილები არ დაუბრუნებიათ შენთვის ჟანდარმებს. რას იზამ: ძალაც მაგათ ხელშია და სამართალიც“ (იქვე, გვ. 17).

1913 წლის 28 იანვარს კირიონი ჩიჯავაძეს ატყობინებს, რომ მას სხვადასხვა კუთხიდან იმდენი წერილები მოსდის, რომ პასუხსაც ვერ აუდივარო.

...„ჩემი ახალი თხზულება: „ლიტერატურნიი პერვოისტოჩნიკ კიევო-პეჩორსკოგო პატერიკა“ ძალიან გაიჭიმა... გაიოზზედაც კარგ მონოგრაფიას ვამზადებ... ახლა სინოდი ვოსტორგოვია და აბა რა სიკეთეს უნდა მოველოდე... ავტოკეფალიას ნუ მიუყრუეთ ყური: მაგისთანა კითხვა სწრაფად არ სწყდება, ხელსაყრელი გარემოებით უნდა ვისარგებლოთ“ (გვ. 19).

„ანგარიში დავკარგე ეს მერამდენეთა ვარ პეტერბურგში. ისევ ისეთი გაცვეთილი ბიუროკრატია, როგორიც იყო. ყველა თავის თავზედ ფიქრობს: ქვეყანა და მასზე ზრუნვა ყველას ფეხებზედ ჰკიდია“ (1913 წ. 27 მარტი, დასახ. საქმე, გვ. 21).

საინტერესოა ერთი ფაქტიც, ვოსტორგოვს, წერს კირიონი, „როდესაც მარტვილში რუსის ბერი ჩააყენებინა, მარტვილიდან მოუპარავს სიძველენი, რომელნიც ინგლისელებისათვის 15000 გირვანქა სტერლინგად (150000 მან.) მიუყიდნია“ (იქვე, გვ. 23).

კიდევ ბევრი საინტერესო და ეპოქის ნიშანდობლივი ამონაწერის გაკეთება შეიძლებოდა კირიონის წერილებიდან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ.

კირიონმა კარგად იცოდა თავისი ქვეყნის სატკივარი და მისი განკურნების საქმეში ერის ისტორიის აღდგენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ბრძენი ლიას მითითებას ისტორიის აღდგენის შესახებ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ახორციელებდა, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მას აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებად, გამხნევებად, აწმყოს გაგებად და წარმართვად, მერმისის სიბნელისაგან ხსნად მიაჩნდა. ამ მიმართებით მან დიდი ამაგი დასდო მშობლიური ერის ისტორიოგრაფიას, რომლის კვლევას მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში საპატიო ადგილი უკავია. სამწუხაროდ, კირიონის არც ეს მოღვაწეობაა დღევანდლამდე შესწავლილი და შეფასებული. საერთოდ, ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან ცოტა რამ იცის ამ გამოჩენილი მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ.

„ტანჯვას კაცი ადვილად იტანს, როდესაც დაბწმუნებულია, რომ მისი ტანჯვა თანამემამულეებს ბედნიერებას მიანიჭებსო", - წერდა კირიონი და ამ სულისკვეთებითიღწვოდა იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომ იქცა იგი ეროვნულ, ხალხის საყვარელ გმირად. მას არც რუსეთში გასახლება გაკვირებია, რადგან მან კარგად იცოდა, რომ მეფის რუსეთის ბიუროკრატია მართლისმთქმელთ ყოველთვის დევნიდა, ასახლებდა, სიკვდილით სჯიდა...

როდესაც რუსეთში გასახლებულ კირიონს სასულიერო წოდება ჩამოართვეს სანაქსარის უდაბნოში გადაიყვანეს და პოლიციის მეთვალყურეობა დაუნიშნეს, მაშინ ყველგან - საქართველოშიც, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც აღიმაღლეს ხმა მის დასაცავად. აკაკიმ თავისი აღშფოთება ასე გამოხატა ი. ჩოჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში: „კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა!.. რაც იმედები მქონდა სულ გამიქარწყლა, მაგრამ ახლა ამაზე გლოვის დრო აღარ არის!.. თავს არ დავზოგავ. წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დავბრუნდები და მტრებს კი აღარ გავახარებ"[1].

ამ გამოსვლებს საქართველოში მეფის ჟანდარმერიის მხრივ მოჰყვა ზოგიერთ ქართველ პატრიოტ-მამულიშვილთა დაპატიმრება (კოტე აბაშიძე, დავით მიქელაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე)[2].

---

1 ინსტიტუტის არქივი, საქმე № 1535.

2 ი ქ ვ ე, საქმე №500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა ხალხმა, მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ საპროტესტო მიმართვა გაუგზავნა კავკასიის მეფის ნაცვალს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვდნენ კირიონის განთავისუფლებას და მის საქართველოში გადმოყვანას, მაგრამ ქართველი ხალხის და მათთან ერთად სხვათა პროტესტებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო...

*

* *

კირიონს უდიდესი ღვაწლი მოუძღვის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. ამ მიმართებით მას ბადალი არა ჰყავს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა კირიონს მიაჩნდა ერის გადარჩენის, მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად.

იმისათვის, რომ ქართულ ეკლესიას დაბრუნებოდა ავტოკეფალია, საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, მისი კანონიერების დასაბუთება. კირიონმა ამ მიზნით მოინახულა როგორც საქართველოში, ისე რუსეთში დაცული ისტორიული საბუთები და მათზე დაყრდნობით დაასაბუთა კიდეც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მართებულობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ ყურადღებას იმსახურებს კირიონის ფონდში დაცული ნარკვევები, მოხსენებები, პეტიციები, ისტორიული ცნობები, სხვადასხვა პირთა მოსაზრებები, აქტები და, რაც მთავარია, კირიონის მეცნიერული ნაშრომები, რომელთაგან აღსანიშნავია: ქართული ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა XIX საუკუნის დასაწყისში, ქართული საეკლესიო გალობა, მოსე ჯანაშვილის წერილის პასუხი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის შესახებ, მართლმადიდებელი საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი რელიგიური ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ, ქართული მონასტრების კულტურული მნიშვნელობა საზოგადოების წინაშე, ნარკვევი დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის ისტორიიდან, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, ეროვნული პრინციპი ეკლესიაში, საქართველოს სამღვდელოების პეტიცია საქართველოს ეკლესი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ავტოკეფალიის შესახებ, საქართველოს ეკლესია და რუსეთის სინოდი, კირიონის ვრცელი „განმარტებითი ბარათი“ სინოდისადმი გაზეთ „კოლოკოლში“ ვოსტორგოვის მიერ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების პასუხად და სხვ. (საქმეები: 6, 25, 27, 30, 49, 51, 56, 62, 173, 174, 180, 187). ამ მასალებში, ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებთან ერთად, მოცემულია ჩვენი ერის კულტურის სხვადასხვა დარგის ამსახველი მეტად საინტერესო ცნობები და ფაქტები; მეცნიერულ ასპექტში დაყენებულია რიგი პრობლემები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ფარგლებს.

კირიონის 50 გვერდიანი განმარტებითი ბარათი 1906 წლის №261 გაზეთ „კოლოკოლში“ დაბეჭდილ ვოსტორგოვის წერილზე წარმოადგენს თავისებურ საბრალდებო დასკვნას როგორც ვოსტორგოვის, ისე იმდროინდელი რუსული ბიუროკრატიული წყობილების წინააღმდეგ (საქმე №180); აქ ნათელყოფილია ვოსტორგოვის დამოკიდებულება არა მარტო კირიონისადმი, არამედ მთლიანად საქართველოსადმი, იქ მაცხოვრებელი ყველა პატარა ერის წარმომადგენლებისადმი[1]. ამ წერილით ვოსტორგოვი წარმოგვიდგება იმდროინდელი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში მრავლად მოკალათებულ ერთ-ერთ ტიპიურ ავანტიურისტ მოხელედ, რომელიც თავისი მოქმედებით შეურაცხყოფს არა მარტო საქართველოს, ქართველ ხალხს, მის კულტურას, მთელ რუსეთს, მის ღირსებას.

რუსეთის იმპერიის პერიფერიებში მმართველად და ხელმძღვანელად მივლენილი კარიერისტი „განმანათლებლები“ ყველაფერს აკეთებდნენ მცირე ერების დასათრგუნავად; ისინი თავიანთი არაადამიანური და არადემოკრატიული „მოღვაწეობით“ შეურაცხყოფდნენ პატარა ერებს და, პარალელურად აღვივებდნენ მტრულ დამოკიდებულებას მათ შორის. ვოსტორგოვის მარტო ის „მეცნიერული მოღვაწეობა“ რად ღირს, რომლითაც ცდილობდა დაემტკიცებია, რომ მეგრელები და სვანები ქართველები არ იყვნენ და ამიტომ საჭიროა მათი სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენის გაძევება, რათა არ გაქართველდენ ისინი...

---

1 ვოსტორგოვის სიტყვებია: „ეჰ. კირიონს ჩავაბრჩობ და მთელ საქართველოს სისხლით მოვრწყავ“ (გაზ. „რეჩი“, 1908, 15 მარტი, №72).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოსტორგოვი (ფსევდონიმით: „კავკაზეც“, „სოხუმეც“, „პრავოსლავნიი რუსკი“) ბრალს დებდა კირიონს იმაში, რომ მისი ბრძანებით ქართულ სკოლებში დაუწყიათ ქართული ენის სწავლება; რომ იგი, თითქოს, ეპისკოპოსად ყოფნისას, სოხუმის ეკლესიიდან ათავისუფლებდა რუს მღვდლებს და მათ ადგილზე ნიშნავდა გაუნათლებელ ქართველებს, მაშინ როდესაც მის დროს სოხუმის ეკლესიაში სულ 12 მსახურიდან 11 იყო რუსი და მხოლოდ ერთი ქართველი და ისიც დიაკვანი; რომ, თითქოს, კირიონი აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს რჩამავდა აფხაზების წინააღმდეგ და მოითხოვდა რუსული ენის მაგიერ, ყველა ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას; უსაყვედურებს კირიონს, თითქოს ის ადგილობრივი სასწავლებლის საბჭოდან ითხოვდა რუს წარმომადგენლებს და მათ ადგილზე იწვევდა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ვოსტორგოვი განსაკუთრებულ ბრალდებას უყენებს კირიონს იმაში, რომ იგი, გრიგორევის სახელმძღვანელოს მაგიერ, რუსული ენის სწავლებისათვის იყენებდა თავისი მეგობრისა და თანამოაზრის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს. კონკრეტულად ცალკე ბრალდებადაა სასწავლებლის საბჭოდან აფხაზი ლაკერბაის განთავისუფლება და მის მაგიერ ქართველის - თავად ა. შერვაშიძის დანიშვნა (მას ისიც არ სცოდნია, რომ შერვაშიძე აფხაზია და არა ქართველი). მსგავსი „ბრალდებებია“ სოხუმში მცხოვრებ ბერძნებთან დამოკიდებულების შესახებ, მაშინ როდესაც მათდამი განსაკუთრებული პატივისცემისათვის, ადგილობრივმა ბერძნებმა არა ერთი მადლობის წერილი გამოუგზავნეს კირიონს. უფრო მეტიც, ბერძნებისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო კირიონმა ნოვოროსიის ბერძენი კონსულის დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ერთ-ერთ ბრალდებაზე, თითქოს კირიონი ცდილობდა აფხაზების გაქართველებას, იგი შემდეგს პასუხობს:

- კირიონის ბრალმდებელმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზები თითქმის ორი ათასი წელია, რაც ქართველთა კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებიან და, საკუთარი დამწერლობის უქონლობის გამო, თითქმის ათასი წელია ქართულ ენაზე უხდებათ ღვთისმსახურება. ისინი ამდენი ხნის განმავლობაში არ გაქართველებულან და როგორ შეიძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ლაპარაკი იმაზე, თითქოს მე შემეძლო ერთ წელიწადში მათი გაქართველება?! მით უმეტესი, დასძენს იგი, რომ აქ მაცხოვრებელი 40,978 აფხაზიდან 20,000 ფანატიკოსი მუსულმანია. ნამდვილი ქართველი, კირიონის აზრით, მოვალეა გაუფრთხილდეს აფხაზურ ენას და აფხაზი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს.

თითქმის იმავე გრალდებებს იმეორებდა ვოსტორგოვი თავის წერილებში: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისათვის", „საეკლესიო სკოლა ამერ-კავკასიაში" (გავიხსენოთ პროფესორ ნ. მარის მკაცრი პასუხი იმ შეურაცხმყოფელ წერილზე, რომელიც დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა წარუდგინა საქართველოს ერზე სინოდს[I]).

კირიონი თავისი მრწამსის გამოსახატავად ყოველთვის მიუთითებდა დავით აღმაშენებელზე, - რომ ისევე უნდა ვცეთ პატივი, ვთქვათ, მუსლიმანებს, როგორც ექცეოდა მათ ჩვენი დიდი წინაპარი. მართალია, მაჰმადიანები ყოველთვის ყასიკვდილად ებრძოდნენ ქართველებს და ყველა ქრისტიანს, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია დიდებული მეფისათვის მეგობრულად მოპყრობოდა მათ, - საქართველოში მაცხოვრებლებს. ამიტომ იყო, რომ, თვით მაჰმადიანი მემატიანეების გადმოცემით, მაჰმადიანები დავითის დროს საქართველოში უფრო მეტ პატივში იყვნენ, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში.

მიბაძავდა რა დიდი წინაპრის მაგალითს, კირიონი ყოველთვის ცდილობდა სომხებთან, ბერძნებთან, რუსებთან, ოსებთან, აფხაზებთან და მუსლიმანებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას და ამას აღწევ ა კიდეც. იგი ყოველთვის ამბობდა: როგორც შენ მოექცევი უცხო ტომის წარმომადგენელს, ისევე მოგექცევა იგი შენ (მეტად ს ინტერესო შრომა მიუძღვნა კირიონმა მუსლიმანური რელიგიის ფუძემდებელს - „მაჰმადი როგორც რეფორმატორი").

კირიონი, აფხაზებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ოსების მდგომარეობას, ზრუნავდა მათი სწავლა-განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამ მიმართებით მეტად

I ნ. მ ა რ ი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა კირიონის შემდეგი წერილები ოსების შესახებ: ი. იალღუზიძის მიერ ქართული ანბანის შემოღების ცდა ოსური წერისათვის და მის საწინააღმდეგოდ შეგრენის რუსული ანბანის შემოღება და ამით წერა-კითხვის საქმის შეფერხება ოსეთში, საღმრთო წიგნების გადათარგმნა ოსურ ენაზე, ოსური ენის სწავლება თბილისის სასულიერო სემინარიაში, ოსეთში ოსურ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების აუცილებლობა, ოსური ფოლკლორის ნიმუშები, ოსთა ზოგიერთი საზარელი ჩვეულება და მასთან ბრძოლა, დღეობები მაღალძუარში, გერის ძვარში და „ძუარების" მნიშვნელობა ოსეთში, ეკლესიების დაცვა-აღდგენის საქმე ოსეთში და სხვ.

ვოსტორგოვი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ამორალური საქციელითაც, ათი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ამიერ-კავკასიაში, როგორც „საეკლესიო სასწავლებელთა ოლქის ზედამხედველი საქართველოს საეგსარქოსოში". იგი, გარდა ზემოთ თქმულისა, მიზნად ისახავდა სკოლებში ყველა საგნის სწავლებას რუსული ენის საშუალებით, – „ესარის უმთავრესი და არსებითი მიზანი სასულიერო სკოლისაო", – ხაზგასმით აღნიშნავდა იგი თავის სტატიაში „საეკლესიო სკოლა ამერ-კავკასიაში".

დეკანოზი ვოსტორგოვი, რომელიც არ იცნობდა საქართველოს ისტორიას, თავისი „მრავალმხრივი მოღვაწეობით" „მეცნიერულად" აშუქებდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ტომთა მდგომარეობას (სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, რუსეთიდან გადმოსახლებული დუხობორები და სხვ.) და მათი სწავლა-აღზრდის საკითხებს. ფაქტიურად კი მათში აღვივებდა ქართველებისადმი მტრულ, არაჯანსაღ დამოკიდებულებას, ცდილობდა, რომ ტომი ტომზე, ძმა ძმაზედ გაწეულიყო სამტროდ.

კირიონი თავის წერილში მიწასთან ასწორებს ვოსტორგოვის ყველა „დებულებას", მის ყველა ცილისმწამებლურ გრაღდებას.

ვოსტორგოვთან დაკავშირებით ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: იმ პერიოდისათვის მასთან ბრძოლა იყო რუსეთის უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. მას სინოდშიც და მეფის კარზეც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი თავისი შოვინისტური მოქმედებით და მოღვაწეობით. საკმარისია გადავხედოთ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორობის პერიოდის საქართველოს საეგზარქოსოს „საქარ-თველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ (გამოდიოდა თბილის-ის სასულიერო სემინარიასთან), რომ დაერწმუნდეთ მის შავრაზ-მელობასა და საერთოდ ქართველ ხალხთან მტრულ დამოკიდებულე-ბაში. დეკანოზი ი. ვოსტორგოვი მარტო ჟურნალ-გაზეთებში მონა-წილეობით და მონარქისტული ფურცლების გავრცელებით არ კმაყო-ფილდებოდა, იგი ხალხში სისტემატურ პროპაგანდას ეწეოდა თავი-სი შავბნელი საქმის სასარგებლოდ. არ ერიდებოდა თავის ნაცად მეთოდებს - სიყალბეს, დემაგოგიას, ავანტურას, მისი ზეპირი გამოსვლები ხშირად ცალკე იბეჭდებოდა კიდეც დიდი ტირაჟით. თბილისში 1905 წელს ჩამოყალიბებული ორგანიზაციის - „წესრი-გის მომხრეთა პარტიის“, (რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ის იყო), საშუალებით აწყობდა მანიფესტაციებს, ლექცია-საუბრებს, რომლებშიც აქტიურად ილაშქრებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-გან-მათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მისი ქადაგებანი, წერილები თუ წიგნები ემსახურებოდა მის „მშობლი-ურ საქმეს კავკასიაში“, - ქართველი მოზარდი თაობის ისე აღ-ზრდას, რომელიც პრაქტიკულად ხორცს შეასხამდა ეკატერინე მეო-რის ლოზუნგს, რომ ყოველი ქართველი კაცის სხეული დარჩენილი-ყო ქართული, ხოლო სული რუსული. ეს იყო რუსეთის „ველიკოდერ-ჟავული“ პოლიტიკის მიზანი.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისადმია მიძღვნილი მთლია-ნად კირიონის ფონდში დაცული საქმე №174. ეს დოკუმენტები იმი-თაც იმსახურებს ყურადღებას, რომ მათში წარმოდგენილია ისტორი-ულ წყაროებზე დაფუძნებული ისეთი მასალები, როგორიცაა პროფ. ი. სოკოლოვის თეზისები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (IV საუკუნიდან 1810 წლამდე), ამავე საკითხთან დაკავშირებით ეპისკოპოს დავითის 1912 წლის ვრცელი ნარკვევი, სტენოგრაფიული ჩანაწერები სინოდის სხდომისა, რომელზედაც განხილულ იქნა ქარ-თული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი (საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი, იმე-რეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, პროფესორები: ნ. მარი, ა. ცაგარე-ლი, ა. ალმაზოვი, ი. ბერდნიკოვი, ნ. სოკოლოვი, მ. ოსტროუმოვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. გლუბოკოვსკი, ნ. ივანოვსკი, ა. ბრილიანტოვი, ი. პალმოვი, პ. მანსუროვი და სამღვდელოების მაღალი რანგის სხვადასხვა წარმომადგენელი, მათ შორის ი. ვოსტორგოვიც).

ეს „ანგარიში" შეიცავს ძვირფას მასალას ქართული ეკლესიისა და კულტურის ისტორიისათვის.

ამავე საქმეში დაცულია აგრეთვე კირიონის მიერ შედგენილი „დღიური" სინოდის 1906 წლის სპეციალური სხდომისა, რომელზედაც ირჩეოდა ქართული ეკლესიის ეგზარქოსის საქმიანობა. აქ მთავარი ყურადღება დათმობილია ეგზარქოსის საქმიანობაში არსებულ სერიოზულ დარღვევებსა და ბოროტმოქმედებებზე, და გამოთქმულია წინადადებები მათ გამოსასწორებლად (კონკრეტულად: საჭიროდ იქნა ცნობილი ქართული ეპარქიების ახლებურად დანაწილება, სასულიერო სასწავლებლების ახალ სასწავლო გეგმებზე გადაყვანა, მასწავლებელთა ცხოვრების პირობებისა და საეკლესიო მმართველობის გაუმჯობესება). აღიარებულ იქნა, რომ ყველა ზემოთ მითითებული და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელი შეიქმნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართულ ეკლესიას მიეცემა ავტოკეფალია.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აქტიური მომხრე იყო მთელი ქართველი ინტელიგენცია დიდი ილიას ხელმძღვანელობით. გარდა იმისა, რომ ამ საკითხზე კავკასიის მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგინეს სპეციალური მოთხოვნა, ილია ჭავჭავაძემ პირადად ინახულა მეფის ნაცვალი და აუწყა, რომ ქართველთა მოთხოვნა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად კანონიერია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს[I].

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას, მღვდელ კალ. ცინცაძის და მღვდელ ანტონ თოთებაძის მიერ, კირიონისა და ლეონიდის მოხსენებათა საფუძველზე, შედგენილი წერილი, თუ როგორი ტაქტიკა უნდა გაატაროს საქართველოს სამღვდელოებამ მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის

I ინსტიტუტის არქივი, საქ. №264, I202, I206, I2I0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში. დოკუმენტებში მითითებულია, რომ იმჟამინდელ ქართულ ეკლესიაში გამეფებულია პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმი და საჭიროა ეკლესია განთავისუფლდეს ამ რეჟიმისაგან; რომ ქართული ეკლესია მთლიანად დამოკიდებულია რუსულ ეკლესიაზე და საჭიროა განთავისუფლება ასეთი დამოკიდებულებისაგან.

ქართული საეკლესიო კულტურის აღორძინება და ამაღლება, კირიონის აზრით, ძირითადად დაკავშირებულია ისეთი ავტოკეფალიის შექმნასთან, რომელიც ქართულ ეკლესიას შესაძლებლობას მისცემს თავისი საქმიანობა მოაწყოს თავისი სურვილისამებრ, ყოველგვარი გარეშე ძალების ჩაურევლად. და მაშასადამე, ივერიის ეკლესიას უპირველეს რიგში უნდა დაუბრუნდეს სრული დამოუკიდებლობა.

საჭიროდ იქნა მიჩნეული ფართო საზოგადოებას გაეცნო ამ მოვლენის მნიშვნელობა, არა მარტო ისტორიული წყაროების მოშველიებით, არამედ, და პირველ რიგში, იმ სასოწარკვეთილი მდგომარეობის აღწერით, რომელშიც იმყოფება ქართული ეკლესია (ეგზარქოსის მხრივ ყოველგვარი ქართულის მოსპობის ცდები, არცოდნა მისი სამწყსო ხალხის ენისა და ლიტერატურისა, წირვა-გალობა არამშობლიურ ენაზე, ღვთისმეტყველების რუსულად სწავლება, სახელმძღვანელოების უქონლობა მშობლიურ ენაზე, რუს პედაგოგთა განათლების დაბალი დონე, ქართველ მასწავლებელთა სიმცირე, საეკლესიო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმისწარმოება რუსულ ენაზე, საქართველოში მცხოვრებ პატარა ერების საარწმუნეობათა იგნორირება, უძველესი ქართული საეკლესიო ტაძრების დაცვის უგულებელყოფა და, საბოლოო ანგარიშით, ქართული ეკლესიის მრევლის ეროვნული და სულიერი დაკნინება).

მსგავსი აზრებია გატარებული საქართველოს სამღვდელოების პეტიციაში (ხელს აწერს ეკლესიის 472 მსახური) სასულიერო მთავრობის მინისტრთა კომიტეტისადმი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ და „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობის" მიმართვაში, საქართველოს ეკლესიის სამწყსოსა და მწყემსებისადმი (საქმე 273).

მხოლოდ რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ შექმნა შესაძლებლობა პრაქტიკულად დასმულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917 წლის 12 მარტს განთავისუფლდა ასი წლის განმავლობაში დამონებული და ქონებრივად გაღატაკებული უძველესი მართლმადიდებელი ქართული ეკლესია (1917 წლის 12 მარტის დღესასწაულს, რომელიც მიეძღვნა სვეტიცხოვლის ტაძარში ავტოკეფალიის გამოცხადებას, კირიონი არ დასწრებია). რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოში გააუქმა საეგზარქოსო, აღიარა საქართველოს ეკლესიის გამოყოფის ფაქტი და დაამტკიცა მისი მართვის დროებითი წესიც.

*

* *

ამიერიდან, როგორც 1917 წლის ჟურნალ „სვეტიცხოვლის" მოწინავე წერილში ვკითხულობთ, საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება ისტორიულად დაუკავშირდა რუსეთის რევოლუციის მსვლელობას. „რევოლუციის გაძლიერება აღამაღლებს და საბოლოოდ გაათავისუფლებს ჩვენს ეკლესიას, რადგანაც წარმოუდგენელია დემოკრატიულ-ხალხისნური მართვა-გამგეობა, რომელიც არ გულისხმობდეს ფართო თვითმმართველობას ცხოვრების ყოველ დარგში... მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის დამარცხების დღე იქნება დღე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასამარებისაც".

1917 წლის 17 სექტემბერს შედგა საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია და დაამტკიცა ეპისკოპოსი კირიონ II.

გამოჩენილი არქეოლოგი და ისტორიკოსი, კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორი ნ. პალმოვი 1917 წლის 17 აპრილის წერილით კირიონს ულოცავს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას და სწერს: „გთხოვთ შემიერთოთ მეც თქვენ სიხარულს, რადგან ვმუშაობდი რა კავკასიის სიძველეებზე, თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ საქართველოს უფლება ჰქონდა სრული ავტოკეფალიისა და ამას მრავალ სხვა გავლენიან პირსაც ვუმტკიცებდი"[1].

კირიონს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა გულწრფელად მიულოცეს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენლებმა.

---

1 საისტორიო არქივი, ფონდი №1458, საქ. №34, გვ. 66-67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი ხალხის წარმომადგენელი ნ. დურნოვი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისადმი გამოგზავნილ წერილში გულწრფელად ულოცავდა ქართველებს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. „აღდგენა ავტოკეფალიისა, რომელიც ანტიეკლესიურმა სინოდმა დაარღვია, - წერს იგი, - საქართველოს ეკლესიას შეაძლებინებს ასი წლის ჭრილობა გაიმრთელოს და ხელახლა განანათლოს სამწყსო თვისი ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნეობით... ეხლა საქართველოსა, რომელმაც შემოიკრიბა თავისი შვილები, ჰმართებს აღადგინოს პოლიტიკური ავტონომიაც ქართველ ეროვნების საზღვრებში, თანახმად 1783 წ. ხელშეკრულებისა... დღეს საერთო თავისუფლების დროს... საქართველოსაც უფლება აქვს მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ამას უმჯობესად და თავის სასარგებლოდ დაინახავს... საქართველო უნდა განთავისუფლდეს უცხოელი ექსპლოატატორებისაგან, ამასთანავე არა-მართლმადიდებელთაგან. არც ერთ ხალხს, რაც გინდა დიდი იყოს იგი, არა აქვს უფლება შეახოს ხელი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს, როგორც არც ერთ ეკლესიას უფლება არა აქვს თავისი საკურთხეველნი აიგოს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში"[1].

ქართველი ერის მესვეურნი ერთსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დარწმუნდნენ, რომ რუსეთის თვითმპყრობელურმა ბიუროკრატიამ მძიმე უღელქვეშ მოაქცია მრავალი პატარა ერი და მათ შორის ქართველობაც. მარტოდენ ქართველი ერი ერთმორწმუნე რუსეთს შეუერთდა და სურდა მასთან ძმური კავშირი სულიერ, ეროვნებისა და თვითარსებობის შესანარჩუნებლად, მაგრამ იგი აღმოჩნდა მეფის რეჟიმის ხაფანგში და „ერთ-მორწმუნე" რუსეთის სინოდის ობობასებრ ქსელში[2]. ეს იყო დიდი უსამართლობა, მაგრამ ძლიერის ხელში უსამართლობაც სამართლიანობად იყო მონათლული.

ამ ყოფაში აღზრდილი ქართველი საზოგადოებრიობა ეჭვის თვალით უყურებდა რევოლუციური რუსეთის დროებითი მთავრობის ზოგიერთ საორგანო გადაწყვეტილებებსაც. საოცარი უკუღმართობით არის

---

1 „სვეტიცხოველი", 1917 წ., №3, გვ. 12.
2 „სვეტიცხოველი", 1918 წ., №5, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსავსე რუსეთის რევოლუციაო, ვკითხულობთ ერთ-ერთ კორესპონ-დენციაში: „პოლიტიკურ თუ სოციალური ცხოვრების ერთს რომელი-მე დარგში დაუნდობლად ამსხვრევენ ძველს დრომოჭმულ ნორმებს, ხოლო მეორე დარგში ყოველივეს ხელუხლებლად სტოვებენ, თითქოს იგი შეეფერებოდეს გარდაქმნილ სახელმწიფო ცხოვრების ბუნებას და ეგუებოდეს დემოკრატიული წესწყობილების თვისებას! მაგალი-თად, იმ დროს, როდესაც მუშავდებოდა მიწათმფლობელობის ძირი-თადი პრინციპები, აგებული სოციალისტურ მსოფლმხედველობაზე, როდესაც ფაბრიკა-ქარხნების საქმეები და მთელი წარმოება გა-ნიზრახეს დაემორჩილებიათ მუშათა კონტროლისათვის და სახელ-მწიფოს მონოპოლიად გამოეცხადებიათ, ამავე დროს რევოლუციური და დემოკრატიული მთავრობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და-ჩაგრულ ერების თვითგამორკვევას"[1].

მაგრამ ერთი რამ კი სჯეროდათ: მომავალში, როგორი დამო-კიდებულებაც არ უნდა ყოფილიყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შო-რის, ეკლესია, როგორც კულტურული კატეგორიის დაწესებულება, არ მოისპობოდა, მომავალში კონსტიტუცია ანგარიშს გაუწევდა მის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში და დააკანონებდა ეკლესიის უფ-ლებრივ მდგომარეობას.

მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ, თავისი მოღვაწეობის პირველსავე დღეებში, საქართველოს ეროვნული ყრილობისა და საქართველოს ეკ-ლესიის სამწყსოსადმი წარდგენილ გუჯრებში და აღმოსავლეთის პატრიარქთა, რომის პაპისა და სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქი-სადმი გაგზავნილ ეპისტოლეში ჩამოაყალიბა თავისი სამოქმედო პრინციპები.

მოვიტანთ უკომენტაროდ რამდენიმე ამონაწერს:

– „ოდეს ერი ქართველთაჲ გარემოიცვა შურმან, მტრობამან და ურთერთის გაუგებრობამან, ოდეს იგი დაადგა გზასა დანაწი-ლებისა და დაწვლილებისასა, შესუსტდა შემოქმედებითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნე სულისა მისისა, დაკნინდა შინაგანი ცხოვრება

---

1 „სვეტიცხოველი", 1917 წ., №4, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი, დაეცა სახელმწიფოებრივი ძალა მისი და მან, ღაღმან და ქედმაღლობამან, მუხლი მოიდრეკა წინაშე უცხოთესლისა, რომელმან, თქმულისაებრ წერილისა, „ძენი თქვენნი წარიყვანნა და ცხენთა ზედა აღასხნა, ასულნი თქვენნი აღიხვნა და მზარეულ ქმნა; აგარაკი თქვენნი და ვენახნი, ზეთისხილნი თქვენნი და კეთილნი მოგილოთ; თესლნი თქვენნი და ღვინო განგიათეულნა და გყო თქვენ მისდა მონად“(მეფ. I, VIII, II-17).

– „ღელავს და მძვინვარეებს ზღვა ჩრდილოისა, სანაპიროთა თვისთაგან გადმოხეთქილი, და წარღვნასა უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება“.

– „ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია პირველყოვლისა განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ განცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და მრჩობლ ვიღვწოდეთ საერთო წარმატებისათვის“.

–„ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას, ის იყო დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნულ დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო; გასაჭირის დროს ქუდზედ კაცი გამოდიოდა ოჯახიდან და საქართველო თავზარს სცემდა თვის მტრებს.“

– „თუ ასე იყო ძველად , დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი“.

– „ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახარება, ისრაელების თორა და მაჰმადიანთა ყურანი მშვიდობიანად თავსდებოდნენ საქართველოში; ეკლესია იყო თავი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში ჰპოულობდა მეორე სამშობლოს და მისთვის სისხლსა ღვრიდა. ერთა შორის ძმურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განწყობილებას ხელოვნურად არღვევდნენ ხშირად ძველი საეკლესიო წესწყობილების საშუალებით. განახლებული საქართველოს ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს ბევრისაგან დავიწყებული თქმულება: „ერთ არს ღმერთი და მამა ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ჩვენ ყოველთა შორის“ (ეფ. IV, 6) და ამ ნიადაგზედ ყველა მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებით მუშაობისაკენ მოუწოდოს“.

– „ძმური ნათესაობაჲ ქართლ.სიან-ჰაოსიანთაჲ, მიმართავს კირიონი სომეხთა კათალიკოს-პატრიარქს, – მსვლელობასა საუკუნეთასა განმტკიცებული, გაბრწყინვებულ იქმნა ემბაზსა შინა იერუსალიმის ქრისტეანობისასა და ძმანი ესე ახოვანნი უხვად ჰფენდეს კედართა აღმოსავლისათა შარავანდთა ღმრთივ-მეცნიერებისა და კეთილმსახურებისათა. გარნა მანქანებითა კაცთმოძულისა ეშმაკისაითა დაითესა ჩუენ შორის ღუარძლი სარწმუნოებითი ლაღვისაჲ, და დასაწყისსა მეშვიდისა საუკუნისასა იქმნა განწუალებაჲ ერთმორწმუნეთა ძმათაჲ. განწუალებამან ჩუენმან წარმოშვა დაკნინებაჲ ჩუენი, ხოლო დაკნინებითა ამითა მტერმან სასტიკმან განამტკიცა ქედსა ზედა ჩუენსა საყდარი ბატონობისა თვისაჲ. აღსრული საყდარსა უწმიდესთა ჩემთა წინამოადგილეთა, მოგიკითხავ უწმიდესო და ვლოცავ უფალსა, რათა სწრაფითა და ღუაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქმნეს ერთობაჲ ჩუენდამი რწმუნებულთა ერთაჲ; ერთობასა ვიტყვი არა სარწმუნოებრივ-დოღმატიურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმანათლებლობითსა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაჲ და ურთიერთას გულისხმისყოფაჲ და რათა სამშობლოსა შინა ჩუენსა განსახიერდეს სასუფეველი ღმერთისაჲ“.

– „ამიერიდგან სწავლა-განათლება იწარმოებს განსაკუთრებით ქართულს ენაზედ – სწავლა იქნება ნაციონალურ ნიადაგზე, როგორც ამას თხოულობს თანამედროვე პედაგოგიური კანონი. ეგ გადაკეთება დიდად შესანიშნავი საქმეა. გონივრული გადაკეთება მეორედ დაბადებაა, იგივე შექმნაა. დღეს გვეწყობა ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანა, დავადექით განვითარების ახალ გზას"[1].

- „სარწმუნოება არას დროს მტრულად არ უცქეროდა მეცნიერებას და ამტომ იგი მუდამ ეკედლებოდა სარწმუნოებებს, მაგალითად ქალდეაში, ასურეთში, მისრეთში, ბიზანტიაში და სხვა ქვეყნებშიაც. ქურუმები მუდამ ესარჩლებოდნენ მეცნიერებას და თვითონაც ერთ-ერთი მისი წარმომადგენლები იყვნენ. ქრისტიანობის ხანას, როდესაც მან მიიღო სარწმუნოებრივი უფლება, თავსაფარად ჰქონდა ქრისტიანული მონასტრები, რომლებშიაც გაჩაღებული იყო სწავლა-განათლება. ნამდვილ სამეცნიერო კერებს წარმოადგენენ ჩვენი ლავრები და მონასტრები"[2].

- „საქართველოს ძველი ტაძრები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი წარსული ცხოვრების უტყუარ და ცოცხალ მატიანეს, ამ ნაშთების თვალით გვიცქერის ჩვენ წარსული დიდება ჩვენი სამშობლოსი. სწორედ ეს ძველი ტაძრები არიან გამომხატველი ჩვენი ძველი დიდებისა და აწინდელი ჩვენი უბადრუკობისა... ჩვენი დაუდევრობა ძველი ნაშთების შესახებ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ჯერეთ კიდევ ვერ შეგვიგნია მათი მნიშვნელობა... როგორც ისტორიული მონუმენტები, იგინი წარმოადგენენ სარკეს, რომელშიც ცხადად ვხედავთ წარსულის დროს, როდესაც საქართველო წარმოადგენდა ერთ დიდ სამსხვერპლოს, რომელზედაც საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპარნი თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს"[3].

კირიონი, როდესაც კულტურის ძეგლებზე - ეკლესია-მონასტრებზე მსჯელობდა, იმ აზრს იზიარებდა, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ყოველ სავანეს თავისებური წვლილი შეჰქონდა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში.

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები ყოველთვის მხარში უდგნენ ქვეყნის პატრონებს ჭირშიც და ლხინშიც. და, რადგან, ისტორიის მთელ მანძილზე საქართველოს ძირითადი მიზანი იყო თავი

---

1 ჟურნ. „სვეტიცხოველი", 1917, №4, გვ. 1,2,3,5; №5, გვ.3.
2 გაზ. „საქართველო", 1918, №25, სიტყვიდან ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს.
3 ჟურნ. „მწყემსი", №19, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცვა უცხოელ დამპყრობლებისაგან, შეენარჩუნებია ენა და ეროვნული თავისებურებანი, ქართული ეკლესიაც იმავე მიზანს უქვემდებარებდა თავის მოღვაწეობას. ამიტომ იყო, რომ ქართველი მეფეები და მთავარნიც ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდნენ ეკლესია-მონასტრების, ერის ინტერესების დამცველთა გაძლიერებას. ქართული მონასტრები, მიუთითებს კირიონი, ამავე დროს თავშესაფარი იყო მწიგნობართა, მეცნიერთა, მწერალთა, მთარგმნელთა, მხატვართა, კალიგრაფთა, არქიტექტორთა და ოქრომჭედელთა, წიგნების მმოსველთა და გადამწერთა; აქვე იყო სკოლები, ბიბლიოთეკები, განძთსაცავები, არქივები.

კირიონი მიუთითებს იაკობ ცურტაველზე, იოანე საბანისძეზე, გრიგოლ ხანძთელზე, გიორგი მერჩულეზე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებზე, გიორგი შავთელზე, მრავალ ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესებზე, კათალიკოს-ეპისკოპოსებზე, ეკლესია-მონასტრის წინამძღვრებზე, ბერად აღკვეცილ მამულისშვილებზე და სხვებზე, რომლებიც ქრისტეს რჯულის სახელით ზოგჯერ ხმლით ხელშიც იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისა და განათლებისათვის.

*

* *

კირიონის ცხოვრებისეული მრწამსის გასაცნობად მოვიყვან მის ზოგიერთ გამონათქვამს:

- აღზრდა მერვე სასწაულია.
- დავიწყება მტრობისა მაღალი სათნოებაა.
- დამონავებული ხალხი პირუტყვთა მდგომარეობას უახლოვდება.
- ვინც საშობლოს კეთილდღეობაზედ არა ზრუნავს, ის ულირსი შვილია თავის ერისა.
- ვისაც თავისუფლება შეზღუდული აქვს, ის ჩვენი დროის ამირანია.
- კაცი თავისუფლებისათვის არის გაჩენილი, შემოქმედს ის რომ მონად სდომოდა ცხოველად გააჩენდა.
- კეფილის მოსაპოვებლად სიავეს არ უნდა მიჰმართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია.

- მიწა-წყლის გამყიდველი თავის თავს აძევებს სამშობლოდან.

- სამშობლოზედ მზრუნველი მამულიშვილი უმიშრად ეგებება სიკვდილს.

- სამშობლოს სიყვარული უდიდესი ნეტარებაა.

- სარწმუნოება, რომელიც გადაჭარბებულ მოთმინებას ჰქადაგებს ხალხში, ის მონობისაკენ უკვალავს მას გზას.

- საქართველოს წარსულზე თუ გინდა დაწერო, კალამი ჩააწე სისხლში და თვალი მიაპყარ იალბუზს.

- უბადრუკია ის კაცი, რომელსაც ყველგან სამშობლო მიაჩნია.

- უკეთესი ქმულებანი ეკუთვნის ხალხის სიბრძნეს.

- ქართველი ქალი მეფეთ ქალთა.

- ქართული პოეზია მაღალია ვით კავკასიონი და ანკარაა როგორც მთის წყარო.

- ქვეყნიერი სამოთხე ბედნიერ ოჯახშია.

- ყველაზე ძვირფასი საუნჯეა მყუდროება ოჯახისა.

- ყველა მობეზრდება მამულიშვილს გარდა მამულიშვილობისა.

- ჩვეულება წინაპართა ანდერძია.

- ცოდნა ისეთი უხილავი საუნჯეა, რომელიც სამარის პირამდე მიჰყვება კაცს.

- ხალხის სიყვარული დაიმსახურება უანგარო მოღვაწეობით.

- ხალხს რომ ზნე გაუფუჭდება, ეს დასაწყისია დასასრულისა.

- ყველაზე უკეთესი სანახავი თავისუფალი სამშობლოა.

და თუ როგორ სწამდა კირილეს თავისუფლება და მამულიშვილობა კარგად ჩანს მისი უკანასკნელი სიტყვიდან:

„...თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გაოგვზარდა ჩვენ და კაცად გვაქცია... მონობისთანა მწარე ხვედრი დედამიწამ არ იცის. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. ეგი დამაგვირგვინებელია ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღვთიური ნიჭია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა, თუ პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დაიცვას მოპოვებული თავისუფლება. „კაცი ჯაბანი რითი სჯობს, - ამბობს უკვდავი შოთა, - დიაცსა ქსლისა მბეჭველსა, სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭველსა“[1].

*

* *

ნაყოფიერ საეკლესიო-საზოგადოებრივ, სამეცნიერო-სამსახურებრივ საქმიანობასთან ერთად კირიონი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას, არასდროს ივიწყებდა თავის ძველ სამწყსოს წევრებს - უგზავნიდა მათ საკუთარ შრომებს, წერილებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას როგორც საეკლესიო, ისე საზოგადოებრივ საკითხებზე; ამარაგებდა სათანადო წიგნებით და სამეცნიერო ლიტერატურით; აძლევდა მითითებებს არქეოლოგიური ძიებების წარმართვისა და ადგილებზე სიძველეთა დაცვის უზრუნველსაყოფად; უდგენდა და უსწორებდა სხვადასხვა წესდებებს და რეკომენდაციებს...

ძნელად მოიპოვება ისეთი ქართული კულტურული, თუ საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის შექმნაში მონაწილეობა არ მიეღოს კირიონს.

ამ მიმართებით, მრავალთა შორის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ქართული ფილარმონიული საზოგადოების 1916 წელს კირიონისადმი გაგზავნილი წერილი-მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ ზაქ. ფალიაშვილი, გ. თულაშვილი და სხვ.

„თქვენი ცხოვრების გზა, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - ჩვენს ქვეყანაში მოკირწყლულია თქვენის ფრიად შეგნებულ და თავშეწირულის მოღვაწეობით; არ არის არც ერთი ქართული დაწესებულება, დიდი, გინა პატარა საზოგადო საქმე, რომ არ დახმარებოდეთ თქვენის ცოდნით, არ გამოსარჩლებოდეთ, როგორც ფრიად განვითარებული, გამბედავი და მიუფერებელი, რომ თქვენი მადლიანი და უხვი ხელი არ წაშველებოდეს“. ამავე დროს, საზოგადოება მადლო-

---

1 ფ. 1459, საქ. №28, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გას უხდის რუსეთში მყოფ კირიონს დიდი დახმარებისათვის და სთხოეს „უმოწყალეს მამულიშვილსა და ქართველ საზოგადოებაზე მზრუნველს“, ისურვოს ფილარმონიული საზოგადოების წევრობა და გამოფენისათვის. გამოუგზავნოს მისი ფოტოსურათი, რათა ქართველ ახალგაზრდობას მუდამ თვალწინ ედგას სახე თვისი ღირსეული მამულიშვილისა, მოღვაწისა და მეცნიერ-მღვდელმთავრისა (იქვე, საქ. №185).

ანალოგიურად იხსენიებენ კირიონს კამენეც-პოდოლსკის, კოვნოს ეპარქიათა მსახურნი, ორიოლის, მოსკოვის, კიევის, თბილისის და სხვ. არქეოლოგიური საზოგადოებების, მუზეუმების ხელმძღვანელები, სასულიერო სამყაროს სხვა წარმომადგენლები.

უნივერსალურად განსწავლულ პიროვნებას - კირიონს გააჩნდა დიდი ორგანიზატორული ნიჭი: იგი ყოველ სიტუაციაში იყო ურყევი, საქმის ერთგული, დაუცხრომელი შემოქმედი, დიდბუნებოვანი, კეთილ-მოწყალე, უანგარო და ჭეშმარიტი ადამიანი; ბუნებით პედაგოგი, გამოჩენილი ორატორი და მწერალი; ყველგან უშიშარი, მხნე, გამბედავი, ეროვნული წესისა და ტრადიციების მტკიცე აღმსრულებელი (თავის მხრივ დღენიადაგ მზრუნავი ხალხში პატრიოტული გრძნობების აღდგენა-დამკვიდრება-გაღრმავებისათვის). იგი იყო ჭეშმარიტების მძებნელი, მკაცრი და სამართლიანი წინამძღვარი, და ამავე დროს, მეტად თავმდაბალი ადამიანი, მოქალაქე და მამულიშვილი, - მშობლიური ქვეყნისათვის თავდადებული პიროვნება, რომელსაც ყველგან და ყოველთვის საფიცრად ჰყავდა მშობლიური ერი...

- აბა გასინჯეთ, - წერდა ჯერ კიდევ 1904 წელს ჟურნალი „მოგზაური“, - რამდენი წიგნი და ნაშრომი უძღვნა კირიონმა საქართველოს... სამწუხაროა, რომ მისი მსგავსნი ცოტა გვყავს... იგი იმ ადამიანთა წყებას ეკუთვნის, რომელიც მზად არის თავი დასდოს მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის. კირიონი მთელი პირდაპირობით უსწორდებოდა ყალბის მქნელებს, ორგულებს, დაუდევრებს, „ჟამთა მჭვრეტელებს“, სამშობლოს ჩინ-მედლებზე გამყიდველებს. ასეთი სულისკვეთებით იყო განწყობილი ყველა ერის წარმომადგენლებისადმი, მეცნიერებისა და სამოქალაქო დარგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესვეურებისადმიც, „გულაცრუებულ გლეხებისა და დაუდევარ ეკლესიის მსახურებისადმიც“ (№5-6, გვ. 334).

*

* *

- კირიონის სიტყვები - „მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია“ - ერთხელ კიდევ დადასტურდა. კირიონს, სამშობლოში დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ (იგი საქართველოში ჩამოვიდა 1917 წლის მარტში), 1918 წლის 26 ივნისს, ღამით მტარვალის ხელმა მოუსპო სიცოცხლე...

გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის 30 ივნისს იტყობინებოდა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II 26 ივნისს დილით თბილისიდან გაემგზავრა მარტყოფში... ივნისის 27-ს კი იგი იპოვეს მიცვალებული მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო ბინაზე, მის საწოლ ოთახში...

„სამშობლოს განუმეორებლად მოყვარული მამულიშვილისა და მეცნიერ-მღვდელმთავრის“ მოწამებრივი სიკვდილი ღრმა მწუხარებით გაიზიარა მთელმა საქართველომ...

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1918 წლის 5 ივლისის ნომერში მკითხველებს აუწყებდა: იუსტიციის მინისტრისაგან გაგზავნილ საგამომძიებლო კომისიას ჯერ არ წარმოუდგენია ოფიციალური მოხსენება მარტყოფში წარმოებული გამოძიების შესახებ...

„ტანჯული ქვეყნის კეთილდღეობისათვის წამებულის, ტრაგიკულად აღსრულებული სრულიად ქართველთა პატრიარქ-კათალიკოსის კირიონ მეორის“ პანაშვიდი გაიმართა თითქმის ყველგან, სადაც მიაღწია მისი გარდაცვალების ამბავმა...

კვირას, 7 ივლისს, კირიონის ცხედარი ანჩისხატიდან გადმოასვენეს და დაკრძალეს სიონის ტაძარში...

დიდი იყო წუხილი და გლოვა. სახელოვან მამულიშვილს ეთხოვებოდა არა მარტო ქართველები, არამედ რუსები, სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ებრაელები, ჩეხები, გერმანელები, პოლონელები...

დასაჯლავების დღეს ყღერდა სამგლოვიარო მელოდიები, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც ასრულებდნენ საკათოლიკოსო, ქაშვეთის, სამხედრო კავშირის (ხელმძღვანელი კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი), უკრაინელ მგალობელთა გუნდები...

გამოთხოვების ჟამს წარმოითქვა სიტყვები...

„ქართველო ხალხო! – განაცხადა ქართულ ენაზე პოლონელი ხალხის წარმომადგენელმა ვალკომირსკიმ, – სულ ნახევარი წელიწადია, რაც, ასი წლის ობლობის შემდეგ, დიდი ზეიმით დააგვირგვინე შენი სულიერი მამა და ეხლა, ასე მოულოდნელად, მიწას აბარებ მის ნეშტს! სხვა რომელ ხალხს შეუძლია უფრო მწვავედ იგრძნოს შენი დანაკლისი, ვიდრე იმას, რომლის ისტორია ასე ჰგავს შენსას; ვისი გამოჩენილი პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწენი განიცდიდნენ იმასვე, რასაც შენი წინამძღოლები... პოლონელებსა და ქართველებს ყოველთვის ესმოდათ ერთმანეთის გულის პასუხი... ყოველთვის უწყდიდნენ ერთმანეთს ხელს ჭირსა და ლხინში, რის მოწმენი არა ერთხელ ვყოფილვართ ჩვენ აქ – თბილისშიაც, საქართველოს დედაქალაქში,

კავკასიის პოლონელთა საბჭომ დაგვავალა ჩემს ამხანაგსა და მე დავსწრებოდით ქართველთა კათალიკოსის დაკრძალვას და აქაური პოლონელების ახალშენის სახელით გამოგვეცხადებინა გულწრფელი თანაგრძნობა ქართველი ერისათვის; გადაგვეცა მისთვის, რომ პოლონელები სავ'-ებით იზიარებენ ქართველთა მწუხარებას და იმავე დროს მოუწოდებენ მათ სულიერი სიმტკიცისაკენ.

საუკუნო ნათელი დაედგას საქართველოს ამ ერთგულ შვილს, ქართული ეკლესიის თავადს. განისვენოს მისმა სულმა, სადაც მართალნი განისვენებენ...

ხოლო ჩვენ ნუ მივეცემით სასოწარკვეთილობას, იმიტომ რომ ცოცხალია ქართველი ერი, რომელიც მრავლად წარმოშობს ისეთ ძვირ, რომელნიც უზრუნველყოფენ ქართველი ხალხის საუკეთესო ისტორიულ მომავალს...“ (საქმე I 59, ფ. I).

„ცეცხლისა და წამების ალში გაწმინდა კირიონმა თავისი სული საქართველოსათვის-ტანჯვით და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებას“, – წერდა იმავე დღეს გაზეთი „საქართველო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– „მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია! რა მოხდა წმ. ანტონის მონასტერში დანამდვილებით არავინ იცის... საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათალიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მისი სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი – კი ჰფარავს ულრმეს მწუხარეებასთან ერთად მივარდნილ მონასტრის საიდუმლოებასაც„ (იქვე).

დიახ, „უამთა სიავემ“, ხილული და უხილავი წინააღმდეგობით აღსავსე გარემოებებმა, იმ პერიოდში წარსული კულტურისადმი ნიჰილისტურმა განწყობილებამ, ქვეყნის ორგულებისადმი კირიონის მკაცრმა და მოურიდებელმა დამოკიდებულებამ, მოამზადა პირობები ბრწყინვალე მწყემსმთავრისა და გამოჩენილი მეცნიერ-მწიგნობარის ტრაგიკული დასასრულისათვის...

სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა, რომ ამ ჭეშმარიტად სამშობლოსათვის თავდადებულის, დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა გაუმართლებლად მიეცა „სიღრმესა დავიწყებისასა“!

კირიონი ღირსია იმისა, რომ მასზე დაიწეროს მონოგრაფიები და გამოიცეს მისი წერილობითი მემკვიდრეობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირიონ II-ის (გიორგი საძაგლიშვილის)

შრომების სია*

წ ი გ ნ ე ბ ი

1. ნიქოზის ეკლესიის აღწერა, რუსულ ენაზე, 1888.
2. ისტორიული ნარკვევი ოკონის სასწაულმოქმედი ჯვარის შესახებ, რუსულ ენაზე, ქუთაისი, 1890.
3. მეტეხის ტაძრის ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, რუსულ ენაზე, ქუთაისი, 1893.
4. წრომის ტაძრის ისტორია, რუსულ ენაზე, 1896.
5. ხუთი დღე ქართლში, რუსულ ენაზე, 1897.
6. სიტყვიერების თეორია (სახელმძღვანელო გრ. ყიფშიძის თანაავტორობით), თბილისი, 1898.
7. ანანურის ტაძარი და მისი ღირსშესანიშნაობანი, რუსულ ენაზე, 1898.
8. ქართული მონასტრებისა და მათ მსახურთა დამსახურების შესახებ, რუსულ ენაზე, თბილისი, 1899.
9. წმინდა დავით III აღმაშენებელი, რუსულ ენაზე, თბილისი, გამოიცა ორჯერ, (დაიბეჭდა ქართულ ენაზეც), 1899.
10. წმინდა ანი, რუსულ ენაზე, გამოიცა ორჯერ, თბილისი (დაიბეჭდა ქართულ ენაზეც), 1899.
11. მართლმადიდებელი საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი ბრძოლა ისლამთან, რუსულ ენაზე, თბილისი, 1899.
12. მიმწიფებული საკითხი (საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი), რუსულ ენაზე, თბილისი, 1900.

---

* ჩვენს მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია არასრულია. იგი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი. პირველი მოიცავს ცალკე წიგნებად გამოცემულ ნაშრომებს, მეორე - ჟურნალ-გაზეთებში, უმეტესად სხვადასხვა ფსევდონიმებით, გამოქვეყნებულ წერილებს.

13. კახეთისა და მცხეთის ტაძრის ორი წმინდანი, რუსულ ენაზე, თბილისი, 1901.
14. დავით გარეჯელი და მისი ლავრა, რუსულ ენაზე, თბილისი, 1901.
15. ქართული ეკლესიის როლი მართლმადიდებლობისათვის და მისი მოკლე ისტორია, რუსულ ენაზე, თბილისი, 1901.
16. ცვილის სანთელი ბერძნულ-ქართულ ეკლესიაში, რუსულ ენაზე, თბილისი, 1901.
17. საეკლესიო-ისტორიული მიმოხილვა ხერსონში ჩამოყალიბებული ფიკერიატისა და მის მოღვაწეობაზე (მის 50 წელთან დაკავშირებით), 1903.
18. სომხების კოლონიზაცია სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში, რუსულ ენაზე, კამენეც-პოდოლსკი, 1903.
19. საეკლესიო მოძღვრების (დარიგების) კრებული უკრაინულ ენაზე, ოდესა, 1904.
20. იოანეს კლემაქსი ქართულ ენაზე, ს. პეტერბურგი, 1906.
21. სვენსკის ზარი კამალდულოვთა ტყვეობაში, კოვნა, 1908.
22. ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, რუსულ ენაზე, 1910.
23. წმინდა ანტონი მესვეტე მარტყოფელი, რუსულ ენაზე, გამოიცა ორჯერ (დაიბეჭდა ქართულ ენაზეც), 1911.
24. ჯვარი წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროში, ხარკოვი, 1912.
25. სანაქსარული ეტიუდები, ვიტებსკი, რუსულ ენაზე, 1916.
26. ივერიელი ქართველები, როგორც პილიგრიმები და აღმოსავლეთის წმინდა სავანეების შემქმნელები.
27. მის უწმინდესობის საქართველოს ეგზარქოსის ვლადიმირის მიერ ქართლის ეკლესიების მიმოხილვა.
28. მოთხრობა დავით გარეჯის ქვაზედ, ქართულ და რუსულ ენებზე.
29. თამარ დიდი და მისი სახელწოდება.
30. წამება მამათა გარეჯის მონასტრისა.
31. ივერიის ღვთისმშობლის ხატის ისტორია, რუსულ ენაზე.
32. ცხოვრება წმინდა გიორგისა, რუსულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. ცვილი და ცვილის სანთელი.
34. ვარტანგ გორგასალი.
35. იუდეველების მიერ მესიანური იდეების გავრცელება ივერიაში.
36. წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი, ქართულ და რუსულ ენებზე.
37. ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი, რუსულ და ქართულ ენებზე.
38. ქართველი ხალხის მუსლიმანებთან საუკუნეობრივი ბრძოლის უკანასკნელი ეპიზოდი, რუსულ ენაზე.
39. ჯვარი ვაზისა წმინდა ნინოსი, საქართველოს განმანათლებლისა, ქართულ და რუსულ ენებზე.
40. ისტორია ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჭედილი იყო ჯვარზე ქრისტე, რუსულ და ქართულ ენებზე.

წ ე რ ი ლ ე ბ ი
ჟ ურ ნ ა ლ - გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

1. ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში (ანდრია მოციქულის და სიმონ კონანელის მიერ), ჟურნალი „მწყემსი", №8, 1884.
2. დღეობა მაღალ-ძუარში (ძველი ეკლესიების ნანგრევები „მიქელ-გაბრიელი" და „ძუარების" მნიშვნელობა ოსეთში), ჟურნალი „მწყემსი", №9, 1884.
3. სამღვთო წიგნების გადათარგმნა ოსურ ენაზე (ქართული მხედრული შრიფტი ოსური წიგნისათვის. იალღუზის მიერ ლიტურგიის გადათარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე, შეგრენის მიერ შედგენილი რუსული შრიფტის უვარგისობა ოსური ენისათვის. ოსური ენის სწავლება თბილისის სასულიერო სემინარიაში და მასწავლებელი დ. ჭონქაძე), ჟურნალი „მწყემსი", №11, 1884.
4. ეკლესიების ნანგრევები ოსეთში, ჟურნალი „მწყემსი", №17, 1884.
5. დღეობა გერის-ძუარში (ეკლესიაში, რომლის აღმშენებლად ოსები „თამარ მწყანარს„ სთვლიან), ჟურნალი „მწყემსი", №19, 1884.
6. მცირე შენიშვნა (ი. იალღუზიძის მიერ ქართული ანბანის შე-

მოღების ცდა ოსური წერისათვის, მის საწინააღმდეგოდ შეგრენის რუსული ანბანის შემოღება და ამით წერა-კითხვის საქმის შეფერხება ოსეთში), ჟურნალი „მწყემსი“, №2, 1885.
7. ოსური ლეგენდები, ჟურნალი „მწყემსი“, №21, 1885.
8. დღეობები საქართველოში ძველად და ახლა, ჟურნალი „მწყემსი“, №21, 1885.
9. ოსეთში ოსურ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების აუცილებლობა, ჟურნალი „მწყემსი“, №1, 1886.
10. წერილი რედაქციას (სოფ. რუისის და საერთოდ ძველი ეკლესიების შეკეთების შესახებ), ჟურნალი „მწყემსი“, №4, 1886.
11. ჩვეულების ძალა (ოსთა ზოგიერთი საგარეული ჩვეულება სოფ. გერში), ჟურნალი „მწყემსი“, №13, 1886.
12. ქართული (ივერიის) ეკლესიის თავისებურება და მისი მნიშვნელობა მართლმადიდებლებისათვის, ჟურნალი „პასტორი“, №3, 1886.
13. გორში შუშანიკის წამების წარმოდგენის დადგმის შესახებ, გაზ. „კავკაზსკოე ობოზრენიე“, 21 თებერვალი, 1887.
14. ტრაგედია-მისტერია „შუშანიკისა“, საქართველოს და სომხეთის VI საუკუნის ისტორიიდან, კრიტიკული ესკიზი, გაზ. „კავკაზსკოე ობოზრენიე“, №21, 1887.
15. ქართული ეკლესიის ისტორიის მოკლე ნარკვევი, ჟურნალი „პასტორი“, №9, 10, 11, 1887.
16. ქართული ეკლესიის ისტორიოგრაფიის საკითხის შესახებ, ჟურნალი „პასტორი“, 1886 წლის №20 და №21, 1887 წლის №2.
17. იუდეველების მიერ ძველ ივერიაში მესიანური იდეების გავრცელება და მოტანა ქრისტეს პერანგისა მცხეთაში, ჟურნალი „პასტორი“, №1, 2, 3, 1888.
18. თბილისის სათათბირო საქართველოს მეფის ერეკლე II გარდაცვალებიდან 100 წლისთავის საკითხთან დაკავშირებით, „კავკაზი“, №13, 1888.
19. წმინდა მოციქულთ სწორი ნინა, ქართველთ განმანათლებელი, ჟურნალი „პასტორი“, 1888 წლის №16, №18, 1889 წლის №1, №4, №5, №6.

20. მირიანი, როგორც პირველი ქრისტიანი მეფე, ჟურნალი „პასტორი“, 1889 წლის №23-24, 1890 წლის №1, №2.
21. მაჰმადი როგორც რეფორმატორი, გაზ. „ივერია“, №197.
22. ზემო-ნიქოზის ტაძარში დაცული ხატი 1729 წლისაა, გაზ. „ივერია“, №181, 1890.
23. დაბა და სოფელი, გაზ. „ივერია“, №210, 1890.
24. ნიქოზის ეკლესია და მისი სიძველენი, „დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა“, №2, 1891.
25. ძვირფას ეტრატზედ ხელნაწერი - მეტეხის ოთხთავი 1049 წლისაა, ჟურნალი „მწყემსი“, №18, 1891.
26. საქართველოს ძველი ტაძრები და მათი მნიშვნელობა, ჟურნალი „მწყემსი“, №19, 1891.
27. მოთხრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჭედილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე, ჟურნალი „მწყემსი“, №№1,3-4, 1892, (დაიბეჭდა რუსულადაც, გაზ. „პასტორი“, 1892 წლის №1-2.
28. სასულიერო წიგნების გადმოთარგმნა ქართულ ენაზე და მისი მნიშვნელობა ქართული ეკლესიისათვის, ჟურნალი „პასტორი“, №2 და №4, 1891.
29. მეტეხის ოთხთავის მიმოხილვა, „ დუხოვნიი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა“, №10, 1892.
30. ქართული აპოგრიფების შესახებ, გაზ. „ივერია“, №116, 1892, №27, №28, 1893.
31. გორის სასულიერო სასწავლებლის 75 წელი, გაზ. „ივერია“, №102, 1893.
32. შესანიშნავი ვარიანტი ა. ს. გრიბოედოვის თხზულებისა „გორე ოტ უმა“, გაზ. „ივერია“, №188, №201, 1893.
33. ქართული გალობის შესახებ, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, №3601, 21 ივნისი, 1894.
34. „მე განვიზრახე“ (ანაწურის ტაძრის აღწერისათვის საჭირო ხელნაწერი მასალის შეგროვება), გაზ. „ივერია“, №277, 1894.
35. ჩემი მიმართვის გამო „ანანურის ტაძრის აღწერა“, გაზ. „ივერია“, №18, 1895.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ახალი ვარიანტი „ვეფხის-ტყაოსნისა“, გაზ. „იბერია“, №93, №104, 1895.
37. გიორგი მთაწმინდელი როგორც სასულიერო პიიტიკოსი, გაზ. „იბერია“, №105, 1895.
38. ბიბლიოგრაფია (კალიგრაფ პეტრე ტაბლიაშვილის ხელით 1825 წელს გადაწერილი ლოცვები), გაზ. „იბერია“, №107, 1895.
39. თამარ დიდი და მისი სახელწოდება, გაზ. „იბერია“, №116, 1895.
40. „ვაზის ავადმყოფობა“, გაზ. „იბერია“, № 146, 1895.
41. ცვილი და ცვილის სანთელი, ჟურნალი „პასტორი“, № 13, 1896.
42. ქართველი ხალხის მუსლიმანებთან საუკუნეობრივი ბრძოლის უკანასკნელი ეპიზოდი, ჟურნალი „პასტორი“, № 23-24, 1895 და № 1-6, 1896.
43. სიტყვა კირონისა მისი მღვდელ-მთავრად სახელდების დღეს, გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 625, 1898.
44. პასუხად ბ-ნს „წყალტუბოელს“ მისი რეცენზიის გამო წიგნზე „სიტყვიერების თეორია“, გაზ. „იბერია“, № 69 (გვ. 3-4), № 70 (გვ. 3-4), 1899.
45. წმინდა დავით IV აღმაშენებელი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, №№ 789, 790, 791, 1899.
46. ახალი პეტრე იბერი, იტალიელი მოღვაწე, გაზ. „კავკაზი“, № 280, 1901.
47. წერილი „კავკაზში“ ანანურის საეპისკოპოს შესახებ, გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1636, 1901.
48. თბილისის სასულიერო სემინარია, „ტიფლისკი ლისტოკ“, № 175, № 176, 1901.
49. იმერეთსა და გურიაში საეკლესიო მამულების ექსპროპრიაცია, გაზ, „იბერია“, № 99, 1902, დაიბეჭდა ცალკეც, რუსულად.
50. ზოგიერთ ჩვენის მწერლისა და კორესპონდენტის საყურადღებოდ (მოპირისპირეთა უწესოდ მოხსენიების გამო), გაზ. „იბერია“, № 136, 1902.
51. 1492 წლის ბჭობა ისნის სასახლეში განდგომილების აღმოჩენის გამო, გაზ. „იბერია“, № 139, 1902.

52. ჩვენი მსსნელი, ჩვენი თაოსნობა..., აბზ. „ივერია“, № 151, 1902.
53. წინაპართ ნაშთთა მნიშვნელობა, გაზ. „ივერია“, № 157, 1902.
54. ქართული ეკლესიის ისტორია და საეგზარქოსო მ.-19 საუკუნეში, გაზ. „ივერია“, № 170, 1902. დაიბეჭდა რუსულადაც, ცალკე. რეცენზია-ბიბლიოგრაფია.
55. ვარაზვაჩე ვარაზვაჩესძე (ბერძენ-რომაელ მწერლების ნაამბობიდან), გაზ. „ივერია“, № 206, 1902.
56. ქართველი ქალი, გაზ. „ივერია“, № 259, 1902.
57. ცივზედ დარბაზობა 1334 წელს გიორგი ბრწყინვალის მიერ, გაზ. „ივერია“, № 261, 1902.
58. ქართველი მთიელები (გიორგი V ბრწყინვალეს დადგენილება განმარტებებით), გაზ. „ივერია“, № 263, 1902.
59. „წელთა აღმწერლობა თვალსმა არ არის“ (ქართული კულტურის შექმნისა და საქართველოსადმი ღალატის საკითხები, გაზ. „ივერია“, № 269, 1902.
60. უკეთურ ძალთა დამხობა ბაგრატ III-ის მეფობის დროს, გაზ. „ივერია“, № 272, 1902.
61. სვეტი თავისუფლებისა (ბაგრატ IV მეფობა. ციხე სვეტის მნიშვნელობა), გაზ. „ივერია“, № 275, 1902.
62. მოეწყინათ მისი მთავრობა (ბაგრატ მეფის წინააღმდეგ ლიპარიტ ორბელიანის განდგომა), გაზ. „ივერია“, № 280, 1902.
63. განმათავისუფლებლებსაც მტრობდენ (დიდგვაროვანთა ბრძოლა დავით აღმაშენებლის დროს), გაზ. „ივერია“, № 14, 1903.
64. ორბელიანთა ამოწყვეტა 1177 წელს, გაზ. „ივერია“, № 24, 1903.
65. სანახებსა საგოდებელისასა (თამარ მეფის დრო), გაზ. „ივერია“, № 33, 1903.
66. „ნორდარს“ ძმური სიტყვა (ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების საკითხი), გაზ. „ივერია“, № 38, 1903.
67. ართვინის ქართული სახარება (ად. ლიოზენის მიერ ართვინში ნახული XI-XII საუკუნის ქართული სახარება), გაზ. „ივერია“, № 39, 1903.

68. ღალატი (ამირსპასალარის ივანე მხარგრძელის ღალატი ჯელალ-ედდინის შემოსევის დროს), გაზ. „ივერია“, № 42, 1903.
69. ხომეხთა კოლონიზაცია სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში, (დაიბეჭდა ცალკეც, რუსულად), გაზ. „ივერია“, № 48, 1903.
70. უცხო სიტყვების ხმარება ქართულ ენაში, გაზ. „ივერია“, № 35, 1904.
71. „ვეფხისტყაოსნის“ შესამოწმებელი მასალა, „მოამბე“, 1904, № 5, გვ. 20- 38.
72. ჰარნაკის აზრი ქართულ ლიტერატურულ საუნჯეზედ, გაზ. „ივერია“, № 112, 1904.
73. სახელგანთქმული ქართველი მომღერალი-მოთარე ასლან ხურდაყულიშვილი (ლექსთა კრებული და მისი თარი), გაზ. „ივერია“, № 124, 1904.
74. სიტყვა თქმული ორიოლისა და სევის ეპისკოპოსის ხერსონის ტაძარში სამწყსოსთან გამოთხოვების გამო, გაზ. „ივერია“, № 128, 1904.
75. სიტყვა თქმული ორიოლისა და სევის საეპისკოპოსოში ახალ სამწყსოს მიმართ ორიოლის საკათედრო ტაძარში, გაზ. „ივერია“, № 140, 1904.
76. „აზნაურთა ათესტატი“ (მოწმობა გაცემული 1813 წელს თელაველ იოანე საყვარელიძის სახელზე, 1812 წლის აჯანყების დროს ხელმწიფის ერთგულების გამო), გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 2695, 1904.
77. კირიონის პასუხი ეპისკოპოს დიმიტრის მის წერილზე გურიაში გლეხთა მოძრაობისა და საქართველოს შესახებ, ჟურნალი „მწყემსი“, № 8, 1905.
78. ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები, ჟურნალი „მოამბე“, № 1, (გვ. 79-84), № 4 (გვ. 67-71), 1905.
79. ნაციონალური პრინციპი ეკლესიაში, გაზ. „ოტგოლოსკი“, 14 აგვისტო, 1906.
80. სალექსიკონო მასალა (შეკრებილი ეპისკოპოს კირიონის მიერ), საქართველოს საისტორიო და სალეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული - „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913 წ. გვ. 3-27.

81. მასალები რუსეთში სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ისტორიისათვის, გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ", № 17, 1914.
82. გუჯარი საქართველოს ეროვნული ყრილობის მიმართ, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 4, 1917.
83. გუჯარი საქართველოს სამწყსოს მიმართ, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 4, 1917.
84. სიტყვა თქმული განსვენებულ თ. ჟორდანიას საფლავზე, დიდუბეში, გარდაცვალების წლის თავზე, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 4, 1917.
85. ეპისტოლე სომეხთა კათალიკოზ-პატრიარქის მიმართ, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 4, 1917.
86. ეპისტოლე ჰრომთა პაპის მიმართ, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 4, 1917.
87. ეპისტოლე აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმართ, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 4, 1917.
88. სიტყვა წარმოთქმული სემინარიაში სწავლის დაწყების გამო 1917 წლის 1 სექტემბერს, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 5, 1918.
89. სიტყვა თქმული სიონის ტაძარში პარაკლისზე 1917 წლის 5 დეკემბერს, თავადაზნაურთა დეკლარაციის გამოცხადების გამო, ჟურნალი „სვეტიცხოველი", № 5, 1918.
90. სიტყვა თქმული 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის გახსნის გამო, გაზ. „საქართველო", № 25, 1918.
91. საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა ერთმორწმუნე რუსეთთან, „დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა" (საიუბილეო ნომერი).
92. ოსეთის სასულიერო კომისია და მისი მოღვაწეობა, „დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა", (საიუბილეო ნომერი).

ვ. გურგენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგანი სიმარდე

„განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა, ძველი იგი კაცი განხრწნილი გულისთქმისა მისებრ საცთურისა... და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი ღუთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისათა“.

(პავლე - ეფეს. 5, 22-25).

I.

გვახსოვდეს, რომ პიროვნების ადამიანობა ორგვარად ვლინდება: მის შინაგან და გარეგან ქცევაში. ამასთან ცხადია, ადამიანის გარეგანი ქცევა უფრო ზომიერია და შეკავებული. ეს ბუნებრივიცაა, ადამიანის გარეგანი ქცევა შებოჭილია გარემოთი, საზოგადოებით, ცხოვრების წეს-ჩვეულებებით და სხვ.

რაც შეეხება შინაგან ქცევას, აქ ადამიანი შედარებით უფრო თავისუფალია, იმდენად არ არის შეზღუდული ზემოჩამოთვლილი გარეგანი ფაქტორებით. თუმცაღა შინაგან და გარეგან ქცევას შორის კავშირი უწყვეტელია - შინაგანი ყოველთვის მოქმედებს გარეგანზე, ხდის მას თავისუფალს, უშუალოს, ალაღებს, ათამამებს, ამზადებს კეთილ ან ბოროტ საქმეთა აღსასრულებლად.

ასევე, თავის მხრივ, გარეგანი ფაქტორებიც ზემოქმედებენ ადამიანის შინაგან ქცევაზე, არეგულირებენ მას, აოკებენ, ახშობენ ბოროტ გულისთქმებს, აწრთობენ ნებისყოფას, რათა ადამიანი არ დაემორჩილოს უკანონო ვნებათა და უეცარ აფექტებს.

გარეგანი და შინაგანი ქცევა ქმნის ადამიანის საერთო ხასიათს. ხასიათის ნაკლი ან გარეგან ქცევაშია ან შინაგანში ან ორივეში ერთად. ასევე კეთილშობილური ხასიათი - გულღიაობა, გულკეთილობა - უპირველეს ყოვლისა, გარეგანი, მაგრამ ღრმად ჩახედვით, შინაგანი ქცევის გამოვლინებაა.

ასევე წარმოგვიდგება „შინაგანი სიმართლე“. შინაგანად მართალია ის ადამიანი, რომელიც საზოგადოებისთვის მოსაწონია, ღვთისათვის საყვარელია. ასეთი ადამიანები ამართლებენ მაცხოვრის წმიდა მოწოდებას: „სულნი თქუენნი განიწმიდენით მორჩილებითა ჭეშმარიტებისათა სულითა ძმათ მოყუარებისათა, შეუორგულებელ იყუენით გულითა წმიდითა, ურთიერთარს იყუარებდით განმარტებულად“. (პეტრე I, I,21).

როგორც ვხედავთ, აქ მორჩილება, სიწმიდე და ურთიერთსიყვარული „განმარტებულად“ (გაშლილად) უშუალოდ ქმნის შინაგან სიმართლეს, შეიძლება ითქვას, სულის შინაგან სიმშვენიერეს. რამდენადაც შინაგანად მართალია ადამიანი, იმდენად მისი საქციელი მშვენიერია. გარეგანი და შინაგანი ქცევა შერწყმულია, ჰარმონიულია, მათ შორის სხვობა უმნიშვნელოა. შეიძლება შინაგანი ქცევა კიდეც სჯობდეს გარეგნულს და ჩრდილავდეს მას. ასეთ პიროვნებაში „ძველი იგი კაცი“, „განხრწნილი გულისთქმითა და საცთურით“ ძლეულია. მას უკვე შემოსილი აქვს „ახალი იგი კაცი“ (რომელიც ქრისტემ თავისი მოვლინებით განაახლა), აღესილი სიმართლის სიყვარულით და სიწმიდით. ასეთებია ფარულად ქველმოქმედი და სხვისთვის მლოცავი ადამიანები. ისინი კეთილს უყოფენ სხვებს, ხოლო თვითონ არ ჩნდებიან, არ ამჟღავნებენ თავიანთ მადალ განზრახვებს.

II.

სწავლულები იმთავითვე ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ადამიანის შინაგან სიღრმეს, გამოეცნოთ მისი შინაგანი არსება, ამოეხსნათ ხასიათის რთული ხლართები.

ამ მისწრაფებამ ხელი შეუწყო მისნობის ჩასახვასა და განვითარებას: ადამიანები მიმართავდნენ მისნებს, ბედის გამომცნობთ, მუცლით მეზღაპრეებს, ქადაგებს და სხვათა, რათა შეეტყოთ თავიანთი და მახლობელთა მომავალი, თუ რას მოუტანდათ ხვალინდელი დღე, ამოეკითხათ ის სინამდვილე, რაც სხვათა გარეგან ქცევაში შენიღბული იყო.

დღესაც ყოველი ადამიანი დაინტერესებულია იცოდეს მახლობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა თუ მეგობრის სიმპათია-ანტიპათიები მის მიმართ, განსაკუთრებით იმისი ვინც უყვარს.

საყვარელი ადამიანის ყოველი გადახრა გარეგანი საქციელის ნორმიდან, მცირედიც კი, ეჭვს ბადებს მის შინაგან ქცევაში, ანუ იმ საქციელში, რაც თვალისათვის უხილავია. ერთხელ დაეჭვებულს უკვე აღარ სჯერა ლიტონი სიტყვებისა და გაფაციცებით ეძებს ფაქტებს გარეგანი ქცევიდან, რომ მით ამოიკითხოს გულისნადები მისი.

III.

მართლაც ხშირად მეტისმეტად ძნელი გამოსარკვევია (მისახვედრია) რა იმალება გარეგნულად ვითომდაც თავდაჭერილი, მაგრამ შენიღბული საქციელის მიღმა.

აი თუნდაც შეყვარებული წყვილი ერთიმეორეს ეფიცება ერთგულებას, სიყვარულს და მიუხედავად ამისა, ისინი შეიძლება გახდნენ ურთიერთ ღალატის მსხვერპლნი.

ადამიანები ხშირად წლობით ცხოვრობენ ერთად თანხმობით, ტკბილად... და მაინც ღალატობენ ერთმანეთს, ან ერთი ღალატობს მეორეს. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ახლობლებს, მეგობრებს, ძმებსა და განსაკუთრებით ცოლ-ქმარს შორის.

რაშია საქმე? ავი განზრახვა ადრევე იყო მოცემული ამ ადამიანშიჩანასახის სახით, თუ უეცრად წარმოიშვა? შეიძლება დავუშვათ ერთიც და მეორეც.

თუ ეს განზრახვა ადრევე იყო ჩასახული ადამიანში და იგი წლების მანძილზე ნიღბავდა მას, ანუ ელოდა ხელსაყრელ მომენტს, ასეთ ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ ვერაგი. ხოლო თუ ღალატი აიძულა შეცვლილმა პირობებმა ან მომაჯადოებელმა მიმზიდველობამ, ასეთ ადამიანს შეიძლება ეწოდოს ნაწილობრივ ვერაგი.

მაგრამ საშინლად აგებენ პასუხს დვთის წინაშე მაცდურნი და მოღალატენი. ამის შესახებ გვეუბნება საღმრთო წერილი. „ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მაგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური“ (მათე 18,7-8).

IV.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძალზე ძნელია ადამიანის სულის ხვეულებში ჩაწვდომა და მის გულისთქმათა გამომზეურება.

ამიტომ ხშირად დამნაშავე თავისუფალია და წლობით ემალება სასჯელს. ხშირად კარგი გამოძიებაც კი ვერ აღწევს შედეგს. ადამიანს არ შეუძლია სულივით ადვილად ამოიკითხოს საიდუმლო. ამიტომ მიმართავს ისევ და ისევ გარეგნულ დაკვირვებას, დაკითხვას, სხვათაგან მოწოდებული ინფორმაციით (დასმენა) ცდილობს სიმართლის დადგენას.

მაგრამ უფლისათვის არაფერია უხილავი და დაფარული და სძაგს ადამიანი ბოროტ გულისთქმათაგან შეპყრობილი, მონა თავისი უკანონო, უხამსი ზრახვებისა. მორწმუნეთ ასე მიუწერდა და აფრთხილებდა მოციქული, რათა ამგვარ სიბნელის შვილთაგან შორს დაეჭირათ თავი: „ნუ თანა ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა უფროისღა ამხილებდიცა, რამეთუ რა იგი ფარულად იქნების მათ მიერ, საძაგელ არს სიტყუადცა“ (ეფეს. V, II-I3).

V.

მაინც საიდან წარმოსდგება ადამიანის ჩვეულებრივი ბუნების გაორება? რა აიძულებს მას გარეგან ქცევაში სხვა იყოს, ხოლო შინაგანში - სულ სხვა? აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარია ადამიანის შინაგანი საქციელი. ადამიანი „ის არის“ რასაც ის წარმოადგენს შინაგანად. შინაგანი კარნახობს გარეგანს. შინაგანი ავი ბუნება კარნახობს ადამიანს შეინიღბოს, თავი დაიჭიროს, როგორც მართალმა ადამიანმა, რათა არ გამეღავნდეს ბოროტი ზრახვა და სიცრუე.

დაპირისპირება ადამიანის შინაგან და გარეგან საქციელს შორის ძალიან ადრე წარმოიშვა (ბიბლიაში ბევრი გვაქვს ამგვარი მოთხრობები - ძმები ინიღბებიან იოსების წინააღმდეგ, ჰომეროსთან ხის ცხენის შეყვანა ტროადაში და სხვა) და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მიმართულებას ღებულობდა (უფრო ღრმავდებოდა), დრო და ჟამის შესაფერისად. ასე რომ დაპირისპირება შინაგან და გარეგან საქციელს შორის მარტო ადამიანის შინაგანი საქციელით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის განპირობებული, არამედ ცხოვრებისეული პირობებით, ადამიანთა წეს-ჩვეულებათა, სოციალურ და ეკონომიურ ფაქტორთა, იდეათა, აზრთა სხვადასხვაობით, რითაც საერთოდ ხასიათდება ყოველი დროის საზოგადოება.

გასაგებია, რომ ადამიანი ცდილობდა მტრის წინაშე შენიღბული, გამოუცნობი ყოფილიყო. თავი მოყვრად მოეჩვენებინა, რომ მოულოდნელად ადვილად დაემარცხებინა იგი.

სამშობლოს გადასარჩენად გამოყენებული გაორებული საქციელი გამართლებულია და პატრიოტიზმად ითვლება, ხოლო მსგავსი თვალთმაქცობა მოყვასთან, პირადული, ეგოისტური მიზნების გამო ყოველმხრივ დასაგმობია და ამგვარი პირები მიიღებენ სასჯელს ღვთისაგან მოყვასის ცთუნებისათვის: „ნუ ვინ გაცთუნებს თქუენ ცუდითა სიტყვითა, რამეთუ ამისთვის მოიწევის რისხუა ღვთისა ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა, ნუ უკუე იქნებინ მსგავს მათდა“ (ეფეს. 5, 6-7). აქ ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სარწმუნოებრივ ცთუნებაზე, რაც დამღუპველია ადამიანის ბუნებისათვის.

VI.

გამართლებულია და შარავანდედით არის მოსილი თევდორე მღვდლის გაორება (ორმაგი საქციელი). მოჩვენებით მან მტრის ჯარის მეგზურობა იკისრა. ურიცხვ მხედრობას გზა დაუბნია, სინამდვილეში ერთი იბრძოდა ათასების წინააღმდეგ - ქრისტეს ძლევამოსილი მხედარი, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სამაგიეროდ განსაცდელისაგან იხსნა მეფე და სამშობლო. „ვითარცა შვილნი ნათლისანი ვიდოდეთ“ (ეფეს. 5, II-I3) ეს სიტყვები ყურში ესმოდა წამების დროსაც.

ხოლო შადიმან ბარათაშვილმა იმავე მეფეს უმუხთლა. თავისი ეგოისტური მიზნებისა და განდიდებისათვის მოატყუა მეფე და საქართველოს მოსისხლე მტერს შაჰაბაზს ხელში ჩაუგდო. საკითხავია, ჰქონდა რაიმე შინაგანი სიმართლე შადიმანს? შადიმანი და თევდორე ორ საწინააღმდეგო პოლუსზე დგანან. სწორედ შადიმანზე იტყოდა დავით წინასწარმეტყველი: „პირმან შენმან განამრავლა უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურება და ენა შენი ბრზვიდა ზაკვასა. შჯიდი რა ძმისა შენისათვის ბორტსა იტყოდი და ძისათვის დედისა შენისა (სამშობლოს შვილისათვის) დასდევი საცთური" (ფსალ. 49,19-21).

VII.

აღვნიშნოთ ცხოვრებისეული ფაქტორების მოქმედება შინაგან სიმართლეზე. საკმაოდ ძლიერია აქ ეკონომიური ფაქტორის ზემოქმედება. მაგალითად გამოგვადგება ქონებრივად გაჭირვებული ადამიანი, რომელიც სიმართლის გზას ასცდა სარგებლის გულისათვის. ვილაცას ატყუებს, ქურდობს ან თვალთმაქცობს გამორჩენის მიზნით. ასეთი ადამიანი თუ ბუნებით კეთილია, ხშირად განიცდის სინიდისის ქენჯნას, სულიერ დეპრესიას, ვინაიდან ამგვარი საქციელი მის ზნეობასთან შეუთავსებელია, ბევრჯერ ეძებს ხსნის გზებს და როცა ვერ პოულობს, ერთგვარად მორჩილდება შინაგან უსამართლობას, „ეჩვევა სიგლახეს", ეგუება, „შუბლის კანი უსქელდება" და ამგვარად ჭეშმარიტი გზიდან ვარდება.

გარდა ეკონომიური ფაქტორისა ადამიანის საქციელზე ხშირად გავლენას ახდენს საზოგადოების მიერ დაწესებული ქცევის ნორმები, სახელმწიფო კანონები; ისინი ხშირად ადამიანს თავისუფლებას უზღუდავენ, აბამენ, რათა ახალი ძალით ააწყვეტინონ თავი.

ტრადიციული წეს-ჩვეულებანი უმეტეს შემთხვევაში კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის საქციელზე. თუმცა არსებობენ ზოგიერთი, რჯულის საწინააღმდეგო ჩვეულებანი, რომელთაც საშინელი შედეგები მოსდევს. ასეთია სისხლის აღების ჩვეულება, რითაც, არც თუ იშვიათად, ორი მოწინააღმდეგე გვარი ან ტომი შეთხელებულა ან სრულიად ამოწყვეტილა. ასეთივე მავნე ჩვეულებაა დღეობებში დროსტარება და ღრეობა. მსგავს თავყრილობებში ბევრი რამ გაუგებრობაა მოსალოდნელი. მუდამ უნდა გვახსოვდეს წმიდა სჯულის მოწოდება და მისით ვებრძოლოთ დრომოჭმულ მავნე ტრადიციებს.

„ხოლო რომელმან მიჰხედა ჰსჯულსა მას სრულსა აზნაურებისასა და დაადგრა მას, ესე არა მსმენელ და დამვიწყებელ იქმნა, არამედ მყოფელ საქმისა" (იაკობ. I,24).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯულს მაშინ აქვს ძალა, როცა მას მივსდევთ და ტრადიციად ვაქცევთ. სჯულის კეთილი ნაყოფია სტუმართმოყვარეობა, სტუმრის მიღება-გამასპინძლება. ქართული სტუმართმოყვარეობა განთქმულია ყველგან. ან კი უცხოობაში მოხვედრილი კაცისათვის ამაზე მეტი საღბუნი რა უნდა იყოს?!

ასევე უნდა აღინიშნოს ადამიანის სულიერი და სხეულებრივი მოთხოვნილებანი: სურვილი კარგი სმა-ჭამის, ჩაცმა-დახურვის, თავის გამოჩენის, პირველობის და სხვ. ყოველივე ეს თავისთავად შინაგანი სიმართლის დაკნინებას იწვევს.

ავიღოთ მაგალითად კარგი ჭამა-სმისა და დროსტარების სურვილი; რაღა თქმა უნდა, კარგ ჭამა-სმასა და ქეიფს მეტი ფული უნდა და როცა ხარჯვა წინ უსწრებს მიღებას, მაშინ წარმოიშობა წინააღმდეგობა მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის: ვინაიდან ადამიანს აღარა აქვს რეალური საშუალება, უნდა ეძებოს არა რეალური, არა კუთვნილი, საძრახისი, რაც ხასიათში იწვევს ბზარს, მოქმედებს გარეგან და შინაგან საქციელზე და მიზნად ისახავს უსამართლო საქციელს. ასეთებისაგან უნდა განეყენონ მართალი ადამიანები, დაუპირისპირდნენ მათ და ამხილონ. „ნუ თანა ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა, ბნელისათა უფროისღა აშხილებდითცა, რამეთუ რა იგი ფარულად იქმნების მათ მიერ საძაგელ არს სიტყუადცა“ (პავლე ეფეს. 5, II-I3).

შინაგან სიმართლეზე ასევე მოქმედებენ სხვა ფაქტორებიც. ვნებებისა და ემოციების ჩახშობა რჩეულთა ხვედრია. როგორც წესი, ისინი ადვილად იმორჩილებენ ადამიანს და მის ბუნებას ცვლიან ნებისმიერად. ამიტომ არის, რომ ვნებათაღელვის მორჩილი ადამიანები ადვილად ვარდებიან გზიდან, უნდონი და ვერაგნი ხდებიან, იცლებიან შინაგანი სიმართლისა და პატიოსნებისაგან, უკეთ რომ ვთქვათ, პირუტყვულ ბუნებას იძენენ. „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ჰყო ჰბაძავდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფსალმუნი 48, I3-I4).

ამათ უპირისპირდებიან ძლიერი ნებისყოფით აღჭურვილი ადამიანები, რომლებიც საკუთარ გრძნობებს მართავენ, მატერიალურ მოთხოვნილებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და დიდხანს ინარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუნებენ შინაგან სიმართლეს, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანძილზეც.

რასაკვირველია, ჩამოთვლილ ფაქტორებს გარდა შინაგანი სიმართლის ჩამოყალიბებაზე ძლიერ მოქმედებს ადამიანის პიროვნული მიმართება-ინტერესთა სფერო, მიდრეკილებანი, მიზნები და სხვა.

VIII.

შინაგანი სიმართლის უკეთ გაგებისათვის საჭირო იქნება ნაწილობრივ მაინც შევეხოთ ბოროტებისა და სიკეთე-სიმართლის, მანკიერებისა და სიცრუის წარმოშობისა და განვითარების პრობლემებს, ვინაიდან შინაგანი სიმართლის ნაკლულობა ბოროტებისაგან წარმოსდგება.

ბოროტება არის ყოველივე ის, რაც მიმართულია ადამიანის წინააღმდეგ. ეს წინააღმდეგობა შეიძლება ეხებოდეს ადამიანის გონებრივ, ფიზიკურ, ნივთიერ ხელყოფას. ბოროტება მიმართული ღვთისა და ეკლესიის წინააღმდეგ იგივეა, რაც ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ბოროტება, რამეთუ მიუწვდომელის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ შეეხება ისევ ადამიანს. ბოროტება ჩადენილი ამქვეყნად პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყოველთვის ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული (ცალკეულის ან მთელი საზოგადოების). ბოროტება შეიძლება გამოიხატოს შინაგანი შთანაფიქრით (შური, გულძვირობა) და მოქმედებით ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ (ის რაიმე ისევ ადამიანთან არის დაკავშირებული).

მაშასადამე, ბოროტება ადამიანიდან გამოსული მიმართულია ისევ ადამიანის წინააღმდეგ და ამდენად ბოროტმოქმედიც ისევ ადამიანია. (ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, არ ვებებით ბოროტების ფესვებს, რაც ადამიანზე უფრო ადრე სულებში აღმოცენდა: „ამპარტავნებისა გამო განბოროტდნენ").

ამრიგად, ბოროტება ვიღაცის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა და გულისხმობს კანონიერების დარღვევას, ზნე-ჩვეულების შელახვას, ამორალურ და ანტიპათიურ საქციელს. იგი წარმოსდგება ეგოიზმისაგან, სხვისი მეობის უგულებელყოფისაგან, საკუთარი ინტერესების წინ წამოწევისაგან და სხვისი ინტერესების იგნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რირებისაგან (გაუთვალისწინებლობისაგან) ან უარყოფისაგან.

ბოროტება შეიძლება იყოს შიშველი და ულოგიკო. ბოროტება მაშინ არის შიშველი და ულოგიკო, როდესაც მოწინააღმდეგე არ სჩანს, ან არ არსებობს, ანდაც უვნებელია ბოროტმოქმედის მიმართ. მაგალითებად გამოგვადგება ტყის გადაწვა, ბაღ-ვენახის გაჩეხვა, ფაუნის განადგურება და სხვა. ამ შემთხვევაში „მოწინააღმდეგე" სრულიად უვნებელია. ან მაგალითად, შური სხვა ადამიანის - მისი ნიჭის, უნარის, სწავლა-განათლების, სიმდიდრე-გავლენიანობის მიმართ; სურვილი ასეთი კაცის დამარცხებისა და დამცირებისა, ანდაც შეურაცხყოფა, ლანძღვა კეთილი ძალებისა და წარსულის გმირებისა (მოწინააღმდეგე არ სჩანს). ზოგს ეჩვენება ვილაცა მტრობს, ვილაცა მის წინააღმდეგ მოქმედებს, სინამდვილეში არ არსებობს მოწინააღმდეგე.

არსებობს შეფარდებითი ანუ შედარებითი ბოროტება: მიგება, სამაგიეროს მიზღვა ნამოქმედარზე, იგივე საზომით ან ვადაჭარბებით. ესაა მიბაძვა, ანუ თვითგანსჯა, თვითსაშართალი, საყოველთაო სამართლის კანონების გვერდის ავლით, და აქაც თავს იჩენს შინაგანი ამპარტავნება. „არა დაემკვიდრა შორის სახლსა ჩემსა რომელმან ჰყვის ამპარტავნება, რომელნი იტყვიან სიცრუესა არა წარემართა წინაშე თვალთა ჩემთა" (ფსალ. 24,7).

არსებობს აგრეთვე განურჩეველი, საეჭვო ბოროტება. ამ შემთხვევაში ბოროტების ჩასადენად ადამიანს ვითომ არგუმენტები აქვს, მიზეზებს ადვილად შოულობს, საერთოდ მგრძნობიარეა მიზეზების მიმართ. სინამდვილეში მცირეს არაარსებითს აზვიადებს და გადაულახავ დაბრკოლებად აქცევს. ამ შემთხვევაში გარეშე პირი ძნელად გაარჩევს ორ მოპირდაპირეს შორის რომელია მართალი. რა იქნებოდა, რომ მათ გამოეძიათ სიმართლე ღვთიური გულმოდგინებით, მაშინ ამგვარ წინააღმდეგობაში აღარ ჩავარდებოდნენ და განიშორებდნენ უშვერებას. „კურთხეულ ხარ შენ უფალო მასწავენ მე სიმართლენი შენნი" (ფსალ. 108,12).

განურჩეველ ბოროტებაში უფრო მეტად ვარდებიან გოროზი ბუნების ადამიანები, რომელთა გონებრივი ინტერესების სფერო ვიწროა და მცირე; უბრალოზე ჰყვებიან ერთმანეთს, არაფერს არ თმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ და ცდილობენ საკუთარი ხაზის გატარებას.

განურჩეველი ბოროტება თავისი ვითომც მშვიდი ელფერით შეიძლება გადაიზარდოს აფექტებისა და საშინელებათა სფეროში, თუ დროზე არ იქნა ნამკურნალევი.

აქ ჩამოთვლილი ბოროტებანი თავის მრავალსახეობაში მიეწერება მხოლოდ ადამიანს. ბოროტი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს. ცხოველს კი, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ეწოდოს ბოროტი, რამეთუ ბოროტება საბოლოოდ მაინც განსჯასთან, მიზანდასახულებასთან არის დაკავშირებული, თუმცა თავისი ხასიათით ძირშივე უგუნურება უდევს მას საფუძვლად, ხოლო ეს უგუნურება ცხოველური არ არის. მსგავსი უგუნურება მხოლოდ გონიერების სიბლაგვით, დაბნელებით აიხსნება, ამდენად ისევ და ისევ გონებიდან გამომდინარეა.

მაშასადამე, ცხოველი ვერ იქნება ბოროტი, ის შეიძლება იყოს ავი, მავნე, საშინელი, გესლიანი, სასარგებლო ან საზარალო, არა ბოროტი და არა კეთილი.

IX.

„ხოლო უკეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სულიერითა სიბრძნითა, ითხოვენ ღუთისაგან რომელმან იგი მოჰსცის ყოველთა უხუად“ (იაკ. I,5).

შინაგანი სიმართლის უკეთ გაგებისათვის ახლა გავარკვიოთ სიმართლის მცნება ზოგადად. სიმართლე არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს მართალი ეგონოს თავი, არც საკუთარ შეგრძნებას სიმართლისა, არც შინაგან გულისხმას „მე მართალი ვარო“, არამედ სიმართლეს ზოგადად, საზოგადო სიმართლეს, მაღალი მორალის ღვთიური მცნებების სურნელით შეზავებულს. „ნუ ჰსჯით თუალ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი ჰსაჯეთ“ (იოანე 7,24).

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ სხვაა სიმართლე და სხვა არის სამართალი. სამართალი რომელიმე გარკვეული კლასისაგან შემუშავებული კანონია განსაზღვრულ დროში. ხოლო სიმართლე ზენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი ფორმით დროსა და ჟამში უცვლელია და ადამიანთა რომელიმე ჯგუფის ან კლასის ინტერესებს არ ექვემდებარება. ამდენად სიმართლე ძნელად მისაწვდომი ჭეშმარიტებაა. ამ ჭეშმარიტებისადმი წვდომა მხოლოდ მაღალი შინაგანი სიმართლით აღჭურვილ ადამიანებს ხელეწიფებათ.

სიმართლე და სამართალი შორეული წარსულიდან დღემდე სხვადასხვა ასპექტში განიხილებოდა. მაგალითად, კერპთთაყვანისმცემლობის ხანაში ზოგიერთ ქვეყანაში კერპებს ადამიანებსაც კი სწირავდნენ მსხვერპლად და ეს მაშინ სამართლიანობად და სიწმინდედ ითვლებოდა.

ძველი ებრაული სჯული ქადაგებდა: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილისა წილ“: მტრის მიმართ შურისგება, არ დანდობა.

მაჰმადიანური სჯული მაჰმადის სარწმუნოების გავრცელებას მოითხოვდა ყოველგვარი საშუალებით: მოსყიდვა-გადაბირებით, ქადაგება-შერისხვით, მუქარით და ბოლოს ცეცხლითა და მახვილითაც; საიქიოში ჯილდოს პირდებოდა იმათ, ვინც სხვა სჯულის აღმსარებელთ გაუკეტდა; ე. ი. ძალით ნერგავდნენ იმას, რასაც ნებით არ იღებდნენ და ეს იმ დროს სამართლიანობად მიაჩნდათ „მართლმორწმუნე მუსულმანებს“.

„აჰა მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა“ (საქმე 20, 29-30).

ასევე შეიძლება ითქვას სხვადასხვა ეპოქაში შედგენილ იურიდიულ კანონებზე, „სამართლის ძეგლებზე“. მართლაც ძნელია თვინიერ მაცხოვრის წმიდა მცნებებისა მთელი კაცობრიობისათვის შემუშავება და დადგენა სამართლისა და სიმართლის ნორმებისა. წარსულის ყველა სჯულში ძალმომრეობის ელემენტები ბატონობდა და იგი შერწყმული იყო სამოქალაქო სამართალთან. დესპოტი მეფე თუ ვერაგი ქურუმები სამართალს ხშირად ნებისმიერ თარგზე ჭრიდნენ თავიანთ სასარგებლოდ და სჯულსაც უჩნდებოდა ბზარი. თუკი მაჰმადი თვით იბრძოდა მეზობელი ტერიტორიების დასაპყრობად, ცხადია იგივე წააქეზებდა შთამომავლობას ახალი და ახალი დაპყრობითი ომების საწარმოებლად. ასეც მოხდა, სჯულში გასკვნილმა ამგვარმა

ტენდენციამ მექადან და მედინადან იწყო დენა ცეცხლის ნიაღვ-
რად, ვიდრე არაბებმა არ დაიმორჩილეს მთელი მახლობელი აღმო-
სავლეთი მცირე აზიითა და კავკასიით. შეიჭრნენ აგრეთვე ინდო-
ეთში და ჩინეთშიც.

სამართლიანი წყობილება და სამართალი სხვადასხვანაირად
ესმოდათ სხვადასხვა სჯულისა და დროის ადამიანებს.

შაჰაბაზის ომები საქართველოს წინააღმდეგ სპარსთა შორის,
განსაკუთრებით მაღალ ფენებში, მოწონებას იმსახურებდა და სამა-
რ ლიანად ითვლებოდა. ჩვენ გვეძახდენ „ცუდ რჯულთა", ცბიერთა,
მატყუართა, ვერაგთა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საკუთარ მიწა-
წყალს ვიცავდით და არავის არაფერს ვეცილებოდით. ამას ადასტუ-
რებენ ისკანდერ მუნშისა და სხვა ისტორიკოსთა ნაშრომები. ის-
კანდერ მუნში თავისი ისტორიის ერთ-ერთ თავს ასეთ სათაურს აძ-
ლევს: „თხრობაჲ სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის მიერ მოწყობილ
საღვთო ომზე, ურწმუნო და ურჯულო ქართველების მოსპობა და და-
მორჩილება და საქართველოს დაპყრობა". შემდეგ ვკითხულობთ: „რო-
გორც კი დროს იხელთებდა შაჰი ქრისტიან ქართველებზე სამომრად მი-
დიოდა და იმათ ციხეებსა და ადგილებს იპყრობდა... ურწმუნო ქარ-
თველები რჯულის მასახელებელთა ისრებით დაიხოცნენ..." აშკარაა,
რომ სპარსელ ისტორიკოსს სრულიად სამართლიანად მიაჩნდა „საღვ-
თო ომი" და „ურჯულო" ქართველი მოსახლეობის დარბევა და ამოწ-
ყვეტა თითქმის არაფრის გულისათვის. დანაშაულად ქრისტიანობა ით-
ვლებოდათ. მაგრამ განა გულისხმა ჰყვეს თუ როგორ არღვევდნენ ღვ-
თიურ სიმართლეს და ეს იმიტომ, რომ არ იყო ჭეშმარიტი გამოძიება
ღვთიურისა „არავინ არს გულისხმის მყოფელ, არავინ არს გამომეძი-
ებელ ღვთისა. სამარეზე აღებულ არს ყორანი მათი ენითა მათითა ზა-
კვიდეს... მალ არიან ფერხნი მათნი დათხევად სისხლისა, გზა მშვი-
დობისა არა იცნეს" (რომ. 3,9-15).

ამრიგად, ერთია სიმართლე ნამდვილი და მეორეა წარმოდგენა
სიმართლეზე - ასევე მცდარი შეიძლება იყოს გადამდგარ სულთა წარ-
მოდგენაც.

თვით ბოროტი სულებიც ამაყობენ თავიანთი სიმართლით, რომ
მართებულად სჯიან ცოდვილთ, მართებულად აცდუნებენ მრავალთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატანას ღაშქარი გაამრავლონ, სატანისა, რომელიც წინააღმდეგობისა და ბოროტების „მეუფეა“, მათი სიქადული და ბატონ-პატრონია. და ისინი არ სცემენ თაყვანს ქვეყნის ნამდვილ შემოქმედს და ეთაყვანებიან ბოროტ (ბოროტ) მწვერვალს, რომელმაც ვითომდაც მათ მიანიჭა „თავისუფლება“, იხსნა წმიდა ძალების ბორკილებისაგან, მრავალ ვალდებულებათაგან, მსოფლიო მეუფის მეხოტბეობისა და თაყვანისცემისაგან. აქედან სჩანს, რომ წარმოდგენა სამართალსა და სიმართლეზე თვით უხილავ ძალებშიაც მცდარია.

მაშ სად ვეძიოთ ჭეშმარიტი სამართალი და სიმართლე, როგორ აღმოვაჩინოთ იგი? ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში სიბრძნის მოყვარული სოფისტები ფიქრობდნენ, რომ ჭეშმარიტების დადგენა შეიძლება კამათით, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების გამოთქმით, იდეათა დაპირისპირებით.

ჩვენც დავუპირისპიროთ ნათელი – ბნელს, კეთილი შემოქმედი – ბოროტ მწვერვალს, ჭეშმარიტი მეუფე – მეუფების მოქადულს, განმათავისუფლებელი სჯული – შემბორკველსა და შემაწუხებელს, მაცხოვრის სახიერება – თავსდებასა და ცრუმოციქულობას.

სატანა და მისი ღაშქარი სიბნელით არის მოცული. ეს იგივე სულიერი სიბნელეა, გონებრივი უვიცობა და ამპარტავნება. ბნელი სულის ქადილი ამაოა, მას უტყუარი ბეჭედი აზის იმისა, რაც არის თვითონ.

კეთილი მეუფის – შემოქმედის სინათლე და შარავანდედი აურაცხელია, ასევე მისი სიმართლეც ბოლომდე მიუწვდომელია ადამიანური გონებისათვის. შეუძლებელია აღიქვა და იმსჯელო ამ სიმართლეზე. ვის შეუძლია, რომელ სულიერს, უსასრულო სივრცეებში თან გაჰყვეს მსოფლიოს მანათობელ ჭეშმარიტებას და ცოტად თუ ბევრად გაუგოს თუ რა არის ის თავის თავში, როგორ ქმნის საუკუნო ნათელს და ანიჭებს ღირსეულთ, აღანთებს მათ მარადიული ცეცხლით და უმორჩილებს დროსა და სივრცეს.

მაგრამ აბნელებს ცოდვილთ, რომლებიც მის ჭეშმარიტებასა და სიმართლეს მოსწყდებიან. მათ აღარაფერი აქვთ სულში ღვთიური, არ სჯერათ ღვთისა და საიდანღა მიიღებენ შვების ნათელს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ეკუთვნის. უსირცხვილოდ უარყოფენ ტკბილ შემოქმედს, ყველაფრის გამჩენს, ვინც ყველას უხვად აძლევს ყოველივეს. მან ხომ მისი მგმობარნიც არარსებობიდან არსებობად მოიყვანა და ისინი კადნიერად ეცილებიან მას „სიმართლეს“.

შენ მეუფეო, სიმართლისა და სინათლისა, „გვასწავენ ჩვენ სიმართლენი შენნი“.

ხოლო უფალმა უკვე გვასწავლა მრავალჯერ. ჯერ ათი მცნება მოგვცა სახელმძღვანელოდ და შემდეგ მოგვივლინა მაცხოვარი ჩვენ-და მაცხოვრად. ვინც გვიქადაგა წმიდა სახარება და გვიჩვენა მაგალითი ჭეშმარიტი ქცევისა, აღსავსე შინაგანი სიმართლით, მან ღვთიური სიმართლე მცნებებით გადმოგვცა. მცნებებში გადაგვიშალა ის, რასაც ჩვენ ვერ დავადგენდით და ვერ მივწვდებოდით ჩვენი ადამიანური გონებით. მისი ყოველი სიტყვა მარტივი სიტყვაა უსაზღვროდ ღრმა, უსაზღვროდ წმიდა: „არა ხოლო პურითა ჰსცხონდების კაცი, არამედ სიტყვითა ღუთისათა“.

მცნებანი შვებანი სულისა! ვის შეუძლია განმარტოს მათი უსხეულო სიწმიდე; ვინ იქნება ისეთი, რომ ირწმუნოს, ჩაწვდეს და არ პოვოს შვება! სხივისებურად რომ ჩააშუქებენ ჩვენს გულში; სხივნი უხორცონი, სხივნი სულიწმიდის მადლით გაბრწყინებულნი. ვინ დაეყრდნოს მათ და არ იგრძნოს სიმყარე, სიმტკიცე, შეუვალობა? დაეყრდნოს და დაემყაროს მთლიანად სიმშვიდითა და გულმოდგინებით და მაშინ სხივი იგი უხორცო გამკვრივდება, გამყარდება, აიყვანს სათუთად ხელში, გრწყინვალე ხელში და წაიყვანს მაღლა, სულ მაღლა, ზეციერ მეუფისაკენ. უკან დარჩება ურვა და ტანჯვა, უსამართლობა და უხამსობა, უვიცობა და უცოდინარობა. მცნებებით განვისწავლებით, მათით შევითვისებთ ჭეშმარიტებასაც და სამართლიანობასაც. „რავდენ უფროს რომელნი იგი უმეტესსა მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ ცხოვრებასა შინა ჰსუფევდენ ერთისა მისგან იესო ქრისტესსა“ (პავლე რომ. 5,16).

„ნიჭსა სიმართლისასა“ მიიღებენ სწორედ სიმართლის მეუფისაგან. არავის ძალუძს იყოს სამართლიანი და კეთილი თუ მოსწყდება შემოქმედის კალთას, თუ უგულებელყოფს ღვთიურ მცნებებს. ყოველი „მეკანონეობა“ მის გარეშე, ყოველი გადახრა მისგან, ვითომცდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სათნოების საძიებლად, თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. არ არსებობს სათნოება სათნოების გარეშე და ყოველი სათნოება უნდა გამომდინარეობდეს პირველ, შეუბღალავ, უზადო სათნოებისაგან.

ხშირად კითხულობენ თუ რომელი სჯული ნამდვილი და ჭეშმარიტი. დავუკვირდეთ უბრალოდ და გავიაზროთ: კაცისაგან შექმნილი სჯული, ვინც არ უნდა იყოს მისი შემქმნელი, ვერ იქნება ისეთი მაღალი და სრული, როგორც სჯული ღვთისაგან შექმნილი. ქრისტიანული სჯული იქადაგა თვით მაცხოვარმა და მოგვცა უპირველესი მცნებები სამოქმედოდ და აღსასრულებლად.

ამ სჯულის დარღვევა, ან შეცვლა სხვა სჯულით, უაზრობაა (ბოროტის ფანდებია), რამეთუ ამით ადამიანი შორდება ჭეშმარიტებას, შორდება პირველ უზადო სათნოებას და მიექანება შორს-შორს პირღია უფსკრულისაკენ. მაცხოვარი მოვიდა ქვეყნად სჯულის განსამტკიცებლად და აღსასრულებლად. მან თვითონ ბრძანა: „არა მოვედ დახსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად". თანაც ადამიანის ცხოვრების გზაზე სჯულს უკავია უმაღლესი მწვერვალები. წმიდა სჯულის შეთვისებისა და აღსრულების გარეშე ცოდვილის განდმრთობა შეუძლებელია. ამიტომ აღამაღლებს სჯულის საქმეს მოციქული: „ანუ არა უწყითა ძმანო, რამეთუ მეცნიერთა მათ ჰსჯულისათა ვეტყვი, ვითარმედ ჰსჯული უფლებს კაცსა ზედა რავდენჟამ ცოცხალ არს იგი" (რომ. 7,I).

ვინაიდან „ჰსჯული უფლებს კაცსა ზედა", ამიტომ სჯულის გამოძიებას, მის ჭეშმარიტ დიდებას უნდა დაუთმონ ყურადღება იმ ერებმა და ტომებმა, რომელთაც აქამდე ან ჩვენ დრომდე ვერ შეიცნეს მაცხოვარი...

მყვირალა „მცნებები" თვინიერ ქრისტეს მცნებებისა, რომლებიც ადამიანს პირდებიან ბედნიერებას ამ ქვეყნად ან ცხოვნებას საიქიოში, მტკნარი სიცრუეა, რადგან ყველა მათ ხელთ იპყრობს ბოროტი ძალა. როგორც კი ადამის შვილი განუდგება უწმიდეს და უმაღლეს სულს (სიტყვით და საქმით) და დაეყრდნობა საკუთარ თავს ან ცრუ წინასწარმეტყველთა მოძღვრებას, რჯულის დამრღვევთა, უარმყოფელთა, გადამხრელთა და სხვათა, - ეშმაკი შთანთქავს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გვახსოვდეს მტკიცედ, რომ ყველა გადახრას წმიდა მცნებებისაგან, ყოველ მოწყვეტას ღვთის კალთისაგან არასასურველი შედეგები მოსდევს.

ამის გამო მკაცრად გვაფრთხილებს მოციქული: „რომელი ორგულობდეს მსგავს არს იგი ღელუასა ზღვისასა ქარითა აღძრულსა და მიმოტაცებულსა, ნუ ჰგონებენ კაცი იგი რაიმე იღოს ღვთისაგან“ (იაკობ I,6-7). და რომ არ დაიღუპოს, აუცილებელია ადამიანმა თავისი შინაგანი სიმართლე აღზარდოს ქრისტიანული მცნებების შესაბამისად. ის გულში მართალი უნდა იყოს, უნდა გრძნობდეს ამას. თავს უნდა წრთვნიდეს საღვთო წერილებით, ბრძენ-ფილოსოფოსთა ნაშრომებით, სადაც მოცემულია მაღალი აზრები წმიდა ანარეკლის სახით.

ამრიგად, შინაგანი სიმართლე მაშინ არის სპეტაკი და სრული, როცა მას ადამიანის გულკეთილობასთან ერთად ასაზრდოებს წმიდა მცნებები.

X.

ცნობიერი და გონიერი არსება ადამიანი ცხოვრობს თავისი შინაგანი ცხოვრებით (ფიქრი, ოცნება, გრძნობა, სწრაფვა) და ცხოვრობს აგრეთვე, თავისი გარეგანი ცხოვრებით (შრომა, მოქმედება, მოძრაობა, მეტყველება, საზოგადოებასთან კავშირ-ურთიერთობა და სხვა). ამიტომ ადამიანს ახასიათებს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ქცევა, როგორც შინაგანი ხასიათი, ისე მისი გარეგნული გამოვლინება.

ამავე დროს ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, ხელეწიფების პირმოთნეობა (გაორება), გარეგანი საქციელის შენიღბვა, თავის კეთილად მოჩვენება, რაც გარკვეულ უპირატესობას აძლევს დასახული მიზნის მისაღწევად. ასეთ ვითარებაში შედარებით ადვილად სარგებლობს სხვათა ნდობითა და პატივისცემით.

ხშირად ადამიანში თავს იჩენს შინაგანი და გარეგანი ქცევის ისეთი სხვაობა, რომ შინაგანი საქციელი, შინაგანი მოქმედება, გარეგნულისაგან დიამეტრალურად განსხვავდება. თქმულის საბუთად მოვიყვანოთ ვაჟა-ფშაველას გრწყინვალე სტრიქონები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოვიდა მოყურიადე ღაქარდიანი ენითა,
სახელს ულოცავს ჯოყოლას, ღალობს არ არის წყენითა,
ვინ იცის გული სავსე აქვს გველის შხამით და გესლითა“.

ამ შემთხვევაში სხვაა გარეგანი მოყურიადე და სულ სხვაა შინაგანი. ბოროტება შინაგანია, ფარულია... აქ ჩვენ ვხედავთ, თუ ერთსა და იმავე პიროვნებაში როგორ უპირისპირდება გარეგანი საქციელი შინაგანს. სხვა არის ჩვენს წინაშე მდგომი ადამიანი და სულ სხვაა იგი თავისი შინაგანი არსით. ასეთ შემთხვევაში გარეგანისა და შინაგანის დაპირისპირების ზღვარი უსაზღვროდ დიდია. გარეგანი და შინაგანი პიროვნება საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან, როგორც კეთილი და ბოროტი სული. რაც უფრო დიდია ზღვარი გარეგან და შინაგან ადამიანს შორის, იმდენად ბოროტია პიროვნება, რამეთუ დაპირისპირების საფუძველი სიცრუე და მანკიერებაა.

ჯაშუშებს, ქურდებს, ავაზაკებს, გარყვნილ მეძავებს და სხვა მისთანებს, რომლებიც ფარულად ჩადიან დანაშაულს, ახასიათებთ პიროვნების გაორება, ორმაგობა, „ორენიანობა“, ირპირობა. ტყუილად როდი გმობს მოციქული საშინელ გაორებას: „ესე ბოროტი ორ ენა...“

ამრიგად, შინაგანი და გარეგანი საქციელი ხშირად ერთიმეორეს უპირისპირდება, ოღონ ეს დაპირისპირება, რა თქმა უნდა, მოჩვენებითია, იგი გარეშე დამკვირვებლისათვის არის ასე, თორემ ადამიანი სინამდვილეში ის არის, რაც შინაგანად არის და როგორც კი დაუდგება დრო, მაშინვე გამოამჟღავნებს თავის თავს.

მლიქვნელისა და შენიღბულის მთავარი აზრი გამახვილებულია იმაზე, რომ სხვას სხვა კაცად მოაჩვენოს თავი ე. ი. უფრო უკეთესად, ვიდრე შინაგანად არის, რათა არ დაკარგოს საზოგადოებაში ავტორიტეტი და თავის გარკვეულ მიზანს მიაღწიოს.

ხშირად გარეგანი და შინაგანი საქციელი ერთიმეორეში გადადის, ერთიმეორეს ამართლებს, ავსებს. ამის მაგალითად ავთანდილის სიქველე გამოგვადგება, რაც სიტყვით შეპირდა ვაჭრებს, შეუსრულა საქმით. იგი შეპირდა ქარავანს, რომ უბადრაგებდა, დაიცავდა ზღვის მეკობრეთაგან და მშვიდობით გაიყვანდა ხშულუთზე-

ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ გმირის სიტყვა და საქმე ერთია, ადგილი აქვს შინაგანი და გარეგანი საქციელის მთლიანობას, მონოლითურობას, რაც ჰარმონიულს ხდის ხასიათს. გახარებული ვაჭრები გულწრფელად გამოთქვამენ თავიანთ გულისნადებს ავთანდილის უმაგალითო გამარჯვებით, მისი რაინდული სიქველით აღტაცებულნი:

„ქარავანმან იზრიალა, თქვეს: „უფალო, მადლი შენდა,
მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვითენდა“.

XI.

ბევრჯერ შინაგანი ქცევა მაღლა დგას გარეგნულზე. შინაგანი მზეობს, გარეგანი იჩრდილება: ამ შემთხვევაში შინაგანი აღმატებულია და სპეტაკი, რამეთუ შორს დგას ყოველგვარი მანკიერებისაგან და გარეგან ქცევაში ადგილი აღარა აქვს მოჩვენებითობას. პირიქით, გმირის უბრალო, თავმდაბალ გარეგან საქციელს წინ უსწრებს შინაგანი სხივების გამობრწყინება. უბრალოებაში თავისთავად გამოსჭვივის კეთილშობილება და სულიერი შარავანდედი. აქ ისეთი ადამიანები უნდა ვიგულისხმოთ, რომელთაც თავის გამოჩენის სურვილი არ ამოძრავებთ, სიკეთეს ჰყოფენ არა იმიტომ, რომ სხვათა ქება დაიმსახურონ, არამედ კეთილის ყოფა მათი სულიერი მოთხოვნილებაა. ასეთი ადამიანები ღრმად ცნობიერნი არიან, ბრძენნი, წინდახედულნი, ქვეყნმოქმედნი. შინაგანი ხასიათი იმდენად ნათელი და მთლიანი აქვთ, რომ ჰფარავს გარეგნულს. გარეგნული (პირადი მოთხოვნილებანი) უკანა პლანზე გადადის, ყურადღების ცენტრიდან გამოდის, ხოლო ყურადღების ცენტრს იკავებს მაღალი საზოგადო მიზნები. მოყვასისა და ღვთის სიყვარული ავსებს სულსა და გულს. ადამიანი მზად არის მოყვასის სიყვარულს შესწიროს, ანაცვალოს ყოველივე პირადული. „მაქუნდესღა თუ წინასწარმეტყველებაჲ და უწყოდე ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ, მაქუნდესღა თუ ყოველი სარწმუნოებაჲ, ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს არავე რაჲ ვარ“ (პავლ. კორ. 13,2). როგორც ვხედავთ, მოციქული ყველა სათნოებაზე მაღლა სიყვარულს აყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე დიმიტრი თავდადებულმა თავი დასდო თავისი ხალხისათვის, ერისათვის, უმწეო „დედაკაცთა და ჩვილ ყრმათათვის", რათა არ შემოსეოდა სამშობლოს მტერი და არ გაეყლიტა, როგორც მაშინ იტყოდნენ, ურიცხვი სული.

მღვდელმა თეოდორემ ყირიმელ თათრებს გზა-კვალი აუბნია და იხსნა მეფე ლუარსაბი დატყვევებისაგან, ხოლო მთელი საქართველო დარბევისაგან. მან კარგად იცოდა რაც მოელოდა ამგვარი საქციელისათვის. მისმა წმიდა განზრახვამ სძლია შიშს, რამეთუ ყოვლად მაღალი მიზანი ამოძრავებდა. შინაგანმა სიმართლემ გაანათა მისი სული და გული და ყოველივე გარეგნული და პირადული დაჩრდილა.

საქართველოს მნათობი ქეთევან დედოფალი საშინლად ეწამა სჯულისათვის. ვინ იცის რამდენ პატრიოტს შეუწირავს თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის - სამასი არაგველი თუ ცხრა ძმა ხერხეულიძე; ექვსასი ბერი შეუშფოთებელნი სჯულის აღსრულების დროს, შაჰაბაზმა რომ ამოწყვიტა გარეჯის მონასტერში; გმირულად დაცემული ყველის ციხის პატრონი წმ. გობრონი და მისი 133 თავდადებული მხედარი. ყველას ვერ ჩამოთვლი.

ყველა მათგანში შინაგანმა სიმართლემ არაჩვეულებრივი ძალით აღანთო მათი სული სამუდამოდ, ხოლო დროებითი ხორციელი პატივი და დიდება კვარიცით დაიწვა.

იმარჯვებდა შინაგანი, იმარჯვებდა ნათელი ბნელზე, იმარჯვებდა კეთილი ბოროტზე, რადგან „არსება მისი გრძელია".

XII.

„ქმნა მართლისა სამართლისა,
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".
(შ. რუსთაველი)

ისე როგორც სხვა გულისთქმანი, არც შინაგანი სიმართლეა უცვლელი კრიტერიუმი. იგი ხშირად იცვლება როგორც დრო-ჟამისა და ცხოვრების პირობების, ასევე ადამიანის ინტერესთა და მიდრეკილებათა შესაბამისად: ხან ვარსკვლავივით ბრწყინდება, ხან ნაღვერდალივით მინავლდება. ხოლო არსებობენ მტკიცე ნების ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუული პირები, რომლებიც შინაგან სიმართლეს დიდხანს ინარჩუ-ნებენ, ზოგჯერ კი მთელი ცხოვრებით ემსახურებიან მას. შინა-განი სიმართლის ცვალებადობა უფრო მედროვეებში, მოდას აყოლილ კარიერისტებსა, ფუფუნების მოყვარულთა, მლიქვნელთა და სხვა ამგვართა შორის შეიმჩნევა.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ სიმართლის შეგრძნება თავიდან-ვე მოცემულია ადამიანში, როგორი ბუნებისაც არ უნდა იყოს ადა-მიანი, მასში შინაგანი სიმართლის რაღაც ნაწილი მაინც არსე-ბობს. არ არსებობს შინაგან სიმართლეს აბსოლუტურად მოკლებული ადამიანი.

ხშირად შინაგანი სიმართლე ადამიანში მიძინებულია, როგ-ორც ნაცარწაყრილი ღვეღფი. გარეგნულად არ იგრძნობა თუ ფერფლ-ქვეშ ცეცხლია. რამდენადაც დიდხანს დარჩება ხელუხლებლად ნა-ცარში ღვეღფი, იმდენად სუსტდება და ბოლოს ქრება. ასევეა ადა-მიანშიც, თუ მასში მიძინებული შინაგანი სიმართლე დროზე არ გამოვაღვიძეთ და არ გავაძლიერეთ, ის თანდათან ჩაიფერფლება და გაქრება. ისე რომ ბუნებით პიროვნება არ არის მოკლებული კეთილ „იარაღს", რითაც შეუძლია დაიცვას თავი და ებრძოლოს უსამართ-ლობას. ძველთაგან ბევრ ბრძენს მიაჩნდა, რომ ადამიანში არის შინაგანი სინიდისი. თუ ადამიანი შინაგანი სინიდისის ხმას უს-მენს და ეკითხება, იგი მას ამცნობს როგორ მოიქცეს. რამდენა-დაც უფრო ხშირად მიაყურადებს ადამიანი, იმდენად ხშირად მოის-მენს შინაგანი სინიდისის წმიდა ხმას. ადამიანს შეუძლია დაუ-ფიქრებლად, სიამაყით თუ აღვირახსნილობით დააჩლუნგოს სინიდისის ხმა და შეუძლია კიდეც გულდინჯი ქცევით, სიდარბაისლით, საკუ-თარ სულში ჩაღრმავებით, ყოველი საქმის აწონ-დაწონით გააფაქი-ზოს იგი.

ერთი წმიდა ბერი, რომლის სახელი არ არის მოხსენიებული, პატერიკულ ნოველაში წერს: ყოველ საქმეში, რის გაკეთებასაც ლაპობდე და არ იცოდე ღვთისათვის მისაღებია თუ არა, დაუკვირ-დი შენ სინდისს, „თუ რაძი მოგაგოს შენ სინიდისმან შენმან, რომელი ითარგმანების „შინაგანი გონება" (შინაგანი გონება ში-ნაგანი სიმართლის სინონიმია), და დასძენს: „რომელი მოგცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმან ცნობად ბოროტისა და კეთილისა“. მაშასადამე, ადამიანში თავიდანვე შთანერგილია „შინაგანი გონება“, შინაგანი სიმართლის გამოსავლინებლად. ადამიანი უნდა დაუკვირდეს შინაგან გონებას, უნდა დაჰყვეს მის რჩევას, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდეს – „გინა იმარხვიდე, გინა იკითხვიდე, გინა ხელთსაქმარსა იქმოდე, გინა გეღვიძოს, გინა გეძინოს, გინა შინ იყვე, გინა გარეთ, გინა სხუასა თანა, გინა მარტოდ დააჩვიე გონებაჲ შენი, რათა ყოვლადვე სიკუდილსა მოელოდეს და იწურთიდეს. უკეთუ აწ მოიწიოს რაიმე ყოფად არს ჩემდა? და იხილე თუ რაჲ გარქუას შენ სინიდისმან შენმან, რომელ არს შინაგანი გონება და რაიცა გარქუას შენ სინიდისმან იგიცა შენ ჰქმენ. და ნუ შეუდგები ნებასა შენსა, რამეთუ მტერი არს იგი სულისა შენისა, არამედ შეუდეგ სინიდისსა შენსა, რომელსა უნებს კეთილი შენი და თუ არა მას დღესა, მანვე გამხილოს წინაშე ღმრთისა.“

მთავარი არისო, განმარტავს ბერი, ადამიანის გონება მიეჩვიოს სიკვდილის მოგონებას ყოველ ჟამს, რათა მორწმუნემ სიკვდილის შიშით დათრგუნოს აღძრული ბოროტი სურვილებიო. საჭირო არის ადამიანში ისადგუროს ღვთის შიშმა, ვაითუ უგვანი საქმის ჩადენისთანავე უეცრად მეწიოს სიკვდილი, რა პასუხი გავცე მაშინ უფალს? აქ საქმე გვაქვს საქციელის განწმედასთან სიკვდილისა და ღვთის შიშით.

ბერის თქმით, „შინაგანმა გონებამ“, სინიდისმა იცის სიმართლე „რომელსა უნებს კეთილი შენი“ და თუ არ დაუჯერებ, გამხილებს წინაშე ღვთისა, იმ დღეს თუ არა, სხვა დროს მაინც.

ამრიგად, ირკვევა რომ ღვთისაგან მონიჭებული „შინაგანი გონება“, შინაგანი სიმართლე, უბრალოდ რომ ვთქვათ სინიდისი, ეძლევა ადამიანს სწორი განსჯისათვის, თავისუფალ ქცევათა შორის მისაღების ამორჩევისათვის. არასწორ გზაზე „შინაგანი გონება“ ამხილებს ყველას. იგივე ამხელს უზენაესის წინაშეც. იგი რაღაცა დამოუკიდებელია, არ ემორჩილება ადამიანის ნებას, ჯიუტობს, თავისას არ იშლის, თავისას ადგას. და ვინც მას მიუგდებს ყურს, მოგებული დარჩება.

სინიდისის შესახებ კი ის შეიძლება ითქვას, რომ ვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს შინაგანი სიმართლე, მას სინიდისიც აქვს, ვისაც შინაგანი სიმართლე არ მოსდევს, ის უსინდისოა.

კარგად უწოდებს ხალხი აღვირახსნილ და ცუდი ყოფაქცევის ადამიანებს უსინდისოებს. ასეთებში მართლაც ხომ არ არის მთლიანად ჩამქრალი „შინაგანი გონება", სინიდისი, კეთილის და ბოროტის გარჩევის ნიჭი მთლიანად? რა თქმა უნდა, არა. ვინაიდან შეუძლებელია ყოველმხრივ უსინდისობა, ყოველმხრივ უწესივრობა და ყოველმხრივ აღვირახსნილობა. ასეთ ადამიანებში, როგორც ვთქვით, სინიდისი – „კეთილი ცეცხლი" – დაფერფლილია, დაფარულია მივიწყების ნაცრით. როგორ გამოვაღვიძოთ მიძინებული „შინაგანი გონება" და აღვძრათ შინაგანი სიმართლით? ამ საქმისათვის მთავარია ადამიანებს შევძინოთ რწმენა, რომ მათ დაეუფლოთ ღვთის შიში. შემდგომ ამისა მოგვიტანს ნაყოფს მორალის ქადაგება (ქრისტიანული, სამოქალაქო).

XIII.

„გიხაროდენ მოუკლებლად ილოცვდით"

შინაგანი სიმართლის შეგრძნება ადამიანის სულში რაღაცა უკეთესის, თვითკმაყოფილების, სიმშვიდისა და სიწმიდე-სისავსის მზიანი განცდაა.

როცა ადამიანი მიეჩვევა შინაგანი სინიდისის ხმის მოსმენას და არა მარტო მოსმენას – აღსრულებასაც, მას მოიცავს შინაგანი სიხარული. ეს სულიერი უბიწოების სიხარულია (სრულიად არ ჰგავს ანგარებით მოგვრილ აზარტულ გრძნობას, აზარტულ განცდას). ამ წმიდა სიხარულს შემდგომ უნდა კვლავ აღზრდა, გაძლიერება, ზრუნვა იმისათვის, რომ იგი არ დაგვეჩაგროს, არ დაკნინდეს. ეს სიხარული გარეგნულად პირბადრი სახის ღიმილი როდია, იგი დაგუბებული სულიერი ძალაა, რომელიც მოგებული ფულივით არ იხარჯება, არამედ სულში დაგროვილი გარდაქმნის მას შესაგამისად, ავსებს სინათლით, უჩვეულო სითბოთი.

„შევედით იწროსაგან გჭისა", „იწრო გჭეთა განვლით" იმდენად ფაქიზდება „შინაგანი გონება", რომ მისი სასწორი ხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგრძნობიარე - მცირეოდენ გადახრას, მცირეოდენ დარღვევასაც კი გვიჩვენებს სულში; ამას ადამიანი ვერ გუობს, აწონასწორებს სასწორს და ყოველთვის განიცდის კმაყოფილების ნათელ გრძნობას. მისი მეობა ესწრაფვის სისპეტაკეს, აღწევს და კვლავ ელტვის. ამასთან ცდილობს დაიოკოს წმიდა სიხარული. იმშვნევს, არ ამჟღავნებს, ეშინია არ გადავარდეს სიამაყეში და არ განაბნიოს თავმდაბლობით მოხვეჭილი საუნჯე. შეგნებულად არ ამაყობს თავისი შინაგანი სიმართლით, ვინაიდან მან კარგად იცის, მოხვეჭილი ძალა, სულის ნათელი, მხოლოდ ღვთისმიერი ჯილდოა (მასზე გადმოსული) მისი კეთილი ღვაწლისათვის და ვინც ამპარტავნებით დაარღვევს კანონს, მას იგივე დასჯის, ვინც „აღამაღლებს და ვინც დაამდაბლებს", რამეთუ „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი". ამიტომ თავმდაბლობა ადამიანის შინაგან სულიერ მოთხოვნილებად იქცევა, მთელს მის არსებას ექსოვება და მოწიწებით მსჭვალავს მისადმი, ვინც ანიჭებს უსასყიდლოდ.

მეორეს მხრივ, ვინც საკუთარი სურვილების მონად იქცევა, ცვალებად მოდებს გამოეკიდება, განცხრომით და არაწმინდებით ცხოვრობს, თვრება და დროს აზარტულ თამაშში კლავს, მან უკვე დაკარგა შინაგანი სიმართლე, ნაცარმტვერში ამოგანგლა იგი და საძებარი გაუხდა. უფალი გვამცნებს: ერთი მცნების დარღვევითაც ვერ ვიქნებით მართალი, „რამეთუ რომელმან ყოველი ჰსჯული დაიმარხოს და ჰსცთეს ერთითა, იქმნა [illegible] ყოვლისავე თანა-მდებ" (იაკობ 3,9-II). თუ ერთი მცნების დარღვევისათვის ისჯება ადამიანი, ზემოთ რამდენი ცოდვა-ბრალი მოვთვალეთ? ამას დავუმატოთ ნაყროვანების, ციღისწამების, ღვთის გმობისა და სხვა ცოდვანი. ყველა ესენი მომაკვდინებელი ცოდვებია. ამათ მიმდევარს როგორღა შერჩება შინაგანი სიმართლე? მსგავსი ცოდვებით დასნებოვნებულს ბევრს შეხვდებით თანამედროვე საზოგადოებაში (მსოფლიოს ყველა კუთხეში). ამიტომ ვამახვილებთ ყურადღებას ამ საკითხებზე. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ხშირად უბიძგებენ ადამიანს - უღალატოს თავის შინაგან სინიდისსა და ჩვეულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV.

„არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, დაშევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (მათე 7, 21-22).

ახლა განვიხილოთ შინაგანი სიმართლე მისი მაღალი ფორმით: მოყვასისა და მტრის სიყვარული, პატიება, შენდობა, დიდსულოვნება, რითაც ადამიანი სიწმიდეს ეზიარება.

და აგრეთვე განვიხილოთ შინაგანი სიმართლე მისი მდაბალი ფორმით: თვითსამართალი, განკითხვა, გულცივობა, შური, შურისძიება, მიზღვა, მიგება, რითაც იგი პოროტებაში გადადის.

შინაგანი სიმართლე არ არის ისეთი ერთსახოვანი რამ, რომ ყველგან და ყოველთვის ერთი საზომით მივუდგეთ მას ან ერთგვაროვად მოვთხოვოთ იგი სხვადასხვა საზოგადოების, ზნისა და შეგნების ადამიანებს. არ შეიძლება გავათანაბროთ ბრძენი ფილოსოფოსი და უწვრთნელი ბრბო. ერთს აუცილებლად მეტი მოეთხოვება, ვიდრე მეორეს. მაგრამ არის რაღაცა მინიმალური ნორმა შინაგანი სიმართლის, რომელიც ყველას მოეთხოვება (ყველა ნორმალურ ადამიანს). ნორმის ზემოთ მოეთხოვება განსწავლულ და ბრძენ ადამიანებს, ნორმის ქვევით არასრულფასოვანი გონების ადამიანებს.

უპირველესი მოთხოვნა (მინიმალური ყველასაგან) იმაში მდგომარეობს, რომ არ ავნოს სხვას, არ გახდეს ცუდის წამომწყები, წეს-კანონის დამარღვეველი. და როცა მისი ინტერესები სხვის ინტერესებს გადაეხლართება, მონახოს თავის დაღწევის გზები ისე, რომ სხვა არ დააზარალოს თავისთავზე მეტად. დაე, თვითონ გაიღოს მსხვერპლი, ოღონდ საქმე მშვიდობიანად წარიმართოს. ასეთი ადამიანი ნამდვილად იქნება შინაგანი სიმართლის მატარებელი და ღვთიურ მცნებათა აღმასრულებელი. ამიტომ, მარტო სიტყვა არ უნდა ამართლებდეს ადამიანს (თავისმართლება), არამედ საქმე. ის იქნება მართალი „რომელმაც ჰყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათასა“, მ ა მ ა ზ ე ც ი ე რ ს კ ი მ ა რ ტ ო ლ ი ტ ო ნ ი ლ ო ც ვ ა ა რ უ ნ დ ა, ა რ ა მ ე დ მ ო ყ ვ ა ს ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. მხოლოდ რჯულის კეთილი აღმასრულებელი (შინაგანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი) ადამიანი შევა „სასუფეველსა ცათასა“.

XV.

ახლა ზოგადად შევეხოთ შინაგან სიმართლეს მისი მაღალი ფორმით.

ადამიანი მოწოდებულია დადგეს მის წვრილმან გრძნობებზე მაღლა, დათრგუნოს შური, იდეალად გაიხადოს ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი; ჩასწვდეს წმიდა მცნებებს და გრძენ მწერალთა და ფილოსოფოსთა ნაწარმოებებს შეერთოს, ზურგი არ აქციოს მამა-პაპათა კეთილ ტრადიციას, სადაც მოთმინების იდეა განსაკუთრებით ცხოველად გამოიყოფა. და როცა იგი თავის სულს მიაჩვევს და აღზრდის, მაშინ იგი თავის ქცევასაც აღზრდის ძალით, ნებისყოფით მიდრეკს (თუ ყრმობიდანვე არ არის მიდრეკილი) გრძენ ადამიანთა და ჰუმანისტთა ნათელი მოძღვრებით. ისე რომ იგი ნებაყოფლობით შეიყვარებს მოყვასს (ყველა ადამიანს), შეიყვარებს გულწრფელად, თვინიერ ყოველგვარი ანგარებისა, მაშინ შურის გრძნობა არსებას დაკარგავს.

ამგვარი ადამიანი მაღლდება სულით, მას ეუფლება ჰარმონიულობის შეგრძნება არა მარტო მოყვასისადმი, არამედ მტრისადმიც. იგი მზად არის გული გადაუშალოს უფალს და შეჰღაღადოს: „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა...“ მარადდღე სულიერი წვრთნით - ღანდათან მაღლდება ადამიანი სულით, იგი დიდსულოვანი ხდება და სიწმიდეში გადადის.

XVI.

„ყოველი სიტყუაჲ უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას საჯელისასა. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“.

(მათე 12,37-39).

ახლა ზოგადად შინაგანი სიმართლის მდაბალ ფორმაზე.

ხშირად მორწმუნე ვერ მაღლდება სულიერად. იგი მოითხოვს დამნაშავის აუცილებელ დასჯას და არა პატიებას, მას მიაჩნია, რომ ვინც შესცოდა, უნდა მიეზღოს სამაგიერო. თუმცა გარეგნულად ქრისტეს მოსავობას ამჟღავნებს, პირჯვრის გადაწერით ამბობს: „მიპატიებია უფლის წინაშეო", მაგრამ კულით მაინც იმად რჩება, რაც იყო – ვერ სძლევს შურისგების გრძნობას, გამწარებული შინაგანად სწყევს მოწინააღმდეგეს, მასში თავისთავად გამჯდარა შიზღვის, სამაგიეროს გადახდის სურვილი. „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ" მისდა შეუგნებლად ეს ფორმულა არ კარგავს ძალას მის არსებაში – მაგრამ მოწინააღმდეგის დასჯას არა თვითონ აპირებს, არამედ უფრო სხვისგან მოელის, სურვილი აქვს, რომ მას სხვამ დამართოს ცუდი.

თუ დაისაჯა მოპირდაპირე, მას ეს ახარებს, ამშვიდებს, მისი დაჭიმული ნერვები ჰარმონიას განიცდის.

ასეთი ადამიანი ბევრს ლაპარაკობს სხვაზე, მოწინააღმდეგის ყოველ მცირე „საჩოთიროს" აზვიადებს, თავის დანაშაულს კი ყოველმხრივ ხელს აფარებს. განა არ ფიქრობ, რომ ყოველი „უქმი სიტყვისათვის" პასუხი უნდა უგოს მაცხოვარს განკითხვის დღეს. ასეთი ადამიანი გადაჭარბებით თავმოყვარე და ამაყია, თავს იმართლებს, სხვას ადვილად განსჯის, საკმაოდ ფანატიკურად, სჯერა თავისი განსჯისა (თვითსამართალი). ყოველგვარი პატიების გარეშე მოითხოვს პიროვნების სამოქალაქო კანონით დასჯას. მისთვის სამოქალაქო კანონიც ქრისტიანულია. ერთმანეთში ურევს სამოქალაქო და ღვთიურ სამართალს.

ამგვარ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნიან, როგორც მორწმუნე, ისე ურწმუნო, პრეტენზიებით აღსავსე ადამიანები, ვითომცდა კანონიერებისა და სიმართლის მოყვარულნი, სინამდვილეში ფარისეველთა მსგავსნი. მათ შეიძლება ვუთხრათ: „ვითარ ხელგეწიფების კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ?" (მათე 12, 34).

XVII.

„განიფრთხვეთ სიმართლისა და ნუ სცოდავთ“.
(პავლე კორ. 15,32).

შინაგანი სიმართლე მისი მაღალი ფორმით არის ნამდვილად ღვთიური სიმართლე. ადრეც გვითქვამს, ღვთიური სამართალი ძლიერ განსხვავდება კაცობრიული (სამოქალაქო) სამართალისაგან.

რამდენადაც კაცობრიული სამართალი დანაშაულის მიმართ სასტიკია, იმდენად ღვთიური სამართალი ლმობიერია. სხვა ვინ ჩასწვდება უკეთესად ჩვენი გულისა და ფიქრის ხვეულებს, ვინ აღრიცხავს ჩვენ ცოდვებს, ვინ მიგვიხვდება გულისთქმას, სინანულს, თუ არა ზეციერი მამა. ამიტომ იყო, რომ ძე მისი მოვლინებული ქვეყნად ასწავლიდა მოციქულებს მხოლოდ ღვთიურ სიმართლეს:

„კეთილს უყოფდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქვენ“; ანდაც: „ამინ გეტყვით თქვენ, არა წინაღდგომად ბოროტისა, რომელმან გკრას შენ ყურიმაღსა მარცხენესა, მიუპყარ ერთ კერძოცა...“

„გიყუარდეთ მტერნიც თქუენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილს უყოფდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქუენ“.

ეს მცნებები იმდენად ღრმაა, რომ ჩვეულებრივ ადამიანს უცნაურად ეჩვენება და მათ სიმართლეში ეჭვი ეპარება. მაგრამ ამ ცნებებში მოსჩანს არა ჩვეულებრივი, არამედ ღვთიური სათნება, ღვთიური სიმართლე, რომელიც მტერსაც სიბრალულის თვალით უცქერის, სწუხს მის უგუნურობაზე იმისთვის, რომ გულის სიფიცხით სცოდავს, უდანაშაულოს აყენებს წყენას, მაგრამ სულგრძელად იტანს ამ წყენას შინაგანი სიმართლით ანთებული ადამიანი. სამაგიეროს არ უზღავს, შურს არ იძიებს. ამით წინასწარობა დაკარგულ მოწინააღმდეგეზე ზეგავლენას ახდენს და როგორც სულიერი მკურნალი სწმენდს მას შინაგანი ბოროტებისაგან. განწმედილ გულში კეთილი გაოლების, სიმშვიდის გრძნობა იბუდებს. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ნამდვილ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით. ბევრი ხმალამოწვდილი შეუჩერებია მშვიდ, ღვთაებრივ ღიმილს. ამგვარად სიმშვიდე ორმხრივ სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ამიტომ გვამცნო მაცხოვარმა დიადი მცნება: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“.

პატიებით, შენდობით, სულგრძელი მიგებით, სხვაზედ წუხილით, ზრუნვით, ნოთმინებით, შინაგანი სიმართლე იმდენად მაღლდება, რომ შინაგან კეთილ ქცევას უკვე ვეღარ აუდის ჩვეულებრივი ზრდილობიანი საქციელი. ამ დროს შინაგანი ჭარბად აღემატება გარეგნულ გამოვლინებას. სული იმდენად ნათლდება და ძლიერდება, რომ მისი გამსჭოლი სხივების ათინათი ხორციელი ადამიანის სახეს ამშვენებს და გარეშენიც გრძნობენ ამას. გარეშე პირიც ამჩნევს, რომ მისი გარეგნული უბრალოებ[illegible] იღმა იმყოფება რაღაც მომხიბლავი და მაღალ-ადამიანური, ზ[illegible]ამიანური, რისკენაც ნებსით თუ უნებლიეთ თვითონაც ილტვის, ქედს იხრის მის წინაშე, მისი გავლენის ქვეშ ექცევა.

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ თითქოს გარეშეთათვის ყოველი ყოველთვის ნათელი გახდება. სხეული საკმაოდ ნიღბავს როგორც შინაგან სიწმიდეს, ისე უწმინდურებას. ბევრჯერ სულით უწმინდურსაც შეუძლია დროებით თავი წმინდად მოგვაჩვენოს, ამისი ბევრი მაგალითი გვაქვს.

რა თქმა უნდა, ადამიანის ხორცი ისეთივე გამჭვირვალე რომ იყოს, როგორც სულია, მაშინ ბოროტი თავს ვეღარავის მოაჩვენებდა კეთილად. ხორციელი ადამიანისათვის შეუფერებელი და უხერხულიც კია შიშვლად უმზერდეს ყველას სულიერ საგანძურს, რაშეთუ ადამიანის სხეული ძლიერ რთულია. მასში აღიძვრის სხვადასხვა სახის ასეთივე რთული ვნებათაღელვა, ბიწიერი გრძნობანი, ბოროტი გულისთქმანი, მაგრამ ძეხორციელი არ არის სულივით ძლიერი, ყოველივე უწმინდურობის გადაჭრით უარისმყოფელი და სიწმიდისაკენ მიმსწრაფი. წინააღმდეგობანი ზოგჯერ თავის თავად აღიძვრის სხეულში.

ადამიანებმა მრავალგზისი და მრავალმხრივი მეცადინეობით მრავალგვარი ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებანი უნდა ჩააბშონ, რომ სიმართლის გზას დაადგნენ და მიიდრეკნენ სიწმიდისაკენ. ამიტომაც არის, რომ სხეულით იფარება ადამიანის შინაგანი ბუნება და შინაგანი სიმართლეც. ამგვარი საფარველი საჭიროა ადამიანისათვის ისე, როგორც სხეულის შემოსვა ტანსაცმლით. ეს არის შესატ-

ყვისი ადამიანური ნებელობისა, რომ საჩოთირო არ იყოს მისთვის მის მსგავსთა ნებისმიერ წუთს შეხვედრა, რომ მას შეეძლოს თავის გულში ჩახედვა თავისუფლად, აწონ-დაწონა, მოაზრება კარგის და ავისაც, რათა დარჩეს თავისუფალი და დამოუკიდებელი თავის შინაგან გუნებაში. ისარგებლოს ღვთისაგან გოძებული სულიერი თავისუფლებით, შეძლებისდაგვარად ადიდოს ღმერთი და მიჰყვეს სათნოებას რამდენიც შესწევს უნარი მის სულს, რწმენით გადალახოს ყოველი დაბრკოლება.

„ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად“ (ეფეს. 6, 16-17).

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ შინაგანი სიმართლე ძალიან უფრთხის შაბლონს. ღმერთს ეჯავრება შაბლონი. არც ჯიუტი, მოუთვინიერებელი, შეუნდობი ადამიანი უყვარს უფალს, ადამიანი, რომელიც სხვის ბედს ადვილად სჯის, განიკითხავს და სასჯელს უმზადებს, თავის გულში კი არ იხედება, თუ რას წარმოადგენს თავად. სწორედ ამგვარ ადამიანებზე ბრძანებს უფალი: „ანუ რაჲსა ჰხედავ წუელსა თუალსა ძმისა შენისასა და დჯრესა თუალსა შინა შენსა არ განიცდი? ორგულო, აღმოიღე პირველად დჯრე თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (მათე 7,3). „ოდეს სჯიდე ნუ სულმოკლე იქნებიო“; თუ გინდა სხვისი საქციელის განსჯა, შენ თვითონ განიწმინდე თავი ყოველგვარი მანკიერებისაგან და მაშინ მიუთითე ძმასა შენსა ნაკლი და იგიც განიწმიდება. ამ მაღალი ქრისტიანული მორალის მატარებელ ადამიანში უნდა იყოს შინაგანი სიმართლე, რომ იგი დროზე გამოვლინდეს და აღმოხეთქოს გულიდან ანკარა წყარომ სიტყვისა და სულიერ სისპეტაკეთა, მიიზიდოს მის გარე მყოფნი, რომ მათ გულშიც აჩქეფდეს წყარო მშვენიერი შინაგანი სიმართლისა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შინაგანი სიმართლის აღზრდა ადამიანებში არის უპირველესი ზნეობრივი პრობლემა.

1966-1981 წ.

მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსარება

ნეტარი აგუსტინესი, ჰიპონის ეპისკოპოსისა

წიგნი პირველი

I

I. „დიდ ხარ შენ, უფალო, და ღირსი ყოველისა ქებულებისა; დიდ არს ძალი შენი და განუზომელ – სიბრძნე შენი“. დიდება სურს შენი ადამიანსაც, ნაწილაკს შენს ქმნილებათაგან; ადამიანს, ვინც ყოველგან მოკვდავობას ატარებს თვისას, თან ატარებს მოწმობას თავისი ცოდვიანობისა და მოწმობას იმისაც, რომ „ამპარტავანთა შეჰმუსრავ“ შენ[1]. და მაინც სურს ადამიანს – ნაწილაკს შენს ქმნილებათაგან, – გადიდოს შენ, ვინც სიტკბოებას გვანიჭებ ამ ქებულებით, რადგანაც შენივე თავისთვის შეგვქმენი ჩვენ, და გული ჩვენი ვერ მოისვენებს, სანამ არ ჰპოვებს სიმშვიდეს შენში[2]. მაშ, მომეც, უფალო, ცოდნა და გულისხმისყოფა იმისა, თუ ვით დავიწყო: გხადო ჯერ თუ გადიდო ჯერ? უნდა შეგიცნოთ ჯერ თუ უნდა მოგიხმოთ მანამდე? [illegible], განა მოგიხმობს ვინმე, ჯერ ვერ შემცნობი შენი?! მოუხმოს სხვას და არა შენ – ძალუძს მხოლოდ უვიცს[3]. თუ, სწორედ იმისთვის უნდა გხადოთ, რათა შეგიცნოთ შენ? „ვითარ-მე უკუე ჰხადონ უფალსა, რომელსა მიმართ არა ჰრწმენა?... ანუ ვითარ-მე ისმინონ თჳნიერ წინასწარმეტყველისა. ქებულებასა ეტყვის უფალსა ყოველი, რომელი ეძიებს მას“[4]. ეძიებენ და ჰპოვებენ. ჰპოვებენ დაადიდებენ მას. მე გეძიებ შენ, უფალო, მოგიხმობ რა შენ, და გხადი შენ, მრწმენა რა შენი, რამეთუ შენზე გვესმა წინასწარმეტყველთა მიერ. გხადის შენ, უფალო, რწმენა ჩემი, რომელი მომეც მე, რომელი შთამბერე მე მეოხებითა განკაცებულისა ძისა შენისა, – მეოხებითა მსახურებისა აღმსაარებლისა შენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

2. მაგრამ ვით ვსადო მე ღმერთსა ჩემსა, ღმერთსა და უფალსა ჩემსა? როცა მე ვსადი მას, მე ჩემსავე თავში მოვუხმობ მას. ნუთუ არის ჩემში ალაგი, სადაც დამკვიდრდებოდა უფალი ჩემი? ვით მოვა ჩემში უფალი, უფალი, ვინც შეუქმნია ცა და ქვეყანა?! უფალო, ღმერთო ჩემო! ნუთუ არის ჩემში რაღაც, რამაც შეიძლება დაგიტიოს შენ? განა ის ცა და ქვეყანა კი გიტევენ, რომელიც შენ შეუქმენ რომელზე მეც გამაჩინე? მაგრამ უშენოდ[5] არ იქნებოდა ის, რაც არსებობს - მაშასადამე, ყოველივე, რაც კი არსებობს, გიტევს შენ? მაგრამ მეც ხომ ვარსებობ; რატომ გვედრი მოხვიდე ჩემთან: მე ხომ არ ვიქნებოდი, შენ რომ არ იყო ჩემში. მე ხომ ჯერ ქვესკნელში არა ვარ, თუმცა შენ იქაც ხარ. და „შეა-თუ-ვკდე ჯოჯოხეთად, აწ-ლოსვე ხარ“[6]. მე არ ვიქნებოდი, მე საერთოდ არ ვიქნებოდი, ღმერთო, შენ რომ არ იყო ჩემში. ანდა უფრო სწორად: მე არ ვიქნებოდი, შენში რომ არ ვიყო, რამეთუ „შენგან და შენ მიერ და შენდა მომართ არს ყოველი“[7]. ჭეშმარიტად, უფალო, ჭეშმარიტად. ვით მოგიხმო, თუკი შენში ვარ? ან კი საიდან მოხვალ ჩემთან? სად წავიდე მე, ქვეყნისა და ცის მიღმა, რათა შენ იქიდან მოხვიდე ჩემთან, შენ, რომელი იტყვი: „ცათა და ქვეყანას აღვავსებ მე“[8].

III

3. ამრიგად, გიტევს შენ ცა და ქვეყანა, თუკი თვით აღავსებ მათ? თუ შენ აღავსებ მათ, და კიდევ რჩება შენში რაღაც, რადგან ისინი ვერ გიტევენ შენ? და საით გადმოიღვრება ეს დარჩენილი რაღაც, - ცა და ქვეყანა ხომ აღვსებულია? თუ არავითარი ჭურჭელი არ გჭირდება შენ, ვინც ყოველივეს იტევ, რადგან ის, რასაც აღავსებ, შენ აღავსებ, იტევ რა მას? შენით სავსე ჭურჭლები კი არ განიჭებს შენ მდგრადობას; დაე დაიმსხვრეს ისინი, შენ არ გადმოიღვრები. ხოლო როცა ჩვენში იღვრები, მაშინ შენ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეცემი, არამედ ჩვენ ვართ შენით აშენებულნი; შენ არ იხარჯე-ბი, მაგრამ ჩვენ შენით ვართ შეკრებილნი. და ყოველივეს, რასაც კი აღავსებ, მთლიანად აღავსებ თვით შენით. მაგრამ არა ყოველს ძალუძს შენი დატევა, ყოველი ხომ ნაწილს იტევს შენსას, და ყველანი ერთადაც ამავე ნაწილს იტევენ? თუ ცალკეული ქმნილებანი - ცალკეულ ნაწილებს: დიდნი - დიდს, მცირენი - მცირეს? მაშ, ერთი ნაწილი შენი დიდია, სხვა კი მცირე? თუ, ყოველგან ხარ შენ მთლიანი და არაფერს ძალუძს დატევა შენი მთლიანობის?[9]

IV

4. რა ხარ შენ, ღმერთო ჩემო? რა, - თუ არ უფალი ღმერთი? „ვინ არს ღმერთ უფლისა გარეშე, ანუ ვინ არს ღმერთ, გარნა ღმრთისა ჩუენისა?“[10] უმაღლესი და სახიერი, უძლიერესი და ყოვლისშემძლე, ყოველად მოწყალე და სამართლიან; უშორესი და უახლესი, უმშვენიერესი და უძლიერესი, უძრავი და მიუწვდომელი; უცვალებელი და ყოველის შემცველი, მარად ჭაბუკი და მარად ძველი. შენ ყოველს განაახლებ და ამპარტავანთ აბერებ[11], მათ კი ეს არც უწყიან; მარად ქმედებაში, მარად სიმშვიდეში, შეჰკრებ და არ იჭირვებ, სდებ, აღავსებ ოღ იფარავ, ჰქმნი, ასაზრდოებ და სრულჰყოფ; მოიძიებ, თუმც კი ყოველივე გაქვს. შენ გიყვარს და არ შფოთავ; გშურის და არ იურვებ; შეინანებ და არ ჰლონდები; მრისხანებ და მშვიდი რჩები; სცვლი საქმეთა შენთა, და არ სცვლი სჯასა შენსა; შეჰკრებ, რასაც მოიძიებ და არასოდეს არ ჰკარგავ; არასოდეს გიჭირს და გიხარის მოგება; არასოდეს ძუნწობ, და ითხოვ; შენ ყოველივე უხვად გეძლევა, რათა მოვალე იყო; მაგრამ აქვს კი ვინმეს რამე, რაიც შენი არ არის? შენ იხდი ვალს, მაგრამ შენ კი არავისი გმართებს; იხდი ვალს, და არას ჰკარგავ[12]. კიდელა ითქმის რამე, უფალო ჩემო, სიცოცხლევ და წმიდათ სიხარულო ჩემო?! ან კი საერთოდ რისი თქმა ძალგვიძს შენზე? მაგრამ ვაი მათ, ვინც სდუმს შენზე, რამეთუ მრავლისმეტყველნიც დადუმებულან[13].

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

5. ვინ მომანიჭებს მე დავმშვიდდე შენში? ვინ მომმადლის მე, რათა შემოხვიდე გულსა შინა ჩემსა და დაათრო იგი, დაათრო ისე, რომ დავივიწყო ყოველი სიბოროტე ჩემი და მოვიცვა სრული მადლი ჩემი, შენ? რა ხარ შენ ჩემთვის? მიწყალე მე და მომეცნება ვისიტყვო. რა ვარ მე თვითონ შენთვის, რომ მიბრძანებ მიჩვარდე შენ და მრისხანებ, თუ ვერ შევიძლებამას, და დიდ უბედურებათ მიქადი? განა დიდი უბედურება არაა არ მიყვარდე? ვაი მე! მარქვი მე უფალო მოწყალებითა შენითა, მარქვი ღმერთო ჩემო, - რა ხარ შენ ჩემთვის? „არქუ სულსა ჩემსა: მხსნელი შენი ვარი მე". მარქვი ისე, რომ გავიგონო, აჰა, გულისყურნი ჩემნი წინაშე შენსა, უფალო: განახვნე იგინი და არქვი სულსა ჩემსა: „მჴსნელი შენი ვარი მე"[14]. მე გამოვიქცევი ამ ხმაზე და მოგისწრებ შენ. ნუ დაჰფარავ ჩემგან პირსა შენსა: დაე მოვკვდე, ოღონდ კი ვიხილო იგი[15].

6. იწრო არს სადგომი სულისა ჩემისა, რათა შენ შემოხვიდე შიგ, უფალო: განავრცე იგი. იქცევა იგი და განაახლე. ბევრია მასში ისეთი, რაც შეურაცხყოფს შენს მზერას: ვაღიარებ, ვიცი, მაგრამ ვინ მოიშლოს იგი ჩემგან? სხვას ვის შევღაღადო, თუ არ შენ: „საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმიდე მე და უცხოთა შეცოდებათაგან იცევ მონაჲ შენი"[16]. მწამს და მიტომაც ვამბობ: „შენ უწყი უფალო". განა არ გაუწყე შენ ცოდვაჲ ჩემი და უშჯულოებაჲ ჩემი... და შენ მომიტევე მე უღმრთოებაჲ გულისა ჩემისაჲ"[17]. მე არ განვისჯები შენთან, რომელი ჭეშმარიტება ხარ, და არ შესურს თავი მოვიტყუო, ნუმც მოატყუებს თავის თავს ჩემი ტყუილი. არა, მე არ განვისჯები შენთან, რამეთუ „უკუეთუ უშჯულოებათაებრ მიაგებდე, უფალო, უფალო, ვინ-მე დაუთმოს?"[18]

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

7. და მაინც, მომეცი ნება, მოწყალევ, ვისიტყვო წინაშე შენსა, ნება მომეც მე, რომელი „მიწა ვარ და ნაცარ“,[19] მომეცი ნება, მაინც გელაპარაკო: მოწყალებასა შენსა მოვმართავ მე, და არა კაცს, ვინც დამცინებს. იქნებ შენც დამცინო, მაგრამ ვიცი – ჩემსკენ მოქცეული შემიწყალებ მე. რა მსურს გითხრა, უფალო ღმერთო ჩემო? – მხოლოდ ის, რომ არ ვუწყი სით მოვედი აქ,[20] ამ-ასე ეთქვათ, – მკვდარ სიცოცხლეში თუ ცოცხალ სიკვდილში?[21] არ ვიცი. მიმილო მე ნუგეშის ცემით მოწყალებამ შენმა, – ასე მესმა მე ჩემს ხორციელ მშობელთაგან, ვისი მეოხებითაც შემქმენი მე დროში; თვით მე ეს არ მახსოვს. პირველი ნუგეში ჩემი იყო რძე, რომლითაც არა დედა ჩემი ანდა ძიძანი ჩემნი აღივსებდნენ ძუძუთა თვისთა; ეს შენ მაძლევდი მათი საშუალებით საზრდოს, აუცილებელს ჩვილისთვის დადგინებითა შენითა და საუნჯეთაგან შენთა, რომელნიც ყოველს ქმნილებას მოეფინება. შენ მომეც მე უნარი იმისა, რომ არ მესურვა შენს მიერ მოცემულზე მეტი, ხოლო ჩემს ძიძათ – სურვილი იმის მოცემისა, რასაც შენ აძლევდი. შენს მიერ შთაგონებული სიყვარულის გამო სურდათ მათ მოეცათ ის, რაც ჭარბად ჰქონდათ შენგან მიღებული. მათთვის სიკეთე იყო ჩემი კეთილდღეობა, მათგან მოღებული, მაგრამ იგი მათგან კი არ მომდინარეობდა, არამედ შენგან და მათი საშუალებით, რამეთუ ყოველი მადლი შენგანაა და ცხოვნებაც ჩემი – უფლისა ჩემისა მიერ. ამას შემდგომ მივხვდი, თუმც მაშინაც მომიწოდებდი – ჩემთვის გარედან ბოძებულ ნიჭთა მეოხებით. უკვე მაშინ ვიცოდი ძუძუს მოწოვა, დამშვიდება ხორციელ სიამეთაგან და ტირილი, როცა მათ ვერ ვიღებდი – ჯერჯერობით სულ ეს იყო.

8. მერმე სიცილიც დამიწყია, ჯერ ძილში, შემდეგ კი მღვიძარსაც. ამას შემდეგში სხვები მიყვებოდნენ და მე მჯერა, რადგანაც იგივე მინახავს სხვა ჩვილთთანაც: თვით კი ამ ხნისას თავი არ მახსოვს. და აი, თანდათანობით დავიწყე იმის შეცნობა, თუ სად ვარ; მინდოდა გამეგებინა ჩემი სურვილები მათთვის, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიკმაყოფილებდა მათ, მაგრამ არ შემეძლო, რადგანაც ეს სურვილები ჩემში იყო, ხოლო გარშემო მყოფნი – ჩემს გარეთ, და არავითარი ვარეგნული გრძნობით არ შეეძლოთ მათ ჩემს სულში შემოსვლა. მე ვფართხალებდი და ვყვიროდი, მცირერიცხოვანი ნიშნებით ვცდილობდი გამომეხატა, როგორც კი შემეძლო, რაღაც მიმსგავსებული ჩემი სურვილებისა, მაგრამ ეს ნიშნები ვერ გამოთქვამდენ ჩემს სურვილთ. და როცა არ მიჯერებდნენ, რაკიდა არ ესმოდათ ჩემი ანდა არ უნდოდათ ევნოთ რამ ჩემთვის, მე ვგულისდებოდი მაის ურჩობაზე, ვხელდებოდი იმაზე, რომ თავისუფალნი მონებივით არ მემსახურებოდნენ, და შურისძიება ჩემი – ტირილი იყო. რომ ჩვენნი ასეთნი არიან, მე გავიგე იმათი მიხედვით, რომელთა გაცნობაც შევიძელ, და მეც რომ ასეთი ვიყავი, ამის შესახებ მე უფრო მეტი მამცნეს მათმა – შეგნების არმქონეებმა, ვიდრე შეგნებულმა აღმზრდელებმა ჩემმა.

9. და აი რახანია მოკვდა სიყრმე ჩემი, მე კი ვცოცხლობ. უფალო! – რომელიც მარადის ცოცხლობ და რომელშიც არაუერი კვდება, რამეთუ უწინარეს საუკუნეთა და უწინარეს ყოვლისა რაზეც კი შეიძლება „უწინარეს" ითქვას, შ ე ნ ხ ა რ, – ღმერთი და უფალი ყოველი შენი ქმნილებისა, – მდგრადი გაქვს შენ მიზეზნი ყოველივე არამდგრადისა, უცვლელი საწყისნი ყოველი ცვალებადისა, მარადიული უწესრიგოსა და დროითის წესრიგი – მიპასუხე მე უფალო: ჩემი ყრმობა რომელიღაც სხვა ჩემი გარდაცვლილი ასაკის შემდეგ დადგა, თუ მას მხოლოდ ის პერიოდი უძღოდა, რომელიც მე დედის საშოში გავატარე?[22] დედის საშოში გატარებულ დროზე მე ვიცი ცოტაოდენი, და თვით მეც მინახავს ორსული ქალები. მანამდე რა იყო, უფალო ჩემო და სიხარულო ჩემო? ვიყავი მანამდე სადმე, ვიყავი ვინმე? ამას ვერავინ მეტყვის: ვერც მამას ჩემსას, ვერც დედას ამის თქმა არ შეეძლოთ: არ არსებობს აქ სხვისი გამოცდილება ან საკუთარი მოგონებანი. იცინი განა უფალო, ჩემს შეკითხვაზე და იმისათვის, რაც უკვე ვიცი, მიბრძანებ გადიდო და აღსარება გითხრა შენ?

10. აღმსარებელი ვდგავარ წინაშე შენსა, უფალო ცისა და ქვეყანისა, ქებულებას გიძღვნი შენ, რადგანაც დასაბამი მიეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლესა და სიყრმეს ჩემსას, რაიც მე აღარ მახსოვს. შენ მიეც ადამიანს უნარი თავისი თავი სხვათა მიხედვით შეიცნოს, გევრი რამ, რაც მას შეეხება, უბრალო ქაღალის მონათხრობითაც კი ირწმუნოს. დიახ, მე ვარსებობდი და ვცხოვრობდი მაშინ, და უკვე დასასრულს ჩემი ჩვილობისა, ვეძიებდი იმ ნიშნებს, რითაც სხვებს ჩემს სურვილებს გავაგებინებდი. საიდან, უფალო, ამგვარი არსება, თუ არ შენგან?[23] განა არსებობს ოსტატი, თვითვე რომ ჰქმნიდეს საკუთარ თავს? განა სხვაგანაც გამოდის წყარო, ჩვენ რომ არსებობასა და სიცოცხლეს გვანიჭებს? არა, ეს შენ გვქმნი ჩვენ, უფალო, შენ, ვისთვისაც ერთია ყოფნა და სიცოცხლე, რადგან თვით ხარ სრულყოფილი ყოფნადა სრულყოფილი სიცოცხლე. შენ სრულყოფილი ხარ და არ იცვლები: შენი დღე არ გადის, და, მაინც იგი გადის, რადგანაც შენ ყველაფერი გაქვს; არაფერი არ წავიდოდა, შენ რომ არ შეიცავდე ყოველივეს. და რადგანაც „წელიწადნი შენნი არა მოაკლდენ", ამიტომაც წელიწადნი შენნი - დღევანდელი დღეა. რამდენი დღე ჩვენი და რამდენი დღე მამათა ჩვენთა გავიდა ამ ერთი შენი დღევანდელი დღის განმავლობაში! მისგან მიიღეს მათ თავისი სახე და მისგანვე წარმოიშვნენ როგორღაც; კიდევ მრავალნი დღენი გავლენ, მისგან მიიღებენ სახეს და მისგანვე წარმოიშვებიან როგორღაც. „შენ თავადი იგივე ხარ". ყოველივე ხვალინდელს და იმასაც, რაც მას მოსდევს, ყოველივე გუშინდელს და იმასაც, რაც მის უკან იყო, შენ დღევანდელ დღედ აქცევ, შენ დღევანდელ დღედ აქციე[24]. მე რა ვქნა, თუკი ვინმეს არ ესმის ეს? დაე, მასაც უხაროდეს, როცა იტყვის: „რა არის ეს?" დაე, უხაროდეს და ერჩივნოს: გიპოვოს მაგრამ ვერ განახოს, ვიდრე განახოს მაგრამ ვერ გიპოვოს[25].

VII

II. შეისმინე, უფალო! ვაი ცოდვათა კაცთა! კაციც ამბობს ამას და შენ შეიწყალებ მას, რადგანაც შენ შეჰქმენი იგი, თუმცა კი ცოდვიანი არ შეჰქმენი ის. ვინ შემახსენებს სიყრმის ცოდვებს? არის კი ვინმე, წმიდა და უცოდველი, თუნდაც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის ჩვილი? ვინ შემახსენებს? იქნებ, რომელიმე პაწაწა, რომელშიც იმას დავინახავ, რაც ჩემში არ მახსოვს?

მაშ, რით ვცოდავდი მაშინ? ნუთუ იმით, რომ ტირილით ვიწევდი ძუძუსკენ? თუკი ახლაც ასე მოვიქცევი, ოღონდ ძუძუსკენ კი არ გავიწევ პირდაფჩენილი, არამედ ჩემი ასაკის შესაფერ საზრდოსაკენ, ალბათ სასაცილოდ ჩავიგდებენ და გამკიცხავენ, და სამართლიანადაც. მაშინაც, მაშასადამე, გაკიცხვას ვიმსახურებდი, მაგრამ რადგან არ შემეძლო გამეგო მისთვის, ვინც გამკიცხავდა, არც მიღებული და არც გონივრული იყო ჩემი გაკიცხვა. ასაკთან ერთად ჩვენ აღმოვფხვრით და უკუვაგდებთ ამგვარ ჩვევებს. მე არ შემხვედრია თავისი საქმის მცოდნე ადამიანი, გასხვლისას სანაყოფე ტოტებსაც რომ აცლიდეს მცენარეს[26]. მაგრამ იმ ასაკშიც განა კარგი იყო, ტირილით რომ მოვითხოვდი ჩემთვისვე საზიანოსაც კი? განა კარგი იყო, სასტიკი ბრაზით რომ ვინთებოდი თავისუფალი ადამიანებისადმი, უფროსებისადმი, მათ შორის ჩემი მშობლებისადმიც, როცა ისინი არ მემორჩილებოდნენ და როცა, როგორც შემეძლო, ვცდილობდი დამერტყა მათთვის და გამეხადა გონიერი ადამიანები მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი არ ასრულებდნენ ჩემს მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც დამღუპველი იქნებოდა ჩემთვის? ყრმანი უცოდველნი არიან ხორციელი უძლურებისა გამო, და არა სულით. მე მინახავს და დავკვირვებივარ ეჭვიანთა და ეურით აღსავსე პაწიას: მას ჯერ ენაც არ აედგა, და გაფითრებული, ბრაზით შეჰყურებდა თავის ძუძუმტეს. ვინ არ იცის მსგავსი მაგალითები? დედები და ძიძანი ამტკიცებენ, რომ ისინი ამ ცოდვას გამოისყიდიან, არ ვიცი რა საშუალებით[27]. იქნებ ესეც უცოდველობაა, როცა რძის უხვ და ჭარბ წყაროსთან ერთ გუობენ სხვას, სრულიად უმწეოს, ვინც მხოლოდ ამ საკვებით ცოცხლობს? ყოველივე ამას უმიტყვოდ და მშვიდად იტანენ არა იმიტომ, რომ ეს უმნიშვნელო და მცირე ცოდვაა, არამედ იმიტომ, რომ წლებთან ერთად ეს გაივლის. და შენ გვიდასტურებ ამას იმით, რომ იგივე მოვლენას უფრო მოზრდილ ასაკში მშვიდად ვეღარ ეუყურებთ[28].

12. უფალო ღმერთო ჩემო! ეს შენ ბევრ ყრმას სიცოცხლე და სხეული, რომელიც გრძნობებით აღჭურვე, ბევრად შეაკავშირე ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილნი მისნი, შეამკე იგი და ჩაუნერგე მას ყოველი სულიერისათვის ღამახასიათებელი სწრაფვა სრულყოფისა და სიცოცხლის შენარჩუნებისაკენ. შენ მიბრძანებ გადიდო ამისთვის, „კეთილ არს აღსარებაჲ უფლისაჲ და გალობად სახელსა შენსა, მაღალო“[29], რადგანაც მხოლოდ ესეც რომ გექმნა, რაიც შენს გარდა სხვას არავის შეეძლო, მაინც ყოვლისშემძლე და სახიერ იქნებოდი, უფალო, ერთადერთო, ვინც დაადგინე ყო[illegible]ი საზომი, უმშვენიერესო, ვინც ყოველივეს მშვენიერად აქცევ და ყოველივეს მოაწესრიგებ. არ მინდა, უფალო, ეს ასაკი, რომლის შესახებაც არ მახსოვს რომ მე ვცხოვრობდი, და რომლის შესახებაც სხვებს ვუჯერი, და რომელშიაც, როგორც ამას სხვა ყრმებზე დაკვირვებით ვხვდები, მე როგორღაც ვმოქმედებდი, მე არ მინდა, უფალო, მივაკუთვნო ეს ასაკი ამ ჩემს სიცოცხლეს, რომლითაც მე ვცოცხლობ ამ ქვეყანაზე. რაც შეეხება ჩემი დავიწყების სისრულეს, ეს დრო იმის დარია, რაც მე დედის საშოში გავატარე. და თუკი „უსჯულოებასა მიუდგა და ცოდვასა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“[30], მაშ სად ვიყავ, ღმერთო ჩემო, უმანკო, სად ვიყავ, უფალო, მე, მონა შენი, სად და როდის ვიყავ უცოდველი? არა, მე გამოვტოვებ ამ დროს; ან კი რა ხელი მაქვს მასთან, როცა მისი არავითარი კვალი აღარ შემიძლია ვიპოვნო?!

13. ახლანდელი დროისაკენ სვლისას, ყრმობიდან განა გავშვობის ხანაზე არ გადავედი? ანდა უფრო ზუსტად, იგი მოვიდა ჩემთან და ჩემი ყრმობა შეცვალა. ყრმობა არ გამქრალა, - მაშ სად წავიდა ის? და მაინც - იგი აღარ იყო. მე უკვე აღარ ვიყავი ჩვილი, ვინც სიტყვასაც ვერ გამოთქვამდა, არამედ ბიჭუნა, ლაპარაკი რომ შეუძლია. და მე მახსოვს ეს, შემდეგში კი მივხვდი კიდეც, საიდან ვისწავლე ლაპარაკი. იგი გარკვეული წესით, სიტყვების სისტემატური მოწოდებით არ უსწავლებიათ ჩემთვის უფროსებს, როგორც ეს მცირე ხნის შემდეგ ხდებოდა, როცა ასოების შესწავლა დავიწყე. მე ვმოქმედებდი ჩემი საკუთარი გონებით, რაიც შენ მომეც, ღმერთო. როცა ტირილით, სხვადასხვა ხმების გამოცემითა და მოძრაობებით ვცდილობდი გადმომეცა ჩემი სურვილი და მეიძულებინა სხვები შეესრულებინათ ის, მე არ ძალმიძდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მიღება ყოველივესი, რაც მსურდა, და არც გამეგებინა ამის შესახებ იმათთვის, ვისთვისაც მინდოდა. მე მეხსიერებით ვიჭერდი, როცა უფროსები რაიმე ნივთის სახელს იტყოდენ და ამ სიტყვით მას მიემართებოდენ; მე ვხედავდი და ვიმახსოვრებდი: იმ სიტყვით, რომელიც ეს-ესაა წარმოთქვეს, სწორედ ამ ნივთს აღნიშნავენ. თუ რისი დასახელება უნდოდათ მოზრდილებს, ეს ჩანდა მათს ენერგიაში, - ხალხთა ამ ბუნებრივ ენაში, - რაც შედგება სახის გამომეტყველების, მინიშნებების, სხვადასხვა მოძრაობებისა და ბგერებისაგან, რომლებიც სულის მდგომარეობას გამოხატავენ, იმ სულისას, რომელიც ითხოვს, იღებს, იშორებს და ეაურბის. მე თანდათან ვხვდებოდი რას აღნიშნავდნენ სხვადასხვა წინადადებაში თავ-თავიანთ ადგილზე მდგარი სიტყვები, ასე ხშირად რომ ხვდებოდნენ ჩემ ყურს, ვაიძულებდი ჩემ ბაგეთ დაეძლიათ ეს სიტყვები და მალე მათი საშუალებით გამოვხატავდი სურვილებს. ამგვარად, ჩემი სურვილების გამოსახატავად დავიწყე ამ ნიშნებით ურთიერთობა იმათთან, ვისთანაც ვცხოვრობდი; მე უფრო ღრმად შევდგი ფეხი ადამიანთა საზოგადოების მღელვარე ცხოვრებაში, სადაც მშობელთა განკარგულებასა და უფროსების ნება-სურვილზე ვიყავ დამოკიდებული.

IX

14. ღმერთო, ღმერთო ჩემო! რამდენი წყენა და დამცირება გადავიტანე მაშინ! მე, პატარა ბიჭუნა, ისე უნდა მოვქცეულიყავ, როგორც წესი და რიგია: უნდა ყური მეგდო იმათთვის, ვინც მარწმუნებდა, ამ ცხოვრებაში წარმატება უნდა ეძია და სრულყოფას მიაღწია ლამაზად მეტყველებაში, რითაც საერთო პატივსა და მაცთუნებელ სიმდიდრეს მოიპოვებო. და აი, მეც მიმაბარეს სკოლაში წერა-კითხვის შესასწავლად. ჩემდა სავალალოდ, მე არ მესმოდა რა სარგებლობა იყო ამაში და ჩემი სიზარმაცეც სწავლაში ცემით ისჯებოდა; უფროსებს მოსწონდათ ეს ჩვეულება. ჩვენამდე მცხოვრებ მრავალ ადამიანთ გაეკვალათ ეს სავალალო გზა, რომელზეც ჩვენ იძულებით უნდა გაგვევლო; გამრავლდა ჭირი და ვაება ადამის შვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის! მე შევხვდი, უფალო, შენდამი მლოცველ ადამიანებს და მათგან გავიგე, შეძლებისდაგვარად შემცნობმა შენმა, რომ შენ რაღაც დიდი ხარ და ძალგიძს, ჩვენი გრძნობებისაგან დაფარულსაც კი, შეისმინო ჩვენი და გვიშველო ჩვენ. და მე ლოცვა დავიწყე შენდამი, უფალო, „შემწევ ჩემო და თავშესაფარო ჩემო"[31]; ხმა ვყავ შენდამი და ვძლიე ენაბრგვილობასა ჩემსა. პატარა ვიყავ, მაგრამ გულმხურვალედ ვლოცულობდი, რათა არ ვეცემე სკოლაში. და რადგან შენ არ ისმინე ჩემი, - რაც ჩემდა სასიკეთოდ იყო[32], უფროსები, მათ შორის ჩემი მშობლებიც, რომელთაც სრულიადაც არ უნდოდათ, რომ რამე ცუდი შემმთხვეოდა, კვლავაც სიცილით უყურებდნენ ამგვარ ცემა-ტყეპას - ამ ჩემს მაშინდელ უდიდეს და უმძიმეს უბედურებას.

15. ნეტავ თუ არის, უფალო, კაცი, იმდენად ძლიერი სულით და ისე შერწყმული შენთან დიადი სიყვარულით, თუ არის-მეთქი ადამიანი, თავისი მართლმორწმუნე სიყვარულით იმდენად ამაღლებული, რომ არაფრად ულირდეს შემცოდეთა სატანჯველი მანქანა, საგვემელიცა მათი და სხვა რამ მსგავსი ამ სატანჯველთა, რომელთაგან გამოხსნას უდიდესი თრთოლვით გვედრიან შენ ყოველგან? (ზოგჯერ ასეთი რამ ადამიანს თავისი სიჩლუნგითაც მოსდის). ნეტავ თუ შეძლებდა იგი გაეცინა მათს შემყურეს, ვისაც სასტიკად ეშინოდა ამგვარი სასჯელებისა, გაეცინა ისევე, როგორც იცინოდნენ ჩვენი მშობლები [illegible]ს ტანჯვაზე, პატარა ბიჭუნებს რომ გვაწევდნენ მასწავლებლები? მე მუდამ ვთრთოდი მათ წინაშე და სულ გვედრიდი აგეცილებინა ისინი ჩემგან[33], ამასთან კვლავაც ვცოდავდი, ნაკლებ გულსვმოდგინებდი რა წერა-კითხვის სწავლასა და გაკვეთილების მომზადებაში, ვიდრე მომეთხოვებოდა. მე, უფალო, არ არც მეხსიერება და არც საზრიანობა, რითაც შენ საკმარისად დამაჯილდოვე, მაგრამ უფრო მეტად თამაში მიყვარდა, და ამის გამო მე მსჯიდენ ისინი, რომლებიც, რა თქმა უნდა, იმასვე აკეთებდენ. უფროსთა თავშექცევას საქმე ჰქვია; ბავშვებისთვისაც საქმეა თამაში[34], მაგრამ უფროსები სჯიან მათ ამისთვის; და არავის ეცოდება არც პატარები და არც დიდები, ნეტავ თუ მოიწონებს სამართლიანი მსაჯული იმ ცემა-ტყეპას, რასაც გურთით თამაშისთ-

ვის ვიტანდი, რადგანაც თამაშის გამო მავიწყდებოდა იმ ასოების სწავლა, რომლებითაც შემდეგში, უკვე მოზრდილი, უფრო უგვან თამაშს ვეწეოდი? განა დამრიგებელი, ვინც მცემდა ხოლმე, იმასვე არ აკეთებდა, რასაც მე? განა ის კი ნაკლებად იტანჯებოდა ბოღმისა და შურისაგან, როცა რაღაც პაწაწკინტელა საკითხში მეცნიერი თანამოძმისაგან დამარცხდებოდა, ვიდრე მე, როცა ბურთით ასპარეზობის დროს ამხანაგი მაჯობებდა ხოლმე?

X

16. და მაინც, მე ვცოდავდი უფალო ღმერთო, შემკავებელო ყოველივესი და შენქმნელო ყოველთა; ცოდვების კი მხოლოდ შემკავებელო. უფალო ღმერთო ჩემო, მე ვცოდავდი, როცა არ ვისმენდი მშობლებისა და მასწავლებლების დარიგებას. მე ხომ შემდეგში ჩემდა სასარგებლოდ გამოვიყენე წერა- კითხვის ცოდნა, რასაც მაშინ, პატარაობას, ჩემი ახლობლების სურვილით უნდა დავუფლებოდი (რა განზრახვითაც არ უნდა სდომოდათ მათ ეს). მე ურჩი ვიყავ, რადგანაც თამაში მიყვარდა, და არა იმიტომ, რომ უკეთესი ხვედრი მქონდა არჩეული; მე მიყვარდა პაექრობებში გამარჯვება და ვამაყობდი, როცა ასე ხდებოდა. მე თავს ვიქცევდი ცრუ ზღაპრებით, რომლებიც ცნობისწადილს აღვიძებდნენ ჩემში და მეც სულ უფრო მეტად მიღვივდებოდა სურვილი სანახაობების - უფროსთა თამაშის ნახვისა. ამ სანახაობათა მომწყობთ ისეთი მაღალი ხარისხი აქვთ[35], რომ ყველას სურს იგი თავისი შვილებისათვის, და ამასთან ისინი სიამოვნებით უშვებენ მათ გაწკეპვლას, თუკი ეს სანახაობები მათ სწავლაში უშლის ხელს; მშობლებს უნდათ, რომ სწავლამ მათს ბავშვებს ასეთივე სანახაობების მოწყობის საშუალება მისცეს. იხილე, უფალო შენი მოწყალე თვალით ყოველივე ეს დთ გვიხსენი ჩვენ, ვინც მოგიწოდებთ შენ; იხსენი ისინიც, ვინც ჯერ არ მოგიწოდებს; დაე მოგიწოდონ შენ და შენ დაიხსნი მათ.

XI

17. ჯერ კიდევ ბიჭუნა ვიყავ, როცა პირველად მესმა საუკუნო ცხოვრების შესახებ, რაიც უფლის დამცირების გზით აღგვეთქვა, უფლისა, ვინც ადამიანთა ამპარტავნებამდე დამდაბლდა. მისი ჯვარის ნიშნით აღვინიშნე მე და მარილითა მისითა დავიმარილე დედის საშოდან გამოსვლისას[36], დედისა, ვინც მრავლითა სასოებითა გსასოებდა შენ. შენ ხედავდი უფალო, რომ ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა ვიყავ, როცა ერთხელ ისე გავმიზეზდი მუცლის უეცარი კრუნჩხვებისაგან, რომ სიკვდილს არაფერი მაკლდა; შენ ხედავდი, ღმერთო ჩემო, (რამეთუ უკვე მაშინ იყავ ჩემი მფარველი), თუ რა სულიერი გზნებით და როგორი რწმენით მოვითხოვდი ღვთისმოშიში დედაჩემისაგან და ჩვენი საერთო დედის - ეკლესიისაგან, რომ ნათელი ეცათ ჩემთვის სახელითა ქრისტესი შენისა, ღმრთისა და უფლისა ჩემისა; ხორციელი დედაცა ჩემი, ვინც შენდამი რწმენით ფაქიზად ატარებდა თავის წმინდა გულში ჩემს საუკუნო ხსნას, აღელვებული ჩქარობდა ჩემი ჩემი ცოდვების მოტევებისათვის განვებანე და შენს წმიდა საიდუმლოთათვის ვეზიარებინე, უფალო იესო, რომ უცებ მე გამოვჯანმრთელდი. ამგვარად, ჩემი განბანვა გადაიდო, თითქოსდა აუცილებელი იყო სიკვდილს გადარჩენილი უფრო მეტად ამოვგანგლულ[illegible] ტალახში; ალბათ, განბანვის შემდეგ ჩადენილ შეცოდებათა ჭუჭყი უფრო დიდ და საშინელ დანაშაულად ითვლება. ამრიგად, მე უკვე მწამდა, სწამდა დედასაც ჩემსა და მთელს ჩვენს სახლსაც, გარდა მამაჩემისა, რომელმაც მაინც ვერ დასძლია ჩემში დედაჩემისაგან გადმოცემული ღვთისმოშიშება და ვერ შემაჩერა რწმენისაგან ქრისტესი, რომელიც მას ჯერ არ სწამდა. დედა ჩემი ბევრს ეცადა, რათა მამა ჩემი უფრო შენ ყოფილიყავ, უფალო, ვიდრე ის, რომელსაც აღემატებოდა და მაინც ემორჩილებოდა, რადგან აქაც, რა თქმა უნდა, გემორჩილებოდა შენ და ბრძანებას შენსა.

18. უფალო, მე მინდა გაგიგო, თუკი ინებებ, მინდა მივხვდე - რა განზრახვით გადაიდო მაშინ ჩემი მონათვლა: ნუთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემდა სასიკეთოდ მიუშვეს ალვირი ჩემი ცოდვიანი მიდრეკილებებისა? თუ არც მიუშვიათ? რატომ არის, რომ ახლაც მესმის ყოველის მხრიდან და მიწივის ყურში თქმული ხან ერთზე ხან მეორეზე: „გაუშვი, დაე გააკეთოს: ის ხომ ჯერ მონათლული არ არის". როცა საქმე სხეულის სიმრთელეს ეხება, მაშინ ხომ არ ვიტყვით: „გაუშვი, კიდევ მიაყენონ ჭრილობა, ის ხომ ჯერ არ განკურნებულა". განა უფრო ადრე და უკეთესად არ განვიკურნებოდი, მეც და ჩემს ახლობლებსაც რომ გვეზრუნა ამისთვის, რათა შენთა საგრილთა განესვენა ხსნას სულისას, შენგან ბოძებულს? რა თქმა უნდა. მაგრამ დედაჩემმა იცოდა თუ რანაირი განსაცდელთა ქარიშხალი ემუქრება ადამიანს გავშვობიდან გამოსვლისას და ერჩივნა, რათა იგი დასტყდომოდა მიწის მტვერს, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება, ვიდრე ღმრთის ხატებას თვითონ[37].

XII

19. გავშვობაში, რომელიც ნაკლებ საშიშროებას შეიცავდა, ვიდრე სიჭაბუკე, მე არ მიყვარდა მეცადინეობა და ვერ ვიტანდი, როცა ამას მაიძულებდნენ; და მაინც მე მაიძულებდნენ, რაც კარგი იყო ჩემთვის, თუმც მე კარგს არ ვაკეთებდი; ჩემთვის რომ ძალა არ დაეტანებინათ მე არ ვისწავლიდი. არავინ არ აკეთებს კარგად იმას, რასაც მისი ნების საწინააღმდეგოდ აკეთებინებენ, მაშინაც კი, თუ ეს საქმე მისთვის სასიკეთოა. და ისინი, ვინც სწავლას მაიძულებდენ, არ იქცეოდენ კარგად, ხოლო კარგი აღმოჩნდა ეს შენი ნებით, უფალო, ჩემთვის. მათ ხომ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ყოველივე იმით, რის სწავლასაც მაიძულებდნენ, უბადრუკი სიმდიდრის წყურვილი მომეკლა და სამარცხვინო დიდება მომეპოვებინა. შენ კი უფალო, „რომელი თმასაც კი თავისა ჩვენისა განრაცხავ"[38], ჩემდა სასიკეთოდ შეაბრუნებდი იმათ შეცთომილებას; ვინც მე სწავლას მაიძულებდა, ხოლო ჩემსას კი – სიზარმაცეს სწავლისადმი – ჩემს დასასჯელად, რასაც მე, პატარა ბიჭი და დიდი ცოდვილი, სავსებით ვიმსახურებდი. აი, ასე, იმათი საშუალებით, ვინც ცუდად იქცეოდა, კეთილსმყოფდი მე, და ჩემი საკუთარი ცოდვებისათვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანად მომიზღავდი. განა შენ არ უბრძანე – და ეს ასეც მოხდა – რომ ყოველ მოუწესრიგებელ სულს თავის თავში ეტარებინა სასჯელი თვისი[39].

XIII

20. მაინც რა იყო მიზეზი იმისა, რომ მე ასე მძულდა ბერძნული ენა, რომელსაც ადრეული ბავშვობიდან მტენიდნენ თავში? მე ეს ახლაც არ მესმის. ლათინური ძალიან მიყვარდა, ოღონდ ის კი არა, რომელსაც დაწყებით სკოლაში ასწავლიან, არამედ ეგრეთ წოდებული გრამატიკოსთა[40] გაკვეთილები. პირველდაწყებითი სწავლა წერა-კითხვისა და ანგარიშისა ისე მძიმე და მტანჯველი იყო ჩემთვის, როგორც მთლიანად ბერძნული[41]. საიდან იყო ეს, თუ არ ცოდვისა და ცხოვრების ამაოებისაგან, რადგანაც მე ხომ „ჯორციელ, სულ წარმავალ და არღარა მომქცეველ" ვიყავ[42]. ეს პირველდაწყებითი სწავლება, რამაც ბოლოს და ბოლოს საშუალება მომცა წამეკითხა დაწერილი და თავადაც მეწერა, რაც კი მომეპრიანებოდა, რა თქმა უნდა, უფრო კარგი და საიმედო იყო, ვიდრე ის გაკვეთილები, სადაც მაიძულებდნენ ვინმე გზააბნეული ენეასის[43] საქმენი დამესწავლა და ჩემი საკუთარი გზააბნეულობა კი დამეიწყა; ანდა ცრემლი მეღვარა დალუპულ დიდონაზე, რომელმაც თავი სიყვარულისთვის მოიკლა, – და ეს მაშინ, როცა მე, უბედური, საკუთარ თავზე არ ვღვრიდი ცრემლებს, როცა ამდაგვარ მეცადინეობებში ვკვდებოდი შენთვის, უფალო, სიცოცხლევ ჩემო.

21. განა არის ვინმე უფრო საცოდავი, ვიდრე საბრალო ადამიანი, ვისაც თავი არ ეცოდება, ხოლო დიდონას კი რომელმაც ენეასისადმი სიყვარულის გამო მოიკლა თავი, ცხარე ცრემლებით დასტირის, საკუთარ თავს კი, რომელიც კვდება იმის გამო, რომ არა აქვს შენდამი სიყვარული, არ დასტირის, უფალო, ნათელო ჩემი გულისა, პურო სულის ბაგეთათვის, ძალო ნაყოფის მყოფელო ჩემი გონებისა და აზრთა ჩემთა. მე არ მიყვარდი, უფალო, მე გლალატობდი, და ყოველის მხრიდან შეძახილებით ამხნევებდნენ მოღალატეს. „სიყვარული სოფლისაჲ ამის – მტერობა არის ღმრთისა"[44];

ამ სიყვარულს იწონებენ და მიესალმებიან, იმიტომ, რომ იმ ადამიანსაც რცხვენოდეს თავისი თავისა, ვინც სხვებივით არ იქცევა. და მეც ამაზე კი არ ვტიროდი, არამედ დიდნაზე, „ვინც გაჰქრა, უკანასკნელი სამზღვრისკენ მიმავალი“45, მე, ვინც მივყვებოდი შენს უკანასკნელ ქმნილებათ, შენ რომ მიგატოვეს; მე – მიწა, მიწაში მიმავალი. და ძალიან დავმწუხრდებოდი, ჩემთვის რომ ამ წიგნების წაკითხვა აეკრძალათ, იმიტომ, რომ ვეღარ ვიკითხავდი იმას, რაზეც ვნაღვლიანობდი. და ეს სისულელეები უფრო საპატიო და მაღალ განათლებულობად ითვლება, ვიდრე წერა-კითხვის ცოდნა.

22. უფალო, დაე აყვირდეს ახლა ჩემს სულში და დაე მითხრას სიმართლემან შენმან: „არა, ასე არ არის“. გაცილებით მაღლა დგას, რა თქმა უნდა, უბრალო წერა-კითხვა. მე მირჩევნია მე მირჩევნია დავივიწყო ენეასის ხეტიალისა და სხვა მის მსგავსთა შესახებ, კითხვა კი არა. გრამატიკოსთა სკოლების შესასვლელებში ხშირად ფარდა ჰკიდია, მაგრამ ივი საიდუმლოთა ნიშანი როდია, – მის უკან საცდურია დაფარული46. დაე, ნუ მიკიჟინებენ მე, აღმსაარებელს შენდა, ღმერთო ჩემო, ისინი, ვისიც აღარ მეშინის, ნუ მიკიჟინებენ იმას, რაც ჩემ სულს აღარ სურს: მე ვმშვიდდები, როცა განვიკითხავ ჩემს ბორტ გზათა, რათა შევიყვარო გზანი შენი სახიერებისა. დაე, ნუ მიკიჟინებენ მე ლიტერატურული სიბრძნით მოვაჭრენი; მე რომ ვამტკიცო ენეასი ოდესღაც კართაგენშიც ყოფილა-მეთქი, განა არ იტყვიან ნაკლებ გათვითცნობიერებულნი, რომ არაფერი გაუგიათ ამის შესახებ, ხოლო ის ვინც უფრო მეტად განათლებულია, განა გარკვევით არ მოიგებს, რომ ეს სიცრუეა? ხოლო თუკი მე ვკითხავ მათ, რა ასოებისაგან შესდგება-მეთქი სიტყვა „ენეასმ“, ყველა, ვისაც კი წერა-კითხვა უსწავლია, ერთნაირად სწორად მიპასუხებს იმ უსიტყვო შეთანხმების შესაბამისად, რომლითაც მოესურვათ ადამიანებს ამ ნიშანთა მნიშვნელობის დადგენა47. და თუ მე ვკითხავ მათ: უფრო მეტად რის გამო გადაეყრებიან სიძნელეებს – იმის გამო, რომ წერა-კითხვა დაივიწყონ თუ იმისა, რომ ეს პოეტური გამონაგონნი ამოუვარდეთ გონებიდან – განა ნათელი არ არის რას მიიგებს ყოველი სალი გონების ადამიანი? მაშასადამე, მე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭუნა ვცოდავდი, როცა ეს უაზრო აბდაუბდა მერჩია სასარგებლო გაკვეთილებს; უფრო სწორად, მე ვცოდავდი, როცა მძულდა ერთი და მიყვარდა მეორე. ერთი და ერთი – ორია, ორი და ორი – ოთხი; მე მძულდა ეს სიმღერა[48] და გაცილებით უფრო მატკბობდა ამაო სახილავი: უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიც ბერძენი მეომრები დამალულიყვნენ, ტროას ხანძარი და „აჩრდილი თვით კრეუსასი“[49].

XIV

23. მაინც რატომ მძულდა ასე ბერძნული ლიტერატურა, რომელშიც მრავლადაა ამდაგვარი ამბები? ჰომეროსს ხომ ოსტატურად შეეძლო ასეთი ზღაპრების ურთიერთგადახლართვა; თავის ამაოებაში ის ხომ ამდენი სიტკბოების მომტანია! და მაინც, ჩემთვის, ბიჭუნასათვის, იგი მწარე იყო. მე ვფიქრობ ბერძენი ბიჭუნებისთვისაც ასევე მწარე იქნებოდა ვირგილიუსი, თუ კი მათ ისევე აიძულებდენ მის შესწავლას, როგორც მე – ჰომეროსს. სიძნელეებმა, ალბათ ჩვეულებრივმა, უცხო ენის სწავლასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა, თითქოს ნაღველით დაჰფარეს ბერძნული მითოლოგიის მშვენიერება. იყო დრო, როცა მე, პაწაწინა ყრმამ, ერთი სიტყვაც არ ვიცოდი ლათინურად, მაგრამ სმენით შევისწავლე იგი ყოველგვარი შიშისა და ტანჯვის გარეშე ჩემი ძიძებისაგან, რომელნიც მეთამაშებოდნენ და მე[illegible]ებოდნენ; შევისწავლე იგი ალერსიანი ლაპარაკით, მხიარულებითა და სიცილით. მე შევისწავლე იგი მძიმე და მტანჯველი იძულების გარეშე, რადგანაც გული ჩემი ითხოვდა ჩასახული შობილიყო, ხოლო შობა შეუძლებელი იქნებოდა, გაკვეთილებზე რომ მესწავლა, და არა საუბარში, ის სიტყვები, რომლებითაც სხვას გადავცემდი იმას, რასაც ვფიქრობდი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ენის შესწავლისას გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ძალდაუტანებელი ცნობისმოყვარეობა, ვიდრე მრისხანე აუცილებლობა[50]. პირველის მსვლელობას გზას უღობავს მეორე, – ესეც შენი დადგენებითაა, უფალო, იმ დადგენებით, რომელიც სამასწავლებლო სახაზავსაც განაგებს და მართლმორწმუნეთა ცოუნებასაც, – იმ დადგენებით, რომელთა ხელმწიფებითაც მხსნელი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე გადმოიღვრება ჩვენში, კვლავ შენსკენ რომ მოგვიწოდებს
იმ გესლიანი სიტკბოებისაგან, შენგან რომ განგვაშორა.

XV

24. შეისმინე, უფალო, ლოცვისა ჩემისა, რათა არ დაკნინ-
დეს სული ჩემი შენი ხელმწიფების ქვეშ, რათა არ დავკნინდე მე,
ვინც ვატარებ ნიშანს წყალობისა შენისა, ჩემს ბოროტ გზათაგან
რომ მომაშორა; იყავ ჩემთვის უტკბესი ყოველთა საცთურთა[51], მე
რომ მიზიდავენ, რათა შეგიყვარო შენ ყოვლითა ძალითა ჩემითა,
და ვემთხვიო ხელსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა; განმარინე
მე ყოვლისაგან საცთურისა ჩემს დღეთა დასასრულამდე. და ჰა,
უფალო, მეუფე ჩემი ხარ შენ და ღმერთი ჩემი! ნეტამც გმსახუ-
რებდეს შენ ყოველივე კეთილი, რაც კი შემიძენია პატარას სწავ-
ლისას; ნეტამც გმსახურებდეს შენ სიტყვა ჩემი და ნაწერი ჩემი,
კითხვა და ანგარიში ჩემი! როცა მე ამაო მწიგნობრობით ვიყავ
დაკავებული, შენ ამიყვანე შენი ხელმწიფების ქვეშ და შემინდე
ეს ცოდვა ამაოთი გატაცებისა. მე ხომ აქაც მრავალი სასარგებ-
ლო სიტყვა დავისწავლე, თუმცა ეს სხვა გზითაც შეიძლებოდა, ანუ
არა ამაო საგნების შესწავლისას: აი, ესაა ჭეშმარიტად სწორი
გზა, რომლითაც უნდა იარონ ბავშვებმა.

XVI

25. ვაი, შენდა ადამიანთა ჩვეულებავ, თვისი ნიადვრით
რომ გაგვიტაცებ ჩვენ! ვინ აღგიდგება წინ? როდისღა ამოშრები
შენ?[52] როდემდე უნდა გაიტაცო ევას ძენი უზარმაზარი, საშინე-
ლი ზღვისაკენ, რომლის გადალახვაც გემზე მყოფთაც კი უჭირთ?[53]
მეც ამ ნაკადით გატაცებულს, განა არ წამიკითხავს იუპიტერზე,
ერთდროულად რომ მქუხარებს და მრუშობს? ეს შეუძლებელია ერთ-
დროულად, მაგრამ წერია ასე იმიტომ, რომ სინამდვილედ წარმო-
სახონ მრუშება, რაც მოჩვენებითი ქუხილის თანხლებით ხდება[54].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსასხამიან მასწავლებელთაგან[55] ვინ დაუგდებდა ყურს იგივე „მიწისა და ნაცრისაგან“ შექმნილ ადამიანს, ვინც წამოიძახებდა: „ეს ყოველივე ჰომეროსის გამონაგონია: ადამიანთა თვისებები მან ღმერთებზე გადაიტანა, – მე პირიქით ვარჩევდი – ღმერთებისა გადმოეტანა ჩვენზე?[56] უფრო სწორი იქნება, თუკი გამონაგონს – გამონაგონად დავტოვებთ; მაგრამ როცა ცოდვილ ადამიანებს ღვთიურ ღირსებას მიაწერენ[57], მაშინ ცოდვაც აღარ არის დანაშაული, და მისი ჩამდენიც დაღუპულ ადამიანების მიმბაძველად კი აღარ გვესახება, არამედ თვით ღმერთებისა – ზეცის მკვიდრთა.

26. და მაინც შენს ზვირთებში აგდებენ, ჯოჯოხეთის ნიაღვარო, ძეთა კაცთა, რათა მათაც ისწავლონ ეს, და თან სწავლის საფასურიც გაიღონ! განა სახალხოდ და კანონიერად არ კეთდება „უდიდესი“ საქმე, როცა ფორუმებზე თვით კანონი უნიშნავს მასწავლებელს, მოსწავლეთაგან მიღებული გასამრჯელოს დამატებით, ჯამაგირს ქალაქისგანაც[58]. შენ აზვირთებული ეხეთქები კედლებს და ჰგრგვინავ: „აქ სწავლობენ სიტყვებს და მჭერმეტყველებას, აუცილებელს, რათა დაარწმუნონ და საკუთარი აზრები განავითარონ“. ნამდვილად, ჩვენ ვერასოდეს გავიგებდით ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ოქროს წვიმა“, „წიაღი“, „მოტყუება“, „ციური ტაძარი“ და სხვ., ტერენციუსს რომ არ გამოეყვანა თავის ნაწარმოებში ახალგაზრდა ქარაფშუტა კაცი, ვინც კედელზე დახატულ სურათს რომ ნახავს, გარყვნილებაში იუპიტერს ბაძავს. ამ სურათზე გამოსახული იყო, თუ როგორ აწვიმა იუპიტერმა დანაეს ოქროს წვიმა და ამით აცთუნა ქალი. და, აბა ნახეთ, როგორ აღვივებს ეს ქარაფშუტა თავის თავში მდაბალ გულისთქმას, ვითომდა ზეცათაგან დამოძღვრილი: „თუკი ღმერთი რომელიმე, თავისი გრგვინვით რომ აზანზარებს ზეციურ ტაძარს, ასე იქცევა, რატომ მეც იგივ არ უნდა ვქნა, უბრალო ადამიანმა“[59].

არა, არა მჯერა და არც არის სწორი, რომ, თითქოს, ამ სიტყვების დამახსოვრება მათი ბილწი შინაარსის გამოა უფრო ადვილი; ასეთი სიტყვები გზას გვიხსნიან ამ სიბილწეთა ჩასადენად. მე ამ სიტყვებს კი არ ვძრახავ, ამ გამორჩეულ და ძვირფას ჭურჭელს, არამედ იმ ღვინოს საცთურისას, რომელსაც ამ ძვირფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭლით მოგვიძღვნიან ჩვენ მთვრალნი მოძღვარნი; რომ არ შეგვესცა იგი, გაგვწკეპლავდენ და არც ღრიზელ ადამიანს მოგვახმობინებდნენ მსაჯულად; და მაინც, ღმერთო ჩემო, ახლა მშვიდად ვიგონებ ამას წინაშე შენსა: მე მონდომებით ვსწავლობდი ყოველივე ამას, ვტკბებოდი მით, უგედური, და იმედის მომცემ გიჭუნადაც ვითვლებოდი.

XVII

27. ნება მომეცი, უფალო, ისიც მოვყვე, თუ რა ამაო ლაყბობაში ვფლანგავდი შენგან ბოძებულ ნიჭსა და მონაცემებს. ერთხელ, სკოლაში მე მომცეს დავალება, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა: მე უნდა გადმომეცა სიტყვა იუნონასი, განრისხებულისა და დამწუხრებულის იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო აეცილებინა იტალიისათვის ტევკრთა მეფის შემოსევა[60]. ჯილდოდ შექება მელოდა, სასჯელად კი წკეპლები. მანამდე არასოდეს გამეგო, რომ იუნონას ასეთი სიტყვა წარმოეთქვა, მაგრამ ჩვენ გვაიძულებდნენ უგზო-უკვლოდ გვეხეტიალა პოეტურ გამონაგონთა კვალდაკვალ და პროზით გადმოგვეცა ის, რასაც პოეტი ლექსად ამბობდა. განსაკუთრებით იმას შეაქებდნენ ხოლმე, ვინც თავისი სიტყვებით ვრცლად და მიმსგავსებულად წარმოსახავდა მოგონილი გმირის ღირსების შესატყვის მრისხანებასა თუ ვნება-წუხილს. აბა, რა სარგებლობა უნდა მიმეღო ამისაგან, ღმერთო ჩემო, ჭეშმარიტო ცხოვრებავ ჩემო! აბა, რა სასიკეთო იყო ჩემთვის დეკლამაციებისთვის მე უფრო მეტად დამიკრავდნენ ტაშს თუ ჩემს სხვა რომელიმე ამხანაგს? განა ყოველივე ეს წყლის ნაყვა არ იყო? განა სხვა რამ არ არსებობდა, რასაც ჩემს შესაძლებლობებს მოვახმარდი და რაშიც ენას გავიწურთვნიდი? წმინდა წერილში დამარხულ ქებულებათა შენთა, უფალო, დიდებისმეტყველებათა შენთა ზედა უნდა დაეუძნებულიყო ჩემი გულისთქმის სრბოლა! მას ველარ დაეულებოდა, როგორც საოდავ მსხვერპლს ფრთოსანთა გუნდისა[61], ამაო, უსაგნო სწრაფვანი. განდგომილი ანგელოზნიც ხომ სხვადასხვაგვარად სწირავენ მსხვერპლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII

28. გასაკვირია განა, რომ ამაოება მიპყრობდა და მეც გშორდებოდი, უფალო, გარეგანისკენ?[62] მე ხომ სამაგალითოდ იმ ადამიანებზნ მითითებდნენ, რომელნიც სიმშვიდეს ჰკარგავდნენ, თუკი მათ ბარბაროსობას ან სოლეციზმს უსაყვედურებდნენ, რასაც ისინი თავის ქვეყ საქმეთა გადმოცემისას უშვებდნენ, და რომელნიც ამაყობდნენ, თუკი ქებას შეასხამდნენ სხვადასხვა თავგადასავლების სიტყვამრავლად და შელამაზებულად, სწორად შეხამებული და უშეცდომო სიტყვებით მოყოლისათვის. შენ ხედავ ამას, უფალო, „შეგწყნარებელო და მოწყალევ, სულგრძელო და დიდად მოწყალევ", და სდუმხარ. მაგრამ სულ ასე იქნება? და ახლა, ამ უძირო უფსკრულიდან აღმოიტაცებ სულს, რომელიც გეძიებს შენ და სწყურის ნუგეში შენი, ადამიანს, „რომლისა გულმან გრქუა შენ: უფალი მოვიძიო; და მოგიძია შენ პირმან ჩემმან; პირი შენი, უფალო, მოვიძიო"[63]. აქამდე შორს ვიყავ პირისაგან შენისა გულისწადილთაგან დათრგუნვილი. განა ფეხით მიდის ის, ვინც გშორდება შენ, და განა მანძილს ჰფარავს შენსკენ მომავალი! განა ძე შენი უმრწემესი ცხენს ეძებდა შენთან დასაბრუნებლად, ანდა ურემს თუ გემს? განა ის ხილული ფრთებით გაფრინდა შენგან, ანდა ფეხით გაუდგა გზას, რათა შორეულ მხარეში წარეგო და განებნია მონაგები შენი, განშორებისას რომ მიეც მას, გულმხურვალე მამავ, რომელი კიდევ უფრო გულმხურვალე იყავ, როცა უძღები შვილი უქონელი და გლახაკი დაეიბრუნდა. იგი გარყვნილებაში ანუ გულისწადილთა წყვდიადში ცხოვრობდა, რაც, სწორედ, არის კიდეც მოშორება პირისაგან შენისა[64].

29. მოიხილე, უფალო, და დიდითა სულგრძელობითა შენითა, როგორაც მოიხილავ, იხილე, თუ ვითარი გულსმოდგინებით იცავენ ადამის ძენი ასოთა და მარცვალთა კანონებს, რაიც მათ მჭერმეტყველების ადრინდელ ოსტატთაგან მიუღიათ, და ვით უგულებელსჰყოფენ შენგან მოცემულ უცვალებელ კანონებს საუკუნო ხსნისა. თუკი კაცი, ვინც კარგად იცნობს ბგერათკანონებს ანდა სწავლობს მათ, გრამატიკული წესების საწინააღმდეგოდ არასწორი მახვილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთქვამს სიტყვა „homo"-ს[65], ადამიანები უფრო მეტად აღ-
შფოთდებიან, ვიდრე მაშინ, თუკი იგი შენთა აღთქმათა საწინააღ-
მდეგოდ, შეიძულებს თავის მოყვასს. ნუთუ არსებობს მტერი უფრო
საშიში და საშინელი, ვიდრე თვით ეს სიძულვილია, ამ მტრის წი-
ნააღმდეგ რომ მძვინვარებს? შესაძლებელია განა, რომ კაცმა,
ვინც მოყვასს აჭირებს და დევნის, დაღუპოს იგ უფრო საშინლად,
ვიდრე თვით ეს მტრობა ღუპავს მისსავე გულს? და რაღა თქმა უნ-
და, რომ გრამატიკის ცოდნა უფრო ღრმად არ არის დამარხული გულ-
ში, ვიდრე შეგნება იმისა, რომ სხვას იმას უკეთებ, რასაც თა-
ვისთვის არ ისურვებ. რა შორეული ხარ შენს მდუმარებაში, უფა-
ლო, - ერთო, დიადო, დამკვიდრებულო მაღალთა შინა, ვინაც დაუ-
მცხრალი სჯულითა შენითა ბრმა სასჯელს უვლენ აკრძალულ გულის-
წადილთ! როცა ბრბოთი გარშემორტყმული ადამიანი მჭერმეტყველი
ორატორის სახელს ეძებს მეორე ადამიანის - მსაჯულის წინაშე
და უმოწყალოდ სდევნის თავის საძულველ მტერს, იგი ყოველნაი-
რად შეეცდება შეცდომა არ დაუშვას და „ადამიანთაგან"-ის ნაც-
ვლად „ადამიანებთაგან"[66] არ თქვას, და, ამავე დროს, სრული-
ად არ დაერიდება განცოფებულმა მოსპოს ერთი ადამიანი ადამი-
ანთაგან.

XIX

30. აი, როგორი ცხოვრების მიჯნაზე ვიდექ მე, უბედური,
და აი, რა ასპარეზზე მწურთიდნენ! მე იმის უფრო მეშინოდა,
რომ ბარბაროსობა არ დამეშვა, ვიდრე იმ ადამიანებისადმი შუ-
რისა, ვინც არ დაუშვა იგი, როცა მე დავუშვი. გეუბნები ამას,
უფალო, და ვდგავარ წინაშე შენსა აღმსაარებელი იმისა, თუ რი-
სთვის მაქებდნენ მე ადამიანები, რომელთა მოწონებაც განსაზ-
ღვრავდა მაშინდელს ჩემს ცხოვრებას. მე ვერ ვხედავდი ბილწე-
ბათა იმ უფსკრულს, რომელშიც „გან-მე-გდებულ ვიყავ მე პირი-
საგან შენისა"[67]. რა საძაგელი უნდა ვყოფილიყავ მაშინ, რაკი
თვით ამ ადამიანებისთვისაც კი უკმაყოფილება მომქონდა, როცა
გარეგნობათა სიყვარულის გამო დღემუდამ ვატყუებდი აღმზრდელსაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელსაც და მშობელსაც, ვატყუებდი იმისთვის, რომ მენახა უსაგნო სანახაობანი და, მხიარულსა და მოუსვენარს, მაიმუნივით შეცელქა. მე ხშირად ვიპარავდი სასუსნავს საკუჭნაოდან ან სუფრიდან ჩემი ღორმუცელობის გამო ანდა იმისთვის, სათამაშოებში გამეცვალა იგი ჩემ თანატოლთათვის, ვისთვისაც ეს სათამაშოები არანაკლები სიხარულის მომტანი იყო. თამაშის დროს ხშირად მოტყუებით ვამარცხებდი სხვას, თვითონ დამარცხებული სხვათა აღმატების ამაო სურვილისაგან. განა მე სხვას არ ვუკეთებდი იმას, რასაც ჩემი თავისთვის არაფრით არ ვისურვებდი, ხოლო თუ ვინმე მეც ასე მომექცეოდა, ვამხელდი და სასტიკად ვაგინებდი? ხოლო თუკი მე მამხელდნენ და მტუქსავდნენ, ვხელდებოდი და კი არ ვუთმობდი!

ეს არის განა ბავშვური უცოდველობა? არა და არა, უფალო! ნება მომეცი, ვთქვა ეს, ღმერთო ჩემო! განა ერთი არ არის? - ცხოვრების ცისკარზე - აღმზრდელები, მასწავლებლები, კაკლითა და ბურთით თამაში, ჩიტების დევნა; ხოლო როცა გაიზრდება ადამიანი - პრეფექტები, მეფეები, ოქრო, მამულები და მონები - არსებითად ეს ერთი და იგივეა, ოღონდ ეს არის, რომ მასწავლებლის სახაზავს უფრო მძიმე სასჯელები ცვლიან. როცა შენ, მეუფემან ჩვენმა, სთქვი: „ეგეთითართა არს სასუფეველი ცათა“,[68] ამით შეიწყნარე სიმდაბლე და მორჩილება, რისი სიმბოლოც ბავშვის პაწაწა სხეულია.

XX

31. და მაინც, უფალო, სრულყოფილო და სახიერო შემოქმედო და მმართველო სამყაროისა, გმადლობ შენ რომც არ მოგესურვა ბავშვობის ასაკს რომ გავცილებოდი. მე უკვე მაშინ ვიყავი, ვცხოვრობდი და ვგრძნობდი; ვზრუნავდი ჩემს შენარჩუნებაზე - აი, კვალი იმ ფარული ერთიანობისა, საიდანაც მე წარმოვიშვი[69]. შინაგანი გრძნობით აღძრული[70], მე დაცულად ვინახავდი ჩემს გრძნობებს; მახარებდა მხოლოდ ჩემს შეურაცხ ფიქრებთან და ასევე შეურაცხ საგნებთან დაკავშირებული ჭეშმარიტება. მე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდოდა მიზანს ავცდენოდი, მქონდა ბრწყინვალე მეხსიერება, ვსწავლობდი მჭერმეტყველებას, ღმობიერი ვიყავი მეგობრობაში, გავურბოდი ტკივილს, შეურაცხყოფას, უვიცობას. სხვა რა უნდა იმსახურებდეს ამგვარ არსებაში ქცევასა და გაოცებას?

ყოველივე ეს ნიჭია ღმრთისა ჩემისა, მე კი არ მივეც იგი ჩემ თავს; ყოველივე ეს კარგია და ყოველივე ეს - მე ვარ. სახიერია, მაშასადამე, იგი, ვინც შემქმნა მე; და თვით იგია სახიერება ჩემი; სიხარულით ვეშმადლობ მას ყოველი სიკეთისათვის რითაც მე ვვარსებობდი ბავშვობიდან. ხოლო ვცოდავდი იმით, რომ სიამოვნებას, სიმაღლესა და ჭეშმარიტებას თვით მასში კი არ ვეძებდი, არამედ მის ქმნილებებში:[71] ჩემში და სხვებში, და ამგვარად ვვარდებოდი ტაჯვის, შფოთისა და შეცდომების ტყვეობაში.

გმადლობ შენ, ღმერთო, სიხარულო ჩემო, სინდისო და ნუგეშო ჩემო; გმადლობ შენ ნიჭთათვის შენთა: დაიცავ იგინი ჩემში. ამით მეც დამიფარავ, და იგიც განმრავლდება და სრულყოფილი გახდება, რაც მომეც მე. და მეც შენთან ვიქნები, რადგან თვით სიცოცხლეც შენ მომანიჭე

- . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

პირველი წიგნისათვის

I. იაკ. 4,6; I პეტ. 5,5.

2 „აღსარება“ იწყება კავშირის დამყარებით ადამიანისა ღმერთთან. მისი პირველი სიტყვები ღმერთის დიდებას შეეხება. პირველ ორ წინადადებაში სიტყვა „დიდი“ დგას პირველ ადგილზე; და ორივე წინადადების მეორე ნახევარიც დასაწყისს იმეორებს: „ყოვლისა ქებულებისა ღირსი“ და „განუზომელ სიბრძნე შენი“ (შდრ. ფს. I44,3: „დიდ არს უფალი და ქებულ ფრიად, და სიდიდისა მისისაი არა არს დასასრულ“ და ფს.I46,5: „დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი და გულისხმისა მისისაი არა არს რიცხვი“). ადამიანი ამ დიად ღმერთს მიმართავს და იგი სურს ადიდოს: განადიდოს იმიტომ, რომ ი გ ი „ღირსია ყოველი ქებულებისა“. მაშ რას წარმოადგენს ეს ადამანი, ღმერთს რომ ესაუბრება? –იგი მხოლოდ ნაწილია ქმნილებისა: მოკვდავი, ცოდვილი და ამპარტავანი. ჩვენს წინ თითქოს კიბეა ოთხსაფეხურიანი, რომელზეც სულ უფრო ქვევით ეშვება ადამიანი. და, მიუხედავად ამისა, ეს ულირსი და ცოდვილი არსება არათუ მხოლოდ იმას ბედავს, რომ მიმართოს ღმერთს, არამედ იმასაც, რომ ღირსად და ჯეროვნად მიმართოს მას, რადგანაც იმისთვის შეჰქმნა ღმერთმა ადამიანი, რომ მხოლოდ მ ი ს კ ე ნ მიდიოდეს იგი; რამეთუ მხოლოდ ღმერთში ეპოვებს იგი სიმშვიდეს.

ლადანში ეს აზრი ხაზგასმულია სიტყვებით *ad te* და *in te* ორივე წინადადების ბოლოში: *fecisti nos ad te et inquietum est cor nostrum donec requiescat in te, ad te*: „შენსკენაა მომართული ამქვეყნიური გზა“; *in te* – „შენშია“ – მიზნის მიღწევა. მსგავსი სიტყვები უწერია დიონ ქრიზოსტომს: (შდრ. *Orat.*, XII, 405) „ყველა ადამიანს აქვს უდიდესი სურვილი ღმერთის პატივისცემისა და მისდამი უშუალო მსახურებისა... როგორც უმწეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელთაგან მოშორებულნი ყრმანი გაიწვდიან ხოლმე ხელებს მათკენ, უზომოდ მონატრებულნი დედ-მამას და დამწუხრებულნი მათი არყოფნის გამო, ასევე ადამიანებსაც უზომოდ სწყურიათ ღმერთთან კავშირში და თანაზიარებაში იყვნენ მის ქველის საქმეთა გამო, იმიტომ რომ სამართლიანად შეიყვარეს ი გ ი, როგორც მშობელი და შემოქმედი".

3 შესაძლოა ეს მინიშნება იყოს თვით ავგუსტინეს მანიქეველურ შეცთომილებაზე (იხ. „აღსარება", წ. 3, 10).

4 რომ. 10, 14.

5 სახეზემყოფობა ღვთაებისა არ შეიძლება ლოკალურად იქნეს გაგებული (იხ. ნეტ. ავგუსტინე, „შექმნათა წიგნზე", 4, 12, 22: „ძალი შემოქმედისა და ძლიერება ყოვლადძლიერი ყოვლისმპყრობელისა არის კიდეც მიზეზი ყოველი ქმნილების არსებობისა").

6 ფს. 138, 8.

7 რომ. 11, 36.

8 იერ. 23, 24: „ნუ დაიმალოს კაცი სამალავსა შინა, და მეარა ვიხილო იგი, იტყვის უფალი, ნუ არა ცასა და ქუეყანასა აღვავსებ მე..."

9 ნეტარი ავგუსტინე აბსოლუტურ დამოუკიდებლობას ამტკიცებს ღვთაებისას ქმნილი სამყაროსაგან. „შენით აღსავსე ჭურნი" - შემოქმედის ნებით არსებობენ, რომელიც მთლიანობას ანიჭებს მათ; როცა თავის მადლთ გადმოღვრის იგი, არაფერი აკლდება მას; თავს კი არ „განაგნევს" იგი, არამედ ადამიანს „შეიკრებს" ერთად, განამზადებს მას.

10 ფს. 17, 32.

11 იობ. 9, 5: „რომელი დააძველებს მთათა და არ უწყიან". ნეტ. ავგუსტინეს განმარტებით „მთანი" ამპარტავანთ აღნიშნავენ, ხოლო „დააძველებს" - „დააუძლურებს", „დაამცირებს" (იხ. ავგუსტინე, იობის წიგნზე).

12 ძველი და ახალი აღთქმის სახეებია: „შეიკრებ" (მეორე სჯულ. 32, 11): „ვითარცა ორბმან რაი დაფარნის ბუდენი თვისნი და მართვეთა თვისთათვის სუროდა, განყუნა ფრთენი თვისნი და შ ე კ რ ი ბ ნ ა იგინი, და აღიხვნა იგი ბჭეთა ზედა თვისთა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი მხოლოი უძღოდა მათ, და არა ვინ იყო მათდა სხუაი ღმერთი"; „აღავსებს" (ფს. 138, 7-10): „ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი? ა-თუ-ვხდე ცად, შენ მუნ ხარ; შთა-თუ-ვხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ. აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად, და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა. და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძღოდის მე, და მარჯუენემან შენმან შემიწყნაროს მე"...; „საფარველსა ფრთეთა შენთასა შეიფარებ" (ფს. 35, 8): „ვითარცა განამრავლე წყალობაი შენი, ღმერთო, ხოლო ძენი კაცთანი საფარველსა ფრთეთა შენთასა ესვიდენ" და (ფს. 62,8) „რამეთუ შენ შემწე მეყავ მე და საფარველსა ფრთეთა შენთასა ვიხარებდე"; „მოიძიებ" (მთ. 18,12): „ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი, და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოცა და ათცხრამეტნი იგი მთათა ზედა და წარვიდეს და მ ო ი ძ ი ო ს შეცთომილი იგი?" „შეინანებ" (შექმნ. 6,6): „და შეიგონა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქვეყანასა ზედა და შეინანა" და (იონა 3,10) „და იხილნა ღმერთმან საქმენი მათნი, რამეთუ მოაქციეს გზათაგან მათთა ბოროტთა და შეინანა ღმერთმან სიბოროტესა ზედა, რომელი თქუა ყოფად მათდა და არა უყო". „მოიღებ აღნადგინებიურთ" (მთ. 25, 27): „ჯერ-იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მოგცავედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებიურთ".

13 ნეტ. ავგუსტინე. „ტრაქტატი იოანეს სახარებაზე", 13,5: „ყველაფერი შეიძლება ითქვას ღმერთის შესახებ, და ყველაფერი თქმული მასზე უღირსია მისი".

14 ფს. 34,3.

15 გამოსვლ. 33,20: „და ჰრქუა უფალმან მოსეს: ვერ ძალგიც პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმანცა იხილა პირი ჩემი და ცხოვნდა".

16 ფს. 18, 13 - 14. „ცოდვები ორგვარი წარმოშობისა შეიძლება იყოს: ერთისკენ საკუთარი აზრები უბიძგებს ადამიანს, მეორისაკენ კი - სხვათა სიტყვები" (ნეტ. ავგუსტინე. თავისუფალი ნების შესახებ 3,18).

17 ფს. 31,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 ფს. 129,3.

19 შექმნ. 18, 27-28: ასე უწოდებს თავს აბრაამი, რომელიც იმის შესახებ ეკითხებოდა ღმერთს, თუ რამდენი მართლის გამო შეიწყალებდა იგი ქალაქ სოდომს და არ გაანადგურებდა მას.

20 „სით მოველ მე აქ?...“; „სიყრმე ჩემი რომელიმე სხვა, მომკვდარი ასაკიდან ხომ არ აღმოცენდა?“... „ვიყავ მე როდისმე, ან რა ვიყავ მაშინ?“... - სულის წარმომავლობის საკითხი სიცოცხლის ბოლომდე აღელვებდა ავგუსტინეს.

21 თავის „გეორგიაში“ პლატონს მოჰყავს შემდეგი ციტატა ევრიპიდეს ტრაგედიიდან „პოლიიდესი“, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა (493 E):

„ვინ უწყის: სიკვდილი არის იქნებ სიცოცხლე ჩვენი,
ხოლო სიკვდილი კი - სიცოცხლე“ (ფრაგ. 638).

ნეტარი ავგუსტინე მწვავედ გრძნობდა, რომ ადამიანის სიცოცხლე უწყვეტი კვდომის პროცესია. „ადამიანი კვდომას შობიდან იწყებს... უფრო სწორად, იგი ცოცხლობს და კვდება ერთსა და იმავე დროს“ (ნეტ. ავგუსტინე. „ღვთის ქალაქის შესახებ“, 13,10). ბრწყინვალე წარმომადგენელს რიტორთა სკოლისა, ანტითეზის ოსტატს, - ავგუსტინეს, - ბუნებრივად ეგადება აზრი სიცოცხლის ამ მწარე ოქსიუმორონზე, იმ სიცოცხლისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არ სიკვდილი.

22 ნეტარი ავგუსტინე უარყოფდა პლატონის თეორიას სულთა გადასახლების შესახებ, მაგრამ აშკარა მოწონებით განიხილავდა სხვა თეორიას, რომლის მიხედვითაც ყველა სული დასაბამიდან შეიქმნა და ყოველმა სულმა რაღაც საკუთარი მისწრაფების მიხედვით მონახა გზა სხეულებრივი განხორციელებისათვის („შექმნათა წიგნზე“, 7, 24, 25, ფრ., 166,26).

23 ნეტარ ავგუსტინეს ურყევად სჯეროდა ადამიანის მაღალი ღირსება და დანიშნულება, და ისიც, რომ სიცოცხლე მისი ღმერთისაგანაა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად ჰქონდა შეცნობილი ადამიანის ცოდვიანობა, იგი არასოდეს არ ჰკარგავდა იმედს მისი გადარჩენისა.

24 დრო თავის თვისებასა და „თავის საზომს“ ღვთიური მარადიული „დღეს“-აგან ღებულობს. ღმერთის „დღეს ეს არის მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიულობა, რომელშიც მოქმედებს ი გ ი, და რომელიც სამივე ადამიანურ კატეგორიას მოიცავს დროისას: აწმყოს, წარსულს და მომავალს. ფს. 101, 28.

25 ადამიანი მდაბლად აღიარებს, რომ მას ძალი არ შესწევს გაიგოს ყველა ეს მოსაზრება და ამ თავისი სიმდაბლით უფრო ადრე პოვებს ღმერთს, ვიდრე ის, ვინც თავისი ამპარტავნობის გამო ფიქრობს, რომ შეიცნო არსი ღვთაებისა, „იპოვა ღმერთი".

26 შდრ. იოან. 15, 2: „ყოველმან რტომან, რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან, რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაითა უფროისი ნაყოფი გამოიღოს".

27 ამგვარი ქცევა ბავშვისა ადის მომასწავებლად მიაჩნდათ ალბათ მის აღმზრდელებს; და ისინიც, — დედა და ძიძა, რაღაც გრძნებათა და შელოცვათა საშუალებით ცდილობდნენ „გამოესყიდათ" ბავშვის სიბოროტე, და ამ გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრულსა და ავისმყოფელს აღიქვამს იგი: უთანხმოებაშია უკვე გარესამყაროსთანაც და საკუთარ თავთანაც. ეს ზნეობრივი მოუწესრიგებლობა მომავალ შეცდომებსაც განაპირობებს. ბავშვის ქცევა მომავალში უკვე გაუჭებულია: იგი განპირობებულია მისი ტემპერამენტითა და მისი პირველი უთანხმოებითა და შეჯახებით გარესამყაროსთან, ხოლო ამ განპირობებულობას უფრო მაღე ბოროტისაკენ მივყევართ, ვიდრე კეთილისაკენ. ბავშვის, ძუძუთა პაწიას „ცოდვები", ნეტარი ავგუსტინეს აზრით, ნამდვილად ცოდვებია. ეს ცოდვები გამომდინარეობენ პირველშობილი ცოდვისაგან, რომლის მიზეზითაც დამახინჯდა ბუნება ადამიანისა; როცა ცოდვილ გარესამყაროში გამოვლინდებიან, ამ ცოდვებს ყრმისა თავისი წვლილი შეაქვთ ბოროტების ამ სტიქიაში, რომელსაც შეგნებულად თუ შეუგნებლად წარმოშობდა და წარმოშობს ადამიანი (იხ. ნეტ. ავგუსტინე. „*De peccatorum meritis et remissione*, I, 35, 66).

29 ფს. 91, 2.

30 ფს. 50, 7.

31 ფს. 93, 22.

32 ფს. 21, 3: „ღმერთო ჩემო, დღისი ხმა-ვყავ შენდამი და არა ისმინე ჩემი; და ღამე, და არა იღუაწე ჩემთვის".

33 უკვე სიბერის ჟამს ნეტარი ავგუსტინე მწარე ირონიით წერდა, რომ ადამიანს თუ არჩევანის უფლებას მივანიჭებთ ბავშვობასა და სკოლაში დაბრუნებასა და სიკვდილს შორის, იგი, ალბათ, ამ უკანასკნელს ამჯობინებსო („ღვთის ქალაქის შესახებ", 21, 14).

34 სენეკასაც მიაჩნდა, რომ ბავშვების თამაშსა და უფროსების საქმიანობას შორის, არსებითად, არავითარი განსხვავება არ არსებობს (სენეკა. „დიალოგები", 2, 12, 1-2).

35 გლადიატორთა ორთაბრძოლებსაცა და საცირკო ასპარეზობებსაც (დოღებს) რომის იმპერიაში ქალაქის უმაღლესი მაგისტრატები აწყობდნენ.

36 ეს იყო ეგრეთ წოდებული „მონათვლისწინა წესის აღსრულება", რაც შემდეგნაირად ხდებოდა: ბავშვს (ანდა მოზრდილსაც) ჯვარს გადასახავდნენ და ნაკურთხი მარილის მწიკვს მისცემდნენ

ეკლესიაში. ის, ვისზეც აღასრულებდნენ ამ წესს, კატეხუმენად, კათაკმევეულად ითვლებოდა, ანუ განმზადებულად ნათლის მიღებისათვის. და მას მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეეძლო მისი მიღება. ბავშვის მონათვლა, ჩვეულებრივ, მის სრულწლოვანებამდე გადაიდებოდა ხოლმე: მიაჩნდათ, რომ ნათლის მიღებით ყველა მანამდე ჩადენილი ცოდვა მიეტევება ადამიანს, და ამიტომ არც ჩქარობდნენ ბავშვის მონათვლას. მაგრამ ეკლესიის მამებმა მოითხოვეს ბავშვების მონათვლა, და უკვე V საუკუნიდან წესად იქცა მათი მონათვლა.

37 შექმნ. 2, 7: „და შექმნა ღმერთმან კაცი მტუერისა მიწიერისა და ქუეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად"; ნეტარი ავგუსტინე ამ სიტყვების ქვეშ გულისხმობს ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია ღვთის მადლი; და როცა მიიღებს იგი მას ნათლის ღების საიდუმლოს საშუალებით, მაშინ ხატი და მსგავსება ხდებაო ღმრთისა (იხ. „აღსარება", წ. XIII, 12).

38 მთ. 10; 29-30: „ანუ არა ორი სირი ასარას განისყიდეგის? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თვინიერ მამისა თქუენისა. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხულ არიან".

39 „მოუწესრიგებელ სულს თავის თავში ეტარებინა სასჯელი თვისი" - ეს აზრი ნეტ. ავგუსტინეს გამორჩეულად მოსწონდა და ხშირად იმეორებდა მას. იგი თვლიდა, რომ ის სასჯელი, რომელსაც ეწევა ხოლმე ადამიანი, არასოდეს არ არის ნებისმიერი და ზევითგან დაწესებული. ადამიანის სასჯელი იმანენტურია მისი დანაშაულისა და სწორედ მისგან გამომდინარეობს.

40 მთელს რომაულ სამყაროში სრული განათლების მქონედ ის პირნი ითვლებოდნენ, ვისაც სამი სკოლა ჰქონდათ გავლილი: 1) დაწყებითი სკოლა, სადაც ისწავლებოდა წერა-კითხვა და ანგარიში, 2) გრამატიკული სკოლა, სადაც უმთავრესად იმ პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებს კითხულობდნენ, რომლებიც სასკოლო სწავლებაში დაკანონებულნი და მიღებულნი იყვნენ, და 3) რიტორიკული სკოლა, რომელშიც ჭაბუკი ორატორული კარიერისათვის ემზადებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხილე მ. ე. სერგეენკოს წიგნში „ძველი რომის ყოფა“, მოსკოვი-ლენინგრადი, 1964წ., გვ. 169-191.

41 იმის შესახებ, იცოდა თუ არა ნეტარმა ავგუსტინემ ბერძნული ენა, დღემდე გრძელდება კამათი მეცნიერთა შორის. თვითონ იგი თავის შესახებ ამბობდა, თითქმის არ ვიცი ეს ენა (იხ. „პეტილიანეს წინააღმდეგ“, 2, 38, 91). მაგრამ სათუოა, რომ ეს ნამდვილად ასე ყოფილიყო. დაწყებული საგრამატიკო სკოლიდან, სწავლება ორ ენაზე წარმოებდა, და ავგუსტინეც, ნიჭიერი ჭაბუკი, ენის ცოდნის ისეთი მარაგით გამოვიდა ამ სკოლიდან, რაც შემდეგში მტკიცე საფუძვლად გამოადგა ლათინური ბიბლიის შედარებაში ბერძნულ ორგინალთან (თარგმანი სამოცდაათი განმმარტებელისა). მაგრამ ბერძნული ენა, ისევე როგორც საერთოდ ბერძნული კულტურა, ყოველთვის უცხო იყო მისთვის: ბერძენ კლასიკოსთაგან იგი არავის ნაწარმოებებს არ კითხულობდა, ხოლო წარმართ ფილოსოფოსებსა და თვით აღმოსავლური ეკლესიის მამებსაც მხოლოდ იმ ნაწარმოებებით იცნობდა, რომლებიც თარგმნილი იყო ლათინურ ენაზე (ამასთან დაკავშირებით იხ. H. Marrou, S. Augustin et l'augustinisme, Paris, 1956, 27-46 და P. Courcelle, Les lettres grecques..., 137, 209).

42 ფს. 77, 39.

43 ენეასი მთავარი გმირია ვირგილიუსის ცნობილი „ენეიდასი“, ამ ნაციონალური პოემისა, რომელზეც აღიზრდებოდა მთელი რომაელი ახალგაზრდობა, წარმართულიცა და ქრისტიანულიც. იგი იყო ძე ანქიზესა და აფროდიტესი (იგივე ვენერა), ტროის მეფის - პრიამოსის ნათესავი, ერთ-ერთი გამოჩენილი პირი ტროელ გმირთა შორის. როდესაც ბერძნებმა მოტყუებით დაიპყრეს ტროა და ცეცხლს მისცეს იგი, ენეასი გაიქცა ქალაქიდან და თავის გარშემო შემოიკრიბა გადარჩენილი ტროელები. ამის შემდეგ იწყება მისი ხეტიალური მოგზაურობა ზღვაზე; ძლიერმა ქარიშხალმა იგი კართაგენში გადმოიყარა, სადაც სიხარულით მიიღო დედოფალმა დიდონამ. [illegible] ენეასი, და როცა ეს უკანასკნელი გაემგზავრა კართაგენიდან, თავი მოიკლა. თითქმის ყველა რომაელი იმპერატორი თავს ენეასის შთამომავლად მიიჩნევდა (იულიუსების დინასტია ენეასის შვილის იულიუსიდან მომდინარეობს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 იაკ. 4, 4.

45 „ენეიდა“, VI, 457.

46 მასწავლებელნი სკოლებს ხშირად ფორუმის პორტიკთა ქვეშ აწყობდნენ და მას ფარდებით გამოჰყოფდნენ ხოლმე. სწორედ ამგვარი სკოლაა, მაგალითად, გამოსახული ერთ-ერთ პომპეურ ფრესკაზე. ნეტარი ავგუსტინე ირონიულად მიგვანიშნებს ფარდებზე, რომლებითაც იმ ადგილებს ფარავდნენ ტაძრებში, სადაც განსაკუთრებით პატივსაცემი ღმერთების გამოსახულებანი იდგა.

47 ნეტარ ავგუსტინეს მხედველობაში აქვს ის ნიშნები, რომლებითაც ბგერები აღინიშნება, ანუ ასოები.

48 ამ მეთოდით ისწავლებოდა თვლა-ანგარიში დაწყებით სკოლებში.

49 ცხრა წელიწადი ბერძნები უშედეგოდ ეომებოდნენ ტროელებს - ქალაქის აღება არ ხერხდებოდა. და აი მათ ეშმაკურ ხერხს მიმართეს: თავი მოაჩვენეს ტროელებს, რომ უზავდებიან მათ და სამშობლოს სურთ გამგზავრება. ხის უზარმაზარი ცხენი, რომლის შიგნითაც უმამაცესი ბერძენი მეომრები ისხდნენ, ამ დაზავების ნიშნად დატოვეს ქალაქის კარიბჭესთან. მოტყუებულმა ტროელებმა ქალაქში შეათრიეს ცხენი. ღამით, მასში დამალულმა მეომრებმა კარები გაუღეს ბერძნებს, და იმავე ღამეს ქალაქი ტროა ცეცხლს მიეცა. კრეუსა ენეასის ცოლი იყო. „ენეიდა“, II, 772.

50 ნეტარი ავგუსტინეს პედაგოგიური რჩევები ვეტად ღირსშესანიშნავია თავისი ღრმა დაკვირვებულობითა და ბავშვთა და ჭაბუკთა ფსიქოლოგიის ცოდნით. იმ დიალოგებიდან, რომლებიც თავის მოწაფეებთან საუბრებში წარმოგვიდგენენ ავგუსტინეს („მასწავლებლის შესახებ“), ჩანს რომ იგი ისწრაფვოდა „თავისუფალი, ძალდაუტანებელი ცნობისწადილი“ გაეღვიძებინა მათში.

51 „სიყვარული წარმავლისადმი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დამარცხებულ იქნეს, თუკი შევიგრძნობთ სიტკბოებას მარადიულისა“ (ნეტ. ავგუსტინე, „მუსიკის შესახებ“, 6, 16, 52).

52 ამ გაბრაზების სიფიცხე გასაგებია. წარმართული სწავლება, რაც მაშინდელ სკოლაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული, წარუშლელ კვალს სტოვებდა ქრისტიანული ახალგაზრდობის როგორც აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებსა და წარმოდგენებში, ასევე მათს გულებში.

53 დედანში გემის ნაცვლად სიტყვა *lignum*-ია - „ძელი", „მორი", რაც მეტონიმიურად აღნიშნავს გემს: „ზღვა" - ჩვეულებრივი მეტაფორაა იმ დროის მწერლებისათვის ცხოვრების აღსანიშნავად: „ზღვა ცხოვრებისა". გემი, რომლითაც გადაცურავენ ამ ზღვას, აღნიშნავს ეკლესიას და ჯვარს ქრისტესას. თავის „განმარტებებში იოანეს სახარებისა" (2,4) ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „რატომ აცვეს მაცხოვარი ჯვარს? - იმიტომ, რომ შენთვის, სულო კაცისაო, აუცილებელია ეს ძელი (*lignum*) მისი დამდაბლებისა. შენს ამპარტავნებაში შენ გეშინოდა მისი და ამის გამო შორს მოსცილდი მშობლიურ ქვეყანას. საერო ზვირთებმა წაშალეს მისკენ დასაბრუნებელი გზა; და მხოლოდ ამ გემით (*lignum*) ძალგიძს შენ დაბრუნდეშინ. იგი თვით იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე ძევს, რომელზეც ფეხით შენ ვერ გაივლი, შენ გადაგიყვანს გემი, გადაგიყვანს „ძელი" (ანუ ჯვარი); გწამდეს ჯვარცმისა და შენ შეძლებ დაბრუნებას".

54 ნეტ. ავგუსტინეს თავისი დროის რომელიღაც ფარსი აქვს მხედველობაში.

55 „მოსასხამიან მასწავლებელთაგან"... - *Paenula*- სქელი მუქი ფერის უხეში მოსასხამია, რომელიც, საფიქრებელია, სკოლის მასწავლებლების ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო. (ასეთი სამოსი გამოსახულია პომპეის ფრესკაზე და საფლავის ქვაზე, რომელიც ტრირის მუზეუმშია დაცული).

56 ეს სიტყვები ეკუთვნის ციცერონს („ტუსკულანური საუბრები", I, 26, 65).

57 ნეტარი ავგუსტინე ყოველთვის მოწონებით იხსენიებდა სიცილიელ ფილოსოფოსს ევჰემეროსს, რომელსაც ეკუთვნის შრომა „საღმრთო განათლება". ავგუსტინე წერდა მასზე: „ყველა ეს ღმერთები მან სიტყვამრავალი უაზრო ზღაპრებით კი არ აღწერა, არამედ ისტორიული სიზუსტით დაადასტურა, რომ ისინი მოკვდავი ადამიანები იყვნენ" („ღვთის ქალაქის შესახებ", 6, 17).

58 „ჯოჯოხეთის ნიაღვარი" - ამ მეტაფორით ნეტარი ავგუსტინე კლასიკური განათლების ჩვეულებრივ კურსს აღნიშნავს. სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეები „სახალხოდ, ფორუმზე“, გვაფიქრებინებენ, რომ ფორუმი ჩვეული ადგილი იყო სკოლისათვის (იხ. ლიბ. 3, 44); „კანონთა წინაშე“ - კანონთა ასლებს ფორუმზე გამოჰკიდებდნენ ხოლმე. ქალაქი, რომელიც მასწავლებელს იწვევდა, იმ ჯამაგირს უხდიდა მას, რომელიც იმპერატორის გრძანებით იყო დადგენილი; გარდა ამისა, ამ ჯამაგირის დამატებით, მასწავლებელი თვით მოსწავლეებისგანაც იღებდა გასამრჯელოს სწავლებისათვის.

59 ლაპარაკია ტერენციუსის კომედიის „საჭურისის“ (585...) იმ ადგილის შესახებ, სადაც ჭაბუკი ქერევსი ჰყვება იმაზე, თუ როგორ შეიპარა იგი, საჭურისის სამოსში გამოწყობილი, ჰეტერა ფაიდასთან, ამ ულამაზეს მონა-ქალთან, რათა სიყვარულში გამოსტყდომოდა მას. როცა მარტო დარჩა თავისი სიყვარულის საგანთან, ქერევსმა გაიხსენა წუთის წინ ნანახი სურათი, და „ღმერთის“ საქციელით შეგულიანებულმა და მისი მიბაძვის სურვილით აღძრულმა, გადაწყვიტა ხელიდან არ გაეშვა ეს ხელსაყრელი შემთხვევა.

60 ტევკროსი ტროის პირველი მეფე იყო და მისი სახელის მიხედვით ტროელებსაც ტევკრებს უწოდებდნენ. იუნონა (რომაელთა ღმერთქალი, ცოლი იუპიტერისა, იგივე ბერძნული ჰერა), რომელიც მტრულად იყო განწყობილი ტევკრთა (ტროელთა) მიმართ, ყოველნაირად უშლიდა ხელს ენეასსა და მის თანამგზავრებს იტალიაში შემოსულიყვნენ, სადაც მათ განგებამ დაუდგინა დიადი სამეფოს დაარსება. ის „დავალება“, რ ელის შესახებაც ნეტარი ავგუსტინე მოგვითხრობს, ჩვეულებრივ სავარჯიშოს წარმოადგენდა მოსწავლეთათვის საგრამატიკო სკოლაში. ამ დავალების მიზანს შეადგენდა არა მხოლოდ პროზაული გადმოცემა „ენეიდის“ მოცემული ნაწყვეტისა (I, 36-75), არამედ ისიც, რომ მოსწავლეს „ორატორული ძალა მიენიჭებინა პოეტის აზრებისათვის, შეევსო გამორჩენილი, პოეტის მიერ ართქმული და, პირიქით, შეკუმშულად, მოკლედ გადმოეცა ვრცლად მოცემული... ეს იყო ბრძოლა და შეჭიდება პოეტთან“ (კვინტ. X, 5 , 4-5).

61 „ფრთოსანთა გუნდი“ - ეს სიტყვები ორგვარი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული: I) პირდაპირი მნიშვნელობით: ფრინველები აჰკენკავენ ხოლმე ნაყოფს მიწაზე დაგდებული ვაზი-

საგან, რომელსაც ჭიგო არა აქვს დასობილი, და 2) გადატანითი მნიშვნელობით: ნეტარ ავგუსტინეს არ ჰქონდა „ჭიგო“, ანუ საყრდენი საღმრთო წერილში, და გული მისი დაცემულმა ანგელოზებმა წარიტაცეს: „ეს ამპარტავანი და უკეთური სულები, - წერდა მათზე ავგუსტინე, - ჭეშმარიტების კეთილსუნნელებით კი არ საზრდობენ, როგორადაც ამას ზოგიერთნი უგუნურნი ფიქრობენ, არამედ ადამიანთა შეცთომილებებით“ (ნეტ. ავგუსტინე, „ფავსტუსის წინააღმდეგ“, 20, 22).

62 როგორც თვით ეს აზრი, ასევე მისი სიტყვიერი გამოხატულებაც იმას მოწმობს, რომ წლებს მთლიანად არ წარუშლიათ ავგუსტინეს მსოფლმხედველობაში ნეოპლატონიკოსთა გავლენა (შდრ. პლოტინი. „ენეადები“, 6, 9, 7: „უკუვაგდოთ ყოველგვარი გარეგანი და შინაგანს მივექცეთ“).

63 ფს. 102, 8: „შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე“; ფს. 85, 15: „და შენ, უფალო ღმერთო ჩემო, შემწყნარებელ ხარ და მოწყალე, სულგრძელ და დიდად მოწყალე და ჭეშმარიტ“; ფს. 26, 8.

64 ნეტარმა ავგუსტინემ აქ თითქოს შეაერთა, გააერთიანა სახარების იგავი უძღები შვილის შესახებ (ლუკა, 15, 11...) და ადგილი პლოტინის „ენეადებიდან“ (1, 6, 8). „აღსარების“ ამ პარაგრაფის ზოგიერთი ფრაზა თითქმის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია პლოტინის ნაწარმოებიდან: „ამისთვის ფეხით როდია საჭირო წასვლა... არც ცხენების შეკაზმვა და ურემის გაწყობაა ამისთვის საჭირო, და არც ხომალდისა...“

65 ციცერონის თანამედროვე რომაელი გრამატიკოსის, ნიჰიდიუს ღიგულუსის მტკიცებით, არასწორი მახვილი ამ სიტყვის წარმოთქმისას ადამიანის დაბალ კულტურულობას მოწმობს.

66 დედანში inter oimines-ია inter homines-ის ნაცვლად.

67 ფს. 30, 23: „ხოლო მე ვთქუ განკვირვებასა ჩემსა; განაქეგდებულ ვარ მე პირისაგან თუალთა შენთაისა; ამისთვის შეგესმა ხმაი ლოცვისა ჩემისაი, რაჟამს ვღაღადებდი მე შენდამი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68 მათე. I9, I4.

69 „იმდენად, რამდენადაც ერთიანობას ესწრაფვის რაიმე, მხოლოდ ამდენად არსებობს იგი. ერთიანობა შეთანხმებულობასა და ერთსულოვნებას წარმოშობს... უბრალო, მარტივი რამ უკვე თავისთავადაა არსებული, რაკი ერთიანია იგი; ხოლო ის, რაც რთულია, ერთიანობისაკენ ისწრაფვის თავის ნაწილთა შეთანხმების გზით და იმდენად არის არსებული, რამდენადაც ახერხებს ამას (შეთანხმებას)... სიმრთელე, სიჯანსაღე მდგომარეობს სხეულის ერთისადმი დაქვემდებარებაში, სიდამაზე კი – მის ნაწილთა გაერთიანებაში“ (ნეტ. ავგუსტინე. „მანიქეველთა ზნეჩვეულებების შესახებ“, 6; პლოტინი, „ენეადები“, 6, 9, I).

70 ნეტარ ავგუსტინეს მხედველობაში აქვს „საერთო გრძნობა“ არისტოტელესეული და სტოიკური ფსიქოლოგიისა: ის გრძნობა, რომელიც კორელაციას უკეთებს გრძნობის ორგანოების საშუალებით მიღებულ შთაბეჭდილებებს. მაგრამ ავგუსტინე უფრო შორს მიდის თავის წინამორბედებთან შედარებით, როცა ამ გრძნობას არა მხოლოდ კორელაციას მიაწერს გარეგანი შთაბეჭდილებებისას, არამედ ინდივიდის მიერ საკუთარი თავის როგორც იმ სუბიექტის შეგნებას, რომელიც იღებს და კორელაციას უკეთებს ამ შთაბეჭდილებებს. „მე სავსებით ცხადად მიმაჩნია ის, რომ ეს შინაგანი გრძნობა არამხოლოდ აღიქვამს იმას, რაც ხუთ გარეგან გრძნობას მიუწვდიათ მისთვის, არამედ გრძნობს კიდეც, რომ ისინი მის მიერ აღიქმებიან“ (ნეტ. ავგუსტინე, „თავისუფალი ნების შესახებ“, 2, 4, I0).

7I როცა მშვენიერს დავინახავთ სხეულებში, მაშინ მათკენ კი არ უნდა მივმართოთ სწრაფვა ჩვენი, არამედ უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ მსგავსებანი არიან ისინი, ნაკვალევნი და აჩრდილნი: და იმისკენ უნდა გავიქცეთ ჩვენ, რისი მსგავსნიც არიან ისინი“ (პლოტინი, ენ. I, 6, 8).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თარგმანი ვ. ბურკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმეტყველება და ღვთისშემეცნება*

„ძე ღმრთისა მოვიდა და მომცა ჩვენ
გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი
ღმერთი“ (I იოანე, 5, 21**)

სასულიერო სასწავლებელთა დანიშნულებაა გვასწავლონ, თუ ვით ძალგვიძს შემეცნება ღმრთისა. მეცნიერება ღვთის შესახებ ცნობილია „ღვთისმეტყველების“ სახელით.

შესაძლოა გვეჩვენოს, თითქოს ღვთისმეტყველებასა და ღვთისშემეცნებას შორის არცაა სხვაობა: როგორც ერთის ისე მეორის შემეცნების საგანია ღმერთი. მაგრამ ღვთისმეტყველებასა და ღვთისშემეცნებას შორის მაინც არსებობს ერთგვარი, თანაც მნიშვნელოვანი, განსხვავება.

რა არის ღვთისმეტყველება და რა არის ღვთისშემეცნება?

ღვთისმეტყველება - ესაა მეცნიერება შესახებ ღვთისა და მისდამი რწმენისა. ყველაფერი, რაც პრინციპულად უკავშირდება რელიგიას, წარმოადგენს ღვთისმეტყველების საგანს. მისი მიზანია, მოგვცეს სისტემატური ცოდნა ღმერთისა და რელიგიური რწმენის განსაგნებულ ჭეშმარიტებათა ირგვლივ. ღვთისმეტყველების, ვით მეცნიერების, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერად გააშუქოს, დააფუძნოს და გაამართლოს რწმენა ღვთისა, არსებობა მისი, თვისებები და უმთავრესი ჭეშმარიტებანი რელიგიური აღმსარებლობისა.

---

* 1971 წლის II სექტემბერს ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში წაკითხული ლექცია. იხ. „Журнал Московской Патриархии", 1972, № 2, с.62-69.

**რუსულ თარგმანში: მუხლი 20 (მთარგმნელის შენიშვნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისშემეცნება - ესაა შემეცნება უზენაესისა. იგი არა იმდენად ღვთისმეტყველების მიერ მოგვემადლება, რამდენადაც ღვთაებრივი გამოცხადების მეოხებით; პირდაპირი გზით - ჩვენი პირადი, უშუალო აღქმის შედეგად. ღვთისშემეცნება არსებობს ღვთისმეტყველების უადრეს და მისგან დამოუკიდებლად. შემეცნება ღვთისა, ბოძებული გამოცხადებითა და უშუალოდ, ადამიანს მიმადლებული ჰქონდა გაციდებით ადრე, სანამ წარმოიშობოდა ღვთისმეტყველება და ჩამოყალიბდებოდა იგი მეცნიერებად.

ღვთისა და სხვა რელიგიურ საკითხთა ირგვლივ ერთობ გაღრმავებულსა და სისტემატური მსჯელობის ჩანასახებს ჩვენ ვიპოვით ჯერ კიდევ სოკრატესა და მის მოწაფეთა ეპოქაში. ტერმინს „ფილოსოფია" პირველად ვხვდებით არისტოტელესთან. მოგვიანებით ეგევე ტერმინი იხმარეს წმიდა მამებმა და, მათთანავე, სხვა საეკლესიო მწერლებმაც. მეცნიერულ-კრიტიკული კვლევა-ძიება და ქრისტიანული რწმენის დასაბუთების მცდელობა იწყება II საუკუნის შუა წლებიდან, ოდეს წარმართული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა სპეციალური თხზულებანი შექმნეს, რითაც ისინი თავს ესხმოდნენ ქრისტიანობას და უარყოფდნენ მის ჭეშმარიტებას. იმჟამ გამოჩნდნენ სწავლულნი და ფილოსოფიურად განათლებული ქრისტიანები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ, ძირიქით - ქრისტიანული მოძღვრება არის ჭეშმარიტი და სრულყოფილი ცოდნა. აღექსანდრიას, იერუსალიმს, ანტიოქიასა და სხვაგანაც აღმოცენდა სკოლები, რომლებშიც ასწავლიდნენ მოძღვრებას ღმერთზე. დროთა მანძილზე ღვთისმეტყველება, როგორც მეცნიერება, თანდათან ვითარდებოდა და ყალიბდებოდა; დიფერენცირდებოდა ცალკეულ დისციპლინად, რომელთა რიცხვმა დღესდღეობით შესამჩნევ რაოდენობას - ოცდაათს - გადააჭარბა და განშტოდა ოთხ ჯგუფად: ეგზეგეტიკურ, ისტორიულ, სისტემატურ* და პრაქტიკულ ღვთისმეტყველებად.

თუკი ღვთისმეტყველება და ღვთისშემეცნება ასე ახლოს არიან ერთურთთან და ისინი მაინც სხვადასხვა ცნებებს წარმოადგენენ, მაშინ დაისმის კითხვა: როგორი ურთიერთობაა მათ შორის?

---

* იგივე თეორიულ (მთარგმ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორიცხავენ თუ განაპირობებენ და ამყარებენ ერთურთს? არსებითად ესაა დღევანდელი ჩვენი მოხსენების მთავარი თემა.

რისამე შესახებ ცოდნას ჩვენ შეგვიძენთ ორგვარი გზით - თეორიულითა და პრაქტიკულით. თეორიულ ცოდნას გვაძლევს მეცნიერება, ხოლო პრაქტიკულს - პირადი, უშუალო გამოცდილება. თეორიული ცოდნა, მართლაც, ძვირფასი და აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ იმით ფასდება მისი ღირებულება, თუ გამოგვადგება იგი (ცხოვრებაში). ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში ძველი დროის გრძენს,- სოკრატეს, - ოდეს ამბობდა: ცოდნა ს ა თ ნ ო ე ბ ა ა ო. ეს ნიშნავს, რომ ცოდნა უნდა გამჟღავნდეს საქმით - კეთილი, ზნეობრივი საქმით. მშრალი თეორიული ცოდნა თავისთავად არ მოიტანს ხეირს: ამიტომაც არ წარმოადგენს იგი პრაქტიკულსა თუ ზნეობრივ ღირსებას. იგივე ითქმის ღვთისშემეცნების მიმართაც, რაც, შესაძლოა, ასევე ორგვარ მოემადლოს კაცთ: თეორიული და პირადი, უშუალო შემეცნების წყალობით. თეორიულ ცოდნას ღვთის შესახებ გვაძლევს ღვთისმეტყველება, მაგრამ შესაძლოა შევიცნოთ ღმერთი გარეშე ღვთისმეტყველებისა - უშუალოთ. ალბათ არიან ღმერთისა და რჯულის საკითხებზე მდიდარი თეორიული ცოდნით აღჭურვილი ადამიანები, იქნებ განსწავლული ღვთისმეტყველნიც კი იყვნენ ისინი, მაგრამ საკუთრივ ცხოვრებაში მაინც ვერ შეიგრძნონ ღმერთი. სამაგიეროდ ცხოვრობენ ადამიანები, მოკლებულნი თეორიულ-საღვთისმეტყველო ცოდნას, მაგრამ მეცანნი ღვთისა. ესენი იცნეს ღმერთი საკუთარი გულით, რადგან მისდამი მიაქციეს იგი, განიცადეს და იხილეს „რამეთუ ტკბილ არს უფალი" (ფს. 33, 9). პირადი განცდით შეძენილი ცოდნა ყოველთვის უფრო ღრმა, უფრო ცხოველი და ძალუმია, ვიდრე თეორიული. ოდესღაც ფილონს უთქვამს: „თუ კაცმა განიცადა, უპირატესად სწორედ მას ეცოდინება მისივე განცდის საგანი". ნათელსაყოფად მივმართოთ შემდეგ მაგალითს: სრულიად საკმარისია ცნება „დედა" თეორიულად ასე განიმარტოს: „დედა - ის არსებაა, ვინაც შობს, თვის წიაღიდან უძღვნის სიცოცხლეს სხვა არსებას, მისგვარ ქმნილებას". მაგრამ თავისთავად რამდენად მართებულიც არ უნდა იყოს ეს განმარტება, ის ცოდნა მთლიან, რომელსაც გვთავაზობს იგი დედის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ, ოდნავადაც ვერ უტოლდება იმ საცნაურობას, კაცადკაცადს რომ ეუფლვის მშობელი დედისადმი – არსებისადმი, ვის ძვირფას იერს პირველად მივაპყარით თვალი, რაჟამს აღგვეხილა იგი, ვის მკერდთაგანაც გვეწოვა ძუძუ, ვისი აღერსითა და აკვნის სიმღერით ტკბილად ჩაგვძინებია. სწორედ ამგვაარი ურთიერთობანი შეიძლება სუფევდეს ჩვენსა და უზენაესს შორის: ღმერთის შესახებ შესაძლოა შევიძინოთ თეორიული ცოდნა, მაგრამ ასევე ძალგვიძს პირადად შეცნობა მისი. ამ სახედ, შემეცნების ორ ფორმას შორის მოიპოვება არსებითი სხვაობა: თუ, მაგალითად, ერთი მხრივ, დასაშვებია ფილოსოფიური განბჭობით ზიარვეყოთ იდეას ღმრთისას და მის თვისებათ: აბსოლუტურობას, ერთარსობას, ზემატერიალობას, ყოვლისშემძლეობას და მისთ., მეორე მხრივ, შეიძლება, შევიმეცნოთ იგი პიროვნული განცდით, უშუალო კავშირით მასთან.

არა გრძნობათა ორგანოების, არცა გონების მიერ, არამედ მეტწილ გულით მივეახლებით ღმერთს. ანგვარ შემთხვევაში არა პირდაპირი (ანატომიური) საზრისით, არამედ სულიერად* გააზრებული გული, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, არის ბირთვი სულიერი ცხოვრებისა და ადგილსამყოფელი სულისა. წმიდა ბიბლიის მიხედვით, გულით ართუ ოდენ გრძნობა წარმოჩნდება, როგორც ამჟამად მოიაზრება ეს, არამედ თვით გონი და მნებელობაც. ამგვარად, გონებრივი თუ გონითი მოქმედება აღესრულება გულსა შიგან: „თქვა (ე. ი. განსაჯა) უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი" (ფს. 13, 1). გულის ქმედებითვე წარმოჩნდება აგრეთვე ცოდნაც: „და არა მოგცა თქვენ უფალმან ღმერთმან გული მეცნიერი... ვიდრე დღენდელად დღედმდე" (მეორე შჯულისა 29, 4); „იცოდნა იესუ ზრახვანი მათნი და ჰრქვა მათ: რაისა თქვენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქვენთა?" (მთ. 9, 4). ამ სახედ, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში გული წარმოადგენს მიზეზს „გნოსეოლოგიური ქმედებისას და, განსაკუთრებით, ღვთისშემეცნებისას".

პოზიტიური ცოდნის არეში შემეცნების მეთოდს წარმოადგენს გრძნობისმიერი გამოცდილება, დაკვირვება, განსჯა, საზრიანობა,

---

* იგულისხმება მისტიური გული (მთარგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონივრული დასკვნა. მაგრამ ამგვარი მეთოდი ღვთისშემეცნების მხრივ უიმედოდ და უადგილოდ გვესახება. ღვთისშემეცნებისათვის განწესებული გნოსეოლოგიური მეთოდი – ესაა რწმენა და უშუალო აღქმა, უშუალო დაჯერება, რწმუნება – „რამეთუ სარწმუნოებით ვიქცევით და არა იჭვით“ (კორ. II, 5, 7). ღვთისშემეცნების სფეროში რწმენა წინ უძღვის ცოდნას: „რამეთუ სარწმუნეობა ულირს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს“ (ებრ. II, 6). „და ჩვენ გვრწმენა და გვიცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“ (იოანე 6, 69). რწმენა ხელს გვიმართავს, გარდაგვეხსნას ის, სანამდეც გონებას საკუთარი გზით არ ხელეწიფება მისვლა და რასაც ვერ მოგვცემს გრძნობისმიერი გამოცდილება, რამეთუ „სარწმუნეობით გვიცნობიეს“ (ებრ. II, 3). ამგვარი შეგნების კვალობაზე ნეტარი ავგუსტინე, ანსელმ კენტერბერიელი და სხვანი რწმენას ღებულობდნენ მნიშვნელად ღვთისშემეცნების მეთოდისა და ამ აზრს ამრიგად აყალიბებდნენ: „მრწამს, რათა გავიგო“*. ნეტარი ავგუსტინე აღიარებდა ასევე, რომ ღვთისშემეცნებისას რწმენა წინ უსწრებს ცოდნას. ოდეს განსაზღვრავდა ღვთისმეტყველების მიზანს, ის წერდა: ღვთისმეტყველების მიზანია, გონების მიერ შესწავლება იმისა, რაც ჭეშმარიტი რწმენით შეგიწყარებია უკვე.

როდესაც რწმენა პრიორიტეტს იჩემებს, იგი საფუძველშივე როდი უარყოფს გონების მონაწილეობას ღვთისშემეცნებისას. თუმცა მის როლს გვისახავს როგორც მეორეხარისხოვანს, დამხმარეს: გააშუქოს, დაადასტუროს, შექმნას და გააფორმოს წარმოდგენა, მოგვცეს ფაქტები, საფუძვლები და სისტემურობა. რწმენას, თუ იგი თავით თვისით მთლიანად აღმორიცხავს გონებას, ცრურწმენად გადაქცევის საფრთხე ემუქრება. ასევე, თვით გონებისმიერი უარყოფა მოელის ოდენ გონებაზე დამყარებულ რწმენას.

პრინციპულად რწმენასა და გონებას შორის არც უნდა იყოს ცილობა. ეს ჯერ კიდევ თომა აქვინელმა აღნიშნა, როდესაც ამბობდა: რწმენით განცხადებული ჭეშმარიტება შეუძლებელია უპირის-

---

* იგულისხმება, შევიმეცნო ღმერთი (მთარგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდებოდეს იმ პრინციპებს, რასაც გონება იმეცნებს ბუნებრივი გზით (quae ratio naturaliter cognoscit). ამასთანავე, ვით რწმენა თვის წიაღში არ გამორიცხავს გონების მონაწილეობას, როგორც რამ დამხმარე ძალისას, ასევე გრძნობისეული ცოდნის არე, სადაც პრიორიტეტი ეკუთვნის ცოდნას, როდი უგულებელყოფს რწმენას. ფეხნერის მოხდენილი თქმით, ვითარცა ტაღღები ნავსა, ისე რწმენა აფარფატებს გონებას თავსა ზედა.

ჯეიმსის აზრით, „ჩვენი გონება როდი წარმოადგენს ცოდნის საბოლოო საყრდენს. რიგ ჭეშმარიტებას, რადგანაც უშუალოდ გვჯერა მათი და გვრწამს ისინი, ჩვენ ვღებულობთ მკაცრად ლოგიკურსა და მეცნიერულ დასკვნათა გარეშე". მეტი სიცხადითა და დამაჯერებლობით სწორედ იგივე აზრი გამოთქვა ბულგარელმა პროფესორმა დოქტ. კაზანჯიევმა: „ობიექტური სინანულის კანონები, რასაც ემყარება ყოველი ცოდნა, ბოლოს და ბოლოს მაინც რწმენას ეფუძნება. ეს კანონზომიერებანი სხვა არაფერია, თუ არა უშუალო განცდა ლოგიკურ აუცილებლობათა. და თუმცა ლოგიკური აუცილებლობანი შეპირობებული არიან ცნებებითა და მათი ურთიერთმიმართებებით, სხვაგვარი თქმით - გამომდინარეობენ ლოგიკურსა თუ ემპირიულ მოტივთაგან, ობიექტურად ასეთი აუცილებლობის დამტკიცება შეუძლებელია" და „ამრიგად, ობიექტურ ჭეშმარიტებათა საბოლოო საყრდენი ატარებს ირაციონალურ ხასიათს". ცხადსა და აქსიომურ საგნებს ჩვენ აღვიქვამთ სწორედ მათივ სიცხადისა გამო. ამიტომაც არავის და არაფერს არ ძალუძს გადაგვარწმუნოს იმაში, რასაც უშუალოდ ვეზიარენით. და მცდელობა, დავადასტუროთ ჭეშმარიტება ლოგიკურ კანონთა, რომელთა მეშვეობითაც ცოდნას შევიძენთ, - იგივეა, რომ ჩვენი თავის ჩვენივ თმებით წამოწევას ვეცადოთ. „რწმენა ჩვენ შინაგან არსებასა თუ გარესამყაროს მიმართ - წერდა განსვენებული ბულგარელი პროფესორი, დოქტორი, არქიმანდრიტი ექვთიმე - ვით რწმენა იმისა, რომ თვით ჩვენივ გრძნობა და ლოგიკური აზროვნება არ გვიმტყუნებს, არის ჩვენი მეცნიერული შემეცნების საფუძველი". ამ სახედ, როგორც ვხედავთ, გონისმიერი ცოდნა თავის უკანასკნელ საფუძველში ეზიარება რწმენას, ხოლო რწმენა, თავის მხრივ, ერწყმის ცოდნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ხორციელდება გნოსეოლოგიური პროცესი ღვთისშემეცნებისას? ღმერთი ზემოქმედებს ადამიანის მიმართ: მის სულზე, მის „გულზე". ადამიანური გული აღიქვამს ამ ზემოქმედებას, ვით რადიომიმღები - რადიოტალღებს. ნება, თავის მხრივ, აღძრავს შემეცნების განსაკუთრებულ უნარს - ინტუიციას (მჭვრეტელობას) და გონებაც მხოლოდ მაშინ მოდის ქმედებად: იგი ოპერირებს ამგვარად მიღებული მასალით, რასაც გარდაქმნის (გადაამუშავებს) იდეებად და ცოდნად. მაგრამ წარმოადგენს კი ამ გზით შეთვისებული ცოდნა ნამდვილად ობიექტურ, რეალურ ღირებულებას? როგორც მეცნიერებაში ფაქტების თვალსაჩინოება, უთუობა და ლოგიკური აუცილებლობა გვაიძულებს, მივიღოთ შეძენილი ცოდნა, მოცემულ შემთხვევაშიც, ასევე: თვალსაჩინოება გვიკარნახებს, ჭეშმარიტებადვე ვრაცხდეთ ამგვარ უშუალოდ შეძენილ ცოდნას და როგორც მეცნიერული ცოდნის სფეროში ამა თუ იმ შესაძლებლობით ვაკონტროლებთ ჩვენივ ცოდნის სისწორეს, ასევე: ღვთისშემეცნებისას შინაგენი გამოცდილებით ჩვენვე ვაკონტროლებთ იმის სიმართლეს, რაც შევიმეცნეთ. ვით პოზიტიურ შემეცნებისას უფრო და უფრო იზრდება მეცანი სუბიექტი ცოდნითა და გამოცდილებით, ზუსტად ასევე იზრდება ადამიანი ცოდნითა და გამოცდილებით ღვთისშემეცნებისას. და, სულიერი ზრდისკვალად, რამდენადაც ცხოველმყოფელი ხდება მისი ინტუიცია, ე. ი. უნარი სულიერ ჭეშმარიტებათა მიახლებისა, იმდენად მტკიცდება მისი რწმენა. ამ სახედ მეცანი სუბიექტი შეგისავს რწმენას არა მარტო ღვთის ონტოლოგიურად რეალობის თაობაზე, ე. ი. რომ ნამდვილად არსებობს ღმერთი, არამედ ამასთანავე, მიიღებს ამა თუ იმ ცოდნას ღმერთზე, მის თვითებაზე: ჩვენ ნამდვილად „ვიგემებთ" და „ვიხილავთ", ვითარ არს იგი (ფს. 33, 9).

დასკვნად ჩვენი მსჯელობისა- ღვთივჭვრეტისას რწმენისა და გონების ურთიერთობის თაობაზე - კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რწმენა და გონება ეს ორი განწესებული მეთოდია შემეცნებისა. ამათგან პირველს პრიორიტეტი ეკუთვნის ღვთისშემეცნებისას ხოლო მეორეს - პოზიტიურ მეცნიერებათა წიაღ. ცოდნის ეს ორივე გზა თვის საზრისს პოულობს ადამიანის ორმხრივი ბუნებით: სულიერი და გრძნობადი რეალობების არსებობაში. ოღონდ ამ ორ მეთოდს

შორის როდია წინააღმდეგობა: ისინი არა თუ არ გამორიცხავენ ერთ-ურთს, უფრო მეტიც - ხელს უმართავენ კიდეც ერთიმეორესა. ამის მიზეზია ის, რომ მეცნიერული ცოდნის არეში, როგორც უკვე ვნახეთ, თვით ცოდნას მივყავარო რწმენად, რაზედაც ემყარება იგი კიდეც; ხოლო ღვთისშემეცნებისას რწმენას თავად მივყავართ ცრდნისაკენ, რამეთუ „სარწმუნოებით გვიცნოების" (ებრ.II, 3).

ნამდვილსა და ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებას გარკვეულ პირობათა მეშვეობით მივაღწევთ. მათგან აქ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანია შესახებ შევჩერდებით.

ა) **რ წ მ ე ნ ა ღ ვ თ ი ს ა და მ ი ს ი ა რ ს ო ბ ი ს ა.** ღვთის რწმენა არის პირველი და ყველაზე აუცილებელი პირობა - conditio sine qua non ღვთისშემეცნებისათვის. ის, ვინც ესწრაფვის ღმერთს და სურს - შეიმეცნოს იგი, ყოვლის უპირველეს უნდა დარწმუნდეს, რამეთუ არს ღმერთი (ებრ.II, 6). ამრიგად, რწმენა ღვთისა - ესაა საფუძველი ღვთისშემეცნებისა.

ბ) **შ ე მ მ ე ც ნ ე ბ ე ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ი და ნ ო რ მ ა ლ უ რ ი ს უ ლ ი ე რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა.** პოზიტიური შემეცნებისათვის საჭიროა საღი გონება, ლოგიკური აზროვნება, ჯანმრთელი და ნორმალური გრძნობანი ორგანოები ღვთისშემეცნებისათვის კი აუცილებელია ჯანსაღი სული და აღმქმელი გული. რელიგიური გრძნობა წარმოადგენს ადამიანის სულის ბუნებრივ გამოვლენას. ოლონდ იგი (ეს გამოვლენა) გულისხმობს სულიერი და ხორციელი სტრუქტურის სიმრთელეს. როგორც დაავადებული გრძნობიერება (მაგალითად, დალტონიზმისას) ანდა ავადმყოფი გონება (რიგი ფსიქიური აშლილობისას) ხელს უშლის მართებულ მეცნიერულ შემეცნებას, ასევე სულის ნაირგვარი დაავადებანი ეღობებიან წინ ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებას. რელიგიური განცდის არეში არსებობენ სხვადასხვა პათოლოგიური მოვლენანი, როგორიცაა mania religiosa, idée fixe, პათოლოგიური მისტიციზმი და სხვა. ჭეშმარიტი γνῶσις (ცოდნა) ღვთის შესახებ მიემადლებათ მხოლოდ გონებაგახსნილსა და გრძნობაჯანსაღ ადამიანებს. ძველდროინდელი ქრისტეანული მეცნიერების წარმომადგენლებად გვევლინებიან ფხიზელი, ღრმად მოაზროვნე ადამიანები, ფილოსოფიურად განსწავლულნი. ასეთი იყო წმიდა იუსტინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფოსი, კლიმენტი აღექსანდრიელი, ორიგენე, წმიდა ათანასე დიდი, ნეტარი ავგუსტინე, წმიდა ბასილი დიდი, წმიდა ბასილი დიდის ცხოვრების აღმწერელი გვაცნობს, რომ იგი იყო თავის დროისათვის უაღრესად განსწავლული ადამიანი: ფლობდა ცოდნის დიდ მარაგს, და ემსგავსა ხომალდს, ტვირთულს იმდენი მარგალიტით, რამდენიც ძალუძს ატაროს თავით თვისით - არ დაინთქას ოდენ.

ბ) უმწიკვლო გული, წმიდა და მადღმოსილი ცხოვრება. როგორც ავღნიშნეთ, გული ღვთის შემეცნების მთავარი ორგანოა. მაგრამ, რომ მარჯვედ აღიქვას ღვთაებრივი ჭეშმარიტება, საჭიროა იგი ბნეობრივად განწმენდილი იყოს. ვით ჭუჭყიანი სარკე ნათლად ვერ ასახავს საგანს, ასევე აღარ ძალუძს შებილწულ გულს შეიმეცნოს ღმერთი. და როგორც ავადმყოფი თვალი ვერ ამჩნევს სხივს, ეგრეთ აღარ ძალუძს ხილვა ღვთისა ცოდვით დავსილ სულისმიერ სახილველს, ე.ი. ვულს. ამისათვის ბრძანა უფალმა: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" (მათე, 5, 8). ეს სრულიად გასაგებიცაა, რადგან ღმერთი აბსოლუტური სიწმიდეა. ცოდვის მორევს შთანთქმული არსება უკვე ვეღარ იქონიებს კავშირს ყოვლადწმიდა ღმერთთან. მსგავსი მსგავსს შეიცნობს* (პლატონი), „ხოლო მშვინვიერი (ე.ი. გრძნობიერი, გონიერი და მკვიდრი ამა სოფლისა - ეპ. ნ.) კაცი არა შეიწყნარებს სულსა ღმრთისასა, რამეთუ სიცოფე უჩნ მას, და ვერ შემძლებელ-არს ცნობად, რამეთუ სულიერად გინიკითხვის" (I კორინთ. 2, 14).

ძველი ტრადიციის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლები (უნივერსიტეტები და აკადემიები) იმ პირთათვის, რომელნიც უაღრესად განისწავლნენ და ამაგი დასდეს მოცემულ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებას, აწესებენ სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხს, როგორიცაა „კანდიდატი", „მაგისტრი", და „დოქტორი". თვისი არსებობის თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე ქრისტეს მსოფლიო ეკლესიამ ღვთისმეტყველის წოდება განუსაკუთრა მხოლოდ სამს: წმიდა მოციქულსა და მახარებელ იოანე ღვთისმეტყველს, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველსა და წმიდა სვიმეონ ახალ ღვთისმეტყველს, რადგან სამივემ

---

* შდრ. I კორინთელთა 2, 13: „სულიერი სულიერად შევიტყუებთ" (მთარგ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისშემეცნების უაღრესად მაღალ საფეხურს მიაღწია და მეტის სიღრმით მიეახლენ ღვთაებრივ დოგმატებს. მაგრამ მაინც როგორ აღზევდენ ისინი ესოდენ მაღალ გნოსისამდე (ცოდნამდე)? პირველ ყოვლისა – წრფელი გულით, წმიდა ცხოვრებით.

როგორც გადმოცემა გვამცნობს, წმიდა მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი ქალწული იყო. ამიტომაც საეკლესიო საღვთისმსახურო საგალობლებში ასე შეისხმის იგი: „ღვთისმეტყველო, ქალწულო...“ (სადიდებელი სტიქარონსა ზედა, მწუხრად, 26 სექტემბერს), „დიდებულებანი შენნი, ქალწულო...“ (კონდაკი იგივე დღისა). ხოლ ოდეს მაღლაღმფრენი არწივის მსგავსად იგი უმანკოებრივი სიწმიდე ღვთისსახიერებულ ფრთებით აღფრინდა და ღვთიური ლოგოსი განჭვრიტა მამისეულ წიაღსა შინა, წარმოგვითქვა საკვირველი რამ ღვთისმეტყველება – არეკლილი მის მიერ წმ. სახარებასა და კათოლიკე ეპისტოლეებში. სწორედ იგი წერს: „და ამით უწყით, რამეთუ ვიცით იგი, უკეთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ“ (იოანე, 2, 3).

მეორე მსოფლიო „დოქტორი“ ღვთისმეტყველებისა – წმიდა გრიგორ ნაზიანზელი – სწორედ სიწმიდემოსილი ცხოვრების მეოხებით ჩასწვდა ღვთის ერთარსება-სამების საიდუმლოს. მისივე სიტყვით, „ყველას რიდი ხვდომია წილად ტრფიალი ღვთიური სიბრძნისა. ასეთი რამ მხოლოდ მას ძალუძს, თვისივ ცხოვრებით ვინც ესწრაფვის ჭვრეტად ღვთისა, წმიდაა ცხოვრებაში, ანუ სურის – განიწმიდოს სულით და გვამით“. აი რას ამბობს სხვაგან ეგევე წმიდა მამა: „თუ გსურს ოდესმე გახდე ღვთისმეტყველი....დაიმარხე მცნებანი და ნუ გარდახვალ ბრძანებათაგან (ღვთისა), რადგან თვით საქმეს, ვით საფეხურებს, მივყავართ ნათელსმოსილებად (ღვთის შემეცნებად).

საყოველთაოდ აღიარებული მესამე ღვთისმეტყველი – წმიდა სვიმეონი – სწორედ ამავე გზით ეზიარა უმაღლეს ღვთისმეტყველებას. იგი წერს: „პირველყოვლისა საჭიროა ყოველ ბიწთაგან განიწმიდოთ ფხრეული, რათა შემდეგ მირონი (ცოდნისა) ჩაიღვაროს მას შიგან“. ეგევე აზრს გამოთქვამდნენ უმაღლეს ღვთისმეტყველებას მიწევნილი ეკლესიის სხვა მამებიც: წმიდა იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, ისააკ ასური, იოანე კიბისაღმწერელი (კლიმაქსი) და სხვანი. მათგან აქ მხოლოდ ორის აზრს მოვიხმობთ. იოანე ოქროპირი ამბობს: „უწმიდური ცხოვრება გვაბრკოლებს, შევიმეცნოთ ზენარი ჭეშმარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტება". ხოლო წმიდა იოანე კიბისაღმწერელი უფრო ნათლად და კატეგორიულად აცხადებს: „სრულყოფილი სიწმიდე არის საწყისი ღვთისმეტყველებისა" და, აგრეთვე, „სათნოება გქმნის ღვთისმეტყველად".

თვით უსწავლელი ადამიანებიც კი, როგორიც იყო წმიდა ანტონი დიდი და სხვა ღირსი მამები, წმიდა გულითა და უმანკო ცხოვრებით სრულყოფილი ღვთისშემეცნების ზიარებად ღირსიქმნენ.

დ) ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ღ ვ თ ი ს ა დ მ ი. საქმის წარმატება მეტწილად განპირობებულია ჩვენი პირადი დამოკიდებულებით, გულისხმიერი განწყობილებით, ერთგულებითა და ჩვენივ სიყვარულით მისდამი. ასეთივე ვითარებაა საკუთრივ ცოდნის არეშიც. რიგი მეცნიერული აღმოჩენა თუ მიღწევები ჭეშმარიტების შესაცნობად შემმეცნებელი სუბიექტის სიყვარულის ნაყოფია შესამეცნებელი ობიექტისადმი. და, რაც უფრო უყვარს ადამიანს შესამეცნებელი ობიექტი, მით მეტად გაუმჟღავნებს მას ეს უკანასკნელი თავის საიდუმლოს. ზუსტად ასევე (და უფრო ცხადად) ხდება ღვთისშემეცნების არეში: ვინც მთელი გულით შეიყვარებს ღმერთს, სწორედ მას გამოეცხადება იგი. „რომელსა უყვარ მე, – ამბობს უფალი – საყვარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყვარო იგი და გამოუცხადო თავი ჩემი" (იოანე 14, 21).

წმიდა მახარებელი და ღვთისმეტყველი იოანე ერთობ იყო მინდობილი ღმერთს და ყოვლადსულიერი აღმაფრენით უყვარდა იგი. ამ სიყვარულს კი ღმერთმა თვისივ ღვთაებრივი სიყვარული მიუგო: წმიდა მოციქული იოანე იყო „მოწაფე იგი, რომელი უყვარდა იესოს" (იოანე 21, 20). ამიტომაც, სხვა მოციქულებზე მეტად, მართლაც რომ აღმატებული სიყვარულის გამო, ღვთისშემეცნების მადლი ღმერთმა სწორედ იგი გააცისკროვნა.

სიყვარულის მოციქული თვის პირველ კათოლიკე ეპისტოლეში წერს: „ყოველსა, რომელსა უყვარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს" (I იოანე 4, 7-8).

ღვთისშემეცნება უპირატესად შემდეგ ნაყოფს გამოიღებს: თავისუფლებას (გათავისუფლებას), საუკუნო ცხოვრებასა და ცხონებას.

გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ყოველგვარი ცოდნა განთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლებისაკენ მიგვიძღვის: ცოდნის ნაყოფი თავისუფლებაა. „და სცნათ ჭეშმარიტი – ამბობს ქრისტე – და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ (იოანე 8, 32). მაგრამ მაინც როგორი მიზეზობრივი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ცოდნასა და თავისუფლებას შორის?

გარესამყაროსა და მისეული კანონების შემეცნება გვათავისუფლებს ბუნების ძალთა შემზღუდველი ზეგავლენისაგან. მაგალითად, პირველყოფილმა ადამიანმა ჯეროვნად არაფერი იცოდა ბუნების ძალთა და წესრიგთა თაობაზე. ეშინოდა კიდეც მათი: შემცბარი იყო სამყაროს საშინელი სიდიადითა და მისი დამანგრეველი ქარტეხილების მიერ. მაგრამ ცოდნა შეეწია მას, გათავისუფლებულიყო ამგვარ შიშთაგან და გამხდარიყო ბუნებისეულ ძალთა მბრძანებელი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებით თანამედროვე ადამიანი უკვე მნიშვნელოვნად იპყრობს დროსა და სივრცეს. ღვთისეულ თავდაპირველ ბრძანებასაც ამგვარად ასრულებს იგი: ცოდნით აღჭურვილი ადამიანი ხდება ქვეყნიერების ნამდვილი მეუფე (შესაქმე I, 28). მაშასადამე, გარე, ფიზიკური სამყაროს შესახებ ვარგისი მეცნიერული ცოდნა ადამიანს ფიზიკურად თავისუფალს ხდის.

ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებანი ადამიანის შესახებ გვაძლევენ ცოდნას. ადამიანობის ირგვლივ მართებული ცოდნა მას (ადამიანს) სწორად განუსაზღვრავს ადგილს საზოგადოებაში და ურთიერთობას თვის მგვანთა შორის. ღვთის სიტყვა გვაუწყებს და თანამედროვე სოციოლოგიაც აღიარებს, რომ კაცობრიობა წარმოშობით ნამდვილად ერთგვაროვანია. მაშასადამე, ყველას თანაბარი უფლება და მოვალეობა აკისრია, ისინი ძმები არიან ერთურთისა: არა – აზნაურნი და მონანი. ჭეშმარიტი თავისუფლება ქრისტემ გვიწყალობა (გალ. 5, I) და ყველას თავისუფლებისათვის თავისუფლებად აღმოგვიწოდა (გალ. 5, I3): ქრისტესმიერ „არა არს ურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ-ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ. 3, 28). ადამიანის შესახებ ამგვარი ცოდნის მადლით საზოგადო-

ებიდან აღმოიფხვრება ყოველგვარი მონება, ყოველგვარი დისკრიმინაცია და ნებისმიერი ექსპლუატაცია ადამიანისა ადამიანისადმი. მაშასადამე, სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის ირგვლივ ნამდვილი და ჭეშმარიტი ცოდნის ნაყოფს.

მაგრამ არსებობს ფიზიკურსა თუ პოლიტიკურ მონებაზე გაცილებით მძიმე მონებაც - სულიერ-ზნეობრივი, ცოდვის მონება, რომელიც ღრმა განმეტრეტელობით გამოხატავს მოციქული პავლე ცოდვის მონებას! წიაღად თვის სხეულისა სიკეთისეულ კანონთა გცერდით იგი ამჩნევს სხვაგვარ კანონთაც, რომელნიც წინაღუდგებიან გონებასა და ცდილობენ, ცოდვის კანონთა ტყვედ აქციონ იგი (გონება). სწორედ ამგვარი - საზარელი - ზნეობრივი გაორების გამო, ცოდვის სიმძლავრის გამო მოციქული პავლე წარმოთქვამს: „უბადრუკი მე ესე კაცი! ვინმე მიხსნეს ხორცთა ამათგან ამის სიკვდილისათა?" (რომ. 7, 24). და, მართლაც, ვინ უნდა გვიხსნას საზარელი მონობისაგან? ღვთისა და მისი განგების შემეცნება გვიხსნის უპირველეს ყოვლისა. ხოლო მერმე, ცოდვასთან ბრძოლისას ჩვენი პირადი ძალისხმევა და ამ ჭიდილში განმამტკიცებელი ყოველადძლიერი მადლი ღვთისა (2 კორ. 12, 9).

მართებულ ღვთისშემეცნებას მართლაც აბსოლუტური, ზნეობრივი თავისუფლებისაკენ მივყავართ, რადგან მეცანი ღვთისა აღასრულებს კიდეც ღვთისმიერ მცნებათ (I იოანე 2, 3). ვინც ღმერთთან ზიარებულა - უცოდველია, ხოლო ცოდვილთ არ ძალუძთ ხილვა და შემეცნება ღვთისა (I იოანე 3, 6). ასევე, ბიწიერთ რიდი ხელეწიფებათ ღვთისმეცანთა ახლოს თანდგომა: ღვთისმეცანთ ნება უზენაეს კანონს ეახლვის და საუფლო რჯულით ფიქრობს დღეცისმარადის (ფს. I, 2). და, რომელნი „ყოვლითა გულითა შემეცნებად გამოიძიებენ უფალს, არ ჩადიან უსრჯულოებას" (ფს. 118, 2-3): თავისუფალნი, ზნეობრივად თავისუფალნი ვლენან იგინი, რამეთუ მიეტევიან მცნებათ ღვთისა (ფს. 118, 45). ხოლო ზნეობრივი თავისუფლება არის ნაყოფი აბსოლუტური ჭეშმარიტების - ღმერთის - შემეცნებისა (იოანე 8, 32). ამიტომაცაა იგი ყველაზე სრულყოფილი და აბსოლუტური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნო ცხოვრება. ადამიანი უხსოვარი დროიდანვე ისწრაფის ამოხსნას ცხოვრების საიდუმლო, „ნექტარი", „ამბროზია", „წყარო სიცოცხლისა", ცხოვრების „აქსირი", რომელთა შემწეობით ძალუძს ძეხორციელს საუკუნო ცხოვრების დამკვიდრება. დაკვირვება და გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ადამიანი იბადება და კვდება. ყვავილი აღმოცენდება, ყვავილდება, ჭკნება და ისიც კვდება. მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი, მხოლოდ ადამიანს მიმადლებია ძლიერი და დაუოკებელი სწრაფვა საუკუნო ცხოვრებისადმი!

სიტყვა „ცხოვრება", მისი ღრმა მნიშვნელობით (ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ), - განსაკუთრებით, ახალ აღთქმაში - წარმოადგენს ღვთის სიტყვათაგან ერთ ყველაზე ხშირად მომარჯვებულს. საუკუნო ცხოვრება - ესაა ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი და ერთ-ერთი მთავარ ჭეშმარიტებათაგანი უფალ იესო ქრისტესა და წმიდა მოციქულთა მიერ ნამცნებთა შორის. „მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება" (იოანე 14, 6) - ბრძანებს ქრისტე. „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება" (იოანე 11, 25). „მის თანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა" (იოანე 1, 4). „მე მოვედ, რათა ცხოვრება აქვნდეს, და უმეტესი აქვნდეს" (იოანე 10, 10). ზეცით მომადლებული პურის შესახებ იესო ქრისტეს მიერ კაპერნაუმს თქმული ღირსდიდებული სიტყვის ძირითად თემას საუკუნო ცხოვრება წარმოადგენს (იოანე, თავი 6). ასეთ ცხოვრებას ერთობ ეტრფოდნენ მსმენნი უფლისა და წმიდა მოციქულნი. საუკუნო ცხოვრებისადმი მოციქულთა ამგვარი განწდა გამოხატა ათთორმეტგანმა პეტრემ, როდესაც თქვა: „უფალო, ვისა მივიდეთ ჩვენ? რამეთუ სიტყვანი ცხოვრებისა საუკუნოსანი გქონან შენ" (იოანე 6, 68). კაცობრიობის მრავალმილიონი სული დღესაც ეტრფის საუკუნო ცხოვრებას. მაგრამ მაინც რა გზით შეიძლება დავიმკვიდროთ იგი? რამდენიმე გზით: ქრისტეს, როგორც ძე ღვთისას, რწმენით - „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო" (იოანე 3,36); ევქარისტიული კავშირით ღმერთთან, ვით ხელმწიფესთან ჩვენი ცხოვრებისა - „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: უკეთუ არა სჭამოთ ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქვნდეს ცხოვრება თავთა შორის თქვენთა" (იოანე 3, 53); ღვთის მცნებათა დაცვით (მთ. 19, 17); სიკეთის ქმნით - „და გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხოვრებისასა" (იოანე 5, 29) და, ბოლოს, ღვთისშემეცნებით* (იოანე 17, 3).

ღვთისშემეცნების მეშვეობით მაინც როგორ შეიძინება საუკუნო ცხოვრება? აქ შეგვიძლია კიდევ ერთი კითხვაც დავსვათ: როგორი მიზეზობრივი დამოკიდებულება არსებობს ღვთისშემეცნებასა და საუკუნო ცხოვრების „შეძინებას" შორის? მიზეზი თვით ცოდნაში მდგომარეობს. „ცოდნა არის ძალა": როგორც უკვე შევნიშნეთ, შემეცნებითი აქტით სუბიექტი შეძლებისდაგვარად ამყარებს უახლოეს კონტაქტს შესამეცნებელ ობიექტთან. მაშასადამე, თუკი ამგვარსავე კონტაქტს დავამყარებთ თვით ღმერთთან - წყაროსთან ცხოვრებისა, საუკუნო ცხოვრების თანაზიარნიც სწორედ ამ გზით ვიქმნებით. ამ სახედ, ღმერთს შევიმეცნებთ მისივე სიტყვის საშუალებით, რომელი არს „სული და ცხოვრება" (იოანე 6, 63). და თუ თვით ადამიანის სიტყვაა ზოგჯერ ძალამოსილი, რათა გადამწყვეტი გრძოლისას აღაფრთოვანოს შემდრკალი მეომრები, თუკი ოდენ ასეთსავე სიტყვას ხელეწიფება ცხოვრებად მოუხმოს, ანდა დააწყნაროს, დაამშვიდოს და დაიმედოს განწირული ავადმყოფი, მით უფრო ძალუძს ცხოვრება მოგვმადლოს სიტყვამ, რომელი ღვთის განმაცხოველებელ ბაგეთაგან გამოვალს (მთ. 4,4).

ც ხ ო ნ ე ბ ა . ქრისტიანული თვალთახედვით, ღვთისმიერი ცხონება ადამიანის უმთავრესი მიზანია. სწორედ იგი წარმოადგენს ჩვენს უმაღლეს მისწრაფებათა გვირგვინს, ვინაიდან „რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს" (ივნოს)? (მთ. 16, 26). ღმერთს ნებავს „ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მისღვა" (I ტიმ. 2,4). ნათელია, რომ ჭეშმარიტების შემეცნებით თვით ცხონებას შევიძენთ. ქრისტეც ხომ წარწყმედილთა მოძიებად

---

* ალბათ, ავტორი აქ გონებისმიერ ღვთისშემეცნებას გულისხმობს (მთარგმნ.).

და ხსნად მოვიდა (ლკ. 19, 10), რათა იხსნას სოფელი ესე (იოანე 3, 17). იგი მობრძანდა, რათა ნათელი და გონება მოემადლა ჩვენთვის, რომ გვეცნა ღმერთი ჭეშმარიტი (I იოანე 5, 20). აი, ამგვარად უკვე ცხადია კავშირი ცხოვრებასა და შემეცნებას შორის.

ყოველივე ზემოთქმულის დასკვნა ამგვარია:

ღვთისმეტყველება - ესაა მეცნიერება ღმრთისა და რჯულისმიერ ჭეშმარიტებათა ირგვლივ. მისით გვეძლევა მეცნიერული (გონივრული) განათლება. ღვთისმეტყველებამ უნდა გაამართლოს ღვთის რწმენა და რელიგიური ჭეშმარიტებანი. ღვთისშემეცნება კი უფრო ქმედებაა, რომელსაც მეტი პირდაპირი სიახლოვე გააჩნია ღვთის ცნობასთან: იგი ხორციელდება რწმენის გზით, შინაგანი, უშუალო აღქმის შედეგად. ღვთისმეტყველებასა და ღვთისშემეცნებას შორის პრინციპულად არცაა რაიმე ცილობა: ისინი ერთურთს არ გამორიცხავენ. მაგრამ მცდარად გაგებული და წარმართებული ღვთისმეტყველება შეიძლება გადაიქცეს მშრალ დოქტრინად, რომელიმე რელიგიურ ფილოსოფიად ანდა სეკულარულ მეცნიერებადაც კი და განიხილოს რელიგია, როგორც ისტორიული ფენომენი, აღარავითარი კავშირი აღარ გააჩნდეს საკითხთან ღმერთისა და ღვთისშემეცნების შესახებ. ქრისტიანობა და, მითუმეტეს, მართლმადიდებლობა ოდენ დოქტრინას როდი წარმოადგენს: იგი ღვთიური და ღვთისმიერი ცხოვრებაა. სიტყვა ღვთისა - ესაა სული და ცხოვრება (იოანე 6, 63). ამიტომაც ქრისტიანული მოძღვრება ღმერთზე და, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება არა მხოლოდ თეორიად უნდა დარჩეს: იგი უნდა იყოს აგრეთვე სული და ცხოვრება, ფესვებით უნდა ჩაეფლოს რწმენაში (რომელი არს ჭეშმარიტი აღმსარებლობა ღმრთისა და უეჭველობა მისი არსებობისა) და მადლიანად უნდა ანაყოფიერებდეს ცხოვრებას. თუკი, სოკრატეს თქმით, ცოდნა სათნოებაა, ანდა, სხვა სიტყვებით, თავად წარმოადგენს იგი ზნეობრივ ღირებულებას და ჰხდის (ან უნდა გახადოს) ადამიანი ქველმოქმედად, მით უფრო იგივე ითქმის ღვთისმეტყველების, როგორც მეცნიერების, მიმართ: ღვთისმეტყველებამ ადამიანი ქველმოქმედი, მართალი და წმიდანი უნდა ჰყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს, შუასაუკუნეებში, ფილოსოფია ითვლებოდა (და მართლაც იყო) მსახურად ღვთისმეტყველებისა (ancilla theologiae). დღეს კი ღვთისმეტყველება უნდა გახდეს მსახური ღვთისშემეცნებისა (ancilla theognosiae), ე. ი. მან ხელი უნდა მოგვიმართოს, გზა დაგვისახოს და გვიწინამძღვროს ჭეშმარიტი ღვთისშემეცნებისაკენ. ჩვენი ღვთისმეტყველების ძირითადი ხასიათი და მიზანი სწორედ ამგვარი უნდა იყოს თუკი იმ აზრს ვიცავთ, რომ, ნეტარხსენებული პროფესორის დოქტ. ნ. ნ. გლუბოკოვსკის სიტყვით, მართლმადიდებლობა თავისი არსით პირველყოვლისა ღვთიური და ღვთისმიერი ცხოვრებაა.

ამ სახედ, ღვთისმეტყველებამ ნამდვილსა და ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებად უნდა მიგვიყვანოს. ხოლო ღვთისმეტყველებისა და ღვთისშემეცნების ერთყოფამ კი უნდა მიგვაახლოს ჩვენი არსებობის უმთავრეს მიზანს - საუკუნო ცხოვრებასა და ღვთისმიერ ცხოვრებას.

აი, ის წმიდა და ამაღლებული ამოცანა, რომელსაც მთელი ძალა და ცხოვრება უნდა დაუკავშიროს მან, ვისაც უყვარს ღმერთი და ისწრაფის მის შემეცნებად. უმთავრესად ესე მართებს ყოველ ღვთისმეტყველს, ვინც მიჰყვება ტრადიციულ მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას, ვინც ეტრფის წმიდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სწავლას - იმ მოციქულს, რომელი არს პირველი ჭეშმარიტი ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ზეციური მფარველი ლენინგრადის სასულიერო აკადემიისა, დღეს რომ აღნიშნავს თავისი განახლების 25 წლისთავს.

დოქტ. ნიკოლოზი
მაკარიოპოლელი ეპისკოპოსი, სოფიის წმ. კლიმენტი ორქიდელის სახელობის სასულიერო აკადემიის რექტორი.

თარგმანი ნ. პაპუაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუდარის საიდუმლოება

მას ტურინის სუდარას უწოდებენ. შესაძლოა არასოდეს გსმენიათ ამ ნივთის შესახებ, რადგან იტალიის გარეთ ვიდრე დღევანდლამდე ცოტა ვინმემ იცოდა მისი არსებობა. თუმცა, ხამი ტილოს ეს ძვირფასი ნაჭერი, მილიონთა თაყვანისცემის საგანი, თანამედროვეობის ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი გამოცანაა. იგი ფაქტიურად ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანი გახდა და მისი თავგადასავალი იდუმალებით მოცული ამბავივით იკითხება.

სუდარის ამბის ისტორიულისა და ზღაპრულის უცნაურ ნარევში გამოსჭვივის კავშირი მეფეებსა და ჰერცოგებთან, ჯვაროსნებსა და პაპებთან, და შესაძლოა გასაოცრად ჭკვიან თაღლითანაც კი. თანამედროვე დეტექტივებმა საიდუმლოს ამოსაცნობად მიმართეს ხელოვნებათმცოდნეებს, პათოლოგისტებს, ლინგვისტებს, ბიბლიისმცოდნეებს, ფეიქარ ექსპერტებს, ქიმიკოსებს, ფიზიკოსებს და ფოტო საქმის სპეციალისტებს.

ამ გამოცანის გასაღებთა შორის ისეთი საოცარი რამეები გვხვდება, როგორიცაა რომაული მათრახი, ყვავილის მტვრის გამსმარი ნაწილაკები, ძვლები იერუსალიმის სასაფლაოდან, მთვარისა და მარსის ზესასწავლად გამიზნული კოსმიური ხანის აპარატურით გადიდებული ფოტოსურათები.

მაგრამ ყველა დანარჩენი გასაღები დაჩრდილა თვით სუდარაზე აღბეჭდილმა შიშველი გრძელთმიანი წვეროსანი კაცის ნატურალური სიდიდის ლანდისებრმა გამოსახულებამ. მიცვალებაში გულჩამწვდომად მშვიდი სახის ანაბეჭდი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს არ დაუდებდა ტოლს. ანატომიურად უნაკლო სხეულს საშინელი გვემის კვალი ატყვია - მათრახით ცემისა, ჯვარცმულობისა და ეკლისა და შუბის ნასობები. ეს თითქოს ქრისტე ნაზარეველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსახულებაა და თანაც ზებუნებრივად ზუსტი ჩანს, როდესაც სახარების მონაცემებს ვუდარებთ.

და მართლაც, ზოგიერთს სჯერა, რომ ეს სპილოსძვლისფერი ხამი ტილო სწორედ ის არდაგია, რომელიც იოსებ არიმათიელმა გოლგოთის მახლობლად კლდეში გამოკვეთილ საფლავში ქვეშ დაუგო და ზევიდან გადაავარა ქრისტეს დაახლოებით 2 000 წლის წინათ.

ჯვაროსანმა ხელთ რელიქვია იგდო?

ამაზე უფრო ძველი უეჭველი მონაცემები არ მოგვეპოვება. სუდარა ისტორიის არენაზე თავდაპირველად XIV საუკუნის შუა წლებში ამოტივტივდა საფრანგეთის ქალაქ ლირეიში. მისი მფლობელი ლირეის ბატონი სახელოვანი რაინდი ჟოფრი დე შარნი იყო. არავინ უწყის სად და როგორ ჩაიგდო მან ხელში ეს რელიქვია, თუმცა კი ხმა გავრცელდა „ნადაფლიაო".

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მემატიანე რობერტ დე კლარი წერს, რომ მან კონსტანტინოპოლში 1203 წელს იხილა სიდონი (სუდარა), რომელზედაც „მაცხოვრის გამოსახულება" იყო აღბეჭდილი. მომდევნო წელს, გადმოგვცემს იგი, როდესაც ჯვაროსნებმა გაძარცვეს ბიზანტიის დედაქალაქი, სუდარა დაიკარგა. არის თუ არა ლირეის ტილო და კონსტანტინოპოლის სიდონი ერთი და იგივე, ეს საიდუმლო თან ჩაიყოლა დე შარნიმ სამარეში.

ინგლისელ მწერალს იან უილსონს მიაჩნია, რომ მას შეუძლია თვალი გააყოლოს სუდარის კვალს იერუსალიმიდან ვიდრე ედესამდე (ამჟამად ქალაქი ურფა, თურქეთი), სადაც გამოსახულებიანი გადასაფარებელი საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი. შემდგომ კონსტანტინოპოლში, და საბოლოოდ ლირეიში. მაგრამ, როგორც თავად უილსონი აღიარებს, ურთიერთკავშირები ფრიად სუსტიაო და შემთხვევითი.

წლების განმავლობაში მრავალმა გამოსახულებიანმა თუ უგამოსახულებო სუდარამ იჩინა თავი და ყველას ჭეშმარიტი სუდარის პრეტენზია ჰქონდა. XIV საუკუნეში, როდესაც თაღლითობა და ყალბისმქნელობა ძლიერ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით გაცხოველდა წმინდათა ნაწილების ავადსახსენებელი ვაჭრობა. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაკვირი არაა, რომ 1389 წელს საჯარო ხიღვისთვის გამოტანილი ღირეის სუდარა ტრუას ეპისკოპოსმა ყალბად შერაცხა. მან დაიმოწმა თავისი წინამორბედი ეპისკოპოსის ეპისტოლე სამწყსოსადმი, რომ „გულმოდგინე კვლევისა და შემოწმების შედეგად" დადგინდა, რომ სუდარა "მარჯვედ იყო დახატული. სიმართლეს იმ მხატვრის შემწეობით მივაკვლიეთ, რომელმაც დახატა იგი".

შემდგომ სუდარის უტყუარობის უარმყოფელნი ამ განცხადებას იმარჯვებდნენ ხოლმე. მაგრამ კლიმენტი VII ავინიონის პაპმა გრძანა ღირეის სუდარა შეიძლებოდა დარჩენილიყო თაყვანისცემისა და ლოცვის საგნად, რადგან იგი ჭეშმარიტი სუდარის „ხატებას" წარმოადგენდა.

გაურკვეველი მიზეზების გამო შარნის შვიღიშვილმა მარგარიტამ თავისი ძვირფასი საკუთრება სავოის ჰერცოგს, ლუის დაუთმო 1453 წელს. XVI საუკუნის ერთი ცნობა, რომელსაც დავიდ სოუქსი იმოწმებს თავის მშვენიერ წიგნში „ცნობები სუდარაზე" ამბობს, რომ მარგარიტამ „ჰერცოგ ლუის სუდარა იმიტომ გადასცა, რომ ჯორი, რომელსაც ეს რელიქვია ეკიდა გაჩერებულა შამბერის ჭიშკართან (სავოის დედაქალაქი) და ადგილიდან ვერ დასძრეს, როცა მარგარიტა ბურგუნდიაში გრუნდებოდა". ეს ახსნა, აცხადებს სოუქსი, რამდენადაც მომხიბვლელია, იმდენად არაა სარწმუნო.

რა მიზეზიც არ უნდა იყოს, იმ დღიდან მოკიდებული ვიდრე დღევანდლამდე სუდარა ეკუთვნის სავოის სამეფო სახლს. ჰერცოგმა ლუიმ შამბერში სპეციალური ეკლესია – წმინდა სამლოცველო – ააშენა, სადაც სუდარა დაასვენეს და პაპმა და მლოცველებმა თაყვანი სცეს.

შამბერიში 1532 წელს მომხდარ შემთხვევას დღევანდელობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცეცხლი გაჩენილა წმინდა სამლოცველოს სამოსის საცავში. ვიდრე სუდარას სამშვიდობოს გატანას მოასწრებდნენ მისი ზარდახშიდან ჩამომდნარი ვერცხლი დაეწვეთა ტილოს და ძლიერ დაწვა ნაკეცების ზოგიერთი კუთხე. წყალმა, რომლითაც ჩააქრეს ცეცხლი, დიდი და ულაზათო ლაქები დატოვა.

ზიანი, რომელიც ნაწილობრივ საკერებლებით არის დაფარული,

ერთბ თვალსაჩინოა, თუმცა საბედნიეროდ, გამოსახულების დიდი ნაწილი გადარჩა. როგორც შემდგომ გამოირკვა, ამ ცეცხლმა გამოაჩინა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც მეცნიერები ახლა განმარტავენ.

1578 წელს სავოის ჰერცოგმა სუდარა ალპებს გადაღმა გადაიტანა თავის ახალ დედაქალაქ ტურინში (ტორინო) იტალიის ჩრდილო დასავლეთით პიემონტის რაიონში და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის გამოკლებით, სუდარა მას შემდეგ სულ იქ იმყოფება.

ოთხმა საუკუნემ განვლო და 1978 წელს, სუდარის ტურინში გადმოსვლის ოთხასი წლისთავზე იგი საჯარო ხილვისათვის იქნა გამოტანილი. 45 წლის განმავლობაში სუდარა არ იყო საჯაროდ ხილული და მანამდე კი ვეოცე საუკუნეში მხოლოდ ერთხელ - 1931 წ.

სამ მილიონზე მეტი მლოცველი მოაწყდა ტურინს სუდარის სახილველად ექვსი კვირის განმავლობაში. მათ შორის იყო რამოდენიმე ათასი სუდარის მკვლევარი მეცნიერი და სუდარისმცოდნეობით გატაცებული მოხალისეები, რომელნიც თავიანთ თავს სინდონოლოგისტებს უწოდებენ. (ბერძნული - სინდონ - ტილო). მათ არსებული მონაცემები შეაჯერეს ორლდიან საერთაშორისო კონგრესზე, რომლის თემა იყო „სუდარა და მეცნიერება".

მე დიდი ხანია მაინტერესებს ხელოვნების ნიმუშების ნაყალბევები და ის გასაოცრად გონიერი საშუალებები, რომლითაც მეცნიერები ააშკარავებენ მათ. ამ ინტერესმა მიმიყვანა ტურინში, რათა დავსწრებოდი და პირადად მესმინა ქრისტიანობის ალბათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რელიქვია. ტურინს ამერიკელების დიდი ჯგუფიც ეწვია. მათ ჩამოიტანეს 72 შეკვრა ურთულესი აპარატურისა და ელექტრონული ხელსაწყო, რომელთა საშუალებითაც იმედოვნებდნენ სუდარის საიდუმლოს ახსნას.

წმინდა ჯოვანი ბატისტას რენესანსის დროინდელი კათედრალი პროექტორებით იყო გაჩახჩახებული, როდესაც შევედი. მაღლა საკურთხეველს ზემოთ, ტყვიაგაუმტარი მინის მიღმა თოთხმეტ ფუტზე მეტი სიგრძის ძველი სპილოსძვლისფერი ტილოს ნაჭერი ისე კაშკაშად კიაფობდა, რომ თავდაპირველად ვერაფერი დავინახე მასზე. მაგრამ, როდესაც რამპას ავყევი და „წმინდა სინდონის" წინ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანზე შევდექი გავარჩიე გამოსახულება, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ასეთი ფანტაზია და რელიგიური თავგამოდება და ამდენი კამათი გამოიწვია.

ჭარბობდა 1532 წლის ხანძრის შედეგად დარჩენილი ცეცხლისა და წყლის ერთგვაროვანი ხაზები. თავად გამოსახულება - სეპიით შესრულებული ბუნდოვანი ანაბეჭდივით - ახლოს მისვლისას თითქოს მკრთალდება. დეტალების გასარჩევად უკან დახევაა საჭირო.

„სისხლი" სხეულთან შედარებით უფრო მუქი და მკაფიოდ გამოკვეთილი ჩანდა. გამონაჟონი თავსა და მკლავებზე, უსწორმასწორო ლაქები ფერდებსა, მაჯებსა და ფეხებზე; და მათრახის უამრავი ნაკვალევი. მათრახის ნაკვალევების ბოლოში თითქოს დაჟეჟილობები შეიმჩნევა. ამგვარი ნაკვალევი შეეძლო დაეტოვნა რომაულ მათრახს, რომელსაც „ფლაგრუმს" უწოდებდნენ და ენაზე ტყვიის ან ძვლის ნაჭრები ება. აშკარაა, სუდარაზე გამოსახულ პიროვნებას სასტიკად და დამამცირებლად მოპყრობიან.

გამიჭირდა დაშესკვნა რაიმე. ეს ტილო უძველესი იყო თუ მხოლოდ ძველი, როგორ აღიბეჭდა გამოსახულება, იყო თუ არა „სისხლი" ნამღვილი სისხლი, სუდარა ჭეშმარიტი იყო თუ ნაყალბევი. ეს ის საკითხებია, რომლითაც მეცნიერთათვის უნდა მიგვემართა.

ეს არ იქნებოდა სუდარის პირველი შეხვედრა მეცნიერებასთან. პირველი შეხვედრა ოთხმოცი წლით ადრე მოხდა, 1898 წელს, როცა იგი პირველად აღბეჭდეს ფოტოფირზე. ამ სურათებმა სუდარის ყველაზე უფრო განსაცვიფრებელ საიდუმლოს ახადა ფარდა.

როდესაც ფოტოგრაფმა სეგონდო პიამ გასამყღავნებელი აბაზანიდან ამოღებულ თავის პირველი მინის ფირფიტაზე აღბეჭდილ ნეგატივებს გაჰხედა, თავზარდაცემულს კინაღამ ხელიდან გაუცვივდა ისინი. იგი უყურებდა არა ჩვეულებრივ არარეალისტურ, გაურკვეველ ფოტო-ნეგატივს, არამედ სრულიად გარკვეულ პოზიტიურ გამოსახულებას. შუქი და ჩრდილები გადასაფარებელთან შედარებით შებრუნებული იყო, და გაცილებით ცოცხალი და რეალისტური. გარდა ამისა, ამ სურათებმა ისეთი დეტალები გამოავლინეს, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი იყო სუდარაზე, და ახლა თავი იჩინა გამოსახულების ნეგატივის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეგატიური გამოსახულება? ასობით წლის წინ ფოტოგრაფიის გამოგონებამდე? მოსაზრება, რომ სუდარა იყო ყალბი უეცრად ნაკლებ დამაჯერებელი გახდა, ვინაიდან როგორ შეძლო შუა საუკუნეების მხატვარმა ნეგატიური გამოსახულების შექმნა ანდა რატომ აირჩია ეს გზა?

ტურინის საუნჯე ახლა უკვე დიდი ინტერესისა და კამათის საგანი გახდა. სწორედ მაშინ ცნობილმა სამდვდელო პირმა და ისტორიკოსმა ულის შევალიერმა, რომელზეც ამბობენ, „რომ ის ყველაზე განათლებული კაცი არის საფრანგეთში და შესაძლოა მთელ მსოფლიოში" გაილაშქრა სუდარის წინააღმდეგ. დაახლოებით ორმოცდაათიოდე ნაშრომის გაცნობის შემდეგ, რომლებიც სუდარას ეხებოდა, შევალიერმა მთელი თავისი ავტორიტეტი მიმართა მის წინააღმდეგ და გამოაცხადა ის ყალბად.

ბიოლოგები გვთავაზობენ აორთქლების თეორიას

ბედის ირონიაა, მაგრამ სწორედ მეცნიერმა – და აგნოსტიკოსმა თავით ფეხამდე – დაიცვა სუდარა. ეს იყო მსოფლიოში ცნობილი ზოოლოგი ივ დელაგი. ახალგაზრდა ბიოლოგ ასისტენტთან პოლ ჯოზეფ ვინიონთან ერთად, მან დაწვრილებით შეისწავლა პიას ფოტოები და დაუფიქრდა როგორ შეიქმნა გამოსახულება. დახატეს? დელაგმა და ვინიონმა სცადეს მისი ასლის გაკეთება ზეთის საღებავებით. აკვარელიც სცადეს. შედეგი ვერ მიიღეს.

ამის შემდგომ ვინიონი სხვაგვარად მიუდგა საკითხს. მისი ვარაუდით, ზმირინი და ალოე – მცენარეთა სახეობანი, რომელთაც ზეთთან ერთად იყენებდნენ დაკრძალვის ძველთაძველი წესის აგებისას – შესაძლოა სუდარას უფრო მგრძნობიარეს ხდიდა. მკვლევარმა იცოდა, რომ ნაწამების სხეულის პათოლოგიური ოფლი გამოყოფს შარდოვანას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ამონიუმის ორთქლს იძლევა. ამ ორთქლის გამოისობით ნელსაცხებლებით გაჟღენთილი ნაჭერი იძენს ყავისფერს – ასეთია მეცნიერის დასკვნა.

მან ჩაატარა ექსპერიმენტები და მიიღო მსგავსი გამოსახულება. წარმოიშვა „ვაპორიგრაფიის" (ორთქლის) თეორია და ორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა ირწმუნა, რომ ისინი ჩაწვდნენ გამოსახულების წარმოშობის საიდუმლოს.

1902 წელს დელაგი წარსდგა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე და ჩატარებული ექსპერიმენტის დეტალები გააცნო. თავისი რეპუტაციისადმი დიდი რისკით, მან განაცხადა რომ „კაცი სუდარაზე ქრისტეა“.

აკადემიამ შეურაცხყოფად მიიღო მისი ეს განცხადება და უარი თქვა მასალების დაბეჭდვაზე. კამათი უფრო გაშწვავდა.

ოცდაათიოდე წლის მოგვიანებით, ცნობილმა ფრანგმა ქირურგმა პიერ ბარბეტმა ნახა სუდარა და დაინტერესდა ახალი ფოტოებით, რომლებიც ჯუზეპე ენრიმ გადაიღო 1931 წელს. ბარბეტმა ცადა გვამებზე ექსპერიმენტებით შეემოწმებინა სუდარაზე აღბეჭდილ ნაკვალევთა ანატომიური შესაბამისობა და მყის გაარკვია, რომ ხელისგულებით მიღურსმული სხეულის სიმძიმე ჩამოგლეჯს ნებს, მაშინ როცა, მაჯით ან წინამხრით მიღურსმული სხეული არ ჩამოიგლეჯება.

ამ მონაცემებმა თითქოს განამტკიცა სუდარის ჭეშმარიტება, ვინაიდან ნაღურსმალი სუდარის გამოსახულებაზე ხელის გულზე კი არ არის (როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული ჯვარცმის ამსახველ ტილოებზე) არამედ მაჯის არეშია. შუა საუკუნეების მისტიფიკატორს თავისი გამოსახულება უნდა შეექმნა იმის საფუძველზე, რასაც ნახატებზე ხედავდა და კიდევ იმაზე, რომ სახარებაში მოიხსენიება ნაღურსმალები ხელებში. მას ალბათ არ ეცოდინებოდა, რომ ბერძნული სიტყვა ხელი – ნებს გარდა მაჯასა და წინამხარსაც ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ რომაელებმა ათასობით მსხვერპლი აცვეს ჯვარს (5 000-სპარტაკის აჯანყების შემდეგ) 1968 წელს ი ერუსალიმში სასაფლაოს გახსნამდე არც ერთი ჯვარცმულის ჩონჩხი არ იყო ნაპოვნი.

ერთ-ერთ აკლდამაში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვლები კაცისა, რომელსაც ოქანაანი ერქვა. ჯვარცმის წესისამებრ, წვივები დაშტვრეული ჰქონდა და ღურსმანი ზედ ჯვრიდან შერჩენილი ზეთის ხილის ხის ნაფოტით ქუსლის ძვალში ჰქონდა გაჩრილი. მაგრამ

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ლურსმანმა, რომელიც მარჯვენა მკლავში ჩაასვეს, დატოვა ადვილად გასარჩევი ნაკაწრი და ამოგზმული ადგილი სხივის ძვლის შიდა მხარეს, მაჯასთან ახლოს. არქეოლოგიამ დაადასტურა მედიცინის მონაცემები, რომ სუდარის გამოსახულება სწორია.

ვიდრე დღევანდლამდე, სუდარას თითქმის მხოლოდ ფოტოსურათების მეშვეობით სწავლობდნენ. მაგრამ 1969 წელს და კვლავ 1973 წელს ექსპერტებს - უმეტესად იტალიელებს, ნება დართეს შეემოწმებინათ თვით სუდარა. ექსპერტების პირველმა ჯგუფმა მხოლოდ ზერელედ შეამოწმა სუდარა და ვერაფერი აღმოაჩინა ახალი. მაგრამ 1973 წლის ჯგუფს რამდენიმე განსაცვიფრებელი აღმოჩენა ეკუთვნის.

ჯერ ერთი, მათ გამოარკვიეს, რომ გამოსახულება ზედაპირულია. იგი განლაგებულია ძაფის ზედა ბოჭკოებზე, და არ არის შეღწეული შიგ ქსოვილში. გარდა ამისა მათ განაცხადეს, რომ პიგმენტი არ შეინიშნება ძლიერი გადიდების შემთხვევაშიც კი.

დეტექტივი პოულობს ყვავილის მტვერს პალესტინიდან

კიდევ ერთი აღმოჩენის ვარაუდით, სუდარა ოდესღაც წარსულში იუდეაში უნდა ყოფილიყო.

შვეიცარელ კრიმინოლოგს, პაქს ფრეის, ნება დართეს სუდარიდან დაბორატორიული ანალიზისათვის მწებარე ლენტით მტვერი და სხვა ნაწილაკები აეღო. მიკროსკოპიული შემოწმების შედეგად ფრეიმ ყვავილის მტვრის 48 ნიმუში ნახა - ერთი ბეწო მამრობითი სქესის სხეულები, რომლებიც თესლოვანი მცენარეებისაგან გამოიყოფიან და არახელსაყრელი პირობების მიუხედავად საუკუნეებს გადაურჩნენ. ყვავილის მტვრის მარცვლები განსხვავებულია - ზოგიერთი მათგანი ბუსუსიანია, ზოგი - ეკლიანი, ზოგიც დაღარული - ორი მსგავსი ნიმუში არ ყოფილა. ამგვარად, ბევრი მცენარის დადგენა შეიძლება თუ ყვავილის მტვრის მარცვლებს დიდი სიფრთხილით შეუდარებთ სტანდარტული ნიმუშების კოლექციას.

ფრეიმ მის მიერ დადგენილ ნიმუშებს შორის, როგორც მოსა -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდნელი იყო, აფმოაჩინა მთელი რიგი მცენარეებისა, რომლებიც საფრანგეთსა და იტალიაში გვხვდება. გარდა ამისა აღმოჩნდა ჰალოფირული (მარილის მოყვარული) მცენარეების შკიდი ნიმუში, როგორებიც მკვდარი ზღვის მიდამოებისნაირ მლაშე ადგილებში გვხვდება და ისეთებიც, როგორიც პალესტინასა და ანატოლიაშია გავრცელებული.

აქედან გამომდინარე, ფრეის აღმოჩენები ვარაუდობენ, რომ სუდარა თავისი არსებობის შორეულ წარსულში იყო წმინდა ადგილას. რა თქმა უნდა, ყველა მეცნიერი ბრმად არ იზიარებს ამ მონაცემებს. მათ განაცხადეს, რომ ყვავილის მტვერი შორ მანძილზე გადააქვს ქარს, ფრინველებს, მოგზაურებს და ცნობილია, რომ დრო და დრო საუკუნეების განმავლობაში სუდარა დაუცველად გამოჰქონდათ ხოლმე კარში.

შემდგომი აღმოჩენები ემყარებოდა ორ პატარა ნაკუწსა და 1973 წელს სუდარიდან შემოკრეჭილ მრავალრიცხოვან ძაფის ნაჭერს, რომლებიც საქვეყნოდ ცნობილ ფეიქარ ექსპერტს გენტის (ბელგია) უნივერსიტეტის პროფესორ ჟილბერ რიზს გადასცეს. ქსოვილის გამოკვლევის ზოგიერთი მონაცემი მიუთითებს წმინდა მიწაზე და დიდ სიძველეზე. ნაჭერი სელის ტილოა, რომელსაც ძველ პალესტინაში ფართოდ იყენებდნენ სუდარად. რიზმა აღმოაჩინა ახლო და შუა აღმოსავლეთში გავრცელებული ბამბის სახეობის კვალი.

ნაჭრის სტრუქტურა ნაძვისებური სარჟია, არც თუ უცნობი ქსოვილის სახე ძველთათვის, თუმცა მარტივი სტრუქტურის ნაჭერი იმ დროს უფრო გავრცელებული ყოფილა. ძაფი, როგორც ირკვევა, ხელიაა დართული, ძველებური ხერხით. დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 1200 წლიდან მოყოლებული კი ევროპაში ძაფს ჯარაზე ართავენ და ბოლოს, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ნართი მოქსოვამდე გაუთეთრებიათ. ესეც ძველებური წესია.

მონაცემების შეჯერება სამ განზომილებაში

სუდარისადმი მეცნიერული ინტერესი თანამედროვე ეტაპზე შეერთებულ შტატებში გამოიჩინა საჰაერო ძალების ორმა მეცნიერმა ჯონ ჯეკსონმა და ერიკ ჯამპერმა. 1974 წელს მათ დაიწყეს მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული ფოტომასალის ინტენსიური შესწავლა. ვინიონის მსგავსად, მათაც შენიშნეს რომ გამოსახულების ყოველ ნაწილში მუქი ფერის ინტენსივობა ცვალებადობს სხეულის ამა თუ იმ ნაწილსა და გადასაფარებელს შორის სავარაუდო მანძილის პირდაპირპროპორციულად. ყველაზე მუქი ნაწილები გადასაფარებელთან ყველაზე ახლოს უნდა ყოფილიყო და ყველაზე მკრთალი - ყველაზე შორს.

მათ დაასკვნეს, რომ იმ რაღაცას, რამაც გამოსახულება წარმოქმნა, მანძილზე შეეძლო ემოქმედა და არა აუცილებლად უშუალო კონტაქტით.

ცავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად. მათ სურათი დაამუშავეს Vp-8 გამოსახულების ანალიზატორით - რთული ხელსაწყო, რომელიც გამოსახულების ინტენსივობის ვერტიკალურ რელიეფად გარდასაქმნელადაა გამიზნული. მათდა გასაკვირად მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სუდარას ზუსტად სამგანზომილებიანი მონაცემები აქვს, რაც ჩვეულებრივ ფოტოსურათებს ანდა ნახატ ტილოებს არ ახასიათებს. კომპიუტერის მონაცემების საფუძველზე მათ შეძლეს გამოსახულების სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა.

ამ სამუშაომ თავ-თავიანთ სფეროში მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა ყურადღება მიიქცია. 1977 წლის მარტში ამ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ნიუ მექსიკოს ქალაქ ალბუკერკში შეხვდა სუდარის ევროპელ მკვლევარებს. ამ შეხვედრაზე შეიმუშავეს სუდარის მეცნიერული შესწავლის გეგმა მომდევნო წლისათვის, როდესაც მას საჯარო ხილვისათვის გამოიტანდნენ ტურინში.

მეცნიერები ორი სასულიერო პირის მეშვეობით ცდილობდნენ მიელოთ სუდარის კვლევაზე ოფიციალური ნებართვა. ერთი მათგანი ვახლდათ იტალიის მკვიდრი მამა პიტერ რინალდი, რომელიც ტურინში დაბრუნებამდე წლების განმავლობაში ემსახურებოდა მრევლს შეერთებულ შტატებში. მეორე - მამა ადამ ჯ. სტერბეინი, რომელიც დიდხანს იყო სუდარის მოძრაობის ლიდერი ამერიკაში. უმბერტო II, იტალიის ყოფილი მეფე და სუდარის კანონიერი მფლობელი, როგორც სავოის სახლის თავი წლების განმავლობაში , ხელს უწყობდა კვლევას. პორტუგალიაში გადახვეწილმა მეფემ დასტური მისცა მეცნიერებს. ტურინის არქიეპისკოპოსმაც ანასტასიო გალესტრერომ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ჩაბარებული აქვს სუდარა, დართო ნება. მან მეცნიერებს ნებისმიერი გამოკვლევის უფლება დართო, ოღონდ სუდარის დაუზიანებლად.

ამრიგად, ტურინის სუდარის კვლევის გეგმა განხორციელდა. მეცნიერთა ჯგუფი შეუდგა გულდასმით სამზადისს სპეციალური ინსტრუმენტების შესაქმნელად და შესაგროვებლად და შეიმუშავეს კვლევის განაწესი.

კვირა ღამით 1978 წლის 8 ოქტომბერს დამთავრდა სუდარის საჯარო ხილვა და როდესაც უკანასკნელმა მლოცველმა დატოვა ტაძარი, სუდარა ფრთხილად ამოიღეს აზოტით გავსებული ყუთიდან და გადაიტანეს მეზობლად, მეფის სასახლეში. იქ, ულამაზეს, ოქროთი და ბროლით გაწყობილ მეფის ყოფილ მისაღებ დარბაზში, სუდარა დარჩება ხუთი დღის განმავლობაში. მეცნიერები - იტალიური ჯგუფი, შვეიცელი ექსპერტი და ამერიკელები - იმუშავებენ დღე და ღამე ცდების ჩასატარებლად.

გაკეთდა დიდი დასახრელი მაგიდა, რომელზედაც შეიძლებოდა ტილოს დამაგრება მაგნიტებითა და მოსაჭერებით. როდესაც სუდარა გაასწორეს, მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ნაჭერი კარგად შენახული და რბილი იყო, თუმცა სიძველით გაყვითლებული, ნაოჭიანი და ხშირი კეცვისაგან დარჩენილი ნაკვალევით.

ხელოვნების ანდა არქეოლოგიის, ალბათ, არც ერთი საგანი არ შეუსწავლიათ ასე გულდასმით. მეცნიერებმა რელიქვია ულტრაიისფერი და რენტგენის სხივებით დაბომბეს და თვალ ადევნებდნენ ფლუორიმცენციას. მათ შეაჯერეს ვარიანტები იმ თვალსაზრისით გამოსახულება, „სისხლი" და ფონი გამოსცემდა თუ აირეკლავდა ენერგიას ელექტრომაგნიტური სპექტრის ფართო რხევათა ზღვრებში. ინფრა წითელი, ხილული შუქის ულტრაიისფერი და რენტგენის სხივების მეშვეობით მეცნიერები ეძებდნენ სუდარის ქიმიურ შედგენილობას, „თითების ანაბეჭდებს".

რენტგენის სხივების ფლუორისცენციამ, მაგალითად სისტლში, შეიძლება რკინა და კალიუმი გამოამჟღავნოს, ანდა შეიცნოს მძიმე მეტალები, რომლებიც ჩვეულებრივ საღებავებში გვხვდება.

სხვა სპეციალისტებმა დეტალურად გადაიღეს ტილოს თითოეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოჯი, 500-მდე ექსპოზიცია სხვადასხვა სიგრძის ტალღების გამოყენებით. მათ მიკროსკოპით გადაიღეს იგი და ფოტომიკროგრაფიები გადაიღეს. მწყობარე ლენტისა და მტვერსასრუტის მეშვეობით მკვლევარებმა შეკრიბეს ბოჭკოს, მტვრის, ყვავილის მტვრის და სხვათა ნაწილაკები ანალიზისათვის. მათ შემოარღვიეს სუდარას სარჩული (XVI საუკუნეში მონაზვნებმა მიაკერეს იგი სუდარას), რათა ენახათ რა იყო სუდარის მეორე მხარეს. ტურინელმა ბიოლოგმა ჯიოვანი რიჯიმ გადაიღო სუდარის უკუღმა მხარის ზედაპირის ბოჭკოს გადასაღები ოპტიკური ხელსაწყოთი და შეაგროვა მიკრონაწილაკები. დამატებით რამოდენიმე ძაფი კვლავ შემოწმდა.

მკვლევარები იწყებენ მონაცემების ანალიზს

აღფრთოვანებულმა, მაგრამ დაქანცულმა მკვლევართა ჯგუფმა სამუშაო დაასრულა პარასკევს ღამით. სუდარა გაახვიეს წითელ აბრეშუმში, მოათავსეს ვერცხლით მოჭედილ კიდობანში და დაუბრუნეს სამლოცველოს, სადაც იგი ესვენა საუკუნეების განმავლობაში. მარმარილოს საკურთხეველს ზევით, მინასა და გისოსებს მიღმა დარჩება იგი.

ექვსი ტონა აპარატურით აღჭურვილმა კვლევითი ჯგუფის წევრებმა თავთავიანთ ლაბორატორიებს მიაშურეს და შეუდგნენ მონაცემების, ფოტოებისა და ნიმუშების კვლევისა და შემლწმების შრომატევად სამუშაოს. სამუშაო ნელა მიიწევდა წინ, რადგან იგი მკვლევართა თავისუფალ დროზე იყო დამოკიდებული. დღეს კი, წელიწადნახევრის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის უმეტეს ნაწილს იმედის გაცრუება და წინააღმდეგობათა შემცველი მტკიცებანი ახლავს თან, ხელთ უამრავი ისეთი ახალი მონაცემები გვაქვს, რომელმაც ახლოს მიგვიყვანა გამოცანის პასუხთან.

ROგორია გამოსახულების ბუნება?

გადიდების შედეგად, როგორც აცხადებენ მეცნიერები, თვით გამოსახულების ადგილზე ბოჭკოები ღია ყვითლადაა შეფერილი და შეფერილობა ძაფების უკიდურეს ზედაპირზეა განლაგებული, არც გავრცელებულია და არც ძაფშია გამჯდარი, არც გვერდებსაა ჩამოყოლილი, არც ძაფებს შორისაა ნაფრქვევები, რაც პიგმენტების გამოყენებას და მერე წაშლას სჩვევია ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში 1532 წლის ხანძარმა გაგვიწია სამსახური. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სიმხურვალეს, რომელსაც ნაჭრის დანახშირება შეუძლია, სავსებით საკმარისი უნდა იყოს პიგმენტების ანდა გამხსნელის ფერის შესაცვლელად, და შეცვლილი ფერი ძალზე დაემსგავსება დაბნეულ ადგილს. მიუხედავად ამისა, გადასაფარებლის გამოსახულების ყვითელი შეფერილობა გასაოცრად ერთგვაროვანია. დაბნეული ადგილების კიდეებთანაც კი იგი არ არის შეცვლილი. უფრო მეტიც, ცეცხლის ჩასაქრობად სუდარაზე მისხმული წყალი საღებავის ჩამორეცხვას გამოიწვევდა. ასეთი რამ აშკარად არ მომხდარა.

ამ მონაცემების საფუძველზე, ყველა ერთ სერიოზულ დასკვნამდე მივიდა. ლოს ალამოსის ეროვნული სამეცნიერო ლაბორატორიის ქიმიკოსი რეი როჯერი ასე აჯამებს ამას: „ახლა თითქმის ყველა ჩვენგანს სჯერა, რომ სუდარა არ არის მხატვრობა. მცირე რაოდენობის რკინის ოქსიდის გარდა პიგმენტი ვერ აღმოვაჩინეთ, და ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ სითხეს ანდა ორთქლს შეეძლო წარმოეშვა გამოსახულება, რომელსაც ვხედავთ“.

ჯგუფის ერთმა წევრმა, მიკროსკოპის სპეციალისტმა, ჩიკაგოელმა უოლტერ ს. მკკრონმა რკინის წითელი ჟანგის მიკროსკოპულად ხილული რაოდენობა, რომლებიც ყვითელ ბოჭკოთაგან მრავალზე შენიშნა მიჭიდებული, საფუძვლად დაუდო ჰიპოთეზას და მიიჩნია, რომ ეს უაღრესად წმინდად დაქუცმაცებული ნივთიერება ჰგავს მხატვრობაში ხმარებულ რკინით მდიდარ მიწის პიგმენტს, როგორიცაა მაგალითად წითელი ჟანგმიწა. იგი ვვთავაზობს აზრს, რომ ეს ნივთიერება ერთ დროს გამოიყენეს გამოსახულების გასაძლიერებლად. ამ ჰიპოთეზას ბევრი სხვა მეცნიერი საეჭვოდ მიიჩნევს.

მკვლევართა ჯგუფის სხვა წარმომადგენელი – სპექტროსკოპისტი სამუელ პელიკორი სანტა ბარბარას კვლევითი ცენტრიდან – გვთავაზობს სრულიად განსხვავებულ ჰიპოთეზას: გამოსახულება, აცხადებს იგი, შეიქმნა ნელსაცხებლების, ოფლისა და ზმირინის დროთა განმავლობაში გამუქების შედეგად. ამ შემთხვევაში, გამოსახულება კონტაქტის გზითა შექმნილი. სპექტროსკოპიის მონაცემები მხარს უჭერს მის თვალსაზრისს, მაგრამ მკვლევართა ჯგუფის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი აცხადებს, რომ მაშინ ასეთ გამოსახულებას არ ექნებოდა სამგანზომილებიანი თვისებები. გარდა ამისა, გამოსახულებაზე სახის ისეთი დეტალებია აღბეჭდილი, რომელთაც ქსოვილი არ უნდა შეხებოდა.

დამაკმაყოფილებელი ახსნა მიუწვდომელია

მაშ რაღა დარჩა გამოსახულების ასახსნელად? ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ხელსაწყოების მეშვეობით მიღებული მონაცემებიდან გამომდინარეობს შეხედულება, რომ გამოსახულება ფერმკრთალი სიდამწვრის დარია. მარცხაც, გამოსახულება ტესტებში ისევეა გამოკვეთილი, როგორც XVI საუკუნის ხანძრით დაზიანებული ადგილების ალანძული ნაწილები.

პიგმენტებისაგან განსხვავებით, ალანძული ადგილი იმ ხანძარს ფერის შეუცვლელად გადაიტანდა. იგი ასევე გაუძლებდა წყლის ზემოქმედებასაც – არც გახუნდებოდა და არც ჩამოირეცხებოდა.

სიდამწვრის რა გამომწვევ მექანიზმს შეეძლო წარმოექმნა მომქრქალო გამოსახულება, რომელსაც სუდარაზე ვხედავთ, ჯერ კიდევ დაუდგენელია.

სიდამწვრის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით, საინტერესო დამატებითი ცნობები გამოიკვეთა რეი როჯერისა და მისი კოლეგის დიანა სორანის კვლევის შედეგად. ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით წიგნებში ქექვისას, რომაელ ისტორიკოს პლინიუსთან წააწყდნენ ცნობას, რომ ქსოვილის გასარეცხად და დასარბილებლად სტრუთიონს იყენებდნენ. სტრუთიონი იყო კლასიკური სახელწოდება საპონყვავილასი, Saponaria officinalis . ზოგიერთი წყარო მიუთითებს, რომ ფეიქრები სიხისტის მისაცემად ქსელის ძაფს ახამებდნენ და შემდგომ დამთავრებულ ქსოვილს საპონყვავილათი რეცხდნენ.

დიანა სორანმა იშოვნა სუდარის ტილოსნაირი ნიმუშები. ზოგი საპონყვავილათი გარეცხა, ზოგიც უსაპონყვავილოდ, და შემდგომ ამისა სიმხურვალით იმოქმედა მათზე ოდნავ. საპონყვავილათი დამუშავებული ნიმუშები გაციდებით სწრაფად და ღრმად აილანძა, ვიდრე დაუმუშავებელი ნიმუშები. ამრიგად, თუ სუდარა ოდესმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპონყვავილათი იყო გარეცხილი, იგი რა თქმა უნდა სავსებით ადვილად აილანძებოდა.

საპონას საკითხი სხვა მხრივაც წარმოადგენს ინტერესს. იგი ტოქსიკურია სიცოცხლის დაბალი ფორმების მიმართ და წარმოადგენს ფუნგიციდს. სავსებით დასაშვებია, ამ მოვლენამ ახსნას თუ რატომ არ არის სუდარაზე სოკოს ანდა ობის რაიმე ნიშანი, მიუხედავად იმისა, რომ სუდარა უმეტესწილად ნესტიანსა და ობმოკიდებულ ეკლესიებში ინახებოდა.

ბევრი კითხვა ცოტა პასუხი

„სისხლი" ნამდვილად სისხლია? დიდი ხანია გარკვეულია, რომ „სისხლის" ლაქები და თვით გამოსახულება სავსებით სხვადასხვაგვარია. სეკონდო პიამ აღმოაჩინა ეს მოვლენა, როდესაც მან შეისწავლა თავისი ნეგატივის ფირფიტები. „სისხლიანი" ადგილები ნეგატივზე თეთრი იყო, რამაც დაამტკიცა, რომ ეს ლაქები სუდარაზე პოზიტიურია, მაშინ როცა სხეულის გამოსახულება, როგორც უკვე დავინახეთ, ნეგატიურია.

მეცნიერთა ჯგუფმა ტურინში აღმოაჩინა კიდევ სხვა განსხვავება „სისხლსა" და გამოსახულებას შორის. როდესაც მათ სუდარას სარჩული მოარღვიეს დაინახეს, რომ ბლანტმა სითხემ „სისხლიან" ადგილებში გაღენთა ნაჭერი, მაშინ როცა სხეულის გამოსახულება ნაჭრის უკუღმა პირზე არ ჩანს. აშკარაა, ორივე გამოსახულება მიღებულია სრულიად განსხვავებული გზით.

არც ერთმა ექსპერიმენტმა არ უჩვენა, რომ „სისხლი" არ არის სისხლი. პირიქით, ზოგიერთმა მათგანმა დაადასტურა ეს შესაძლებლობა. ლაქების რეაქცია რენტგენის და ულტრაიისფერ სხივებზე ძალიერ ჰგავდა სისხლის რეაქციას. გარდა ამისა, რენტგენის სხივებმა სისხლისთვის დამახასიათებელი რკინის სწორი პროცენტული რაოდენობა გვიჩვენა.

და ბოლომ, დრ. ჯონ ჰელერმა ახალი ინგლისის ინსტიტუტიდან ფირების ჩამონაჭრებში აღმოაჩინა პაწაწინა კრისტალი, რომელიც მან დროთა განმავლობაში ძალზე სახეშეცვლილ ჰემოგლობინის ფორმად მიიჩნია. მისი აზრით, ეს კრისტალი სისხლია. ჯგუფის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრთა შეხედულებანი ამ საკითხზე გაიყო. ელოდებიან ექსპერიმენტების შემდგომ მონაცემებს.

რ ხ ნ ი ს ა ა ს უ დ ა რ ა? ამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს არ შეხებიან. რადიოაქტიური ნახშირბადის მონაცემები გაარკვევდენ ნაჭრის ხნოვანებას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ნებადართული. რადიოაქტიური ნახშირბადით კვლევისას ნაჭრის გარკვეული ნაწილი განადგურდება და მესვეურებს ეშინიათ, რომ ამ კვლევას დასჭირდება სუდარის მოზრდილი ნაწილი.

ახალი ტექნიკური ხერხი გადალახავს ამ სიძნელეს. ეს არის სწრაფი, უაღრესად ზუსტი მეთოდი, რომელიც მასის სპექტრომეტრად გამოყენებულ აქსელერატორს შეიცავს და ქსოვილის ძლიერ პატარა ნაჭერი სჭირდება.

დრ. ჰარი ჯოვი, როჩესტერის უნივერსიტეტიდან აცხადებს, რომ ერთი კვადრატული სანტიმეტრი ნაჭრით (ნეკის წვერის ხელა), მას შეუძლია დაადგინოს ნაჭრის ასაკი ზუსტად I 50 წლის ფარგლებში. ნაჭრის გასუფთავებისა და ყოველგვარი ზედმეტი ნაწილაკების მოშორების შემდეგ ექსპერიმენტის რამოდენიმეჯერ ჩატარებისათვის საკმარისი ნახშირბადი უნდა დაგერჩესო.

ტურინიდან მოსული ცნობების თანახმად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტურინის არქიეპისკოპოსი ბოლოს და ბოლოს ნებას დართავს დაადგინონ სუდარის ასაკი ნახშირბადის საშუალებით.

თუ კი ყველა ექსპერიმენტის მონაცემებით სუდარა მართლა ძველისძველია და ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნით დათარიღდება, საიდუმლოებას მაინც არ აეხდება ფარდა. საიდან არის გამოსახულებაში სამგანზომილებიანი ინფორმაციის კოდი? თუ გამოსახულება აღანძვის შედეგია, როგორაა ის მიღებული? გაითვალისწინეს მეცნიერებმა ყველა ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ყალბისმქნელმა მოახერხა ამ საქმის განხორციელება? შეიძლებოდა რომ რკინის ჯანგის პიგმენტის გამხსნელი დაძველებულიყო და ბოჭკოები გაეყვითლებინა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველაფერს გარდა რჩება მთავარი კითხვა ა რ ი ს ე ს თ ვ ი თ ქ რ ი ს ტ ე ს ს უ დ ა რ ა? ამაზე პასუხი როგორც მეცნიერებიცა და თეოლოგებიც აცხადებენ, ყოველთვის დარჩება მტკიცების ფარგლებს მიღმა.

კენეტ ფ. ვივერი

ინგლისურიდან თარგმნა ნატო გელოვანმა.*

---

* The Mystery of the Shroud by Kenneth F.Weaver. p.- 730-752. NATIONAL GEOGRAPHIC, vol. 157, No.6, June 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში. . 3
2. არქიმანდრიტი ა ნ ტ ო ნ შ ი ო შ ვ ი ლ ი, ქართული მონასტრები საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ 9
3. თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, ქართული ეკლესია-მონასტრები საზღვარგარნთ და მასში მოღვაწე მამები 44
4. თ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე . . . 75
5. ვ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, კირიონ II 8I
6. ურბნელი მთავარეპისკოპოსი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე, შინაგანი სიმართლე I39

თარგმანები

7. აღსარება ნეტარი ავგუსტინესი ჰიპონის ეპისკოპოსისა (თარგმანი ვ. ბ უ რ კ ა ძ ი ს ა) I69
8. მაკარიოპოლელი ეპისკოპოსი ნ ი კ ო ლ ო ზ ი, ღვთისმეტყველება და ღვთისშემეცნება (თარგმანი წ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი ს ა) 206
9. კ ე ნ ე ტ ვ ი ვ ე რ ი, სუდარის საიდუმლოება (თარგმანი ნ ა ტ ო გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა) 223

n26/105

F 834
1981